ილო ბეროშვილი

# განკაცებული ადამიანი

განათლება
1989

83 Гр
ბ 551

ამ წიგნში მოთავსებული პირველი ძირითადი წერილი – „ილიას ათი მცნება ადამიანის განკაცების შესახებ“ წარმოადგენს ერთგვარ ცდას – საინტერესო დაკვირვებების საფუძველზე განიხილოს ავტორმა ადამიანის ჰარმონიული აღზრდის საკითხი. საკაცობრიო მნიშვნელობის ამ პრობლემის მიუძღვნა დიდმა ილიამ მთელი თავისი მოწამებრივი სიცოცხლე.

გარდა ამისა, კრებულში წარმოდგენილია ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სხვა ნარკვევებიც.

წიგნი დაეხმარება ქართველ ახალგაზრდობას ილიას შემოქმედების აღქმაში.

რეცენზენტები: რ. ჯაფარიძე, ჯ. თითმერია

4702170104 – 406
————————— ბრძ.№6-89
м -602 (08) – 88

© გამომცემლობა „განათლება“, 1989

ISBN 5-505-00869-0

# შესავალი

ვითარცა წვეთის სიწმინდესა და სიანკარეზეა დამოკიდებული ზღვის ფერი და იერი, ხოლო უჯრედის სისაღეზე ორგანიზმის სიჯანმრთელე, ასევეა ადამიანი კაცობრიობისათვის. ადამიანის განკაცება აკეთილშობილებს პირველ რიგში დამბადებელ ერს, ერი კი – კაცობრიობას. აქედან გამომდინარე, ყოველი ადამიანის ზნესრულობა, გაკეთილშობილება საერო და საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხია.

შემთხვევითი არ იყო, რომ ილიამ თავისი მოქმედების უპირველეს პრობლემად აქცია და დიდი სითამამით დააყენა საკითხი: კაცია-ადამიანი!? არა კმარა ის, რომ ადამიანად დაიბადე და მოევლინე ქვეყანას. საჭიროა განკაცდე ისე, რომ ადამიანობა და კაცობა ორგანულად შეენივთოს ერთურთს. და ეს ორივე მცნება ერთ არსად იქცეს. თუ სადამდე შეიძლება დაეშვას ადამიანი განკაცების გარეშე, ამის საილუსტრაციოდ ილიამ თავისი გენიის შესატყვისი ოსტატობით დახატა ლუარსაბი და დარეჯანი.

საკითხავია, რამ მიიყვანა მოაზროვნე ადამიანის მოდგმა ლუარსაბობამდე და დარეჯანობამდე? პირველ რიგში უმოქმედობამ, უმიზნობამ. რომ იმოქმედო, უნდა გქონდეს ზრახვანი, მისწრაფებანი, რომლებიც ადამიანში ბადებენ ექსტაზამდე მისულ სურვილს შრომისას, ბრძოლისას და დაუდეგარი ქმედებისას. ილია ხომ იმთავითვე იმ აზრისა იყო, რომ მოძრაობა და მოძრაობა არის ცხოვრების გამაჯანსაღებელი და ადამიანის სულის გამასპეტაკებელი, „ქვეყნის დონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

რათა აზრმა არ წაიკოჭლოს და არ წაიბორძიკოს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტო მოძრაობა არ არის განკაცებისაკენ მიმავალი გზა, რადგან ცნობილია სიკეთისაკენ მიქცეულ სულზე არანაკლებ მოძრაობს და არანაკლები ექსტაზით ილტვის მიზნისაკენ ბოროტი არსი, რაც კიდევ უფრო საშიშია, ვიდრე ლუარსაბობა. ამის გამო ადამიანის სულს, რომელიც განკაცებისაკენ მიისწრაფვის, გზას უნდა უნათებდეს ჰუმანიზმის ჩაუქრობელი ლამპარი.

ისიც სათქმელია, რაც უნდა კეთილშობილური იყოს მიზანი და განზრახვა, მისკენ მიმავალი არსი არ უნდა კადრულობდეს არავითარ აკრძალულ ილეთს, არავითარ სიმდაბლეს. პირიქით, კეთილ ზრახვათა განხორციელებისათვის ჩადენილი ყოველი ქმედება უნდა იყოს ზნესრული და საამაყო, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერასა და დიდ სიყვარულს უნდა იმსახურებდეს. რადგან სიკეთის ქმნა ბოროტების დათრგუნვას ნიშნავს, სწორედ ბოროტთა წინააღმდეგობის წყალობით კეთილი მიზნისაკენ მიმავალთა გზა ყოველთვის ნარეკლიანია, წინააღმდეგობებითა და ზოგჯერ უმადურობითაა სავსე, მაგრამ, თუკი ადამიანი განკაცებულია და ცხოვრების მიზნად ქვეყნის სამსახური

და სიკეთის თესვა გაუხდია, მას არასდროს შეეშინდება არცა ნარცქლისა, არცა მტრობისა და შურისა. პირიქით, მტრისა და მოშურნის ძლიერება და წინააღმდეგობა ხშირად ხდება კეთილმზრახველთა შინაგანი ენერგიის მაორგანიზირებელი, ახდენს უჩინარი სულიერი ძალებისა და პოტენციის ისეთ ამოფრქვევას, რომელზეც ადრე თავადაც არ ჰქონდა ამ ბრძოლაში ჩაბმულ ადამიანს წარმოდგენა.

საქმეს ხშირად ისიც ართულებს, რომ ბოროტგანმზრახველი კეთილმყოფელის მანტიას უფრო მოხერხებულად ხმარობს და დემაგოგიური ფანდებით მგელი სახარებას უკითხავს ცხვრებს და არაერთხელ ჭეშმარიტი ბრალდებული ბრალმდებლის კათედრაზე შემდგარა, ხოლო ჭეშმარიტი ბრალმდებელი ბრალდებულის სკამზე დაუსვამთ. აი, რაში მდგომარეობს ძირითადი სიძნელე და აი, სად უჭირს ყველაზე მეტად განკაცების გზაზე შემდგარ ადამიანს.

ასეთ გზაზე მიმავალი კაცი თუნდაც წაბორძიკდეს, თუნდაც დამარცხდეს, საძრახისი არ არის. მის კაცადკაცობას ჩრდილი არ ადგება. დღეს იქნება თუ ხვალ, პირუთვნელი დრო-ჟამი კეისარს კეისრისას მიაკუთვნებს... ასეთ განკაცებულ ადამიანს მიზანმიუღწევლობის შემთხვევაშიც სჯერა და სწამს, რომ ბოროტს მაინც სძლევს კეთილი და ეს რწმენა არის უდიდესი განძი, რომელიც არცა დაითვლება და არცა აიწონება.

კაცადკაცური ადამიანის უპირველეს მოვალეობად ილიას ის მიაჩნია, რომ წესად აქციოს და ყოველდღე თავსა ჰკითხოს: „აბა მე დღეს ჭის რა ვარგეო“. რა თქმა უნდა, ასეთ რგებაში უკუსარგებლიანობა აბსოლუტურად გამორიცხულია. ეს მისი ცხოვრების მოთხოვნილება და იდეალი უნდა იყოს: ამ შემთხვევაში ილია იზიარებს იმ ბრძენის აზრს, რომელიც მოწაფეებს მოძღვრავს: „ხოლო, როცა მოწყალებას იქმნით, ნუ გაახმაურებთ, როგორც თვალთმაქცები აკეთებენ, რათა ხალხმა აქოს ისინი“.

ილიამ შეუმცდარად იცის, რომ ისტორიულმა და სოციალურმა გარემომ განაპირობა ლუარსაბობა და დარეჯანობა. ამავე პირობებმა გააბედკრულა და ქვეყნის გლახად აქცია გაბრიელი, დალუპა პეპია და თამრო, გაათავხედა დათიკო. სწორედ ცხოვრების მღვრიე მდინარემ გააცალკევა და სხვადასხვა ნაპირს გარიყა, ერთი მხრივ, დუხჭირ ყოფაში გამობრძმედილი, ღველფსა და ღადარში ნაწრთობი, გულსულ გასაღკლდევებული და დაგვირისტებული ოთარაანთ ქვრივი და მისი გიორგი, ხოლო, მეორე მხრივ, ზნესრული, განსწავლული, წიგნიერი და კაცთმოყვარეობით გულსავსე, მაგრამ პრაქტიკულ ქმედებას მოკლებული არჩილი და კესო. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მხარე არ არის ავის მზრახველი და არიან საკუთარი ღირსებით სავსენი, მათ შორის ხიდი მაინც ჩატეხილია. მათ ამჯერად წოდებრივი მდგომა-

რობა კი არ აცილებთ ერთურთს, კესოს გული წოდებრივი თავმოწონებით კი არაა გიორგის უზადო სიყვარულისათვის გადაკეტილი, არამედ ცხოვრების პირობებმა სხვადასხვანაირად დაკვანძა, დააგვირისტა თუ დაბლანდა მათი სული, მათი ეთიკა, ქცევა. პირველნი ზედა სართულის აივანზე სხედან და შესცქერიან ცის სილაჟვარდეს, ვარსკვლავებიდან ჭვრეტენ სამყაროს. ლაჟვარდივითაა მათი სული. მათი ოცნებები და მისწრაფებანი განუხორციელებელი და მიუწვდომელია. გარეგნულადაც ცასავით ფერმკრთალნი არიან და სიფრიფანანი.

მეორენი კი მიწაზე დგანან თოხის ტარს დაყუდებულნი, მიწას ჩასცქერიან, ბარის პირით მძიმე ბელტებს ისევე მსუბუქად ატრიალებენ, ვითარცა პირველნი წიგნის ფურცელს. იციან მიწის მადლი, მისი ბარაქა. იციან მისი ენა, მისი ღირსებაცა და ნაკლიც. პირველთ სევდა რომ შემოაწვებათ, ცად ააპყრობენ თვალებს და მას შესცქერიან, შესჩივიან და უმჟღავნებენ ხვაშიადს. მეორენი ბარის ტარს დაყრდნობილნი, მიწას დასჩერებიან და ნუგეშსაცა და პასუხსაც მისგან ელიან.

თუ პირველთ წაართმევ წიგნსა და მეოცნების ჭოგრიტს, ერთი ნაბიჯიღა დარჩება ლუარსაბ-დარეჯანობამდე, მეორეთ თუ გამოართმევ თოხსა და ბარს, ოთარაანთ ქვრივი უეჭოდ თავის მათხოვარ მეზობელთ მიესადაგება, ხოლო გიორგი - უსულგულო იმარაანთ მოჯამაგირეს. ამ ფათერაკისაგან პირველნი მეოცნებისა და ხელოვნების სიყვარულმა იხსნა, რასაც უეჭველად შრომისა და თავისებური გარჯის გარეშე ხელი არავის ეწიფების, ხოლო მეორენი ფიზიკურმა გარჯილობამ, დედამიწასთან ჯუფთობამ.

ილია ანტიპათიურად არც ერთ მხარეს არ უყურებს, მაგრამ მტკივნეულად განიცდის, რომ რაც ერთ მხარეს ჭარბად აქვს, მეორეს არა აქვს და პირიქით. მხნე ოთარაანთ ქვრივის და გიორგის „თვალთახედვის ისარი“ უწიგნოდ მოკლეა, ხოლო არჩილისა და კესოს წიგნიერებით შექმნილი თვალთახედვის ისარი მიზანს ვერ სწვდება. გიორგის არ აკლია არც გარეგნობა, არც შრომისმოყვარეობა, არც კეთილშობილება, კესოც სავსეა კდემითა და სიკეთით და მაინც გიორგი ფათერაკის მსხვერპლიც რომ არ გამხდარიყო, თუნდაც კესოსაც შეეგრძნო მისი სიყვარული და ეთანაგრძნო, მაინც ვერ მივიღებდით იდეალურ წყვილს, რომელიც შექმნიდა ისეთ ოჯახს, რომელზედაც უნდა დაფუძნდეს ერის ბედი და მომავალი. ვიდრე ამ იდეალს მივაღწევთ, ჯერ უნდა გამთელდეს ჩატეხილი ხიდი, რომლის გამთელება არც ისე ადვილია და რომელსაც ცრემლებით დაგროვილი ზღვა სჭირდება. არჩილს ჰყოფნის გამბედაობა და აღიარებს: „ჩვენ ნახევარი კაცნი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვკლია“. ეს უკეთესი მეორე ნახევარი არის ოთარაანთ ქვრივი და გიორგი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილიას იდეალია ამ ორი სამყაროს ორგანულად შერწყმა და შეერთება, რადგან მან იცის, რომ „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“.

ეს რომ ასე მოხდეს, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი უნდა აღზევდნენ ცათამდე, რომლის სილაჟვარდეშიც არჩილი და კესო ოცნებობდნენ იდეალურ სამყაროზე. ხოლო ეს უნდა მოხდეს ისე, რომ აღზევებისას არ მოწყდნენ დამბადებელ და მასაზრდოებელ დედამიწას. და რაც მთავარია, არ უნდა დაირღვეს ის გვირისტი, რომლითაც მათი ზნე და ხასიათი დაღიანდაგებული. ხოლო არჩილი და კესო უნდა დაეშვნენ მიწისაკენ ისე, რომ მტვრითა და ვაივაგლახით არ უნდა აიმღვრეს ის წმინდა სული და ზრახვანი, რაც მათ აქამდე ასულდგმულებდათ. მაშინ აღარც არჩილი და კესო გადმოიხედავენ მარტო წიგნებიდან და არც ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის თვალთახედვის ისარი იქნება მოკლე უწიგნურობით.

აი, როდის გამთელდება ჩატეხილი ხიდი... აი, როდის გაივლის ამ ხიდზე ჭეშმარიტად განკაცებული ადამიანი.

ამ იდეალის აღსასრულებლად საჭიროა, როგორც ილია იტყოდა, წმინდა ცრემლიანი ცოდნა, რომელიც „უკანას სწვავს და ბუგავს, წინას ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაზევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრეც ორსავ ნაპირს გააერთებს. ეს ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი, შუქია წინასი და შუქი ხომ... – დასაწყისია განთიადისა“.

ამ შემთხვევაში ცრემლის ზღვა ჩვენ გვეჩვენება როგორც სიმბოლო იმ ბრძოლისა, შრომისა და სულიერი ამაღლებისა, რომელიც აპირობებს ადამიანის განკაცებას. დიდი და თითქმის გადაულახავი სიძნელეების მიუხედავად ილიას დასაშვებად და შესაძლებლად მიაჩნია წმინდა ცრემლებით ისეთი ზღვის შექმნა, რომელზედაც ნირშეუცვლელად ივლის მომავალში განკაცებულ ადამიანთა მოდგმა. როდესაც კაცს კაცის ქუდი ეხურება, დედაკაცს – დედაკაცის მანდილი და ყოველი ერი თავის თავზე იქნება მიყუდნებული.

ისე როგორც „კაცია-ადამიანი!?“ არ ამოუწურავს ილიას ადამიანის განკაცების პრობლემა, ასევე ითქმის „ოთარაანთ ქვრივზე“, რადგან ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი მეტად მრავალწახნაგოვანია და სწორედ ამ წახნაგების ერთობლიობა, მათი ათინათის ერთ ფოკუსში მოქცევა ქმნის იმ იდეალურ პირობებს, როდესაც ადამიანის სული და ხორცი ერთ არსად არის ქცეული და თავდგმულია კაცთმოყვარეობის გვირგვინით.

როგორც უკვე აღვნიშნე, ილიამ იცის, რომ ყოველგვარ მოვლენას

მათ შორის ადამიანის აღზევებასაცა და დაღზევებასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, მაგრამ განკაცებული ადამიანი სწორედაც იმის გამოა განკაცებული, რომ იგი ცხოვრების მდინარეს აყოლილი ნაფოტი არაა. სუბიექტის ღირსება მუდამ იმით იზომებოდა და იზომება, თუ რა ძალის წინააღმდეგობას უწევს იმ ობიექტურ მიზეზებს, რომელიც მას გადაგვარებისაკენ უბიძგებს და ზოგჯერ ძალითაც ითრევს. ადამიანის ჰარმონიული ბუნება და სრულყოფა სწორედ ასეთ ჭიდილში იჩენს ხოლმე თავს.

ჩვენ შევეცდებით ქვემოთ გავაანალიზოთ ილიას ის შეხედულებანი და მცნებანი, რომელთა გათვალისწინება და ცოდნა აუცილებელია განკაცების გზაზე დამდგარი ადამიანის სულიერი ფორმირებისათვის.

## ილიას ათი მცნება ადამიანის განკაცების შესახებ

### მცნება I

### ი ს ტ ო რ ი ა მ ა რ ჯ ვ ე ს ი დ ა გ ა მ რ ჯ ე ს ი ა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანი რომ განკაცდეს, გაკეთილშობილდეს და მის არსებობას გამართლება მოეძებნოს, უნდა ამოქმედებდეს გარკვეული და ნათელი მიზანი.

მაგრამ რა მიმზიდველიც უნდა იყოს განზრახვა და მიზანსწრაფვა ადამიანისა გინდა საზოგადო, გინდაც კერძო, მიუწვდომელი და განუხორციელებელი დარჩება თავდადებული შრომისა და გარჯის გარეშე, რადგან „ადამიანის ცხოვრება განუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეა, საქმის კაცია და ხელიდამ რამ გამოსდის, ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ამ ჭიდილში ფეხზე არა დააყენებს რა რაც გინდა ულოლიავოთ და უაროთ.

კაცი, რომელიც მჭამელი და მშთანთქმელია და არა მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედამიწის ზურგიდამ ასაგველად".

ილიას ეს შეგონება ყველა დროის ადამიანისათვის გასათვალისწინებელია, ვისაც არ უნდა რომ დარჩეს მხოლოდ ცოცხალ არსებად, რომელიც არცა მოსვლით მატებს რამეს ქვეყანას და არცა წასვლით აკლებს...

თუმცა ილიამ იცის, რომ არა კმარა განკაცებისათვის მხოლოდ შრომის სიყვარული და შრომა. განა მისი გუთნისდედა მშრომელი არაა? განა მისი მუშა ოფლის მღვრელი არაა? მაგრამ ვერც პირველი იმართე-

ბა წელში, ვერც მეორე.

ამათგან გუთნისდედა ლაბა ხარზე ნაკლებ არ ღირს ოფლს, მაგრამ ლაბაზე უარესი ბედისაა, თავისი ჭირისა და მწუხარების გამო „სიტყვანი გულში ებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან". ასეთ ვითარებაში, – ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი – მეტყველი კაცის ტანჯვა გაცილებით მძიმეა ლაბას ტანჯვაზე, იგი იძულებულია მართალი სიტყვა გულში ჩაიკლას. ამის გამო, რომ გუთნისდედის უღელი ლაბას უღელზე უფრო მძიმეა, რადგან მას „ზეცა წაართვეს ძალით!".

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ილიას „პოეტი", სადაც შემოქმედი წარმოდგენილია როგორც ციური მადლისა და მიწიერი ღონიერების ორგანული მთლიანობა, რომელსაც ცა ნიშნავს და მიწა ზრდის. არა მარტო პოეტს, სრულქმნილ და ჰარმონიულ ადამიანსაც ასევე ესაჭიროება ციური სისპეტაკე, მიწიერი ძალა და ღონე. როცა ან ერთი აკლია, ან – მეორე, სრულქმნილობა და ჰარმონიულობა ცალფაა. გუთნისდედისათვის ზეცის წართმევა ამ შემთხვევაში ნიშნავს ადამიანის სულიერი სამყაროს იგნორირებას, ჩაკვლას, ჩახშობას. არც ქალაქად ჩახიზნული მუშაა გუთნისდედაზე ბედსვიანი. უფრო მეტი, მუშას ისიც არა აქვს, რაც გუთნისდედას. არსადა აქვს თბილი კერა, მტვრიანი ქუჩაა მისი თავშესაფარი. მისი დამქირავებელი „მდიდარს მეტს მისცემს, მას კი გროშზეც შეევაჭრება და მთელს სიცოცხლეს დაადაჰებს ესრეთ შრომაში". კაცურ კაცად ვერ იცხოვრებს ვერც ერთისა დღესა და ბოლოს ასეთ განაწამებს სულის ამოსვლის ჟამს არავინ ეყოლება სუდარის გადამფარებელი, თვალის დამხუჭველი, გულხელის დამკრეფელი. ჯალაბი მისი ვერ დაღვრის „მდუღარე ცრემლსა".

ხატავს რა ასეთ მძიმე სურათს, ილია ბოლოს გულამოსკვნით დასძენს. „ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!".

ამგვარი შრომის ჟამს ადამიანი კი არ განკაცდება, კი არ ამაღლდება, კი არ გაკეთილშობილდება, პირიქით, გაბოროტდება და დაჰკარგავს ყოველ ღირსებას. გამოიფიტება, სულიან-ხორციანად დაკნინდება და არარად იქცევა. ასეთ დროს შრომა განკაცებისა და ამაღლების საშუალება კი არ არის, დადაბლების მიზეზად შეიძლება იქცეს. ნათელ და სასიკეთო მიზანდასახულობაზე ლაპარაკი ხომ სრულიად ზედმეტია.

აქ თავს იჩენს სოციალური პრობლემატიკა, რომელსაც დიდი ძალა და ენერგია შეალია ილიამ, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

შრომა ადამიანს იმ შემთხვევაში განაკაცებს და აამაღლებს, როცა ეს შრომა თავისუფალია და ნაკარნახევია თვით ადამიანის სა-

კუთარი ზრახვებითა და მრწამსით. როცა ქვეყნად მეფობს სიმართლე და არა ძალადობა, როცა მშრომელს სამოქმედო ძალაც აქვს, სურვილიც და მოედანიც, როცა ადამიანი თვით არის საქმის თაოსანი. „მართო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის სამართალიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა". ასეთი შრომა ფრთებს ასხამს ადამიანს, გულს უფოლადებს, აზრს აღრმავებს და გონებას აფხიზლებს, დარდს ავიწყებს და იმედით ავსებს. უუფლებო და მონური შრომა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილაჯგაწყვეტილია, უხალისოა და უნაყოფო, ხოლო ადამიანის ღირსება – დამდაბლებული.

თავისუფალი შრომის დროს „განმტკიცებულია სოფელსა შინა კაცთმოყვარეობის სახიერება," ყოველთვის იქნება „იგი სუფევა თანასწორადა ნივთამფენელი", მისი მადლით წარწყმდება „ცარცვა და რბევა" და „ერთგან მოსძოვს ცხვარი და მგელი. მაშინ უქმ სიტყვად არ იქნება ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლის კაცთმოყვარება და სათნოება. „შრომის დროს, – ამბობს ილია, – მაშვრალო, შენც განკაცდები, წართმეულ ნივთს კვლავ მოიპოვებ,სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები, არც ცის ემონები და არც იმონებ".

ამ შემთხვევაში შრომა არა მარტო ეკონომიკური ძლიერების საფუძველთა საფუძველია, არამედ ზნეობის დამამკვიდრებელიცაა, რადგან ჭეშმარიტი მშრომელი არასოდეს იკადრებს არასაკადრისს. ეს არის ის ნათელი გზა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ზნესრულობისა და განკაცებისაკენ. ეს ასეა, მაგრამ არავის ეგონოს, რომ თვით თავისუფალი შრომა ადვილია და არ მოითხოვს თავდადებას, ოფლის ღვრას და შემართებას. არა, „შრომაც ომსა ჰგავსო", – ამბობდა ილია – „მაგრამ ომი სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, უბუკნაღაროდ სთესავს, უბუკნადაროდ მკის, კოკისპირულ შხაპუნა ნიაღვარს კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს. „მდუმარე" წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელი სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, გუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლით ომის ვაჟკაცობაზე". „ვაჟკაცი გულადზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო". აი, ასეთ შრომაში გამარჯვებული იქმის კაი ყმად, ანუ განკაცებულ ადამიანად.

შრომა იმ შემთხვევაში ანიჭებს ადამიანს თვითკმაყოფილებას,

როცა შემოქმედებითია, როცა კაცის ხელი მექანიკურად კი არ მოქმედებს, ვითარცა მანქანის საჭე, ან ბორბალი, არამედ მის ქმედებას წინ უძღვის ან ერთვის აზრი. ასეთ შემთხვევაში ფიზიკური ქმედება თუ ორგანიზმს აკაჟებს და აგვირისტებს, მასთან დართული აზროვნება სულსა და გონებას აწრთობს, ხასიათსა და ნებისყოფას უმტკიცებს ადამიანს და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უფრო ზნესრულს ხდის.

ამდაგვარი შრომა ჭეშმარიტად შემოქმედებაა. შემოქმედებითი შრომა „არის შემქმნელი და მოქმედი ამა ცხოვრებისა“. ასეთი მშრომელი ლუკმას „შოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ“. ვინც გაურბის შემოქმედებითსა და თავისუფალ შრომას, ცხოვრების ბარგნი არიან. „ესენი, – ამბობს ილია, – გამრჯელსაც ამძიმებენ და თვითონაც არ იციან, სად და როდის გაუწყდებათ წელი, რომელზედაც ხელი უკიდიათ და სად დარჩებიან უმწეოდ“. ისინი სათარიგით ითრევენ ცხოვრებას და მუდამ დამუნათებულ ლუკმას სჭამენ. ლუკმა კი „მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი“.

გარჯითა და კაიკაცობით მონაგარ სიმდიდრეს ილია დიდ პატივს სცემს და ამის მონატრულიცაა, მაგრამ მას გულს ურევს სიმდიდრითა და მდგომარეობით გადიდგულებული, გაყოყოჩებული, სულ-გულგამოცვლილი, ე.წ. ზედა ფენა, რომელსაც ეკონომიური ძლიერებისათვის კი მიუღწევია, მაგრამ შინაგან ადამიანურ ღირსებებისაგან გაძარცულა. თუ გუთნისდედას „ზეცა წაართვეს ძალით“ და ამას მტკივნეულად განიცდის, მათ ნებით დაუთმიათ ზენაარი და მხოლოდ ქვენა გრძნობების ანაბარა დარჩენილან. ილიას თვალსაწიერს არც ეს ფაქტი გამორჩენია და გულისტკივილით ამბობს: „დიდკაცობა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინვებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლებისა, სულისა და ხორცის გახრწნილობის მეტს ვერას დაინახავთ“.

ასეთ გარედან გაბრწყინვებულსა და შინაგანად დაცლილ საზოგადოებას ისევ პატიოსანი სიღარიბე სჯობს. „სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის, მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარი პურის ჭამაა, სხვისი ოფლის სმაა...“ – დასძენს ილია. მას სათაკილოდ და სიმდაბლედ მიაჩნია უკუთვნელის მიკუთვნება, სხვისი ნაჯაფ-ნადაგის დათავისება. ასეთ ცოდვიან სიმდიდრეს „ხმელი პურის ჭამა სჯობია...“

ილიას სწამს შრომის მაგიური, ღვთიური ძალა ადამიანის სულიერი ფორმირებისა და განკაცების საქმეში. ამის გამო იყო, რომ თავისი სულის ორეულის – მყინვარწვერზე გადმომდგარი აჩრდილის პირით მშობელი ერისა და კაცობრიობის გასაგონად განაცხადა: „შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა დღეისა

დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის“.

დიახ, ყოვლადგვარი საკაცობრიო იდეალის: ჰუმანიზმისა და ამაღლებული მამულიშვილობის, ერთა ძმობისა და მაღალი რწმენის, ადამიანის სრულქმნისა და სხვა რამ ხასიათის საქმის სათავე და ღიბო თავისუფალი შრომაა, რომელიც მაღალი ზნეობითაა გაზავებული.

## მცნება II

### ვ ი ს ა ც ჭ კ უ ა ც ო დ ნ ი თ მ ო უ რ თ ა ვ ს

ადამიანის განკაცება სიცოცხლის სათავეშია საძიებელი. იგი მის ბავშვობაშივე იწყება. მართლაც, სათავეში ამღვრეული წყალი ბოლოში აღარ წმინდავდება. ყლორტობის ჟამს გამრუდებული ხე მერე ნაჯახითაც აღარ გასწორდება. თუ გვინდა, რომ ადამიანი სრულვყოთ, განვაკაცოთ, მას იმთავითვე, აკვანშივე, დედის რძესთანვე უნდა შევაწოვოთ ყველა ის სასიკეთო ნექტარი, რაც განკაცებულ ადამიანს ამშვენებს. „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანის,“ – ამბობს ილია, – და მიუთითებს, რომ დიდი სიფხიზლე და სიფრთხილეა საჭირო, რათა არ შეირყეს ნირი და ზნე ჩვილობაშივე. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახს, სადაც ჩვილი პირველად ახელს თვალს, პირველად ისმენს იავნანას. „ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიარეა და მალმჩენი ავისა და კარგისა“. თუ გვინდა ბავშვი იმთავითვე განკაცების გზაზე დავაყენოთ, მას ლიტონი სიტყვებით კი არ უნდა ვმოძღვრავდეთ სიკეთეზე ან მამულიშვილობაზე, არამედ თვითონ უნდა ვმოქმედებდეთ და ამ მოქმედების ფერხულში იმთავითვე ჩავაბათ თან გავიყოლოთ ჩვენი პირმშო. ილია დიდად აფასებს ცოდნას, მაგრამ სასტიკად კიცხავს ისეთ, ე.წ. მცოდნეთ, რომელნიც ცოდნით ერთნი არიან „მოქმედებით და ცხოვრებით კი სხვანი“.

ილიამ იცის, რომ თვითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდი თაობის მერმისზე. იგი მოითხოვს სათუთად მოვექცეთ ბავშვის სულს, რადგან „რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიც ვხედავთ“.

ასე რომ, მოზარდის განკაცების ზრუნვის ჟამს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა იმ გარემოს, სადაც ბავშვი იზრდება, მაგრამ აღზრდა ერთია, განსწავლა – მეორე. განსწავლის გარეშე, რაგინდ კარგი გარემო შევუქმნათ ბავშვს, რა გინდ კარგი ზნე-ხასიათიც არ უნდა ჩამოვუყალიბოთ, ადამიანის ნანატრ სრულქმნილებას ვერ მივიღებთ. აღზრდა და განსწავლა ორგანულად უნდა დაუკავშირდეს, შეერწყას და

შეენივთოს ერთურთს. წინააღმდეგ შემთხვევაში ან უწრთვნელ სწავლულს მივიღებთ, რომლის სიტყვა და საქმე არასოდეს შეერწყმის ერთურთს, ანდა უცოდინარობით დაუძლურებულ ქმედებას.

ილიას მრწამსით, „ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და განსწავლის ზნე-ხასიათის ერთურთთან შეუღლებაა განუყრელად". და მართლაც, ვერც მარტო ზნესრულობა და ვერც მარტო განსწავლა ადამიანს ვერ განაკაცებს. ცალი ფრთითა და ცალი ფეხით ვერც ცად აფრინდება და ვერც სამ ნაბიჯზე გადახტება. ილიას იდეალი კი ისაა, რომ სრულქმნილი აღზრდითა და განსწავლით ჩამოყალიბდეს ისეთი ადამიანი, რომელიც შეიტყობს და უმცდარად შეიმეცნებს „ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, გაყრასა თუ შეყრას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლასა თუ მშვიდობას". „რთული ცხოვრების ლაბირინთში გზის გაკაფვა მხოლოდ სრული ზნისა და ღრმად განსწავლულ კაცს შეუძლია.

ილიამ იცის, რომ ახლა მტერი ხმლით კი არ მოდის, არამედ გონებით, ფარისევლობით, თეთრი კბილითა და შავი გულით. ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტ მოღვაწეს და მამულიშვილს აუცილებლად სჭირდება ზემოთქმული თვისებანი, რათა მტერს დაუხვდეს იმავე იარაღით, რითაც ის მოდის, ფარულად, მაგრამ ჯიქურ და დაუნდობლად.

პირისპირ მტერთან შერკინების საუკუნეებმა ჩაილურის წყალი დალიეს და თან გაიყოლიეს სამშობლოსათვის თავდადებული თავჩაჩქნიანი მხედრები. მამულისა და ერის გადარჩენას კი სხვა ალიკვალზე გაზრდილი რაინდები სჭირდებოდა, რომელნიც გაწრთვნილნი იქნებოდნენ გონებით, ზნე-ხასიათით, სულითა და ხორცით, რადგანაც „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია და ძლიერი კი მარტო მცოდნე კაცია".

ახალგაზრდა იმთავითვე უნდა აღიზარდოს პირველ რიგში ზნესრული. ამ ზნესრულობას უნდა დაემყნოს განათლება, ცოდნა, მეცნიერება, ხელოვნება. არაზნესრულ ადამიანს თუ შევაიარაღებთ ცოდნით, იგი შესაძლოა უფრო საშიში აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის, ვიდრე სასიკეთო. ცოდნა და განათლება საკმაოდ ბასრი იარაღია და ეს იარაღი არამც და არამც ხელთ არ უნდა ჩავუგდოთ არაზნესრულს. უზნეო ადამიანი ამ იარაღს არასოდეს სასიკეთოდ არ გამოიყენებს. მას ან კარიერის გზის გასაწალდად მოიხმარს, ან დოვლათის მისათვლელ ერთად და ამით უფრო წარყვნის ქვეყანას. არამც თუ განკაცდება, განკაცების გზაზე შემდგარ ადამიანსაც გზას აურევს, გულსა და სულს მოუწამლავს. სულ სხვა შედეგს მოგვცემს, როცა ამ იარაღით განკაცებული და ზნესრული ადამიანი აღიჭურვება. იგი მას ქვეყნის სასიკეთოდ, ერის სარგოდ, ადამიანისა და მოძმის ბედნიერებისათვის გამოიყენებს, რადგან „კაი კაცობა და კაი კაცობის შესაძლებლობა

მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს". ადამიანის ეს ღირსება უნდა დაფასდეს საზოგადოებისაგან, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ ამას იმსახურებს ამაგდარი კაცი და მეორეც, იგი გამოდგება ზნეობის სარკედ და სხვათა სამაგალითოდ. ილია ამბობს: „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან დაფასებული ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, ამის გამო საჭიროა ბავშვი იზრდებოდეს ზნე-სრულ გარემოში, იწრთვნებოდეს და განისწავლებოდეს სრულქმნილი ოსტატის ხელით". „წრთვნა, - ამბობს ილია, - მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე, სწავლა კი - გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე".

ზნესრული და განსწავლული მასწავლებლის სახე დახატა ილიამ „გლახის ნაამბობში" მოძღვარის სახით. იგი არა მარტო ბავშვთა გულის მესაიდუმლეა, არამედ მთელი სამწყსოს სულიერი მამაა, რომელსაც მრევლი „სულგანაბული შესცქეროდა, თითქოს დაუჯერებელიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება და შიშობს ხელიდამ არ ჩამივარდესო. ბევრი სიკეთე უნდა დათესოს კაცმა, - დასძენს ილია, - რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი".

ზნესრულობისა და განკაცებისათვის ილია მოითხოვს, რომ საჭიროა ფიზიკური სრულქმნაც. იგი იზიარებს იმ აზრს, რომ ჯანმრთელ სულს ჯანმრთელი სხეული სჭირდება. ამისათვის საჭიროა: „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა".

ბავშვის ზნესრულობასა და სათავეს საფუძველი ოჯახში ეყრება, მაგრამ მას აგვირგვინებს სკოლა, რომლის მოვალეობაა „ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩიოროს გულისყური, გაუწრთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა. შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსაჯულობასა და თვითმსჯელობასა. საერთოდ სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებითა და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუითა და გულით გაუჭირვებლად გაუძღვეს იმ სულიერ და ხორციელ პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს".

სკოლამ რომ ეს მისია შეასრულოს, ამისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბავშვს უნდა წრთვნიდეს „მზრდელი ყრმისა", რომელიც უნდა იყოს „მეორედ შემოქმედი", რადგან „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. „ამ საიდუმლოების ჩაწვდენა და მისი ამოქმედება „მეორე შემოქმედს", მასწავლებელს, მაშინ ძალუძს, როცა ბავშვს ზრდის, უპირველეს ყოვლისა, დედაენაზე, რადგან, „თუ ცნობიერად და გაგებით უნდა ბავშვმა რაიმე ისწავლოს, ჯერ თავისი ენა უნდა კარგად შეისწავლოს, რომ მერე სხვისას შეუდგეს". ამასთან ერთად ილია ასე მოძღვრავს მასწავლებელს: „თუ წრთვნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ".

ილია წინააღმდეგია ყრმათა ცალმხრივი განვითარებისა. მასწავლებელი, მართალია, მოწოდებულია იმისათვის, რომ ბავშვს გაუხსნას გონება, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რომ „ადამიანს ჭკვა-გონების გარდა გულიც აქვს, რომელსაც კაიკაცობისათვის ისეთივე წრთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა".

სიცოცხლის სათავე, სიკეთის სათავე, ცხოვრების სიმშვენიერე, ადამიანის ნუგეში, იმედი, სასოება, უზაკველი სიყვარული მაინც დედაა, რომელსაც ავალია ერის სიმრავლეც, ერის ხსნისათვის საჭირო ადამიანთა განკაცებაც. ამას ილია დედის მაღალ, „საღვთო ვალს" ეძახის და ბოლოს გულმხურვალედ, სასოებით სთხოვს და ევედრება: „დედავ! ისმინე ქართლის ვედრება: ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული".

ადამიანის სულიერ ფორმირებაზე ცუდ გავლენას ახდენს ასევე მავნე ზნე-ჩვეულებანი, რომელნიც ხშირად ხდებიან ადამიანის ცხოვრების გაუკუღმართების მიზეზი. აკი ილიაც მიგვითითებს: „ზნე-ჩვეულების გაუწმენდლობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეფდებიან ხოლმე, ტყუილი მართლის ნიღაბქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის".

ასეა თუ ისე, არაფერია ისე საჭირო და აუცილებელი, როგორც ადამიანის სრულფასოვნად აღზრდა და განსწავლა, რადგან ქვეყნის სიკეთეცა და უბედურებაც მაინც ადამიანიდან იღებს სათავეს.ამის გამო აძლევს ილია ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ფორმირებას ესოდენ დიდ მნიშვნელობას.

## მცნება III

## მ ა დ ლ ი ს ა წ ყ ა რ ო ს ა ს მ ე ვ დ ე

სრულქმნილი და განკაცებული ადამიანის ერთ-ერთი თვისება და ღირსება, ილიას აზრით, არის სულგრძელობა. სულგრძელობა დიდი ინტელექტის, ღრმა გრძნობისა და ჭეშმარიტი განსწავლის ნაყოფია, უდიდესი მადლია. თვით მადლი კი „ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის. მაშასადამე გულიცა". საყოველთაოდ ცნობილია, რომ უსულგულო კაცი ყველაზე საზარი არსებაა. კაცთმოყვარეობისა და სულგრძელობის მიზანი ისაა, რომ უგულოს გული ჩაუდგას, უსულოს - სული. გააღვიძოს მასში მიძინებული კაცურკაცობა, აპოვნინოს დაკარგული სინდის-ნამუსი, განათლოს მადლის მირონითა და აზიაროს კაცთმოყვარეობის ნექტრით. თუ როგორ უნდა დაშრიტოს კაცთმოყვარე ადამიანმა ავისმზრახველთა გულში დანთებული სამზაკვრო ცეცხლი,

ამის მაგალითად გამოდგება ცნობილი სწავლულისა და ქადაგის გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან ერთი ასეთი შემთხვევა: სოფლიდან სოფელში მიმავალ, ჯორზე ამხედრებულ გაბრიელს გზად ყაჩაღი გადაეყარა. წაართვა ყოველივე, რაც კი ებადა. გაძარცულმა მოძღვარმა შეგონება დაუწყო. მძარცველი დაატყვევა მისმა საუბარმა, ნაძარცვი უკან დაუბრუნა და თვითონაც თან გაჰყვა მოძღვარს. იარაღს დამეგობრებული კაცი წიგნს დაუმეგობრდა და ბოლოს ცხოვრებას დაუბრუნდა, როგორც განსწავლული პიროვნება. სხვა სულმოკლე და ფიზიკურად ძლიერი პიროვნება ყაჩაღს ხანჯლით ეკვეთებოდა და სულხორციანად მოსპობდა. იამაყებდა კიდეც: ქვეყნის მძარცველი მოვკალო. გაბრიელმა კი მოკლა ადამიანში ყაჩაღის სული და არა თვით არსება. სიბრძნითა და სულგრძელობით დაშრიტა ბოროტების თესლი და მის ნაცვლად სიკეთის ნერგი დარგო და ახარა. აი, რას ნიშნავს ადამიანის განკაცება. აი, რა შეუძლია სულგრძელობასა და შთაგონებას. სწორედ ასეთ ვაჟკაცობას გულისხმობს ილია, როცა ამბობს: „სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლის ზღვევასა, სულგრძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა“.

ილიამ იმთავითვე იცოდა სულგრძელობისა და მოთმინების მაგიური ძალა. ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში წერს ლექსს „ლოცვა“, სადაც ქვეყნის განმგებელს ევედრება ერთადერთ სავედრებელს:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა:
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

შენდობა, პატიება და ამ გზით ბოროტების დათრგუნვა - ეს უკვე უდრის ზეკაცობას.

ქვეყნად, როცა არსებობს ბოროტება, ძალადობა და გაუტანლობა,. ძნელია მადლის თესვა, სიკეთის ნერგის გახარება, მარტო მადლის ანაბარა ღელს გატანა. ეს იცის ილიამ და აკი აღნიშნავს კიდეც: „მადლმა თქვა. წუთის-სოფელში ყოფნა ვაი, რა ძნელია! ძალი ჰძალოვნობს, ჰბატონობს, ჰა გული გადამელია, საცა კი შევხვდი, დამძლია, ვერ შევუბრუნე ხელია... მართალი უთქვამს, ვინცა თქვა „ძალა აღმართის მხვნელია“.

ეს ასეა, მაგრამ სწორედ ამ დროსაა საჭირო ამაღლება და სულძლიერება, თუ საყოველთაო მშვიდობა სუფევს, სადაც სიკეთის ნერგი ძალდაუტანებლად იბადება და ყვავილობს, მაშინ ეგებ თავგანწირვა

არ იყოს ეგოდენ საჭირო, მაგრამ თავდადება და ზრუნვა სიკეთის დასანახად აუცილებელია. ჭეშმარიტი ჰუმანისტი გულდამშვიდებული მხართეძოზე ვერასოდეს ვერ წამოწვება. მადლის მდებლობა და სულგრძელობა პასიურობასა და ბოროტებასთან შეგუებას კი არ ნიშნავს, არამედ გაათკეცებულ ქმედებას. ყველაზე მეტად სწორედ მას აღელვებს და აშფოთებს არაკაცური ქმედება. ამდენად იგი მორჩილი კი არ არის, დაუზოგველი მებრძოლია, მაგრამ ამ ბრძოლაში ხმალ-ხანჯალს არ იყენებს, სისხლს არ ღვრის, სიბრძნესა და სულგრძელობას ხმარობს ბერკეტად, რათა ამოაგდოს ადამიანის სულიდან ავმზრახველობის ფესვი და ძირი: ეს ბრძოლა გაცილებით ძნელია და დიდ სულიერ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე ხმლის ქნევა და ქვემეხების ქუხილი.

მადლმა რომ ფრთა გაშალოს, მადლმა რომ სძლიოს ძალოვნებას და ნათელმა აზრმა ხორცი შეისხას, საჭიროა მადლს წინ ჭკუა მიუძღოდეს. მადლი უღონოა ჭკუის გარეშე. ჭკუა მადლის ბერკეტია, მისი ძალა და ხერხემალია. „ჭკუვამა თქვა: წუთისოფლისა აღმართი მე ვახვენეინე... უღონოს ღონე მე მივეც, ხელი მე გავაქნევეინე“. დიახ, ძალადობა და ბოროტება ფრთაშესხმული მაშინ არის, როცა ჭკუით გაძლიერებული მადლი არ უღობავს გზას. ჭკუა და ცოდნა მაშინ არის სიკეთის მომტანი, როცა მადლითა და სიკეთითაა მირონცხებული. ჭკუა და ცოდნა საშიშიცაა, თუ მას ბოროტება მბრძანებლობს. უარესიც, ბოროტი სულის მოდგმა იმდენად საშიშია, რამდენადაც მეტადაა გაწრთვნილ-გათონიერებული ჭკუითა და ცოდნით. „ავი კაცი, – ამბობს ილია, – რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო საშიშარია, უფრო დიდად მავნებელი“. ამის გამოა, როცა ილია გვმოძღვრავს: „კეთილი ფარად უფარე, შენთვის ბოროტის მდომსაო“, გულისხმობს – სიკეთე კი არ უნდა ემონებოდეს ბოროტებას, კი არ უნდა მორჩილებდეს, პირიქით, უნდა იმონებდეს მას. სიკეთემ ფარის როლი უნდა შეასრულოს, თავიც უნდა დაიცვას და ამავე დროს ბოროტება უნდა ამოშანთოს სიკეთის ცხოველმყოფელი ცეცხლით. შურიანი და ბოროტი კაცი ისეთივე საბრალოა, ვითარცა ფიზიკურად მახინჯი. შური, სიხარბე და ფარისევლობა სულის სისნეულეა. ამის გამო შეგვაგონებს ილია: „გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ, კაცს შენზე შურით მწვდომსაო, მადლისა წყაროს ასმევდე, ცოდვის გუბეში მდგომსაო“. ჭკუის, მადლის, გრძნობისა და სულგრძელობის შეერთებული ძალით უნდა დააშროს კაცთმოყვარეობამ ის ცოდვილი გუბე ცხოვრებისა, რომელიც ბადებს შურსა, მტრობასა და სულმოკლეობას ადამიანთა მოდგმაში. თუ როგორ ამახინჯებს ცხოვრებისეული ცოდვის გუბე სიკეთის, სიყვარულისა და შრომისათვის დაბადებულ ადამიანს, ილიამ დიდი გულისტკივილით დახატა „საჩრობელაში“ ორი ობოლი ბიჭის თავგადასავლის მაგალითზე. ამ ნოველის ძირითადი ლაიტმოტივი სწორედ ისაა, რომ

სიკეთისა და სიყვარულისათვის დაბადებულ ადამიანებს ამახინჯებს ეს ცხოვრება, რომელიც ცოდვის გუბედაა ქცეული და თუ გვსურს, რომ ადამიანი განკაცდეს, საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც ცოდვის გუბესა და ჭაობს დააშრობს, ხოლო მის ნაცვლად დარგავს და ააყვავებს ხეს ცხოვრებისას, რათა კეთილგანმზრახველის გზა ყოველ-თვის ხსნილი იყოს, ხოლო ავის განმზრახველისა - გადახერგილი.უნდა შეიქმნას ცხოვრების ისეთი პირობები, როცა კეთილი შრომით ნაშოვ-ნი ლუკმა საამაყო იქნება, ხოლო ანგარებით მოხვეჭილი ქონება-სა-ძრახისი, როცა ადამიანის ღირსება დაფასდება არა ბუზმენტებითა და მდგომარეობით, არამედ შინაგანი სისპეტაკით, როცა საკითხავი იქნება არა ის თუ რა ხარ, არამედ როგორი ხარ, როცა ცხოვრების ჩარხს ძალადობა და ბოროტება უკუღმა კი არ დაატრიალებს, არამედ ჭკუისა და მადლის შეერთებული ძალა წაღმა ააბრუნებს, როცა ქვე-ყანას ნამუსის ქუდი ეხურება და არა ფარისევლობის, როცა ცხოვრე-ბა კაცთმოყვარეობის ხელით გაიმარგლება სარეველებისაგან და თა-ნამედროვე შექსპირი აღარ იტყვის: „ჰო, ეს ქვეყანა ბაღი არის გა-უმარგლავი, რომელშიც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი".

ასეთი და მხოლოდ ასეთი პირობები შექმნიან ისეთ ამინდს, რო-მლის დროსაც ადამიანის განკაცებას წინ აღარა აღუდგება რა და აღარც საკითხავი გახდება კაცია ადამიანი?!

ასეა თუ ისე, კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა, მადლის თეს-ვა და სიკეთით გულსავსეობა ერთ-ერთი დიდი და აუცილებელი თვისე-ბა და ღირსებაა განკაცებული ადამიანისა .

## მცნება IV

## რ წ მ ე ნ ა

რწმენის რაობა არაა ადვილი დასადგენი. იგი ყველაზე რთული წახნაგია ადამიანის სულისა. ვერც ცოდნის, ვერც განსწავლის და ვერც დასაბუთებული ლოგიკის ფარგლებში ვერ თავსდება და მაინც იგია ერთ-ერთი იმ მცნებათაგანი, რომელიც სათუთად სჭირდება ადა-მიანს და რომლის გარეშეც მისი განკაცება შეუძლებელია. როდესაც ამ რთულ, ძნელად ასახსნელ და გასახსნელ საკითხზე ვფიქრობ, მახ-სენდება მითოლოგიიდან ერთი თქმულება: მეუფემ მოწაფეები ნავით აღელვებულ ზღვაში შეუშვა. ზღვის ტალღები ნავს აქეთ-იქით აქანე-ბდა. მეუფე ფეხდაფეხ გაეკიდა ნავს, რომელსაც წყალი ვერ სძირავ-და. ამის მხილველი ერთ-ერთი მოწაფე გაგულისდა და შესაგებებლად გადმოვიდა ნავიდან იმ იმედით, რომ არც ის დაიძირებოდა, მაგრამ აღელვებული ზღვისაგან შეშინდა და ჩაძირვა დაიწყო. მეუფემ იხსნა

იგი და თან უსაყვედურა: მცირე მორწმუნე ყოფილხართ. ეს თქმულება მიგვანიშნებს იმაზედ, რომ რწმენას მხოლოდ მაშინა აქვს მაგიური ძალა, როცა იგი ეჭვმიუტანელია და ღრმად სწამს მორწმუნეს. და მართლაც, რწმენით აღსავსე ადამიანის ნებისყოფა მტკიცეა და მაგიურობამდე არის მისული მისი შესაძლებლობანი. ასეთ დროს მაქსიმალურად ვლინდება ადამიანის დაფარული ენერგია. აძლიერებს ქმედების უნარს. აადვილებს თვით დაუძლეველი წინააღმდეგობების დაძლევას. რწმენა, ეს იდეალისაკენ მიმსწრაფი ადამიანის სულის ფრთებია, რომლის გარეშე ცხოვრება მეტად ფერმკრთალი და უსუსურია, უღიმღამო და მოსაწყენია. ასეთი ფრთების გარეშე ვერც საწადელს ეწევა და ვერცარა განკაცდება. აქედან იწყება ცხოვრებით ტკბობაცა და ადამიანად დაბადების გამართლებაც. როცა მას გააჩნია იდეალი და სწამს ამ იდეალის ჭეშმარიტებაცა და გარდუვალობაც. სხვა არსთა შორის ადამიანი მოაზროვნე არსებაა. რადგან მოაზროვნეა, იგი იმ ინსტინქტების ანაბარა ვეღარ დარჩება და იძულებულია საზრიან ცხოვრებას ეწეოდეს. მაგრამ ეს გააზრებული ცხოვრება არასოდეს არ უნდა გშრეტავდეს ემოციისა და გრძნობებისაგან, რადგანაც ვაჟას თქმისა არ იყოს: „საზარელია დადგომა უგრძნობელობის გზაზედა, მით რომ სიცოცხლე უდგას სალის ყინულის ტახტზედა“.

როცა კაცს რაიმე იდეალი აქვს და გააჩნია რწმენა, იგი უსაზღვროდ ენდობა თავის თავს, გრძნობს დაუძლეველობას, ღმერთს უტოლდება და ზოგჯერ მითიური ამირანივით მასაც ეპაექრება. ილია შენიშნავს, ასეთმა კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო. და იქვე დასძენს: „ხოლო კაცი, რომელიც თავის თავს არ ენდობა და თავის თავის იმედი არა აქვს, ის კაცი აღარაა, იგი მდაბიოა, ზნე და კაცობადაშრეტილი არსებაა, რომელსაც არც აზრი ებადება და აღარც სურვილი. იგი ყოველთვის სხვათა დაკრულ დუდუკზე ბუქნაობს, სხვათა თვალში და ხელში შემყურეა, მონაა და მითაა საშიში, რადგანაც მონური სულის კაცი სხვათა დამონების სურვილითაა ხახაგამშრალი და ვაი მათ, თუკი ოდესმე ვინმე ხელთ იგდეს. არა არის რა იმაზე საბრალო, როგორც მონის მიერ დამონებული არსება. აი, სადამდე მიდის ადამიანი, როცა მას არ გააჩნია ნათელი იდეალი და ნათელი რწმენა. ერთიც უნდა ითქვას: რწმენის ადამიანი მანამდეა ბედსვიანი და დაუძლეველი, ვიდრე ეს რწმენა თვით მორწმუნის მიერ ეჭვმიუტანელია და შეუბღალავი.

ამ თემას ილიამ მიუძღვნა თავისი შემოქმედების შედევრი, პოემა „განდეგილი“. ქართული ლიტერატურის მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ განდეგილის სულიერი ბრძოლის ჩვენებით პოეტმა მცდარი მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგარი ადამიანის ტრაგედია დაგვიხატა.

ჩვენ ამჟამად ყოველგვარ პოლემიკას თავს ავარიდებთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები ზღვას ჰგავს თავისი სიღრმითაცა და აზრთა ფერადოვნებითაც. ეგებ მკვლევარნიც მართალნი არიან, როცა თვიანთი მრწამსის შესატყვის მოვლენებს ხედავენ ამ ნაწარმოებში. პოემა ამის საბაბს უთუოდ იძლევა. მე კი ჩემდათავად „განდეგილის" ძირითად ლაიტმოტივად მიმაჩნია რწმენის უძლეველობის პრობლემა, რომლის შესახებ ზემოთ ზოგადად უკვე ვისაუბრეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ განკაცებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს ღრმა და შეურყეველი რწმენა. თუ ამაღლდა და ამას მიაღწია, თუნდაც ისეთ ადგილას დასახლდეს, „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა, ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან", მაინც თავს ბედნიერად იგრძნობს. მართლაც, აბა შეიხედეთ მიუვალსა და მიუსაფარ გამოქვაბულში, „სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან არ-ოდეს არა დნებიან... სად მეუფება ჭექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშვენია". რა ბედნიერად გრძნობს თავს მწირი, რომელიც „განდეგილა და ამ ყინულებში სულ მარტოდ მარტო დაყუდებულა. და გვამი მისი ცოდვილ ფიქრისგან იმ დღიდან აღარ შეწუხებულა". რაზეა დაყრდნობილი ბერის ბედსვიანობა? მწყემსი ქალის თქმისა არ იყოს, „ან კი როგორ სძლებს უწუთისოფლოდ?" აი, რა არის აქ საკითხავი. სხვა არ ვიცი და ჩვენ კი ასე ვუპასუხებთ: იგი აამაღლა შეუბღალავმა და ეჭვშეუტანელმა რწმენამ. ჩვენ სიტყვა ეჭვშეუტანლობას განგებ ვხმარობთ. დიახ, სხვამ ეგებ ეჭვი შეიტანოს, მაგრამ თვით მორწმუნე, დიაღაც, ეჭვშეუტანელი უნდა იყოს. თვით მას არ უნდა გაუჩნდეს რაიმე ბზარი. სწორედ ეს ეჭვშეუტანლობაა ბერის ბედსვიანობის მიზეზი, ამის გამოა, რომ ცასა და მიწას შუა დაკიდულ მწირს „სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა, ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი სულ სხვა მხოფლიოს შეჰხიზნებოდა". ეს სხვა მსოფლიო სწორედ ის საყრდენი წერტილია, რომელსაც რწმენა ეწოდება და რის წყალობითაც მწირის ვედრება „ღმერთს შეუწირავს... ღმერთს უსმენია". და ჰა, შედეგიც. სენაკის სარკმლიდან შემოსული მზისა და მთვარის სხივები გაშლილ ლოცვანს „უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა".

მზისა და მთვარის ათინათინი, რომელსაც ლოცვანი ეყრდნობოდა, უნდა აღვიქვათ, როგორც სიმბოლო რწმენის უძლეველობისა, მაგრამ ეს უძლეველი რწმენა მყის იქნა ძლეული, როგორც კი ბერს მწყემსი ქალის შეგონებებითა თუ სიმშვენიერით, შეელანძღა რწმენა. მიუხედავად იმისა, რომ განდეგილს არცა რწმენა უარყვია ხელაღებით და არც ქალის სიმშვენიერით აღძრული ვნებათა ღელვის რეალიზაცია მოუხდენია. დიახ, შეირყა რწმენა, ის რწმენა, რომელმაც აამაღლა, რომელმაც ღმერთის სასწაული მოუვლინა და როგორც კი აიმღვრა ნათელი ფიქრი და მრწამსი: „დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა, გაშრა, გაშეშდა

ზარდაცემული, ერთი საშინლად შეჰღაღადა ღმერთსა და იქვე სხივ-ქვეშ უტევა სული".

დიახ, თუკი ადამიანი რამეს იწამებს და ამით მიაღწევს გან-კაცებას, სულიერ სისპეტაკეს, ეს დიდი გამარჯვებაა და დიდი მა-დლია, მაგრამ ცხოვრება რთულია, ცხოვრება ცდუნებებითაა სავსე. მას ვერ დაემალები და თუ მართლაც მოგდგამს კაცობა და თუ მარ-თლაც ხარ საკუთარ აზრთა მპყრობელი, საკუთარ მრწამსთა უღალატო ერთგული, დიახაც გაიმარჯვებ, ხოლო თუ მრწამსსა და რწმენას თუნ-დაც უჩინო ფიქრით შებედე ღალატი, მას მაშინვე ეკარგება ღვთიური მადლი და მაგიური ძალა. სრულქმნილობა კაცის სულისა რწმენის ურყეობაში ვლინდება. განდეგილმა სულის სიმშვიდეს მიაღწია რწმე-ნით და ეს სიმშვიდე დაკარგა ამავე რწმენისადმი ღალატით. რწმე-ნაშელახული განდეგილი მოკვდა. ამით ილიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ადამიანი რწმენის გარეშე არარაობაა, მაგრამ თუ კაცს გააჩნია შე-უბილწავი რწმენა და მას შეინარჩუნებს ბოლომდე, შეუძლია თავი ბე-დნიერად იგრძნოს იქაც კი „... სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილ-ნი, მზისგან აროდეს არა დნებიან" და პირიქით, თუ ადამიანის შე-მეცნებიდან ეს თვისება გამორიცხულია, რაც უნდა მდგომარეობისა და საგანძურის მფლობელი იყოს, იგი ან ლუარსაბობამდე დასული არა-რაობაა, ან მიწიერ სიკეთეს მოწყვეტილი, სკეფსით გულგამოხრული სნობი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისეთი ღრმადგააზრებული ნაწარმოები, როგორიც „განდეგილია", სხვა მრავალ ფიქრთა და აზრთა აღმძვრელი და დამბადებელიც არის. ამითაა გამოწვეული ალბათ ის აზრთა ფერა-დოვნება, რომელიც არსებობს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

ილიას მრავალფეროვან და მრავალწახნაგოვან შემოქმედებას თა-ვიდან ბოლომდე ნათელ ზოლად გასდევს ჰარმონიული ადამიანის პრობ-ლემა, რომელიც „ხიდჩატეხილობის" სახელით არის ცნობილი ჩვენს ლიტერატურაში. „ოთარაანთ ქვრივის" გმირთა შორის ჩატეხილი ხიდის გამთელება ილიას იდეალია და შესაძლებლადაც მიაჩნია. მაგრამ ის ჩატეხილი ხიდი, რომელიც ჭაობში ჩაფლულ ლუარსაბსა და ზენაართან ახლოს მყოფ განდეგილს შორის არის, განწირულია წასაღეკად, რად-გან ლუარსაბს არავითარი იდეალი და მრწამსი არ გააჩნია ჭამა-სმის მეტი, რამაც კაცობისაგან დასცალა და ბუნების არსად იქცა, რომელსაც ადამიანი ჰქვიან. მხოლოდ იმისათვის, რომ განსხვავდეს ბუნების სხვა არსისაგან. განდეგილი კი მიწიერი მოთხოვნილებები-საგან გაძარცული, მორწმუნე, სულია. ლუარსაბობა და განდეგილობა ორი უკიდურესი მოვლენაა, ყოველგვარი უკიდურესობანი კი განწირუ-ლია. ზომიერებაა უკვდავებისა და მარადიულობის საწყაო.

ილიას მრწამსის მიხედვით განკაცებული ადამიანი, არცა ცა-

თაფრენის და არც მიწაზე დანარცხების ჟამს რწმენას არ შეიცვლის, მას არც მიწიერება ამძიმებს და არც სულის აღმაფრენა ამსუბუქებს. მიწიერისა და ზეციურის ორგანული შერწყმა-შენივთება ბადებს სწორედ იმ იდეალს, რომელსაც ილია განკაცებულ ადამიანს უძახის.

ასეთია, ჩვენი აზრით, ის ძირითადი ლაიტმოტივი, რაც უნდა იკითხებოდეს „განდეგილის“ ქვეტექსტში და რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მცნებას, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ჰარმონიული ადამიანის სულიერ თუ ფიზიკურ ფორმირებაში.

## მცნება V

## როცა გონება უფალია

როცა ადამიანის განკაცებაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მისი აზროვნებისა და გონიერების უნარს ვგულისხმობთ. გონებაა სწორედ ის მეუფე, რომელიც აწონასწორებს ადამიანის ბუნებას და იცავს წონასწორობას მის სულში მიმდინარე ცხოვრების პირობებით თუ ბუნების წყალობით გამოწვეულ ვნებათაღელვას. ილიამ იცის, რომ სადაც „გონება უფალი“ არაა, იქ რაიმე ჰარმონიულობაზე და ზომიერებაზე საუბარი ზედმეტია. მისი შეხედულებანი ადამიანის სულის ფერადოვნების შესახებ ჭეშმარიტად ყურადსაღებია და დღესაც აქტუალურია. ინტერესების მრავალფეროვნება და საზოგადო მოღვაწეობა ილიას ხელს არ უშლის ადამიანის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები გაჩხრიკოს, გააანალიზოს და მიზეზთა მიზეზსაც ჩასწვდეს. უაღრესად ემოციური პოეტი არასოდეს ხდება ცალმხრივი, თუნდაც მომხიბლავი გრძნობის მონა, და ყოველთვის ახსოვს, რომ „გონება უფალია“, მაგრამ ეს არამც და არამც ისე არ უნდა გავიგოთ, რომ გრძნობა მეორადია, თვით ილია ბრძანებს: „ცხოვრება მაშინ ნიშნავს სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძნობაც ამეტყველდება“. ილიას ეს თვისება შესანიშნავად აისახა მისადმი მიძღვნილ ვაჟას ლექსში, სადაც ხაზგასმულია, რომ მან „საძირკვლად აზრი“ ჩააგდო და ზედ დადგა „გრძნობის ტაძარი“, მართლაც, გონებისა და გრძნობის ორგანულ შერწყმაში იბადება ჭეშმარიტი გენია.

ადამიანის უპირველესი ამოცანა ისაა, რომ იცნოს თავისი თავი და „ამ წუთისოფლის სუფრაზე თავისი ჭეშმარიტი ადგილი დაიჭიროს“. ეს ადვილად ითქმის, მაგრამ ყველაზე ძნელი მოვლენაა, ყველაზე ძნელად მისაწვდომიც, იმდენად ძნელი, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს, ზოგჯერ თვით დიდბუნებოვანთაც კი თავისი თავის დაკარგვაც და პოვნაც ტრაგედიად ექცევათ ხოლმე. ასე, ხშირად ხდება – მეწაღედ მოწოდებული ხაბაზობს, ხოლო ხაბაზად მოწოდებული წაღებს ჰკერავს,

ამის გამოა, რომ „ყველაზე ძნელი ადამიანისათვის თავის ცხოვრებ-
ის საგნის პოვნა და გაჩენაა“.

ადამიანი სულითაც და ხორცითაც ორგანულად უნდა იყოს შერწ-
ყმულ-შეწონასწორებული. „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტი-
სა; ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისთვის, თუ
ან ერთი დაშრა ან მეორე, - ადამიანი არარაობად იქცევა“. ილია
ადამიანს უყურებს „არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს, ან
ფერებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ როგორც ბუნების
მიერ შექმნილ არსებას, რომელშიაც უპირველეს ყოვლისა, მისი სული
უნდა მზიანობდეს“. ადამიანის სულის მზიანობა კი, უპირველეს ყო-
ვლისა, უნდა გამოიხატოს მის დიდბუნებოვნებაში, მაღალ ზნეობაში,
რომელსაც თავისი პირადი საკუთარი საგანიც აქვს და ამავე დროს
ზოგადი სულიერი არსებაა, რომელიც მრავალგვარად გადაბმულია სხვა
თავის მსგავს სულიერზედ“. იგი უნდა გრძნობდეს, რომ მარტო ცხოვ-
რება ბუნებითაც არ უწერია და უნდა ცხოვრობდეს თავისივე „მსგავსთა
შორის“. „მსგავსთა შორის“ ცხოვრება კი მაუწყებელია იმისა, რომ
გიყვარდეს მოყვასი თვისი, რის გარეშეც „მსგავსა შორის“ ცხოვრება
სრულქმნილი არ იქნება, „რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია...
რაც ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორისათვისაც ცოდვა და ბორო-
ტი უნდა იყოს...“ აზრთა, ზრახვათა და მიზანთა ერთობლიობაა სა-
ფუძველი „მსგავსთა შორის“ ცხოვრებისა. თუ ასეთი ერთობა შეუძლე-
ბელი გახდა, მაშინ დგება ადამიანის ცხოვრებაში მარტოობის წუთე-
ბი, რომელიც შესაძლოა ტრაგედიად იქცეს, მაგრამ თუ ადამიანის
სულს შეუძლიან თავის თავშივე იპოვოს თავის ფიქრისა და ოცნების
ექო, თუ „ბუნებას შენ თითქოს შენსას აგრძნობინებ და იგი თავი-
სას შენ გაგრძნობინებს... შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც
არსად მარტო არა ხარ“. მთავარი აქ ისაა, რომ ადამიანს შეეძლოს
საკუთარი სულიდან აზრთა და ფიქრთა გამოხმობა და იმის მიხედვით
ქმედება. „- ახლა შენ რომ მარტო დარჩები? - ჰკითხა კესომ ოთა-
რაანთ ქვრივს. - მარტო რად დავრჩები“ - კითხვითვე მიუგო ოთა-
რაანთ ქვრივმა და ძერე დაუმატა, ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე,
რამდენი ბღარტები მიზის... საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტო სულისა...“
ამ ტოლ-ამხანაგს კი მაშინ იპოვი, როცა გაქვს მრწამსი და ნათელი
მიზანი. ამ მიზნისკენ სწრაფვა ბადებს შრომის სიყვარულს, რომე-
ლიც ოთარაანთ ქვრივივით, მარტოობის დროსაც მარტოდ არ გტოვებს.
როცა ადამიანს საკუთარი მრწამსი არ გააჩნია და, აქედან გამომ-
დინარე, არც მიზანდასახული ქმედება შეუძლიან, იგი თვით მრავალ-
რიცხოვან მსგავსთა შორისაც მარტოსულად რჩება და ემგვანება ცხო-
ვრების მდინარისაგან წყალწაღებულ ნაფოტს, რომელსაც ხან ერთ ნა-
პირს შეახეთქებს და ხან მეორეს. ასე რომ არ მოხდეს, ადამიანმა

უნდა „შეიტყოს, შეიცნოს ყომი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა... დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს“. თუ ცხოვრების მიერ ნაკარნახებ მოთხოვნას ალღოს აართმევ და ფეხს აუყოლებ, თავის ცნობა არ გაგიჭირდება და თუ თავისი თავი იცან, ცხოვრების მდინარე ნაფოტივით ვეღარ გაგიტაცებს... რადგან რაკი შენ თავსა და შენს მოწოდებას მიაგენი, რადგან იცი რა უნდა აკეთო, ასეთი ქმედება მოგანიჭებს უდიდეს სიამოვნებას, სიცოცხლესა და ცხოვრებას შეგაყვარებს. ცხოვრებისა და სიცოცხლის სიყვარული კი ის ფრთებია, რომლითაც ყოველი სიმაღლე დაიძლევა და გადაილახება. სიძნელეთა ძლევაში იბადება ის ექსტაზი, რომელიც ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებს ხოლმე. ასეთ მიზანდასახულ და სასიკეთო ქმედებაში იბადება და იწრთობა ის სული, რომელიც ადამიანს განაკაცებს და გააკეთილშობილებს.

ხდება პირიქითაც, თუ კაცი „სხვაზეა დანდობილი და თითონ გულხელი დაუკრეფია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და სადაც ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა, – იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, სამარემდე წასაღებად... არა ქმნა ყველა დიდ საქმეს ამცირებს და ქმნა კი პატარასაც დიდად ხდის“. აქედან გამომდინარე, ილიას ღრმად სწამს მიზანდასახული შრომისა და ქმედობის უდიდესი როლი ადამიანთა ცხოვრებაში. ხოლო უმოქმედობა, – „გულხელის დაკრეფა“ სათავეა ყოველგვარი ბიწიერებისა და დეგრადირებისა.

არა არის რა ადამიანზე კეთილი, არა არის რა ადამიანზე ბოროტი – სწორედ ამ თვისების გამოა იგი ყველაზე ძლიერი არსება შორის. ილიას აზრით: „ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს“. რადგან ადამიანში არის როგორც სიკეთის, ისევე ბოროტების ჩანასახი, ცხოვრება ისე უნდა წარიმართოს, რომ სიკეთე იქცეს ხედ ცხოვრებისად, რომელმაც ისე უნდა გაშალოს ტოტები, რომ მის ჩრდილში მოქცეულმა ბოროტების ხის ფესვმა ნაყოფი ვერ გამოიღოს. მაგრამ ილიამ იცის – ჯერ ხნობით სიკეთის ხე ვერ ჩრდილავს ბოროტების ხეს,. რადგან: „... ეხლა სიცრუე, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის უღლიდან გამოეშვა, გალაღებული დაიარება თავისად. თუ სადმე წააწყდა სიბრძნეს, მარტო იმისათვის, რომ თითონ გამოეჭიმოს და სიბრძნე მსახურად გაიხადოს“. დიახ, თუ ცრუს, გაუწრთვნელს და გაუზრდელს ძალაუფლება ხელს ჩაუვარდა, იგი მკის ბრძოლას დაუწყებს მის მამხილებელ სიბრძნეს, მაგრამ ამავე დროს ყველა ღონეს იხმარს იგი თავის ყმად და მონად აქციოს. ილიას აწუხებს მეტად ეს გალაღებული სიცრუე და თავს იმით ინუგეშებს, რომ „იგი ცხოვრება ჯანმრთელია... მისი ძალნი, მისი ძარღვნი, მარად დაუძინარნი არიან. თუ გარედამ

აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლობიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ..."

ილიას ღრმად სწამდა, რომ სიბრძნეს და სიმართლეს თუმც მარად სდევნის ბოროტგანმზრახველობა, მაგრამ მას „ვერც ხმალი მოერევა და ვერც თოფი". ამ რწმენით უნდა ვეძიოთ თვით ილიას გაუბზარავი ხასიათი და სიმხნევე. მას სწამდა, რომ „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია" და ვისაც ეს რწმენა არ გააჩნია, ასეთი ადამიანისათვის „დღევანდელი დღე მკვდარია ხვალისათვის, როგორც გუშინდელი დღევანდელისათვის იყო... ყველაფერზე გულაყრილია, გამოცარიელებულია, ამიტომაც თითონ მისი სიცოცხლეც სიკვდილია და არა სიცოცხლე".

ცნობილია, რომ მთელი ცხოვრების დედააზრს ილია ხედავდა იმაში, რომ ნამყო, აწმყო და მყობადი განუწყვეტელ კავშირშია, ამიტომ უყვარდა ლეიბნიცის ცნობილი გამონათქვამის გამეორება: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". ილიას არც ის ავიწყდებოდა, რომ რაც გუშინ ვიყავით, დღეს ისინი არა ვართ, აქედან გამომდინარე, იგი აღიარებდა ცხოვრების უწყვეტ წინსვლას, ამიტომაც უჭერდა მხარს ყოველ ახალ აზრს, თუკი იგი ძველს ჯობდა და ცხოვრების მოთხოვნილებიდან იბადებოდა. მაგრამ თითებიდან გამოწოვილ „სიბრძნეს," თავის გამოჩენისათვის მოგონილ ე.წ. „ორიგინალობას" ილია ჰკიცხავდა და აღნიშნავდა, რომ „ახალსა ნამუდრაგალსა ძველი სჯობიან ჩანჩალა" და მერე დასძენს: „ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაშია, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინო, ამ ბეწვის ხიდზე გავლას კი სალი ჭკვა სჭირდებაო".

ილია ღრმად სწვდება ადამიანის ფერადოვანსა და ცოდო-მადლით აღსავსე სულს, თვით ცხოვრების ავ-კარგს, მაგრამ იგი არასდროს იძულებს ცხოვრებას და ადამიანს, პირიქით, უადამიანოდ არარად მიაჩნია ეს სამყარო და აკი ხმამაღლა აცხადებს კიდეც: „ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!" და მართლაც, აკი ადამიანის სულის გასპეტაკებისაკენ იყო მიმართული ილიას სიტყვა მაშინაც, როცა ოთარაანთ ქვრივის სახეს ჰქანდაკებდა და მაშინაც, როცა ლუარსაბ თათქარიძის პორტრეტს ხატავდა.

## მცნება VI

## ს ი ნ დ ი ს ი  ღ მ ე რ თ ი ა

სინდისი ადამიანის სულის შინაგანი ძახილიცაა, მისი ქმედების მსაჯულიც და კანონმდებელიც. სინდისი საკუთარი ღირსებისა, ნაკლისა და შეცდომების წვდომის უნარიცაა, სხვათა შრომისა და ღირსების გულწრფელი აღიარებაც.

ვერასოდეს განკაცდება ადამიანი, თუ ეს მიუდგომელი მსაჯული – სინდისი არ ბუდობს მის სულსა და გულში.

რადგან ქვეყნად არსებობს ბოროტი და კეთილი ძალა – ღმერთი და ეშმა, ადამიანის სულსა და გულს ან ერთი განაგებს, ან მეორე. სინდისი ადამიანის სულში ჩაწნულ-ჩაგეირისტებული ღმერთია. უსინდისობა კი იმავე ადამიანის სულში ჩაბუნაგებული ეშმა.

სინდისი მუდამ ერთსახოვანია – ნათელი, პირდაპირი, უშურველი, ხელმისაწვდომი, ლაღი და კაცთმოყვარე. უსინდისობა გარემოებისა და ვითარების შესატყვისი იერსახისა. ამყოლს აჰყვება, ჩამყოლს ჩაყვება. შურს ღიმილით ფარავს, ღვარძლს – ალერსით. თავისზე ძლიერთან ფარისეველია, თავისზე სუსტთან – უტიფარი, უზრდელი. ეს კი, ილიას აზრით, „ულმერთობაა, გაუპატიურებაა ადამიანისა. უწრთვნელობის, გონებაგაუხსნელობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანია“.

ილიამ ბრძანა: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან. „მაგრამ ვის ძალუძს იყოს თავისი თავის მსაჯული, ვის შეუძლია სინდისი გააღმერთოს და შეძლოს საკუთარი ქმედების და საქციელის განსჯა, აი, თუ შეიძლება ითქვას, საკითხთა საკითხი. ილიას აზრით „დიდი წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს“, რომ კაცი თვითონ იყოს თავის ღირსების შემფასებელიცა და ნაკლის დამნახავ-შემგრძნობელიც – „იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსამართლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა“. ეს კი ისეთ ადამიანს შეუძლიან, რომელსაც „ნამუსის მეტი სხვა არაფერი აქვს გასაფრთხილებელი და შესანახავი“. ასეთი ადამიანი თავმდაბალია და ამაყი, მისთვის აუტანელია „არამცთუ უსაფუძვლო გინება, უსაფუძვლო ქებაც კი, „იგი საცა არ ესაქმება, იქ თითს არ ჩაჰყოფს, მაგრამ საცა გარდაუვალია, უპირველესი წაადგება თავს, როცა სიმართლეს ბღალავენ, ასეთ დროს არ გარევა საქმეში თავისთავად დიდი დანაშაულია, – ბრძანებს ილია. და მართლაც, გულგრილობა არა მარტო დანაშაულია, თვითმკვლელობაცაა, რადგან გაგულგრილებული კაცი ფაქტიურად არარაობაა... თვით ცხოველზე დაბლა მდგომია, რადგან ცხოველნი კი არა, თვით ჭიანჭველებიც კი საოცრად მგრძნობიარენი არიან მოძმის მიმართ და არასოდეს მიატოვებენ გა-

საფირში ჩაცარდნილ თანასახიერ არსებას...

სინდისიერ კაცში ცხოველ რეაგირებას იწვევს როგორც კეთილი საქმე, ასევე უკეთური ქმედება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ილიას აზრით, „ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი“. სიძულვილი და სიყვარული კი ისეთი დაუძლეველი გრძნობებია, რომ ვერასოდეს გულგრილობის ნიღაბქვეშ ვერ მოისვენებენ და უეჭველად რამე ქმედებით გამოხატავენ ამ განწყობილებებს. სინდისიერი კაცი თუ რამ სიკეთეს ჩაიდენს, არა იმიტომ, რომ თავი გამოიჩინოს, არამედ მას არ შეუძლია სხვანაირად მოქცევა. იგი სასიკეთო ქმედებაში ხედავს თავისი ცხოვრების არსსა და მიზანს. მან ისიც იცის, რომ „დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი... ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად“. როცა რამ სასიკეთოს მოქმედებს - ისვენებს, მშვიდდება და ეს შინაგანი თვითკმაყოფილება კმარობს მას საფასურად. სინდისის მსახურმა კარგად იცის, რომ „იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით სულ მუდამ არ ჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში“, რადგან „საკვირველია კეთილი კაცი, სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავისი თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება. რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ“.

ილია ადამიანის ღირსების საწყაოს „მასში კი არ ხედავს, ვინ რა მიმდინარეობას ეკუთვნის“, არამედ "მართალია კაცი თუ მტყუანი“. კაცი თუნდ სცდებოდეს და სცილდებოდეს ჭეშმარიტებას, მართალია, თუ რასაც ამბობს და ამტკიცებს, გულწრფელად სჯერა და ვისმეს საამოდ და თავმოსაწონად არ ირჯება გულწრფელობას დიდ ადამიანურ ღირსებად თვლის ილია.

ზნესრულობის ერთ-ერთი თვისება მოვალეობის გრძნობაა – „არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენი ვალის ასრულება“. სიმართლის მოყვარეობა ზნესრულ კაცში იმ დონეზე უნდა იყოს განვითარებული, რომ „...ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცურად“ მოუსმინოს და ადიქვას. ცხოვრება რთულია და წინააღმდეგობებითაა აღსავსე, ამის გამო „დიდი სულის დონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმაგროს, საზოგადო განკიცხვის კიჟინამ არ შეაყენოს“. დიახ, თუ ზნესრული კაცი ხარ და გწამს, რომ კეთილ საქმეს ხარ შეჭიდებული, უკან არ უნდა დაიხიო, მოწინააღმდეგეს საქმით უნდა დაუმტკიცო შენი განზრახვის სისწორე და სამართლიანობა, დიდ საქმეს შეჭიდებული კაცისათვის ბრბოს ყიჟინა და შეყივნება ძალთა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება უნდა იყოს და არა გულგატეხილობის საბაბი. სათქმელი ისიცაა, რომ „ვისაც საქმეზე ლაპარაკი სწყურს, ჯერ თითონ საქმე უნდა შეისწავლოს“, ამის გარეშე ყოველგვარი „მჭერმეტყველება მარტო ყეფა იქნება და არა საბუთიანი სიტყვა“.

ზნესრული კაცი „გულთა მიმზიდველია, გამსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე, ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი გრძნობს, თუმცა არა ჰხედავს“.

ზნესრულ კაცს შესაძლოა ხელმოკლეობა გზას უბორკავდეს, წინსვლაში ხელს უშლიდეს და მაინც არ ეხარბება სხვათა სიმდიდრე, პირიქით, ებრალება ის მილიონერები, რომელთაც „ფული ბევრი აქვთ და გრძნობა ცოტა“. მას ღრმად სწამს, რომ „ფულიანის უკეთურებას, სჯობს უფულო ღირსება“.

პური არსობისა ყველას უნდა და სურს. სიმდიდრე დიდი სიკეთეა, თუკი გარჯითაა ნაშოვი. სინდისიერი კაცის სიმდიდრე თავისთავად მოძმეთა სიკეთეცაა, რადგან სინდისის კაცი ოქროს გულისთვის უკეთურ საქმეს არასოდეს იკადრებს. მას ურჩევნია უფულო ღირსება ფულიან უკეთურებას. ილიას აზრით, „ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, ხოლო გულის სიმდიდრე საუნჯეა სულისა“.

ამ სულის საუნჯეს, ე.ი. სინდისიერებას, ზნესრულობას დაფასება და აღიარება უნდა. სულით მდიდარი კაცი წინ უნდა იდგეს ფულით მდიდარზე, რათა მისი ცხოვრება გაიმაგალითონ, მისაბაძი გახადონ, რადგან ეს „ის ღვთაებრივი გრძნობაა, რომელსაც კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და, რომელიც უძვირფასესი და უდიდესი საუნჯეა ადამიანისათვის მომადლებული“.

ილიას ღრმა რწმენით, ადამიანისთვის დაუფასებელი საუნჯეა პატიოსნება, სინდისი, მოყვასის სიყვარული, გულწრფელობა, ასეთ ადამიანებს „თვალი ისეთი განწმენდილი აქვთ, რომ სიკეთის ხილვა ეხალისებათ“, მათ კი არ აბოროტებთ მოძმეთა სიკეთე, პირიქით, იზიარებენ მათ ბედსვიანობას, აკი თვითონაც ამ პრინციპებით ცხოვრობდა და იღწვოდა. ამის დასტურია თუნდაც გიგო აფხაზისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც დისწულს ასე მოძღვრავს: „გიგო, ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს: ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დაიფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“.

ამგვარია, ილიას გაგებით, სინდისისა და ნამუსის კაცი. ასეთი განკაცებული ადამიანი პირადზე ნაკლებს ფიქრობს, ანდა, უფრო სწორად, საყოველთაო და საზოგადო ბედნიერების გარეშე, მისგან იზოლი-

რებულად თავი სვებედნიერად ვერ წარმოუდგენია, რადგან, რამდენადაც კაცს ვრცელი გრძნობის დატევა შეუძლია გულში, იმდენად იგი დიდია.

სინდისით სრული კაცი არასოდეს არაა განდიდების მანიით შეპყრობილი. მისთვის მთავარი ის კი არაა, რა არის, არამედ – როგორია. მას სწამს, რომ „რაც კარგია, თავისთავად დიდია", მას გულის სიღბოც ამშვენებს „თუ კაცია სხვაფრივ ლამი".

ზნესრული კაცი პირუთვნელია და არასოდეს დაერიდება მოძმეს ნაკლის მხილებაში. არც თვითონ იწყენს სხვათა რჩევას და სხვათაგან მხილებას. მას არასოდეს არ სტკივა „სიმართლით მოჭრილი მკლავი". სწამს, რომ „მართო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგო ნახოს რამე!.. „ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას.

პატიოსანი პირში მთქმელია, ილია დიდად აფასებს ამ ღირსებას და აღნიშნავს: „პირში მხილა სიმართლისა... მე ყოველთვის ტალანტისა და ნიჭიერების ნიშანი მგონია". ამ თვისების საპირისპირო – პირფერობა, მეტად საძრახისია, რადგან „პირფერობა და... უალაგო ქება მათხოვრის საქმეა". „დაუმტკიცებელი უსაფუძვლო ქება გალანძღვაზე საწყენია პატიოსანი კაცისათვის". ამის გამოა, რომ „პირში ქებას ჭკვადამჯდარ კაცის თვალში დამპალი კიტრის ფასი არ აქვს".

ილია წინააღმდეგი როდია, რომ ღირსეულს ღირსეული სიტყვა ეუთხრათ და ღვაწლი დაუფასოთ, მაგრამ „ქება-დიდება იმისთანა განძია, რომელიც ძალიან ძვირად და იშვიათად უნდა იხარჯებოდეს", რადგან კაცური კაცი „უსაფუძვლო წუნს უფრო ადვილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქებას". ეს მაშინ, როცა ადამიანს შეუძლია გულწრფელად შეიცნოს და შეიგრძნოს ესა თუ ის მოვლენა. ჭეშმარიტი გრძნობა არასდროს არ მკვეხარობს, არ ამპარტავნობს, პირიქით, „იმდენად სიტყვაძვირია, რამდენადაც უფრო ძლიერია", ეგეც არ იყოს, რამდენადაც კაცს ვრცელი გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმდენად იგი დიდია. მაგრამ თუ გრძნობა ყალბია, თუ სხვათა სამაცდუროდაა გათამაშებული, მაშინ იმაზე „უსაძაგლესი არა არის რა ქვეყანაზე".

ადამიანის ზნესრულობას ამშვენებს უნარი იმისა, რომ დაინახოს და დააფასოს ღვაწლი მოყვასისა, მით უმეტეს ისეთი უჩინო მუშაკისა, რომლის ამაგდარობის დანახვისათვის საჭიროა „გონების მჭრელი თვალი".

სინდისიერი კაცი არც სხვას დაჩაგრავს, არც ვის დაეჩაგვრინება. მას სწამს, რომ ადამიანი „იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ კაცად

იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“.

სინდისით მადლცხებული ადამიანი უშურველია და ადვილად გამცემი მადლისა, ადვილად შემწირავია და შემწეა მოყვასისა. ეს თვისება, რა თქმა უნდა, ღირსებაა ადამიანისა, მაგრამ თვით შემწირავსაც უნდა გააჩნდეს უნარი შემწირველის დაფასებისა და აღიარებისა, თორემ რამდენი მაგალითია იმისა, რომ კაცი კაცის სიკეთისათვის მსხვერპლს გაიღებს, წაბორძიკებისას ხელს შეაშველებს, წაქცეულს ფეხზე დააყენებს, უქონელს ქონიერს გახდის, სამაგიეროდ კი უმადურობას იმკის. უმადურისათვის მადლის გაწევა ზოგჯერ კედელზე ცერცვის შეყრაა, წყლის ნაყვაა. ზოგჯერ შენი სულგრძელობითა და სიკეთის სურვილით და წყურვილით ქვეყანას მატებ და ტვირთად უხდი სულმდაბალსა, უმაქნისსა და უმადურ ადამიანს, რომელიც გაიწალდავს რა ერთხელ გზას, თავისი თავის მეტი აღარავინ ახსოვს, ივიწყებს მოკეთეთა მადლსა და ამაგსაც და მხოლოდ თავის თავსა და იმასღა ეკეკლუცება, ვის ხელთაც მისი ბედნიერების სასწორია. დიდებულად ამბობს ილია: „შესაწირავის შეწირვას სულგრძელობა უნდა განა მარტო შემწირავისა, არამედ იმის სულგრძელობაცა, ვინც შესაწირავის მიმღებია“.

სინდისიერი და ზნესრული კაცის თვისება ისიცაა, რომ იცის მართალი სიტყვის ფასი. ისიც იცის, რომ „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს“, მაგრამ მაინც არ ეპუება ძალმომრეობას და ხალხსა და სამწყსოს ამცნობს, რომ ქვეყანა მცდარი გზით მიემართება. ძალმომრეობით დაბანგულსა და აზროვნებაშებილწულ ხალხს გააფრთხილებს, სწორ გზასა და კვალს უჩვენებს. აი, ამგვარ ადამიანს ეძახის ილია განკაცებულ ადამიანს და აღნიშნავს:

„ვაჟკაცი იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსათ,
ვინც არ შეუდრკა მრავალსა
ხშირად მართლისთვის მწყრომსათ,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგას ლომსათ“.

ასეთი სიმამაცისათვის შესაძლებელია მოძალადისაგან კაცური კაცი გაიწიროს და დაითრგუნოს, მაგრამ სინდისისა და ნამუსის კაცი თავის საქციელს არასოდეს შეინანებს, არასდროს დაამუნათებს მოძმეს და ქვეყანას: მე შენის გამო გავიწირეო.

არიან ადამიანები, რომელთაც არ აკლიათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღირსება, მაგრამ არა აქვთ გზა და ასპარეზი მათი გამოვლინებისა. ასეთნი უკეთურს არას მოიმოქმედებენ, ჩრდილიდან უცქერენ ქვეყნის ორომტრიალს, ბოროტთა ქცევა აღელვებთ, სურთ კეთილთა თანადგომა, მაგრამ მათი შესაძლებლობა ვერც ერთ საწადელს ვერ წვდება. მაგრამ თუ ამ ღირსების ადამიანი განდიდდა, იგი დიდი

შვებაა ქვეყნისათვის, რადგან დიდებასთან ერთად მას ამშვენებს
სათნოებაც. ილიას იდეალიც ესაა და აკი აღნიშნავს კიდეც:
„...ნეტავ არს იგი, ვისაც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას
და სათნოება – დიდებას". ხდება პირიქითაც, თუ ბილწი სულისა და
ზრახვის ადამიანი აღზევდა და გადიდდა, იგი სათფეზე არ მიიკა-
რებს სათნოებას და თვით სათნოებაც შორს გაურბის ამისთანებს.
ასეთ კაცს მდგომარეობა ხეირისა და პირადი კეთილდღეობისათვის
სჭირდება და არა კეთილი საქმის კეთებისათვის, ასეთნი ხშირად
ადვილად იმარჯვებენ, რადგან „ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველ-
გვარ საძაგლობას კადრულობს", მაშინ, როცა პატიოსანი „მარტო შე-
უგინებელ ფარ-ხმალს უკადრულობს" მტერთან საბრძოლველად, „სხვა
ყველა სამართლიანად ეთაკილება". ავის მზრახველმა თუნდაც გაიმა-
რჯვოს, ეგ „სამარცხვინო გამარჯვებაა – ისევ პატიოსანი დამარცხე-
ბა სჯობია, როგორც ნაძრახს სიცოცხლეს – სახელოვანი სიკვდილი".

ზნესრული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, არის რა თავისი ქვე-
ყნის გულწრფელი მსახური და დამფასებელი, ამავე დროს პატივს სცემს
სხვა ერსაც, მან იცის, რომ „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე
აქვს, თავისი გულთა თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფ-
ვა, თავისი ღირსება", ყოველივე ამ თვისებებს პატივისცემა უნდა
და დაფასება. მისი შეგინება „გონება გახსნილ ადამიანს არ ეპატი-
ება, არ შეენდობა".

ყველა ზემოთ დასახელებული თვისება ამაღლებს და ასპეტაკებს
გულსა და სულს, ხელს უწყობს ადამიანის განკაცებას, მაგრამ ცხო-
ვრების ზნესრულ თავანკარა მდინარეს ნებსით თუ უნებურად ერთვის
სხვადასხვა დონისა და თვისების მღვრიე შენაკადებიც, რომელნიც
ამახინჯებენ ადამიანთა მოდგმის გარკვეულ ნაწილს, რასაც ვერა-
გზით ვერ ურიგდება ილია და არ იშურებს სიტყვას და ფერებს მათ
სამხილებლად და დასაძრახად. მან კარგად იცის, რომ „არ არის
ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკო, უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმი-
წევნით ცოდნა და რადგან უმეცრების გამო ხელი არ ეწიფება მისწვ-
დეს სასურველ ნაყოფს, მიმართავს ათასნაირ ხერხსა და მზაკვრობას,
რათა მისწვდეს საწადელს. ეს ყოვლის მკადრებელი კაცი ჩემულობს
კეთილსინდისიერებას, რომელსაც საჯამბაზო თოკივით აბამს და თუ
დიდკაცობას მოეწია, ამ სინდისის თოკს ზედ გადააბოტებს, თუ არა
და „ქვეშ გაძვრება ხოლმე". ამას მოსდევს თავისთავის ქება, რასაც
ილია სასტიკად გმობს და აცხადებს: „ბაქიაობა, კვეხნა... თავის-
თავად ნიშანია იმისა, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგი-
ლას არ არის დალაგებული", ასეთი „გაცვეთილი კაცისაგან კი ყვე-
ლაფერი მოსალოდნელია". იმდროინდელმა გაუკუღმართებულმა ცხოვრე-
ბამ ასეთი ყოვლისმკადრებელი გაცვეთილი „მოღვაწენი" ისე მოამრა-

ვლა, რომ მათგან გაბეზრებული ილია დაუფარავად აცხადებს: „დღეს ისეთი დღეა, ოღონდ ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო, და მოტყუებით იქნება, თაღლითობით თუ თინბაზობით, ამას ვიდა იკითხავს, დღეს ჭკუის საწყაო ასეთი საქციელით გამარჯვებაა“. ილიამ კარგად იცის, რომ ადამიანის ასე გაუკუღმართება უბედურებაა, „ყოველი უბედურება კი უსამართლობისაგან არის წარმომდგარი“.

ზნედაცემულობის ერთი ნიშანი ყოყოჩობაა, ამპარტავნობა, რომელიც „ერთი მომაკვდინებელი ცოდვათაგანი არის“. ასეთნი, „რასაც დღეს მოსაკლავად სდევენ, იმას ხვალ ფეხქვეშ ფიანდაზად გაეშლებიან და რა გულმოდგინებითაც ეხლა სდევნიდნენ სამტროდ, ხვალ იმავე გულმოდგინებით გალობას ეტყვიან“. ასეთნი „არც ორპირობას თაკილობენ, არც ცილისწამებას და არც ბიზღობას, ბიზღობა კი ყველასათვის მავნებელი ჭირია და საზიზღარი ჭირიცა“. ყოველივე ამის სათავე კი ადამიანის სიმდაბლე და ურცხობაა, რადგან „ურცხობას საზღვარი არა აქვს... ნუ გგონიათ - კი, ურცხობა ულონო რამ არის... იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცილისწამებაც...“ მართლაც საშიშია ასე აბჯარასხმული ურცხობა და უნამუსობა, მითუმეტეს მაშინ, როცა სათავისო მრევლიც ჰყავთ და მქადაგებელიც.

ასეა თუ ისე, ადამიანის ბედსვიანობის საწყაო მაინც სინდისიერებაა, რომელიც სხვათა ბედნიერების, მოძმეთა სიყვარულის გარეშე თავს ბედნიერად ვერასოდეს იგრძნობს. ეს ასეა, მაგრამ ვაი, რომ „თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან ყველა კაცს ვერ გაუერთებია...“

## მცნება VII

## თ უ  გ ი ნ დ ა  რ ო მ  გ ა ნ კ ა ც დ ე, უ ნ დ ა  გ ი ყ ვ ა რ დ ე ს

ილიას აქვს ჭაბუკობის წლებში დაწერილი პატარა ლექსი - „გიყვარდეს“. ამ ლექსის ლაიტმოტივი სათაურშივეა მოცემული. რადგან ადამიანად მოევლინე ქვეყანას, თუ გინდა რომ განკაცდე. უნდა გიყვარდეს. სიყვარულშია ის ძალა, რომელიც ლამპარივით წინ მიუძღვება ადამიანს ცხოვრების გზაწვრილზე და „სცემს წმინდა ნათელს“. ილია აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა – გიყვარდეს – დაბადებიდანვე „ცაში შემომძახეს“ და იგი მაძლევს ძალას და ღონეს. ეს გრძნობა აცისკროვნებს სულს, ეს გრძნობა თვით მზეზე ძლიერი და ცხოველია. აი, უიმედო სიყვარულით გულდასუსხულ ჭაბუკს ნაზი ქალი ჩასჩურჩუ-

ლებს: „ჭაბუკო, რისთვის ხარ მოღრუბლული, როს დღე აგრე გაბრწყინვებული? შეხედე მზესა, - ვით აზნევს ნათელს, ადნობს თოვლ-ყინულს და ათბობს სოფელს".

ჭაბუკი უპასუხებს, რომ „კაცთ მაცოცხლებელს არც ერთსა მის სხივს არ ძალუძს ჩემის გულის გათბობა".

სიყვარული ის გრძნობაა, რომელსაც შესწევს ძალა უდიდესი აღმაფრენისაცა და უდიდესი მწუხარებისაც. რადგან „ამ ბედნიერებითა და ცუღლუტობით სავსე ქვეყანაში ცრემლი და სიცილი და-ძმანი არიან".

ადამიანის განკაცებისათვის ორივეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც ცივი გრძნობის მონა-მორჩილია, მის გულში სიყვარულის სხივი ვერ შეიხედავს, ასეთს ვერც არასდროს გააცინებ კაცური სიცილით, ვერც არასდროს აატირებ კაცურის გულმდუღარებით.

თუ სულში არ დუღს და არ სჩქეფს სიკეთისა და სათნოების წმინდა წყარო, სურვილიც რომ გქონდეს, მაინც ვერ შეძლებ სრულქმნილ სიყვარულს, რომელიც ყოველგვარ „ცოდვილ ფიქრთა ზედმოსევასა" მოიგერიებს. სწყუროდეს სიყვარული, მაგრამ "კრძალულებითა" ესათუთებოდეს. სიყვარული მაშინ ზეიმობს, როცა ამ საზღო ტვირთს ასაწევ უღელში ტოლდადებულად ებმებიან და სრული თანხმობაა. „მაშინ დასტკბები სრულის სამოთხით: „როს, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე", - მიმართავს ილია სატრფოს. როცა ადამიანი სიყვარულითაა სავსე, იგი უფრო ამაყია, უფრო ძლიერი, ყოველი სიძნელის წინაშე ქედდაუხრელი, სიცოცხლე მოწყურებული და ფრთებასხმული. იგი მწუხარების მიმართაც უფრო მგრძნობიარეა და სიხარულის მიმართაც. ერთ ლირიკულ ლექსში ილია კითხვით მიმართავს სატრფოს:

„რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ ცრემლსა
პბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული,
მისთვის, რომ მტანჯველს ჩემს ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული".

ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანი ბუნების უმშვენიერესი პირმშოა და, აბა, ვისგან შეიძლება ისწავლოს გულწრფელად და უანგაროდ სიყვარული ისე უტყუვრად და შეუმცდარად, როგორც ბუნებისაგან. მართლაც და ბუნება ხომ ყველაზე შეუმცდარი ბრძენია. ამის გამოა, რომ ადამიანთა შორის, მხოლოდ მას მოუხვეჭია დიდი ხელოვნის, მეცნიერის თუ მოღვაწის სახელი, ვისაც ბუნებაში არსებული თავისთავადი მოვლენა შეუნიშნავს, შეუცვნია და მერე გადმოუთარგმნია მოძმეთათვის გასაგები ენით.

ამ წმინდა გრძნობის - სიყვარულის შეუბილწაობა, მომხიბლაობა, ილიას აზრით, შეიძლება ადამიანმა ისწავლოს მხოლოდ და მხოლოდ ბუნების წიაღში. მან იცის, რომ ხშირად ცხოვრება ადამიანის გულისა და სულის ბუნებრივ მდინარებას გზას უცვლის, ამახინჯებს და ბიწი-

ერებით აესებს. სიყვარულით აელვარებულ გულს ანგარებით სუსხავს. ამის გამოა, რომ „წმინდა გულის“ გასაწმენდად პოეტი ეძებს განმარტოებულ, მყუდრო „მაღნარსა“ და ხშირად გაურბის ბრბოს.

„რისთვის მივრბივარ, სადაც მცინარი
მხიარულად სჩქეფს წყარო მდინარი?
სადაც ველია ნაზი და მტკბარი,
სად სიყვარული ისე ცხად არი?
მისთვის, რომ იქ ჰფრენს ხშირად ბულბული,
სიყვარულითა აღტაცებული,
იქ შეყვარებულს ჩემს წამხდარსა გულს
ვასწავლი მისგან წმინდა სიყვარულს“.

როდესაც განწმენდილი სული სიყვარულის კულმინაციას აღწევს, მაშინ ის ბულბული, რომელიც ადამიანის წმინდა სიყვარულს ასწავლის, თვით გულში ჩასახლდება და ჩაგუბდება. მაშინ თუნდაც ბაღნარში აღარ სუფევდეს კაცი, თუნდაც ბულბულიც შორს გაფრინდეს, შეყვარებული ადამიანის სული თვით აბულბულდება და აგალობდება. ეს მრწამსი საუკეთესოდ გამოხატა ილიამ სატრფიალო ლირიკის ერთ შესანიშნავ შედევრში, რომლის სათაურია – „ხმა გულისა“:

„ჩემ მაღნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი
და საიდანღაც ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.
დიდხანს და დიდხანს ვუგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნეულს,
ვგრძნობდი ჩემს სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვა რიგ ცემას.
დიდხანს ვატარე, დავდალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი,
თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული“.

როცა ადამიანის სული ასე გასპეტაკდება, როცა ადამიანს შესწევს ძალა სიყვარულის საბაღნარო საკუთარ სულში გააშენოს, ასეთი განკაცებული ადამიანი სრულქმნილია და იგი ქვეყნად მოვლენილია სასიყვარულოდ, ქასიქადულოდ და სიკეთის სათესად. იგი არასდროს და ვერასოდეს დაუახლოვდება ავ დემონს, რომელიც ქვეყნად გესლსა, ვარამსა და შურს ანთხევს, რომლის სახე და ქმედება ილიამ საოცარი გულთამხილაობით დახატა „სიზმარში“. თუ სიყვარული ქვეყანას სიკეთით ავსებს, ბოროტება და სიძულვილი ჯოჯოხეთად აქცევს. სადაც იგი გაბატონდება, „სისხლით აღვსილსა ფიალასა იქ მზენი ჰგვანან და ჯოჯოხეთის უფსკრულადა ვარსკვლავნი ჩანან. მზე, მთვარე,

ზეცა, დედამიწა საშიშ გრიალით, უგზო-უკვალოდ წანწალებენ ტრიალით, მალით".

„ხმა გულისაში" თუ ილიამ გვიჩვენა სიყვარულით გაცისკროვნებული და გასამოთხევებული სული ადამიანისა, „სიზმარში" დაგვანახვა, რა საშინელია იგივე ადამიანის სული, როცა იგი ჯოჯოხეთის ბუდედ იქცევა.

ილია ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ სრულქმნილი სიყვარულის ჟამს აუცილებელია არა მარტო ორმხრივი ლტოლვა ერთურთისაკენ, არამედ სულთა თვისტომობაც, სულთა ნათესაობაც, მიზანთა და მისწრაფებათა ერთობლიობაც. თუ ასეთი ურთიერთგაგება სუფევს თავისთავად ძალდაუტანებლად, მაშინ დიახაც რომ „ვცნობთ სიცოცხლის ფასსა და ვცემთ ღვთიურსა ნიჭსა ღირსსა თაყვანსა".

## მცნება VIII

### თ უ ჩ ვ ე ნ შ ი ძ მ ო ბ ა ი ქ ნ ე ბ ა

ვერავითარი საზოგადოებრივი და სრულქმნილი ეკონომიური მდგომარეობა და პირობები ვერ გააბედნიერებს ადამიანს, თუკი არ შესწევს ძალა, არა აქვს სურვილი და წყურვილი აზრთა, ფიქრთა, მისწრაფებათა თანაზიარი ადამიანის ყოლისა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცში დაშრიტო ის გრძნობა და გაწყვიტო ის ნერვი, რომელიც გვანიჭებს როგორც სიამტკბილობის, ისევე მწუხარების განცდის უნარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უგრძნობელი დარჩე ცხოვრების ავ-კარგისა და თვით მოყვასის მიმართ. იყო ცივი, უკარებელი, გაფიტული, რომელსაც ნიჰილიზმის ქვია გამოგხრავს და ვაჟას თქმისა არ იყოს, ისე მოჰკვდები, რომ ერთხელაც ვერ შესდგები ტრფობის მთაზე, რომლის მწვერვალიდანაც მთელ სამყაროს შეგიძლია გადაჰხედო და იბედნიერო, მზე-მთვარე გულზე მიისვენო და ღმერთთან ილაპარაკო.

მეგობრობა, როგორც საბა ამბობს, „ეს არის მიწყივ გაუყარი, სათანადო მოყვასი". ვინც ასეთ მიწყივ, განუყარ მოყვასს არ ეძებს „იგი თავისა მტერია". ილია სწორედ რუსთაველურ და საბასეულ სარკმლიდან ჭვრეტს ამ საკითხს და ღირსეულ წინაპართა ნაკვალევსა და ურნატს კი არ ამრუდებს, პირიქით, ესიტყვება, ერწყმის მათ აზრს და მისთვის ჩვეული სიდარბაისლით ამბობს: „...ერთმანეთს ერთმანეთით გული გაუგულადოთ და ამისათვის ლონე ლონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთთან სიყვარული ვამოციქულოთ".

ძმობა-მეგობრობის საკითხში ილია აბსოლუტური დემოკრატიზმის პრინციპს იცავს და ხაზს უსვამს, რომ კაცთა თუ ერთა მეგობრობის დროს „კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს

ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში – რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება".

ილიას არც ის ეპარება მხედველობიდან, რომ კაცთა და ხალხთა მეგობრობას მარტო ურთიერთშემწეობა და გაძლიერება კი არ უდევს საფუძვლად, იგი უფრო მეტია, ადამიანის განკაცების ნიშანია და მეტად ემოციური და სათუთად მოსავლელი გრძნობაა, ზნეობის ერთ-ერთი საყრდენია. ამის გამო გვაფრთხილებს ილია: „ადამიანსა ცალკედ და ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწეული იყოს, ვიდრე პირში სული უდგას, ჯიგართან იმისთანა ძაფები აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად საფრთხილოა და საშიშარი. შინაურია, თუ გარეული, უნდა ერიდოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას“.

მეგობრობა ტვირთიცაა, ვალდებულებაც, ზრუნვაცა და ერთურთის აღიარებაც. ასეთი მეგობრობის დროს „რაც მოხდება ურთიერთს პირში უნდა უთხრან მოურიდებლად. დაფარული. მეგობრობაში არა უნდა იყოს რა“, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ნახოს რამე: მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“.

მეგობრული გრძნობის უპირველესი სიკეთე ისაა, რომ აკეთილშობილებს და სულიერად ამაღლებს ადამიანს, აჩვევს მოყვასზე ზრუნვას, შეწყნარებას, თავდადებას, გულმხურვალებას. მეგობრის ყოლა და გვერდით დგომა ამხნევებს კაცს, შრომას ხალისიანს ხდის, ბრძოლას – საიმედოს, სუფრას და სერობას – ხალხინოს, ჭირს – ასატანს, ტკივილს – მოსათმენს, სიხარულს აორკეცებს, მწუხარებას ანახევრებს. მეგობრობით განმტკიცებული ცხოვრება უფრო უსაფრთხოა, უფრო საიმედო, უფრო ლამაზი და უფრო იმედიანი და, აბა, რა განაკაცებს ადამიანს ისე, როგორც მეგობრული გრძნობა, რომლის შესახებ ერთი ხალხური ლექსი ამბობს: „აქამდე მთაში ვიყავი, ახლა ჩამოველ ბარადა, სიკეთე მქვიან სახელად, სიყვარული ვარ გვარადა“.

მართლაცა და, მეგობრობა სხვა არა არის რა, თუ არა ორგანული და ჰარმონიული შენივთება სიკეთისა და სიყვარულისა. უმეგობრო კაცი ეულია, სულგულ გაფიტული, არც არავინ უყვარს, არც არავის უყვარს. ასეთი ადამიანი ან მელანქოლიის ტყვე და მსხვერპლია, ან კაცთმძულვარებით სულჩაღამებული ბაბაყული

მეგობარი სჭირდება არა მარტო ადამიანს, არამედ ყოველ არსს, რაც კი ბუნებას მოუვლენია ქვეყნისათვის. ვინ არ იცის, რომ ველად დარჩენილ მარტო ხეს ადვილად აქცევს გრიგალი. ვინ არ იცის, რომ ობლად მომდინარე წყაროს ადვილად აშრობს მზის მცხუნვარება.

ცინ არ იცის, რომ ცაში ფრთოსანი არ დაფრინავს, ხოლო მიწაზე უნასიც არ დადღავს მარტოდ და, აბა, ადამიანი რა ადამიანი იქნება უთვისტომოდ და უთანამზრახველოდ დარჩენილი. იქ, სადაც თითოეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. მარტო კაცი ვერასოდეს იბედნიერებს, ვერცარა კეთილ ზრახვას შეისრულებს, ვერცარა-ბოროტს. ამის გამო ამბობს ჩვენი ხალხი: „ცალ მანაზე ლობე არ დაიწნებაო“. ყოველი კაცი გარკვეული საზოგადოების წევრია და მისი ბედიცა და უბედობაც ამ საზოგადოების ავკარგიანობიდან მომდინარეობს. აკი ილიაც ამბობს: „ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალ-ცალკე უნდა ეძებოს პირადი ბედნიერობა მთელის ერის კეთილდღეობაში“.

მეგობრული გრძნობა იქ იდგამს ფესვსა, სადაც ერთნაირი მისწრაფებანი და მიზნების ბუნებრივი და თავისთავადი თანმთხვევა ხდება. ამის გამო მეგობართა ერთი ჯგუფი შესაძლოა უცხო იყოს მეგობართა მეორე ჯგუფისათვის, ზოგჯერ კი ეგებ მტრადაც იქცნენ. ეს მაშინ ხდება, თუ მათი მისწრაფებანი და მიზნები ერთურთს გზად ეჯახებიან და მიზანსწრაფვაში ხელს უშლიან.

აი, ეს განსხვავებული ზრახვანი აძნელებენ ზოგჯერ იმას, რომ ადამიანები ამ ლამაზი გრძნობის წყალობით ერთ არსად იქცნენ. ილიას მხოლოდ ისეთი კაცის მეგობრობა სწამს, „ვისაც გული სხვისთვის ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე“ და „ჩვენ“ განუყრელად მიაჩნია, ერთ არსებად ურწმუნია“, და რაც მთავარია და განმსაზღვრელი ილიას მრწამსისათვის, „ვინც მამულიშვილობის სახელის ღირსი შექმნილა“.

ჭეშმარიტად ილიას მრწამსის ქარგაზე განკაცებულმა კაცმა იცის არა მარტო საკუთარ მოძმეთა უზაკველი მეგობრობა, იგი მოთაყვანეა და მოსიყვარულეა, დამფასებელია და პატივისმცემელია სხვა ერისაც, მხოლოდ ერთი პირობით – როგორც კაცთა შორის, ასევე ერთა შორის მეგობრობის ტაძარი უნდა შენდებოდეს უანგარო ლიბოზე და ქარგაზე, სადაც გამორიცხულია ერთურთის მორჩილება, ერთის უფროსობა და მეორის უმცროსობა, ერთის მიერ მეორისათვის რაიმე უპირატესობის თავს მოხვევა, რაიმე გაწეული მადლის წაყვედრება და დამუნათება. ვისაც სურს, რომ ზღვა წმინდა იყოს, ჯერ შენაკადი მდინარეები უნდა დაწმინდოს, ხოლო მდინარეები რომ დაწმინდავდეს, არ უნდა აიმღვრას იმ წყაროთა სათავეები, რომელთა ნაერთსაც მდინარე წარმოადგენს.

ამგვარად, თანამეტომეთა და ერის შვილთა მეგობრობა საწინდარია ერის გაკეთილშობილებისა, მისი გაძლიერებისა, ამაღლებისა. ერთა მეგობრობა კი კაცობრიობის ზნესრულობის სათავე და საწინდარია. ზღვა წვეთით იწყება, კაცობრიობა კაცით. ამის გამო საკაცობრიო ღირებულებისაა ილიას მიერ აღძრული საკითხი ჰარმონიული

ადამიანის შესახებ. და მართლაც „ხალხთა ცხოვრება მაშინ არის სრულად შემკული, როცა მათში სუფევს ერთობა... და როცა პირადი თავისუფლება მონებაში არ არის“.

## მცნება IX

## ა ღ დ გ ე ნ ა ი ს ტ ო რ ი ი ს ა ე რ ი ს გ ა მ ო ც ო ც ხ ლ ე ბ ა ა

მეტად ამაღლებელი და სათუთი გრძნობაა წინაპართადმი მოკრძალება და პატივისცემა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ჭირში თუ ლხინში, გარდასულ მამა-პაპათა ხსენების გარეშე ქართულ სუფრაზე პურს არ გასტეხდნენ ხოლმე. მათ მოსაგონებლად მრავალფეროვანი სადღეგრძელოები არსებობდა: ომში დაღუპულთა, სამწყემსოს შემსხვერპლებულთა, ზვავით დანთქმულთა, წყლისაგან დამხრჩვალთა, ნადირთ მადევრობაში გადათერაკებულთა, მოსისხლის ხელით განწირულთა, თავხელშედებულთა (ე.ი. თვითმკვლელთა) და სხვა ამგვარი შესანდობარი და მოსაგონარი სადღეგრძელო ისმებოდა და ითქმებოდა. ყოველივე ამ სადღეგრძელოს თან ახლდა თავისი „კომენტარები“. ყვებოდნენ გალეგენდებულ მამა-პაპათა თავგადასავლებს. მერე რომელიმე მოლექსე მათდამი მიძღვნილ ლექსს დაამღერებდა ფანდურზე. ასე იქმნებოდა ზეპირი და დაუწერელი ისტორია ოჯახისა, სოფლისა და თვით ერისაც. ამ სადღეგრძელოებში, მოგონებებში და ლექსებში ცოცხლდებოდნენ წინაპართა ლანდები და მათ მაგალითზე იზრდებოდნენ ამაყი და რაინდული სულგრძელობით აღსავსე შთამომავალნი. თამადის ნათქვამი სადღეგრძელო, ისტორია, მეფანდურის მუსიკა, მთქმელის ლექსი, თანამოინახეთა მოგონებები ქართულ სუფრას აქცევდა ხოლმე არა ღრეობისა და ძღომის ადგილად, არამედ ადამიანის განკაცების მღაღადებელ კათედრად. ილია ერთხანს ჩიოდა: „...ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა... საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. მემატიანეთაგან დავიწყებულ ამაგდარ ხალხსა მის წრიდან გამოსულ გმირებს ხალხი არ ივიწყებდა, მათ სახელებს ლეგენდებში და თქმულებებში ინახავდა ეს ლეგენდები და თქმულებები კი თავისებური დაუწერელი „ქართლის ცხოვრება“ იყო, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა ხალხის სულიერ ფორმირებასა და ადამიანთა განკაცებაში. აკი ილიაც ბრძანებდა: „დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტო-

რიისანი არიან. ერთი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა სურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს".

წინაპარი არა მარტო სათავეა ჩვენი სიცოცხლისა, ცხოვრების მაგალითიცაა თავის ავითაცა და კარგითაც. შთამომავლის ვალია მისი სასიკეთო ქცევა გაიმაგალითოს, განავითაროს, ხოლო ნაკლი და მარცხი თავიდან აიცილოს. წინაპრის ცდუნებაცა და ღირსებაც თანაბრად ანგარიშგასაწევია და ჭკუის სარგოა. „ისტორია იმითაა დიდი, – ამბობდა ილია,. – რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ".

წინაპართაგან მემკვიდრეობით გვაქვს მიღებული არა მარტო იერსახე და ზნე-ხასიათი, არამედ ცხოვრების წეს-ჩვეულებაც, ეთიკაც, არსებობის საშუალებებიც. ღირსეული შთამომავლობა მათ ნაბოძვარსა და დანატოვარს აკეთილშობილებს, ხორცს ასხამს და ასე გადასცემს შემდეგ თაობას. ამ კეთილი საქციელით იგი აერთებს წარსულსა და მომავალს, ხოლო ვინც უღირსად ექცევა წინაპართა ამაგდარობას, იგი ხელს უშლის ცხოვრების წინსვლას, თვითაც გზაარეული დადის და სხვასაც თავგზას უბნევს.

განკაცების გზაზე შემდგარი ადამიანი „ერის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს... თავის ხატსა და მაგალითს". მეორეს მხრივ, კაცის „გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა ასეთმა კაცმა არ იცის, რომ ისტორია დიდებული ტაძარია, სადაც უწირავს ერთიან სულსა ერისასა". მან არც ის იცის, რომ უისტორიო ერის შვილი „უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის". მან არც ის იცის, რომ „ესეთი ხალხი ბევრით არ განირჩევა პირუტყვისაგან და იქნებ ბევრში უკანაც ჩამორჩება".

განკაცების გზაზე მდგარმა კაცმა კი იცის, რომ „აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან". ასეთნი ეკრძალვიან და ესათუთებიან წინაპართა ნაღვაწს. იციან, რომ დღემდე ვერ მოვაღწევდით, ჩვენი ისტორიის ლიბოში წინაპართ „რომ მაგარი ქვა არ ჩაედგათ". მაგრამ განკაცების გზაზე მდგარ მამულიშვილთ როდი აბრმავებთ წინაპართა ღირსებანი. ყველაფერს ვარდისფერი სათვალით როდი უცქერიან. მათ ისიც იციან, რომ ჩვენი ერი უფრო ფრთაშესხმული იქნებოდა, ბევრ ავბედობასაც გადავრჩებოდით, ამავე ერის ისტორიის „საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ფხვნილი ქვა რომ არ ჩაეყოლებინა ჩვენ ისტორიას".

განკაცების გზაზე მავალმა ადამიანმა, დიაღაც, კარგად იცის,

რომ მონური ქედდრეკა და ბრმა თაყვანისცემა არავის არ ამშვენებს, არც სათაყვანოს და არც მოთაყვანეს. პათეტიკური პრანჭვა-გრეხვა და მკერდზე მუშტის ბრახუნი წინაპართა აჩრდილების წინაშე სიმდაბლეა და გონებრივი სიბეცე. მან არ იცის, ისტორია იმითაცაა დიდი, რომ გვასწავლის ჭკუას, როგორ უნდა მოვიქცეთ. იყო დიდი ისტორიის მქონე ერის შვილი და არ იცოდე ეს ისტორია, იგივეა, გაგაჩნდეს განძი, მაგრამ არ იცოდე მისი მოხმარება, მისი არსებობა, ანდა სულხან-საბას ძუნწივით მიწაში ჰქონდეს დამარხული. ასეთებს „ფეხქვეშ გამოცლილი აქვთ მაგარი მიწა, რომელსაც ისტორია შეადუღებს მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან". ილიას აზრით, ადამიანის განკაცებაში დიდ როლს ასრულებს წინაპართა ისტორიის ღრმა ცოდნა და მის ავ-კარგიანობაში გარკვევა. ეს ცოდნა ხელს უწყობს, რათა აწმყო დააშენოს ისტორიის მტკიცე ლიბოზე და ამით საფუძველი ჩაუყაროს და გაუმკვიდროს მომავალი. ასეთი სრულქმნილი ადამიანი „გულგაუტეხლად იბრძვის, იღწვის, განმხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაირჩენს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში".

წინაპრის პატივისცემაში ვლინდება კაცთა სულიერი და ზნეობრივი ღირსება, მათდამი კრძალვაში და დაფასებაში იკვეთება არა მარტო კაცური კაცის დიდბუნოვნება, აგრეთვე შეგრძნებაც იმისა, რომ ხარ ამონაყარი ჩანავლული წინაპრის ფესვზე და რაღაცით იგივე ხან განმეორებული ამ ქვეყანაზე, ხოლო ჟამთა დინება შენც ფესვად გაქცევს და ისევე გაგიმეორებს შთამომავალი, როგორც შენ იმეორებ წინაპარს ამა ცვლის მარადიულობაში ხედავს უკვდავებას ყველა მოკვდავი, ეს ქვეცნობიერი შეგრძნება კი სიცოცხლეს უფრო ხალისიანს ხდის, აკეთილშობილებს ადამიანს და განკაცებისაკენ სავალ გზას უწალდავს.

## მცნება X

## მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ო ბ ა

მამულიშვილობა ის მაღალი მცნებაა ილიასათვის, სადაც, როგორც ფოკუსში, ისე იყრის თავს ყველა ღირსება, რაც კი ადამიანს გააჩნია. ყველაფერს, უნეტარესი გრძნობებიდან და განცდებიდან დაწყებული და ზოგადსაკაცობრიო საკითხებით დამთავრებული, ილია მამულიშვილობის სარკმლიდან უცქერის. რა ღირსებაც და ნიჭიც უნდა გააჩნდეს ადამიანს, თუ იგი დაცლილია იმ მაღალი გრძნობისაგან, რომელსაც მამულიშვილობა ჰქვია, ყოველთვის შეგვიძლია დავუსვათ კითხვა: კაცია ადამიანი!? მამულიშვილობის გრძნობისაგან თავისუფალი კაცი ვერასოდეს იქცევა კაცურ კაცად, რადგან „ვისაც თავისი უარუყვია, გულიდამ

ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვას ვერ უერთგულებს". ასეთ სულდგმულს არც ცა ენდობა, არც მიწა, იგი ცის და მიწის შუა უგზო-უკვლოდ მოარული ცდომილია, რომელმაც არ იცის საიდან მოდის, არც ის იცის სად არის ან საით მიემართება.

ასეთ განუკაცებელ ადამიანთა მისამართით აი, რას ამბობს ილია: „დრო მოვა, როცა თავისი ვინაობისაგან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი... ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალ ბევრს ეცოდინება და მაშინ ვაი თავის ვინაობაზე გულაცრუებულს და ხელაღებულს!.."

ადამიანი ფასდება იმის მიხედვით, თუ რა გულით და სულით ემსახურება მამულს. მამულს შემსხვერპლებული კაცის ამაგდარობა ხომ განუზომელია, რადგან „წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება". ასეთი კაცი შთამომავლობისთვის სალოცავ ხატად იქცევა ხოლმე და თავისი ცხოვრების მაგალითით უდიდეს ზეგავლენას ახდენს მომავლის მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდაში.

ჭეშმარიტი მამულიშვილი არც სახლში და არც კარში თავს ნებას არ აძლევს დაივიწყოს მოვალეობა მამულიშვილისა. თუ უცხო მხარეს მოხვდა, გრძნობს და იცის, რომ მის ყოფაქცევაში ირეკლება მისი დამბადებელი ერის იერსახე. ამის გამო თავს ნებას არასოდეს მისცემს ისეთი საქმის ქმედებისას, რომელიც მის ერს ჩრდილს მიაყენებს და აუგს აფიქრებინებს სხვას. მუდამ იმის მოცადეობაშია, ღირსეულად დაიჭიროს თავი. ეს მაშინ, როცა სტუმრის როლშია, ხოლო თუ თვითონ იქცევა მასპინძლად, უფრო მეტი თავმოყვარეობითა და გულმოდგინებით ცდილობს დამბადებელი ერის ღირსების შეუბილწაობას. თავის შესაძლებლობის მაქსიმუმით ცდილობს უცხო მოყვასის დაფასებას და პატივისცემას.

სხვათა ღირსებისადმი პატივისცემა და დაფასება, საკუთარი ერის ღირსების დაცვაა უპირველეს ყოვლისა.

არა მარტო კალმით, თვით თავისი ცხოვრებით ამის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა თვითონ ილია. ამის ნიმუშად გამოდგება არტურ ლაისტისა და ილიას ურთიერთობა. იგი იყო მისი უპირველესი მექომაგე და მასპინძელი, ხოლო როცა ილია გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ და გაეცნო გერმანელი ხალხის ცხოვრებას, აღტაცებული იყო ამ ერის ღირსებებით. თავის უახლოეს მეგობარს ნიკო ცხვედაძეს სწერდა კიდეც: „გერმანელნი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორცით..." ასევე ცნობილია ილიას მაღალი აზრი რუს ხალხსა და მის ლიტერატურაზე. სამაგალითოა აგრეთვე ილიასა და ინგლისელი ქართველოლოგის მარჯორი უორდროპის ურთიერთობა.

სხვათადმი ღრმა პატივისცემა და თავისიანებისადმი გულმხურვა-

ლე სიყვარული უპირველესი ნიშანია ჭეშმარიტი მამულიშვილობისა. დამბადებელი ერის ტრფიალი და მოთაყვანეობა მეტად ბუნებრივი და პატივსაცემი გრძნობაა"...რა საკვირველია, - ამბობს ილია, - რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მეამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფი-ცარი კი არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ და-სწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისე-თივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამარ-თლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამაშვილური, დედაშვი-ლური. ვერა ძალა მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გული-დან! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია".

ნამდვილი მამულიშვილი არასოდეს შეურაცხყოფს სხვა ერის ღირ-სებას, არ მიეტოლება, რათა თავის უპირატეს რამ ღირსებას ხაზი გაუსვას. არცა მისი აღზევება შეშურდება და არც სხვის ნაკლს გა-ამძაფრებს, რადგან მან იცის, რომ: „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა თქმა, თავისი წადილები, თა-ვისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგრძნება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპა-ტიება, არ შეენდობა".

განკაცებული მამულიშვილობა მრავალი ღირსების მქონე, ჰარმო-ნიულად განვითარებულ, ზნესრულ ადამიანს გულისხმობს. ილიას თა-ნამებრძოლი და აზრთა თანამოზიარე, მამულიშვილობის ჭეშმარიტი სახება - იაკობ გოგებაშვილი ჩვეული გულწრფელობითა და უშუალო-ბით აღნიშნავს: „მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია. მამულის სიყვარული ემს-გავსება ნაზ კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერისი ნი-ადაგი, შეზავებული ჰაერი... ის დიდხანს იზრდება და როცა დასრუ-ლდება, თვალსაც აამებს, გულსაც ახარებს და ქვეყანასაც ასაზრ-დოებს".

მამულიშვილობა და ადამიანის განკაცება თითქმის სინონიმე-ბია. განკაცებულ ადამიანსა და მამულიშვილს შეთვისებული აქვს ილიასეული ის ათი მცნება, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბა-რი და, რომელიც გულისხმობს: „ჩატეხილი ხიდის" გამთელებას, თა-ვისუფალი შრომის სიყვარულს, ზნესრულად აღზრდასა და განსწავლას, სინდისი-ნამუსიანობას, მეგობრული გრძნობის გაღვივებას, უწრფე-ლესი და უნაზესი ტრფიალის უნარს, წინაპართა ღირსებისადმი კრძა-ლვასა და პატივისცემას, გარკვეული რწმენისა და მრწამსის ქონას და მისადმი ერთგულებას, ჰუმანიზმით გასხივოსნებულ სულგრძელობას.

ყოველივე ეს გრძნობა ადამიანში არითმეტიკულად შეკრებილი კეთილშობილი თვისებებისა და ღირსებების ჯამი კი არ არის, ერთ-

ურთიდან გამომდინარე, ორგანულად შერწყმულ-შენივთულ ფერადოვან გრძნობათა ერთობაა ადამიანის სულში ჩაწნულ-ჩაგვირისტებული, რომელიც მართლაცდა აკეთილშობილებს და განაკაცებს ადამიანთა მოდგმას.

## ილია ქართულ პოეზიაში

ილიასათვის სიცოცხლეში, თუ არ ვცდებით, ლექსი არავის მიუძღვნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრიგოლ ორბელიანის საპოლემიკო ლექსს და სხვათა მუნასიბებს.

წიწამურის ტრაგედიამ ისეთი თავზარდამცემი ზარი და მწუხარება გამოიწვია, რომ უტყვ ქვასაც ენა ამოადგმევინა და ქვას მოდებული ხავსიც კი შეატირტმანა... ეს მწუხარება, სასწაულებრივი გულწრფელობით, თანამეინახის უდიდესი სიყვარულით, მისი დიდი ამაგდარობის დაფასებითა და მკვლელთადმი დიდი და მოუნელებელი მძულვარებით აისახა გარემოს საყვირად ქცეული, უნათლესი პოეტის – აკაკი წერეთლის ლექსში, რომელიც ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო დაიწერა.

დიახ, ეს ლექსი უნდა ჩაითვალოს იმ სათავედ, საიდანაც დასაბამს ღებულობს ილიასადმი მიძღვნილი პოეზია აკაკიდან დაწყებული დღემდე.

ლექსი იწყება ლირიკული წიაღსვლით, სადაც პირველივე სტრიქონები დაფარულია უზომო სევდით: „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას და ნუ ამბობთ რაც არ მჯერა“, – მიმართავს პოეტი ამ ავი ამბის მაცნეს. ილიას მკვლელობის ამბის მოსმენამ დარდ-ნაღველით დასუდრა პოეტის სული.

ისმენს ამ ავ ამბავს და მაინც არ სჯერა, და აქ არაფერია ჰიპერბოლური და გაზვიადებული. მართლაც, რა დასაჯერებელი იყო, რომ ერის მამად ერის მიერვე აღიარებულ ილიას ტყვიას ესროდნენ. მაგრამ ხომ ბევრი რამ ხდება ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთაც და თვით ბედისმწერელ ღმერთებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ? პოეტის სული შესძრა არა მარტო იმან, რომ მისი უპირველესი თანამეინახე და თანამებრძოლი დაეცა წიწამურთან, მას აწუხებს უფრო დიდი რამ, რომელიც პირადულზე ბევრით მაღლა დგას, ესაა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი: „ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?!“ – კითხულობს თავზარდაცემული მგოსანი და ხან ტყვიით განგმირულ ცხედარს დასცქერის და ხან ზეცისკენ თავაწეული იმეორებს ამ მართლაც საბედისწერო სტრიქონებს. მთელ სულგანაბულ საქართველოს ესმის ეს კითხვა და შემკითხველიდანვე ელის პასუხს. პოეტი გრძნობს ამ უდიდეს პასუხისმგებლობას, გრძნობს, რომ უღელი გატყდა და ქართლის

ჭირ-ვარამით დატვირთული ურმის უღელი მას, ერთს დააწვა კისრად. იგრძნო, რომ მარტოოდენ სასოწარკვეთით მტრის წისქვილზე დაასხამდა წყალს. მისთვის ჩვეული ალღოთი და შეუმცდარი ინტუიციით მყის პოულობს თავის ადგილს, მზერას ცხედრის მიმქრალი სახიდან და „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტიდან“ სამწყსოსკენ გადაიტანს და საოცარი სიმხნევითა და სიამაყით მიმართავს ერს: „არა, არა! მითქმა-მოთქმა ეს მშიშარა ტყუილია, ის მშობელი არ მოკვდება, წარმოშობა ვინც ილია“. ილია საქართველომ შობა. ამ მშობლის უკვდავებაზეა აქ ლაპარაკი, რომელსაც „რაც კი ჰქონდა მაღლით ნიჭი ბუნებისგან მოცემული, მთლად მიუძღვნა მის სამშობლოს, ფიანდაზად დასდვა გული“.

ილიას სიკვდილს ადარებს მეფე დიმიტრი თავდადებულისა და დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივ თავდადებას სამშობლოსათვის. მაგრამ აკაკი განსხვავებას ხედავს იმაში, რომ ორივე დიმიტრი გარეშე მტერმა გაწირა, ილია კი იმავე ქართველმა დასცა ძირს, რომლის ბედსვიანობისათვისაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ათენ-აღამებდა. ამან შესძრა პოეტის გული და აღშფოთებული აცხადებს, „უფრო მწვავეა და მწარეა, როცა შინ გკლავს შენი ფლიდი“. მაგრამ პოეტის ფხიზელ გონებას მხედველობაში არ რჩება ის, რომ სულ სხვაა ერი და სულ სხვაა სხვადასხვა ზრახვითა და განწყობილებით გაბოროტებული მტერი. დიდი ემოციით დატვირთულ ლექსს არ აკლია ფხიზელი განსჯა, იუდა ისკარიოტელი თვით ქრისტეს მოწაფეებშიაც კი გამოერია, თვით ღმერთიც კი გაიყიდა ვერცხლზე და აბა რა გასაკვირია, რომ მთელ ქართლში გამოჩნდეს იუდა ისკარიოტელის მსგავსი მოღალატე ამით ამთავრებს მიმართვას ერისადმი... მერე ამ უებრო ერის ქადაგს მზერა მთლიანად მკვლელისაკენ გადააქვს. „ახლა შენთან მაქვს საქმე, იუდავ“, – მიმართავს მკვლელს და ბოღმა-მორეულს მწუხარებით აჰყავს იგი ანათემაზე. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ ამ სიძულვილით აღსავსე მიმართვაშიც ამ უსაზიზღრესი აქტის მოქმედის ბედზეც ზრუნავს და ეუბნება: „ღრმა მოხუცებულს და ნაამაგარს რომ ჰკლავდით, მაშინ რა გითხრათ გულმა, გარეშე მტრების სასიხარულოდ ისევ მათგანვე მოტყუებულმა...“ აქ საყურადღებოა, რომ აკაკიმ იცის ილია ვიღაც შემთხვევითმა, რაღაცით გულგანაწყენებულმა პიროვნებამ კი არა, ერის მტრებმა მოკლეს. აკაკი ერთგვარი სინანულით აღნიშნავს, რომ ამ გაბრიყვებული და ვერაგ მტრისგან მოტყუებულთ, ვერ გაიგეს, რომ „ვით ჰეროსტრატემ, დაწვეს ტაძარი“.

აქ ერთხელ კიდევ ხაზგასმულია ილიას ტიტანურობა. იგი შედარებულია თვალშეუდგამ ტაძარს, სადაც სულს ითქვამდა მთელი ერი.

ამ ლირიკულ ლექსში, რომელიც ილიას წინამურთან გაწირვის

ჟამს შეიქმნა დიდი გულთამხილობით, საოცარი სიყვარულით, მოვლენების ღრმა ცოდნით, თითქმის მონოგრაფიულად არის წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება.

ამ ლექსით ედება სათავე ჭეშმარიტ ილიოლოგიას, რომელიც დღემდე გრძელდება. მომავალშიც არ შეწყდება ილიაზე და მის შემოქმედებაზე ფიქრი და ოცნება, რაც ზოგჯერ მეცნიერულ კვლევაში პოვებს ასახვას, ზოგჯერ პუბლიცისტიკაში, ზოგჯერ რომანში და ზოგჯერაც ლექსში.

ბუნებრივი იყო, რომ ილიას ამა ქვეყნიდან გასვლის ჟამს ერმა მთელი ყურადღება აკაკისაკენ გადაიტანა. ეს იგრძნო აკაკიმ და პირუთვნელი პასუხი გასცა მოყვასსაც და იუდასაც. წიწამურში მომხდარმა ტრაგედიამ შესძრა მტერიცა და მოყვარეც, ერის დედაბოძის წაქცევის მერე, ბუნებრივია, იბადებოდა კითხვა, ვინ შეუყენებდა მხრებს ავბედობით ჭერჩამორღვეულ ქართლის ცასა და ვინ დაეყრდნობოდა შიშველი ფეხებით ოფლითა და სისხლით მორწყულ ქართულ მიწას. ეს დედაბოძი, უპირველეს ყოვლისა, აკაკი წერეთელი იყო. მაგრამ მის უკვე ხანდაზმულ მხრებს დიდი და ძნელად ასატანი ტვირთი მძიმედ დააწვა.

ამ კრიტიკულ სიტუაციაში ღირსეული თანამოძმეობა გაუწია ვაჟაფშაველამ. ეს არც აღმოჩენა იყო, არც მოულოდნელობა, რადგან ყველა ის პრობლემა, ყველა ის ტკივილი, რაც კი ილიასა და აკაკის აწუხებდა, აწუხებდა ჩარგალში დაბუნაგებულ ქართული პოეზიის დევს, რომელიც ბუნაგიდან არ გამოდიოდა, რადგან იცოდა, რომ საქართველოს ბედსა და უბედობას სდარაჯობდნენ ისეთი ტიტანები, როგორნიც იყვნენ ილია და აკაკი. იგი მათი იმედით, მათი მხარდაჭერით გათამამებული, ჩარგლის მთებს ზურგმიყრდნობილი ფშაურ მკუდრო ცხოვრებას ეწეოდა გარეგნულად, შინაგანად კი გაუთავებელ შფოთსა და სულიერ დუღილში ხარშავდა „გრძნობების ფაფას". განუწყვეტლივ ჯუფთაობდა ბახტრიონის გმირებთან, თუ ალუდა ქეთელაურთან, ზვიადაურთან, ჯოყოლასთან, და აი, როცა გაიგო, რომ წიწამურთან დასცეს ილია, ვითარცა მეხდაცემული მუხა, აბორგდა ჩარგლელი დევი, გვერდში ამოუდგა აკაკის და მასთან ერთად მანაც დაიტირა, დააფასა და საფიცარი სიტყვებით მიესალბუნა მის ნატყვიარ შუბლს: „საძირკვლად აზრი ჩააგდე, ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი". ამ პირველ სტრიქონშივე იგრძნობა, რომ ვაჟა ილიას შემოქმედებას და მოღვაწეობას იხილავს ფილოსოფიურ ასპექტში. თუ აკაკი ილიას უცქერს, როგორც საქართველოს ბედის მწერალს, ვაჟა უყურებს, როგორც სრულქმნილ ხელოვანსა

და მოღვაწეს, რომლის შემოქმედებაში აზრი და გრძნობა ორგანულად არის ერთურთს შერწყმულშენივთული და ამ შენივთულობაშია ილიას თვალშეუდგამი სიდიადეც. ამ აზრისა და გრძნობის მთლიანობით „გააბრწყინა... ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი". მერე ხაზს უსვამს, რომ იგი იყო მოდარაჯე და მეველე მთელი ერის, და სწორედ ამის გამო ·არგუნეს მოწამებრივი სიკვდილი. ამის გამოა, რომ მისი სახელიც „იქ ბრწყინავს, სად წინაპართა თხეულა". დიახ, სისხლიც თურმე შეიძლება ბრწყინავდეს, თუკი იგი ქვეყნისა და სამშობლოსათვის დაინთხევა. ამის გამოა, რომ მის სახეს ჰკოცნიან „ნათელ არაგვის გმირები". ილია, ვაჟას გაგებით, ის გმირთა-გმირი იყო, რომელსაც შეეძლო ბაზალეთის ტბაში დაძირული აკვნის ამოღება, რომელშიც იწვა ის ყრმა, ვისაც დღედაღამ ჰნატრულობდა ქართველი. ილიას სიკვდილის მერე ამ აკვნის ამოღება და იმ სიმბოლური ყრმის გადარჩენა კვლავ სამომავლოდ გადაიდო, რადგან ქვეყანას „თავზე დასჩხავის ყორანი, გაღმა გასვლისა მოსურნეთ უკუღმა მიჰყავთ ბორანი, „რის გამოც გაბატონებულია ქვეყნად „სირეგვნე შეუწონარი".

ვაჟა-ფშაველა სხვა დროსაც უბრუნდება ილიას თემას. როგორც ჩანს, მისი აჩრდილი მუდამ თან დასდევდა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ აკაკისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც მან წაიკითხა მის იუბილეზედ, ილიასაც იხსენებს: „ილიაც გვესაუბრება, უნდა დავუგდოთ მას ყური", - მიმართავს იუბილარს. აქ საყურადღებოა ის, რომ ილიას სიკვდილის მერეც ყურადსაღებია მისი რჩევა, და რომ მისი თანამებრძოლნი კვლავაც იმ დროშასთან დგანან, რომელიც ილიამ აღმართა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან.

დასავლეთ საქართველოში გამართულ აკაკისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოთქმულ ლექსშიც ნათლად იგრძნობა, რომ ვაჟა-ფშაველა მარად და ყველგან ილიასთანაა, რამეთუ მისი სული სიცოცხლეშიც და სიკვდილის მერეც მშობელი ქვეყნის ბედისა და უბედობის მოზიარე და თანამდევი იყო. გულდამდუღრული ნანობს იმ ტიტანი კაცის განწირვას, „ვინაც თავისი სამშობლო, თვით ღმერთზე მეტად იწამა".

აკაკისა და ვაჟას შემდეგ ყველაზე მღელვარებით ამ ვერაგულ აქტს გამოეხმაურა იროდიონ ევდოშვილი. „ვისაცა სურს, ის გაჩუმდეს, მე არ ძალმიძს გაჩუმება, თვით კალამი ათრთოლდა და ბზარ-ნაღველით ილესება", აცხადებს სულხოციანად შეძრული პოეტი.

ილიას სიკვდილს აღიქვამს, როგორც საქართველოს ბედშაობას და სისხლის შეუწყვეტელ დინებას. სხვა შემთხვევაში ილია წარმოდგენილი ჰყავს კავკასიის მთებზე მითიურ ამირანივით მიჯაჭვულ რაინ-

დად, რომელსაც „გარს ეხვეოდა შავი ღრუბელი, არწივი ძუძუს ჩასჭიდებოდა". იგი იტანდა ამ ტანჯვას და ელოდა მხსნელს, მაგრამ სიჩუმე იყო პასუხი, ირგვლივ დუმილი, „ვით მკვდართა ძილი", მხოლოდ „ისმოდა კვლავ მის კვნესაში ტანჯვა... მონობა... ისევ ბორკილი..."

სხვა ლექსში იროდიონ ევდოშვილი ილიას უწოდებს ერის მედროშეს და აღნიშნავს: „ვით უდაბნოში ებრაელთ უძღოდა წმინდა ნათელი, ჩვენ წინ გვიძღოდი, მგოსანო, შენ დაუწვავი სანთელი"..

ილიას შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის საკითხში ი. ევდოშვილი მთლიანად იზიარებს აკაკისა და ვაჟას შეხედულებებს და მათთან ერთად ზიზღსა და მძულვარების ვარამს ანთხევს ილიას მკვლელებს, რომელთაც ასე მიმართავს: „ჯერ მიწას არ უშობნია თქვენისთანა ჯალათები". აქვე დასძენს, რომ თქვენ ტყვია ესროლეთ არა ილიას, არამედ მთელ ერსო... სხვანაირად ვერც აღიქმებოდა ერის უებრო ამაგდრის, უკვე ხანდაზმულისა, მაგრამ კვლავაც დიდი ძალის მოღვაწის ასეთი ვერაგული განწირვა. ილია მოკლეს ფიზიკურად, რადგან მასთან აზროვნებით ბრძოლა არ შეეძლოთ, ამ მარცხით გაბოროტებისა და საკუთარი გონებრივი სიმჭლევის შედეგი იყო წიწამურის ტრაგედია, რომელიც ასე სახიერად, გულში ჩამწვდომად და ვნებათა ღელვით აისახა ჯერ კიდევ თვით ილიას თანამებრძოლთა შემოქმედებაში.

გალაქტიონი ქართული პოეზიის პირველ თანავარსკვლავედში მუდამ მოწიწებით ახსენებდა: შოთას, დავითს, ტატოს, ილიას, აკაკისა და ვაჟას. აი, ეს ექვსი მნათობი, რომელთა სახელებსაც ერთურთს არ აცილებდა და დიდად ეკრძალეოდა, ვითარცა წმინდანთ: ესათუთებოდა, ვითარცა საწუკვართ; ეთაყვანებოდა, ვითარცა მეუფეთ; ეამაყებოდა, ვითარცა მათ ნაშიერს და ისეთი ექსტაზით ლოცულობდა მათ ხატებას, როგორც წარმართი ოლიმპიური ღმერთებს. აკი ასეც ამბობს: „იმ ექვს მწვერვალთა გეფარა ჩრდილი: ვინ მოგვილია გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჩვენი ილია, აკაკი, ვაჟა გასაკვირველი – დიდება დროთა, და მათ გვირგვინათ მუდამ პირველი, ტიტანი – შოთა!"

გალაქტიონი ყველა მათგანში ხედავდა განუმეორებელ და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებს; აღტაცებული იყო დიდ წინაპართა ღწვითა და სწორუპოვარი შემოქმედებით. აკი უმანკო ბავშვისათვის დამახასიათებელი გაოცებითა და გულწრფელობით აცხადებს: „რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი, რა დიდი იყო მათი დიდება".

ამათგან ილია მას მიაჩნდა სწორუპოვარ ბრძენად, რომელმაც ქართული ენის ისტორიაში შექმნა უდიდესი ეპოქა. სწორუპოვარ საზოგადო

მოღვაწეობასთან ერთად ილიას ინტელექტმა საოცარი გულთამხილაობით გააშუქა ერის წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც. მრავალ ერს, მათ შორის ქართველებსაც, კაზმული სიტყვის დიდი ქურუმნი ჰყოლიათ, მაგრამ ერის ბედისწერისა და ყოფნა-არყოფნის მამოძრავებელ ღერძად და საყრდენად პოეტის ჩანგი ისე რიგად არასდროს და არავის არ გამოუყენებია, როგორც ეს ილიამ მოიმოქმედა. გალაკტიონმა ეს შესანიშნავად იგრძნო და მისთვის ჩვეული მღელვარებით განაცხადა: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი".

ეს დიდი ეპოქა მოიცავს თითქმის მთელ მეცხრამეტე საუკუნეს, რომელიც ძირითადად ილიას მძლავრ მხრებს აწვა.

გალაკტიონმა ზემოხსენებულ ორ სტრიქონში მეტად ლაკონურად და სისხარტით დაახასიათა ტიტანი წინაპარი. აქ ერთ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება: ილიას სიკვდილით დამთავრებული ეპოქა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ილიას მრწამსი და მსოფლმხედველობა ესადაგებოდა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეს. დრომ, რომელიც, მართლაცდა, უტყუარი მსაჯულია, ნათლად დაამტკიცა და დაგვანახა, რომ ილიას მრწამსი, მსოფლმხედველობა და ჰუმანიზმი საოცრად სიცოცხლისუნარიანია, ცხოველმყოფელია და გაუხუნარი. დრომ ისიც დაამტკიცა, რომ ყველა „მოდასენი" და „მოიზმენი", რომლებიც ილიას ისე ეხვივნენ, ვითარცა მუმლი, საპნის ბუშტებს ბერავდნენ და ამ ბუშტებივით გაქრნენ. წიწამურში განწირული ილიათი დამთავრებულ ეპოქას გალაკტიონის ეპოქა კი არ ეთიშება, ორგანულად ერწყმის. სწორედ ილიას მიერ შექმნილ დიდ ეპოქას გადაეჭდო, ვითარცა ახალი რგოლი, ვითარცა ახალი ძალა. ილია თავის ეპოქისთვის იყო ნაყოფით დახუნძლული ხე ცხოვრებისა, რომელმაც დააპურა, გაანაყოფიერა ავბედობის წყალობით გამჭლევებული ერის სული და მისვე წიაღში ჩაითესა და ჩაფესვიანდა, რათა ახალი, უფრო ცხოველი, უფრო ნაყოფიერი ნერგნი აღმოცენებულიყვნენ. და სწორედ ამ ფესვებზე აღმოცენდა გალაკტიონი და არა მარტო გალაკტიონი...

გაივლის დრო, და, როგორც ილიას მრწამსის ფესვებზე აღმოცენდა გალაკტიონის მეტად ემოციური პოეზია, გალაკტიონის პოეზიის ფესვებზეც აღმოცენდება ახალი სახელი თუ სახელები...

სადაც ისეთი პერმანენტული შენაცვლება და განახლება არ ხდება, იქ ერი სულიერად ბერწდება და ეს მეტად ავის მაუწყებელია. ერის თვითმყოფად სულს სასიცოცხლო ჯავშანი აცვდება და კნინდება. თენთავს მთვლემარე ინერტულობა, კოსმოპოლიტიზმის ჭაობში ეფლობა, ანდა ადვილად შეემსხვერპლება მედამ ყურთან ჩასაფრებულ ფლიდსა და ამავე დროს ვერაგი მოძალადის ღიდმპყრობელურ შოვინიზმს. არც ერთ ერსა და აქედან გამომდინარე, ათას ქარცეცხლგადატანილ თანამედროვე კაცობრიობას ჭეშმარიტ პოეზიაზე დიდი ღმერთი

არა ჰყავს. უმრწამსო ერს ვერ იხსნის ვერარა სასწაული. კაცობრიობის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ძალადობის შედეგად მტვრად ქცეული ერებიც კი კვლავ აღმდგარან ფენიქსივით ერთვნული მრწამსის წყალობით. დიდი და შეულახავი მრწამსი კი იგივე პოეზიაა. ასე ესმოდა ეს ილიას, როცა ამბობდა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა". სხვა ადგილას კი აღნიშნავდა: „ადამიანთა ცხოვრება შეუწყვეტელი სისხლის დენა იქნებოდა, ქვეყნად პოეზია რომ არ არსებობდეს". ამგვარადვე ღაღადებს გალაკტიონიც პოეზიის უძლეველობაზე: „...მასთან უძლური იყო ცეცხლი - ასული ცამდე, ათასი ჩინგიზ, მაჰმად-ხანი და თემურლენგი, ახლა კი ჩემთვის ნათელია თუ ივერიის მცირეზე მცირე რიცხობრივად, პატარა ერი, მარად ყოველთვის შემორტყმული უამრავ მტერით, მაინც გადარჩა და გადარჩა ის, როგორც ერი. აქ პოეზია იყო მისთვის შემჰიდროვება, ანკარა წყარო, მომჩქეფარე იმ ხალხის გულით, მის სასიცოცხლო ძალთაძალა და საზრდოება".

აქვე უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი პოეზიაში არ გულისხმობდა მხოლოდ ლექსს. მისი გაგებით იგი ფართო მცნებაა. პოეზია ესაა გატაცება, ექსტაზი. გალაკტიონის აზრით, შეიძლება ლექსს წერდეს კაცი. მის „ქმნილებებს" არა აკლდეს რა, მაგრამ „მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი: ყოველი წესით თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი". მეორე მხრივ შესაძლოა, კაცი ლექსს არ წერდეს, მაგრამ თუ იგი გატაცებულია და შთაგონებით მუშაობს რაიმეზე, იგი შემოქმედია და ხელოვანი. „პოეზიაა ისტორია, ანუ ქიმიაა, ზეშთაგონება ასულდგმულებს და აძლევს იმედს თანაბრად - როგორც რუსთაველს, ისე არქიმედს. მეცნიერება, როდესაც მას თან ახლავს ვნება თანაბრად არის პოეზიის ზეშთაგონება".

გარდა ამისა, როცა გალაკტიონი საუბრობს პოეზიის დანიშნულებაზე, მის არსზე და მიზანზე, უპირველეს ყოვლისა, მისთვის ჩვეული კრძალვით თავის დიდებულ წინაპართა მაგალითებს იშველიებს: „ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან გადაზრდილია, ხმა სიყვარულის, ხმა მონობის წინააღმდეგი, ცეცხლი აკაკი, გმირი - ვაჟა, ბრძენი ილია, რამდენი გმირი და რამდენი კიდევ ყაზბეგი!"

ამ შემთხვევაში საგულისხმოა არა მარტო ის, რომ იხსენიებს ილიას, როგორც ბრძენს, არამედ ისიც, რომ მთელ მის საუბარს პოეზიის შესახებ ნათელ სვეტად გასდევს ილიას საპროგრამო ლექსის „პოეტის" ათინათი. ილიას მრწამსი, რომ პოეტს ერის წყლული უნდა აჩნდეს წყლულად და ამ წყლულს ემალამოოს მისი ყოველი სტრიქონი, გალაკტიონი მთელი არსით უერთდება და დაასკვნის: „მაშ, გაუმარჯოს სიმართლისთვის მებრძოლ ლირიკას". იქავე სიამაყით აცხადებს: „უძველეს მიწას, უძველეს ერს ლაჟვარდი ცის ქვეშ, მძლავრი, გმი-

რული პოეზია უნათებს თვალებს".

გალაკტიონი ერთ ლირიკულ ლექსში აცხადებს, რომ: „ისე არ გავა ღამე, არ დამენახოს დედა, „რომელიც შუბლზე ხელსადებს პოეტს და გრძნობს რა მისი ზეშთაგონებული პოეზიით გაცარვარებული შუბლის მცხუნვარებას, შემკრთალი ეკითხება პირმშოს: „რა გემართება, შვილო!" პოეტი შეწუხებულ დედას ანუგეშებს: „იმ სამუდამო მხარეს, ალბათ შენ ჩემზე სწუხხარ, დარდს ნუ ეძლევი მწარეს, არ წაქცეულა მუხა. არაფერია! მღვრიეთ დე, ირუთდეს მუმლი, მაინც ხომ ცოცხლობს ტყვიით ტყედ განგმირული შუბლი".

ცნობილია, რომ ქართულ პოეზიაში მუხა საქართველოს სინონიმად იქცა. ამ ლექსში კი თვით ილიაა შედარებული მუხასთან და ეს არაა შემთხვევითი. ერთხელ ვაჟამ განაცხადა: საქართველო რუსთაველია და რუსთაველი საქართველო. ამისივე ანალოგიით შეგვიძლია, მტერმიძალებული მუხა – ილია და მუმლშემოხვეული მუხა – საქართველო გავაიგივოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ გალაკტიონზე ადრე აკაკიმ გააიგივა საქართველოს ბედისწერა ილიას ბედისწერასთან.

აქ გალაკტიონი ხაზს იმასაც უსვამს, რომ დიდებულ შემოქმედთა სიკვდილი შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მკვლელნი ამაოდ დაშვრებიან ხოლმე. აკი ვერც პუშკინი მოკლეს, ვერც ლერმონტოვი და ვერც ილია. გალაკტიონი კი სწორედ ამ უკვდავებაზე მიგვანიშნებს, როცა ამბობს: „მაინც ხომ ცოცხლობს ტყვიით ტყედ განგმირული შუბლი".

გალაკტიონის აზრით ილია იყო „ძლიერი სულიერი ნების" შემოქმედი, რომელიც „ზომავდა საგნებს თავის განსაკუთრებული თვალთახედვის ისრით. ეს თვალთახედვის ისარი ხშირად ცვლიდა საგნების ნამდვილ სახეს, როგორც იცვლება ყოველგვარი საგანი იმისდა მიხედვით, თუ საიდან უცქერი მას. სხვებისაგან შეუმჩნევი რამ მისთვის ადვილი გასაგები იყო", და მართლაც, საგნებს ნამდვილი სახე მაშინ ეცვლებათ, როცა შემოქმედის თვალთახედვის ისარი მასში დებს რაიმე აზრსა და შინაარსს.

ვაჟას ნიავის ქროლვა ესმის, ციცარცა ოხვრა მაღალი მთისა, ცისკენ მავალი ნისლები კი მთების ფიქრებად ესახებოდა. ცივი და მაღალიმყინვარი ილიას გეტეს აგონებს, თუ რატომ აგონებს ამას კიდეც ასაბუთებს მსგავსი ნიშნებით და დამაჯერებელს ხდის. ასეთი გაშინაარსიანებული ბუნება და საგანი უფრო მიმზიდველი და მშვენიერი ხდება.

სინამდვილეში საგნის ნამდვილი სახე კი არ იცვლება, ხდება მისი ახლებური, ადამიანის მრწამსს მისადაგებული გააზრება.

იმის დარწმუნების უნარი, რომ „ალაზანი მუდამ მდუმარი ჩიოდა, თითქოს კაცს ემდუროდა", ანდა ის, რომ მიწიდან აორთქლილი ნისლი მთების ფიქრია, ჭეშმარიტად დიდ ზეშთაგონებას მოითხოვს.

ამ შთაგონების უნარს გულისხმობს გალაკტიონი, როცა ილიაზე ამბობს: „განსაკუთრებული თვალთახედვის ისრით... ხშირად ცვლიდა საგნების ნამდვილ სახესო“.

მართლაც, ილიამდე შეუმჩნეველი იყო, რომ მღელვარე თერგი ბობოქარ ბაირონს გავდა; „სხვებისაგან შეუნიშნავი მისთვის ადვილი გასაგები იყო“. აკი ადვილადაც შენიშნა კიდეც და მის მერე ყველა ქართველი თერგს უყურებს და აღიქვამს, ვითარცა მღელვარე ბაირონს, ხოლო ბაირონის პოეზიაში ესმით თერგის მჩქეფარება და სიჩაუქე.

გალაკტიონი ილიას უცქერის ფილოსოფიის ამაღლებული სარკმლიდან და იგი მიაჩნია ქართული აზროვნების მეუფედ, „რომლის ჟესტები იყო ნელი, იშვიათი და თავდაჭერილი, მაგრამ გონიერი“.

ამის წინ ერთ საპოლემიკო წერილში მწერალმა ო. ჩხეიძემ სამართლიანად შენიშნა: „ახლა ჩვენში ინტელექტუალური ცხოვრება წარმოუდგენელია უილიაოდ“. და მართლაც, ვისაც ილიას ინტელექტუალური მრწამსისაგან თავის ხსნა უცდიია აკვიატებული ორიგინალობის პრეტენზიით, ყველა დამარცხებულა. მოგეხსენებათ, რომ გალაკტიონის ლირიკა ზღვასავით ვრცელია. ეს ზღვა კი ყველაზე ღრმა იქაა, სადაც ილიას ინტელექტის ბიძგი და ინერცია იგრძნობა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი და შეუვალი მრწამსის გარეშე ვერავითარი ვერსიფიკატორობა, ვერავითარი უპირველესი პოეზია სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს ვერასოდეს; გალაკტიონის შემოქმედების ყველაზე რაციონალური მარცვალი ილიას ინტელექტის ემბაზშია მონათლული. ამას კარგად გრძნობდა და ეამაყებოდა კიდეც პოეტს. „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და...“ ეს იყო ყველაზე საყვარელი რეფრენი გალაკტიონისა.

მართალია, დიდი პიროვნებები გეზსა და მიმართულებას აძლევენ თავისი დროის ეპოქალურ მოვლენებს, მაგრამ თვით დრო და გარემო დიდად ანპირობებს, თავის იერსახეს და დაღს ასვამს თვით ყველაზე კოლორიტულ პიროვნებებსაც კი. ამის ნიმუშად გამოდგება ილიასი და გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შეპირისპირება XIX და XX საუკუნის ფონზე.

XIX საუკუნის დასაწყისში ცხოვრების მდინარებას ფეხებში გაებლანდა დაჟამებული თბლომოვობა და თათქარიძეობა. ამან ისე დაამდორა ცხოვრების მდინარე, რომ გენიოსის თვალი და გუმანი იყო საჭირო, ეგრძნო და დაენახა. დღეს ისინი არ ვიყავით, რაც გუშინ და ხვალ ისინი არ ვიქნებით, რაც დღეს ვართ. რა ობიექტურმა მიზეზებმაც არ უნდა დააგუბოს ცხოვრების მდინარე, იგი დღეს იქნება თუ ხვალ, მაინც გადახეთქს ჯებირებს და წინ წავა.

XIX საუკუნის „დადინჯებულ“ ცხოვრებას დინჯადვე სჯოდა და გზასა და მიმართულებას აძლევდა მარად და ყველგან საქართველოს თანამდევი უკვდავი სული ილია ჭავჭავაძისა.

XX საუკუნის ცხოვრების დასაწყისი და მისი მაჯისცემა საოცრად აჩქარებული აღმოჩნდა. მართლაცდა ვეღარ უძლებდა „ქვეყანა ძველი განახლებული გრიგალის ქროლვას“. ამ გრიგალში დაბადებული გალაკტიონის სულიც ქარიშხალივით მშფოთვარე, მოუსვენარი და დაუდგრომელია.

ილია თავის დამბადებელი დრო-ჟამივით დინჯია, აუჩქარებელი, ყოველი სიტყვისა და აზრის ამწონ-დამწონი, რომელიც ცხოვრების წარღვნის ლანქერში მოცურავე უზარმაზარ მითიურ ნოეს კიდობანს გავს, რომელშიც თავს აფარებს ერის ყოველი სასიცოცხლო არსი და გენი.

გალაკტიონი ამ კიდობნის წყალობით გადარჩენილი გენის საუკეთესო გამოვლინებაა, მისი ინტელექტის დადასტურებაა. ის გადარჩენილი სულია, რომელიც მარად და ყველგან საქართველოს თანამდევია, რომლის ბედსა და უბედობას ჯერ ლურჯა ცხენებით გაეკიდა და როდესაც იგრძნო, რომ ვერ დაეწეოდა, სევდით დაღლილი მთაწმინდის მთაზე ავიდა, წინაპართა სულები გამოიხმო და მათ გაანდო ხვაშიადი. მათ კი ახალგაზრდა მეოცნებე დამოძღვრეს: ყველამ უნდა თვითონ შევას თავისი მყოფადი და ამით გაამაგროს მომავლის ფუძე და ლიბო. დამთავრდა ჩვენი ეპოქა, იწყება თქვენი. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი... დიახ, ღელავს ცხოვრება, ღელავს უჩვეულოდ, ღელავს მის ტალღებზე მოცურავე გალაკტიონი, ბორგავს ცხოვრება და ბორგავს გალაკტიონი. ცხოვრების ზღვაში ახალი გემი მოცურავს. ამ გემს თავისი გზა აქვს და თავისი მისია აკისრია – მან უნდა შექმნას ახალი ეპოქა – „ჯერ არ ნახული“. ესაა გალაკტიონის ნატვრა. ამ ოცნებითა და გზნებით ფრთებშესხმული თავს ანებებს ეფემერების ლაციცს და გემბანიდან გადასძახის ერსა და მთელ სამყაროს: „დროშები ჩქარა!“ ეს დროშები უნდა წარუძღვეს ამ გემს იმ თავისუფლებისაკენ რომელიც „სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“. ეს კი იმავე თავისუფლებისაკენ ლტოლვაა, რომელსაც კაცთა ნავსაყუდარს ეძახდა ილია.

ილია იყო თვითმპყრობელი XIX საუკუნის სულიერი მოძრაობისა და აღტკინებისა. მან შექმნა ჭეშმარიტად დიდი ეპოქა, საიდანაც ამოიზარდა გალაკტიონი ჯერ როგორც ტანკენარი ლერწამი, რომელიც ახალსა და ჯერ არსმენილ ჰანგებს გამოსცემდა, მერე ტანასხლეტილ ჩინარად იქცა, რომელიც ქარიშხლიანი ეპოქის შუაგულში მოხვდა. ეს ყოველი მხრიდან საჩინო ჩინარი ირხეოდა და ირწეოდა. აკაკის ანდერძის თანახმად, გარემოების საყვირიც იყო და ილიას მრწამსის მიხედვით ღმერთებთანაც მისთვის ლაპარაკობდა, რომ ერის წყლული თავის წყლულად მიეღო და საქართველოს ბედისა და უბედობის თანამოზიარე ყოფილიყო.

მუხად ქცეული ილია ვერ გალუნეს და გადატყდა... ცათამდე წვერასხლეტილი ჩინარი გალაკტიონი კი გაილუნა, მაგრამ არ გადა-

ტყდა... არა მარტო მათ ცხოვრებაში და შემოქმედებაში, თვით სიკვდილშიაც აისახა ორი დიდი ეპოქის ხასიათი და ლაიტმოტივი.

გიორგი ლეონიძე სისხლხორცეულად იყო შერწყმულ-შენივთული ქართულ კლასიკურ მწერლობასთან. ის არავის არ ჰგავდა თავისთავის მეტს, მაგრამ ღვიძლი შვილივით ენათესავებოდა რუსთაველსაც, გურამიშვილსაც, სულხან-საბასაც, ვაჟასაც და მაინც, თავისი მრწამსითა და მოღვაწეობის ფერადოვნებით ყველას ყოველთვის აგონებდა ილიას. მართლაც, მსგავსად დიდი წინაპრისა, შემოქმედებითაც და მოღვაწეობითაც, დღე-ღამ იმის მოცადეობაში იყო სალბუნად და მალამოდ დასდებოდა ერის წყლულს, ერისას, რომელსაც მღელვარებით შესტადებდა: „მხოლოდ შენ მინდა, ჩემ ჩანგურს უკვდავი სული მობერო, ჩემო ცავ, ჩემო ქვეყანავ, ჩემო გულგაუყოფელო!"

ილიასაც და გოგლასაც ერთი ღმერთი სწამდათ, ერთ ხატს ლოცულობდნენ. ქვეყნიერების სახატედ წარმოდგენა და ამ ფონზე სამშობლოს ხატად გაცხადება, ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობის ძირითადი ლეიტმოტივი იყო. ეს ტრადიციული მამულიშვილობა საოცარი პოეტური ექსტაზით არის გაცხადებული გოგლა ლეონიძის შემოქმედებაში და სწორედ ეს გრძნობა ხდის წინაპართა და მითუმეტეს ილიას მემკვიდრედ.

ილიასადმი მიძღვნილი პირველი ლექსი გ. ლეონიძისა დათარიღებულია 1917 წლით. ამ წელს ქართველმა ერმა თითქმის პირველად იზეიმა ილიას დაბადების დღე. ცილმდებელთა ატეხილი ქარბორბალა ჩაცხრა და ერთგვარად გადიკარა...

აფასებს რა ილიას დიდ ამაგდარობას, გ. ლეონიძე გრძნობს, რომ საუკუნის სიღრმიდანაც აქტიურად ეხმაურება თანამედროვე ცხოვრებას. ერთ დროს ფათალივით დაცემული, მაგრამ კვლავ მთასავით წამომდგარი პოეტი „ახმიანებს საუკუნეს". ხაზგასმულია ისიც რომ შუბლგახვრეტილი და ცრემლნაბანი ილიას დევკაცური კვალი ნათლად და ცხოვლად დაეტყო ერის ცხოვრების გრძელსა და დაუსრულებელ გზას.

ილიას თემას ოცი წლის მერე კვლავ დაუბრუნდა გ. ლეონიძე. 1957 წელს ყვარლის ისტორიულ ციხე-გალავანში გამართულ ილიასადმი მიძღვნილ საიუბილეო მიტინგზე ახალი ლექსი წაიკითხა – „ილიაჭავჭავაძის აჩრდილს". ამ ლექსში კრძალვით ესიტყვება, ესასოება, ეფერება და ებოდიშება ილიას სულის ორეულს წიწამურთან დიდ წყლულისა და ტკივილის მიყენებისათვის. ეს მოურჩენელი წყლული, „რომელიც უყივის კრწანისს" იქცა ერის მოურჩენელ წყლულად. ილიას

დაბადებასა და სიკვდილს რაღაც გარდაუვალი, გამსჭვალავი ბედისწერის ნათითურები ატყვია. ჰაერი, რომელიც მან პირველად შეისუნთქა, თოფის წამლის სუნით იყო გაჟღენთილი. თოფის ჭექა-ქუხილით მოსული ლამაზი სიცოცხლე თოფის ჭექა-ქუხილითვე წავიდა ამა ქვეყნიდან. წავიდა კაცი, მაგრამ დარჩა აზრად და გრძნობად ჩამოქნილი სული, რომელიც კოცონივით აინთო და რაც დრო გადის, მისი ელვარებაცა და სიცოცხლეც უფრო მეტ სივრცეებს ეუფლება და კაცობრიობას მარად არსებობისა და უკვდავების თავდებად უდგება. თავდებად უდგება, არა როგორც უბრალოდ ლამაზად მეტყველი ქადაგი, არამედ, როგორც აზრნათელი მოძღვარი, რომელიც უჩვენებს უკვდავებისაკენ მიმავალ გზასა და ბილიკს. ამაშია სწორედ მისი სახელის უკვდავების მიზეზიცა და შთამომავლობის სიამაყის საწყის-სათავესა და იგივეა პოეტის შთაგონების წყაროც. ასეთი ღმერთკაცის უღმერთოდ გაწირვამ ათქმევინა გ. ლეონიძეს „წყეული, რომელიც უყიის კრწანისს – ჩვენი ვაება, ჭირი, ნაღველი! ვერ გარეცხს სირცხვილს ჩვენი სიმწარის თვით წარღვნის წყალი გადამწარღვნელი“.

მისი აზრით, ის საზეო ტვირთი, რომელიც „დიდი სიმართლის წინამორბედმა“, – ილიამ ატარა და ახლაც მიაქვს, „მხრებმა არ დაიმძიმა“, რადგან „უფრო მეტის ღწვის იყო მდომელი“. მისი ნიჭის ნაშუქარი ზრდიდა მთელ თაობებს, რომელთაც ილიას „სიხლის წვეთში სული ჩაწვეს“.

დიდი აჩრდილის წინ მუხლმოყრილი შთამომავალი, მისი ტვირთვის ღირსეული მტირთველი გოგლა ლეონიძე წინაპრის ორეულს ასე მიმართავს: „ქუხილის ენით მოლაპარაკევ, ნათლის მდებელო, იცი ვინა ხარ? – რუსთაველის სიმს, კრწანისის საფლავს, თამარის ნათელს – შენთან ვინახავთ!“ და მართლაც, კიტა აბაშიძის თქმისა არ იყოს „ქართველი ერის საიდუმლო ძალამ, საუკუნეების იდუმალმა შრომამ, რამდენისამე მოდგმის შემონახულმა სულის საუნჯემ, ერთი დიდი კაცი შექმნა, რომელიც ერის სულის საუკეთესო გამომხატველი იყო, იმის სულისკვეთების სალარო იყო, გენიოსობის განხორციელება იყო“.

ალექსანდრე აბაშელი იხსენებს საგურამოში გატარებულ დაუვიწყარ საღამოს, როცა „ქართლის მედროშის სახლთან მოსულს“ აკვანთან მდგარი დედა ქართველისა ეზმანა. ეს ის დედა იყო, რომელიც ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ აკვანში მწოლიარე ყრმას უმღეროდა: „ჩემი მამულისათვის მე ჩემ ძუძუს გაწოვებ, მისი სიკეთისათვის, გაგწირავ და გაბრძოლებ“.

ამ ჩვენებაში იყო პოეტი, როცა მთავარე მოადგა ლაჟვარდის კარებს და მიწის შუქი ცამდე ავიდა.

ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა ილიას ს. შანშიაშვილმა, რომელმაც ილია შეადარა იმ უძლეველ ლომს, რომელიც წინ აღუდგა ყოველივე ღირსეულის წამლეკავ უსამართლობას.

ი. გრიშაშვილი ილიას ერის „ფხასა და იარას" უწოდებს. და მართლაც, ქართველი ერის ღირსება მაქსიმალურად გამოვლინდა ილიას ღვაწლსა და შემოქმედებაში. იგი იყო ის ძალა, რომლის ინტელექტის ფხიანობა აპირობებდა მის აწმყოს და მომავალს. და იგივე ილია იქცა ერის იარად, რამდენადაც მის გამწირავთა ვერაგულ ქმედებაში გამოვლინდა ზოგიერთ ქართველთა ის მომაკვდინებელი თვისება გაუტანლობისა და ექცენტრიზმისა, რომელიც განვითარდა გარეშე მტერთა საუკუნებრივი ბატონობის პირობებში.

თავისი გენითა და ბუნებით ქართველი კაცი ვერაგი არაა, მაგრამ თუ ცხოვრება და გარემო პირობები გაავერაგებს, როგორც სიკეთის თესვაში, ასევე ვერაგობაში ზღვარი არ იცის. ორივე შემთხვევაში აულაგმავად მიაფრენს მერანს. ესაა მისი დიდი ღირსებაც, დიდი ნაკლიც და ამავე დროს ეროვნული თვისებაც. ამის შედეგია, რომ ქართველმა ერმა დაბადა თვალშეუდგამი ჰუმანიზმის დიდი მედროშე ილიაცა და ასევე თვალჩაუწვდენი ჯოჯოხეთის მოციქულნი - ილიას მკვლელნიც. ამის გამოა, რომ ილიას დამბადებელი ყვარლის ხსენება თუ გვაამაყებს და სამოქმედო ფხას გვმატებს, წიწამურის ხსენება გვანაღვლიანებს და მოურჩენელ იარასავით გვტკივა. აი, რატომ პოეტის აზრით, ილია ერის ფხაცა და იარაც.

კოლაუ ნადირაძე ერთი იმ პოეტთაგანია, რომელმაც ესა თუ ის თემა თუ არ გაითავისა, საკუთარ ბრძმედში არ გადაადნო, არ გადახარშა და არ გადაადუღა, ისე, სასხვათაშორისოდ,ლექსს ადვილად არ წერს. მაგრამ, როცა დაწერს, მის ქმნილებას ყოველთვის ასდის შემოქმედის სულის ოხშივარი, უეჭველად გადმოგედებათ მისი ტკივილები და სულის ხვაშიადიც. იმ წუთში ხდებით პოეტის ზრახვათა, ფიქრთა და განცდათა თანამოაზრე არ შეიძლება დაიწყო კითხვა „სამი

აჩრდილისა" და პოეტის განცდები და ტკივილები არ დაგეუფლოს, არ შეიძლება შენც არ აგესვეტოს თვალწინ ტანჯული მეგობრებისაკენ მქროლავი ცოტნე, ცეცხლწაკიდებული ქეთევანი და ბოლოს ერისათვის წამებული პოეტი, რომლის ნატყვიარ შუბლში „ქარი გასწივის და მოთქმით მღერის" და როცა წინაპართა ეს აჩრდილები თვალწინ დაებადებიან და თავიანთ თავგადასავალს გაგახსენებენ, არ შეიძლება პოეტთან ერთად ნებსით თუ უნებლიედ არ აღმოგხდეთ: „ისეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლოვ, მინდა ვიცოდე, რომ ამოდენი ცეცხლი დაგჭირდა და მეც ამ ცეცხლში უნდა ვიწოდე, რომ განთხევინეს ამდენი სისხლი, არ შეგიბრალეს, არ შეგიცოდეს?!

ლექსი „წიწამურიდან საგურამომდე" კ. ნადირაძის ერთი შედევრთაგანია, ეს „ეკლიანი და პატარა გზა" იტევს ქართველი ერის მთელ ისტორიასა და ტკივილს. ამ გზით დადიოდა კაცი, რომელშიც შეერთებული იყო თავისი ავბედითა და ბედსვიანობით ერის წარსული, აწმყო და მომავალი. ამის გამო მიაჩნია მგოსანს, რომ „წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა", დიახ, „ამ პატარა ეკლიან გზაზე" სიცოცხლის გავლა იცით რაა? ეს მთებიც უნდა გადალახო და უძირო ცის საიდუმლოებაც გესმოდეს. მტერად განდგომილი მყინვარწვერის მონუსხვაც უნდა შესძლო და აბობოქრებული თერგის ზვირთების ნაამბობის აზრთა და ფიქრთა განცხადებაც, ლელთუნიას ნანატრნაოცნებარის საკუთარ ნატვრად ქცევა და ამ ნანატრი მიზნისაკენ მიმავალი გზების მოძებნაც უნდა შესძლო... თუ რწმენის ერთგული ხარ, კაცთაგან მიუვალ კლდე-ყინულეთშიც თავი ბედნიერად უნდა იგრძნო და როცა ცხოვრებაში უღელი გაგიტყდება, ცალუღლივ უნდა ატარო საზეო ტვირთი. ასეთ შემთხვევაში შეგიძლია თქვა, რომ „ცა გნიშნავს და ერი გზრდის", რათა ამ გამზრდელ ერს „მოსწმინდო ტანჯვის ცრემლი" და ამ ქმედებაში დაინახო შენი ამ ქვეყნად მოვლინება და განკაცება. ისე სხვანაირად ვერ გაივლი ამ „პატარა ეკლიან გზას", რადგან აქ „დიდი მთებია" და „უძირო ცაა".

წიწამურის გვერდით ჩამომდინარე მჩუხარე არაგვი სამას არაგველთა ამბავს აგონებს პოეტს, რომელთაგან „არავინ იყო ამბის მომტანი", რის გამოც მწარედ ტიროდა უკვე მოხუცი „დამარცხებული ბაგრატიონი". ამის შემდეგ პოეტი ისევ მრავლის მოწმე არაგვს სთხოვს: „ჰოი, არაგვო, მიამბე მაინც, როგორ დაეცა ეს გოლიათი? ეგების შესწყდა ვარსკვლავთ კაშკაში, გადაეფარა მიწას წყვდიადი და დამწუხრებულს, კაეშნის მოცულს, მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა? შთაგონებული სიმღერა მისი აღარ მოესმის მიდამოს შენსას. ალბათ, მისთვის ხარ გულჩათხრობილი და აღარ ცხრება ტალღების კვნესა! ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და ქვებსა!.."

პოეტი ესალმება სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდებს, ასევე

ეთაყვანება მამულის ბედსვიანობას შეზვარაკებულ პოეტს და ბოლოს დაასკვნის: „გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოსნებს გაუკაფიათ!“ და მართლაც, კაცმა რომ თქვას, პოეტური აღტკინების გარეშე წარმოუდგენელია კაცი ამხედრდეს და სიცოცხლე გაწიროს, ეს შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც მარად და ყველგან მხოლოდ სამშობლოს ბედსვიანობაზე ფიქრობს და მისი მტრისაგან ხელყოფა სიცოცხლეზე მეტად ულირს. ლექსს წერ თუ არა წერ, საქმე ეს კი არაა, საქმე იმ განცდის უნარია, რომელიც მეომარს ხმალს ისე მოაქნევინებს, რომ „შუაზე გასჭრის ცხენ-კაცსა, ხმლის წვერი მიწას წვდებოდეს“.

ჭეშმარიტი პოეტური ექსტაზის გარეშე შეუძლებელია დარ-ავდარში მწყემსმა თოვზე ღამე ათენოს, გუთნის დედამ ახო ტეხოს, ქალმა ცხრა შვილის აკვანი არწიოს. ისე რომ არც ერთმა მათგანმა ბედის სამდურავი არა თქვას, არ შეინანოს და ამ თავგანწირვაში არ იპოვოს სულიერი სიმშვიდე და არ იგრძნოს უდიდესი თვითკმაყოფილება.

ვალერიან გაფრინდაშვილი აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებას ერის წინაშე, რომელსაც „განიერ მხრებზე ატლანტის მსგავსად“ ეყრდნობოდა „მთელი ჩვენი ქვეყანა“ და ხაზს უსვამს, რომ იგი „ქართული სიტყვის იყო როდენი“, ამის გამოა, რომ ილიას „თქმა რაოდენი, ხმაურობს ისე, ვით რუსთაველი“. იყო დრო, როცა ილიას ნიჭიერებას ეჭვის თვალით შეხედეს, რის გამოც ტიციან ტაბიძე აღშფოთებით აცხადებდა, რომ „ეს თანამედროვეთა უკულტურობას უნდა მიეწეროს“.

ვ. გაფრინდაშვილიცა და ტიციანიც იმ თაობას ეკუთვნოდნენ, რომელთაც ქართული ლექსი დახვეწეს და უფრო რაფინირებული გახადეს, ამდენად მათი აზრი საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი.

შემდეგი თაობის პოეტი სევერიან ისიანი ილიას შესახებ წერდა: „ქართულ მიწაზე დაეცა კაცი, პოეზიაში მზის თანაბარი“.

ამ მიმართულებით საყურადღებოა და მეტად საგულისხმოც თანამედროვე ახალგაზრდა კრიტიკოსის ჯანსუღ ღვინჯილიას შეხედულება: „რაღაც აუხსნელი თვისობრიობის გამოსხივებას ვამჩნევთ ხოლმე ილიას პოეზიაში, მძიმე სიტყვების ფუძეში ჩაკარგული გოლიათური აზრი და წონა კონკურენციის გარეშე აყენებს მის პოეტურ ფორმას. ამ ფორმებთან ანალიზის კანონებით ლაპარაკი შეუძლებელია. აზრის სიმძიმეს და ამ სიმძიმის მშვენებას თითქოს დაუტანია ყველა პრეტენზია, რაც კი შეუძლია პოეზიას წაუყენოს მკითხველმა. მას პოეტურის მშვენიერების წილ გრანდიოზულობის დიდებულება ახასიათებს. დიდებულია, როგორც ყოველი გრანდიოზული. ცხადია, ეს დიდებულება

არ გამორიცხავს მშვენიერს".

რამდენიმე თაობისა და სხვადასხვა გემოვნების პოეტთა და ლიტერატორთა აზრი ილიას შესახებ ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა და მაუწყებელია იმისა, რომ ილიას პოეზია, მართლაც მზის სადარია თავის პოეტური ცხოველმყოფელობით, აზრის სიღრმით, ისევე, როგორც რუსთაველისა, ბარათაშვილისა, ვაჟასი, აკაკისა და პოეზიის სხვა ტიტანებისა.

კონსტანტინე ჭიჭინაძისათვის ილია ჭავჭავაძე იყო თავისი დროის, და არა მარტო თავისი დროის, „ცოდო-მადლის დიდი სასწორი". მართლაც, რაც დრო გადის, ამ „სასწორის" უტყუარობა და აქტუალობაც უფრო მეტად დასტურდება. მხოლოდ ზეკაცს, ანდა მეუფეს ხელეწიფება ცოდო-მადლი აწონოს, ავი და კარგი გაარჩიოს, აკი ილია ღმერთთანაც იმიტომ ლაპარაკობდა, რომ მიწიერი საკითხები ციური სიწმინდით გადაეჭრა; ფეხზე აკრული მიწის მტვერი და ტალახი ცის მანანათი განებანა. ამან განაპირობა, რომ მიწიერი ბანკირი და რედაქტორი საოცრად ამაღლებულ პოეტს შეერწყა.

„პოეტს დიდებულს გბორკავდა ბედი ბანკირისა და რედაქტორისა".

მოვალეობის ჟამს ეს უებრო ბანკირი და რედაქტორი გაერიდებოდა ამ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას და ფრთაშესხმულ პოეტად იქცეოდა.

"...და როცა სოფლის კამკამა ფერის სულს დატვირთავდა ბანგი ძილისა, გადმოდგებოდა ზედაზნის სერით ლანდი მაღალი განდეგილისა". ამას კი „სახეგამხდარი, კუშტი და მწყრალი" „აჩრდილი" ენაცვლებოდა...

ცისა და მიწის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დუალიზმმა შეაძლებინა პოეტს, რომ გამხდარიყო „მშობელი მიწის ზეამზიდავი", იმ მიწისა, რომელსაც „ზედვე დაეცა ტვინდანთხეული".

ანდრო თევზაძის რწმენით: „ილია თვითონ არის მყინვარი და სიტყვაც მიტომ თერგივით ქუხდა. „მყინვარი პოეტს წარმოდგენილი აქვს, როგორც „ოცნება ამაღლებული დედამიწიდან", რომლის სიმაღლეც აპირობებს თერგის დაუდგომლობას, რაც ასე ძალიან მოსწონდა ილიას. ა. თევზაძე ერთგვარად ეპაექრება კიდეც დიდ წინაპარს და კრძალვით შებედავს: „უნდა ამაღლდე, როგორც მყინვარი, შემდეგ თერგივით რომ იმქუხარო". აი,ასეთ ამაღლებულ და ამქუხარებულ ზეკაცად მიაჩნია ავტორს ილია, რომელმაც თვით „საფლავიდან დაძლია მტერი". დიახ, თვით ილია ბრძანებდა: „ყველაფრის სიკვდილი შე-

ძლება, - აზრისა კი თავის დღეში არა! მისი აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, სრულიად განადგურება კი ძნელად". მართლაც, ილიას აზრთა მდინარება ვერ შეაჩერეს ვერც ბერდანის ტყვიით, ვერც ცილდებით და მის მტერთა დროებით უფლებამოსილებით. პირიქით, ჟამთა დინებამ დაადასტურა მის უკვდავ აზრთა ცხოველმყოფელობა, აქტუალობა და მარადიულობა.

ალიო ადამიამ ლექსების მთელი წიგნი უძღვნა ილიას. ყვარლის მთებისა და შემოგარენის, ღრუბლის სანახების, მისი ეზო-კარის ფონზე ხედავს წინაპრის აჩრდილს პოეტი, მას ხიბლავს ოციევი გომბორი, მთები ყვარელის და ალაზანი დინჯი და ჩქარიც ამშვენებს კახეთს... და საყვარელი მაინც ილია იყო და არის..."

მართლაც, დიდი ადამიანის სახელს აქვს რაღაც მაგიური ძალა და ხიბლი, ეს ლამაზი მთებიც, ჭალებიც, მდინარეებიც უფრო რომანტიულნი ხდებიან, როცა რაღაცით უკავშირდებიან ერის სათაყვანო ადამიანების ცხოვრებას. მართლაცდა განუზომელია იმ გარემო სამყაროს როლი, სადაც ადამიანი იზრდება, მით უმეტეს დიდი გრძნობისა და მისწრაფების მქონე გენია.

ა. ადამია აღტაცებულია იმ ეზო-კარით, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა ილიამ. „ისევ ჰკიდია მისი ჭიშკარი, საკვამურიდან კვლავ ბოლი ადის, და მე ყვარლისკენ რომ მივიჩქარი, მჯერა, დამხვდება შინ გოლიათი".

და როგორც კი შედის ამ მარადიული მასპინძლის ეზოში, აღტაცებული პოეტი სტუმრის გულახდილობით მოითხოვს: „აქ მომიტანეთ ჩემი ხამხარი, აქ შოთი პური უფრო ტკბილია, ეზო როდია ნამოსახლარი - ამ სახლში ცხოვრობს ისევ ილია".

მრავალი სახელოვანი მოღვაწე და შემოქმედი ამშვენებს ქართველი ერის ისტორიას, მაგრამ იმგვარად შერწყმული და ერთ არსად ქცეული სამშობლოს მცნება არავისშია შენივთული, როგორც ილიაში. სამშობლო ადვილად სათქმელი სიტყვაა, მაგრამ მრავლის მეტყველი და მრავლის მომცველია. იგი არა მარტო ადამიანთა კრებული, არც, როგორც იტყვიან ხოლმე, ლამაზი მთები, ზღვები და ველებია, არც მარტო ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხთა ერთობა, არც ზემოჩამოთვლილ მცნებათა არითმეტიკული ჯამი მოგვცემს სამშობლოს სრულ სახეს. არის მრავალი იდუმალი ძარღვი და ნერვი, რომლებიც ამ მცნებებს ორგანულად აერთიანებს, ადუღაბებს და ერთიმეორეთი აპირობებს.

იგი იქმნება და იბადება, როგორც ყოველი ცოცხალი არსი და განიცდის ყველა იმ სიხარულსაც და ტკივილსაც, რაც სიცოცხლისათვის არის დამახასიათებელი. იგი საოცრად ემოციურია, მრავალწახნაგოვანი და მარადიულობის მაძიებელი. აქედან გამომდინარე, არავისი სახელი ისე არ მიესადაგება სინონიმად სამშობლოს მცნებას, როგორც ილიასი.

ეს ფიქრი ამიშალა მირზა გელოვანის სტრიქონებმა, რომელიც ილიასადმი არის მიძღვნილი: „იყავ მძლავრი ალაზანი - მომსკდარი და ძალიანი. სულ სხვა სისხლი, სულ სხვა ტანი, სულ სხვანაირ ძვალიანი და ტყვიამ რომ გაზიარა სასიკვდილო განაჩენი, ყველას მკერდში გაიარა, თურმე მიწა დასჭრა ჩვენი".

მიწა აქ სამშობლოს სინონიმია და ეს ჭეშმარიტად საგულისხმო და მიგნებული თქმაა. ეს ლაკონურად ნათქვამი ფრაზა ტევადია თავისი გააზრებითა და ქვეტექსტით.

ლადო ასათიანის დაუმცხრალ გულსა და გონებას ილია ესახება, როგორც „შუბლმაღალი ოლიმპიელი", რომელმაც „მოსტაცა დიდი სინათლე დღეს და პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს, აქ იჯდა იგი, ამ კაკლის ხესთან მხრებგანიერი, ვით საუკუნე".

მართლაც, ილიას აზრთა ელვარებით განათდა ავბედითობით დაკურსული მეცხრამეტე საუკუნე, რომელიც მისსავე ინტელექტს დაეყრდნო. ამ მძიმე ტვირთმა გახადა „დიდი მეტყველი" და ამავე ტვირთმა აქცია ისევ „დიდ მუნჯად". თუმცა ილიამ ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი მრავალთა მიზეზთა გამო თუნდაც იმიტომ, რომ იგი ხშირად იყო იძულებული სათქმელისათვის „შუა წელი და თირკმელები ამოეჭრა, რათა თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაზე გამოსვლისა", როგორც თვითონ ამბობდა.

ეს „დიდი მეტყველი" ვერც ამ გზით დაამუნჯეს. მოხდა პირიქით, მის მერე უფრო ძლიერად ამეტყველდა და რაც დრო გადის, მისი სამწყსო და მრევლი კი არ კლებულობს, საოცარი სისწრაფით იზიდება. მიუხედავად ამისა, ქართველი ერის მარად მოურჩენელ წყლულად იქცა წიწამურის ტრაგედია, რის გამოც გულმხურვალე ლადო გოდებით წარმოთქვამდა: „ყვარლის მთებიდან ქარს ღრუბლის მერი, ნიავს ნისლი და ცრემლი მოჰქონდა, ვინ იფიქრებდა, რომ წიწამური შეიქმნებოდა მისი გოლგოთა".

„როცა კეთილი ხარ და მაინც ბოროტს გეძახიან, არის ამაში რაღაც ღვთიური", - ამბობს მარკუს ავრელიუსი.

სიკეთე, ზნესრულობა, კაცთმოყვარეობა ზოგჯერ ისე თვალისმომჭრელად ანათებს, რომ ამ ღირსებათა უარმყოფელი ბოროტება ღიზიანდება და არ თაკილობს არარა საშუალებას მათ დასათრგუნავად და მოსასპობად. კეთილისმყოფელის ღირსება შესაძლოა ზოგჯერ გაიზომოს იმ მძულვარების სიძლიერით, რომელსაც ავლენენ ბოროტნი. ბოროტისა და კეთილის შეპირისპირებამ ათქმევინა ი. ნონეშვილს - „რად გიყვარსო საქართველო, გულზე ტყვია დაგახალეს". დიახ, სამშობლოს მოუნელებელმა სიყვარულმა და ასევე ბოროტების მოუნელებელმა სიძულვილმა გამოაწრთო ილიას შეურყეველი მრწამსი და მისწრაფებანი. ამ დაუძლეველის ძლევა სცადეს და საქართველოს სიყვარულისათვის „გულზე ტყვია დაახალეს". ამის გამოა, რომ „ჟონავს ჩვენი ცრემლის წვეთი, გულის ფესვებს მონაწყვეტი". ხოლო იქ, სადაც ეს გაუგონარი აქტი შესრულდა, დგას „თეთრი ობელისკი", რომელიც ცას შეპყურებს ჩუმი რისხვით, როგორც მთელი ქართველის სევდა..."

„კრწანისზე მწარე წიწამურიაო", - შეძრწუნებული მღელვარებით აღნიშნავს ოთარ ჭელიძე, რომელსაც დესიზმრა, თუ როგორ განუმზადა ბედმა და ბედისმწერელმა ილიას გარდუვალი სიკვდილი ჯალათის ხელით. ყველაფერი, რაც კია პოეტის ირგვლივ, მოუწოდებს: „ადექი, იქნებ უშველო რამე". პოეტი უსმენს და უჯერებს ამ ხმას და აკი თავდავიწყებით მიქრის, რათა ერის მამის მაგიერ თვით მიუშვიროს მკერდი იმ ჯალათის ტყვიას, ტყეში რომ უცდის ილიას. წინ რომ მიმაფრენს ჩემი ფიქრია, თუ ტკივილია მშობელი ერის? - კითხულობს პოეტი და ჯალათის წინ ასვეტილი ეუბნება: „მომკალ, გეპატიება. ვინ გაპატიებს ღმერთკაცის მოკვლას", მაგრამ ეს ოცნებაა პოეტის, ეს სიზმარია. საბედისწერო ტყვია ილიას ხვდება და მის გამო კრწანისზე მეტად წიწამური ემწარა. ემწარა, რადგან კრწანისზე მტერი გვმტრობდა, წიწამურთან კი მოძმემ გვიმუხთლა. ამის გამოა, რომ „სამშობლოსათვის გასახსენებლად კრწანისზე მწარე წიწამურია".

ხუტა ბერულავას რამდენიმე ლექსი და ბალადა აქვს მიძღვნილი ილიასადმი. ერთ-ერთ ლექსს იწყებს იმ ციხის აღწერით, სადაც დაიბადა ილია. სიმბოლური გამოდგა ილიას დაბადება საგვარეულო კოშკში, რომელიც საცხოვრებელი ბინიდან ორმოციოდე ნაბიჯითაა და-.

ცილებული.

ლეკთა მარბიელი რაზმი შემოესია ყვარელს. მარტო ჭავჭავაძიანთ ციხიდან კი არა, სხვა საოჯახო ციხეებიდანაც ისმოდა თოფების სროლა და ყიჟინა. საგვარეულო ციხის მეორე სართულში შეხიზნული ბებურიშვილის ქალი მესამე შვილზე მშობიარობდა. ვაჟი დაებადა გრიგოლ ჭავჭავაძეს, მაგრამ სამახარობლო შედლუხის გამართვა აღარ დასჭირდა. ქონგურებიანი ციხის მესამე სართულიდან გამუდმებით ისმოდა სროლის ხმა. მართლაც და როგორც პოეტი აღნიშნავს: „ის დაიბადა, როგორც თქმულება, კოშკში, რომელსაც სარკმელი არ აქვს, სათოფურიდან ცას გაჰყურებდა და მთებზე გაშლილ ნისლების კარავს. კოშკს გალავანი ერტყა მთლიანი, დურუჯის ქვებით ამაღლებული და ჩირაღდანი ელვის ფრთიანი იყო მის ქიმზე გაჩაღებული. ასე ამცნობდა ყვარელი თელავს, რომ შემოიჭრა მტერი გულშავი! ხმალამართული ღელავდა ყველა, როგორც სამშობლოს ფიცხი გუშაგი“.

ვრცლად ამოვწერეთ ადგილი ლექსიდან, რადგანაც დიდი ისტორიული სიმართლითაა აღწერილი ილიას დაბადება და ამქვეყნად მოვლინება. სამშობლოს მეციხოვნეობა და მისი გადარჩენისათვის ბრძოლა დაანათლა ბედმა ილიას დაბადების დღიდანვე.

მურმან ლებანიძე თავის ღრმა და მრავალსახოვან ლირიკულ ლექსებში ბევრჯერ იხსენებს ილიას; იხსენებს, როგორც სწორუპოვარ წინაპარს, როგორც საქართველოს ძლიერების მეორე სვეტს (პირველ სვეტში გულისხმობს დავით აღმაშენებელს), და ნანობს, რომ ჯერ მათი მსგავსი მესამე სვეტი არა ჩანს. სხვა შემთხვევაში იხსენებს მეცხრამეტე საუკუნეს ტკბილ-მწარედ: „საუკუნე – წყლულით! საუკუნე – ცდით! მეცხრამეტე კრული და ჩვენ ცრემლის ღვენთით... კი, ჩვენ სპარსმაც გვწველა, სხვათ – კისრები გვღადრეს, მაგრამ „ძაღლის ენა“ აქ, ცხრამეტში გვკადრეს“.

მაგრამ პოეტი არ ღალატობს სიმართლეს და იმასაც აღნიშნავს და აღიარებს, რომ იმავე მეცხრამეტე საუკუნემ გამოაფხიზლა ქართველი ერი. აკი უფასებს კიდეც ამ დამსახურებას და გულახდილად აცხადებს: „მიყვარს საუკუნე (გულისხმობს XIX საუკუნეს, ი.ბ.) გატეხილი ძვრებით, მარად გაუხუნარ სამოციან წლებით“. ამ შემთხვევაში პოეტი გულისხმობს იმ წლებს, რომლის შესახებაც ს. ხუნდაძე აცხადებდა: „სამოციანი წლები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების რენესანსად უნდა ჩაითვალოს,“ რომლის „მეთაურობა უცილოდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის“. აკი მურმანიც დასძენს – მეცხრამეტე საუკუნე „მიყვარს პირველყოფილის თერგდალეულთ ხათრით!“

ვინ არ იცის, რომ ამ თერგდალეულთაგან, ყველაზე მეტი ილიასი ეხათრება და ეკრძალება პოეტს. ეს იგრძნობა მისადმი მიძღვნილი ლექსებიდანაც, სადაც აღიარებულია მისი სწორუპოვრობა და თვალშეუდგამობა. „ვერშემძლებელნი ზეკაცურის საქნარის შენის – ვერც მეათედის! – ფეხის ნადგამს დღეს შენსას ვკოცნით“, რადგან მან შექმნა „ერი ქართველის ხელახლა ერად“. დღესაც, როცა ცხოვრების ქარაშოტი გრიალებს ველად... შეჭირვების ჟამს“ საქართველო ისევ მას ეკითხება: „აწ საით?.. რა გზით?!“

დიახ, ვინც კი ილიას ნაფიქრ-ნააზრევს ღრმად ჩასწვდება, უეჭველად იპოვის დასაბუთებულ აზრსა და შეხედულებას ყველა იმ პრობლემის შესახებაც კი, რომელიც ცხოვრებამ დააყენა თვით ატომის საუკუნეში. ეს გამოწვეულია იმით, რომ თუმც იცვლება საზოგადოების ფორმაციები, იცვლება შეხედულებანი, ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, ადამიანი მაინც ბუნების შვილად რჩება და მისი ბუნებრივი გრძნობა სიყვარულისა, სიძულვილისა, მწუხარებისა და სიხარულისა მარადიულია და ადამიანობის დამადასტურებელია.

სხვადასხვა მიზეზებით ამღვრეულ ცხოვრების მდინარეში ილიას ღვთაებრივი გონება დიდი გულთამხილაობით სწვდება მის მამოძრავებელ კანონებსაცა და ადამიანის სულსაც. მან უტყუარად იცოდა, თუ რა წვლილი მიუძღვის ადამიანს ცხოვრების წინსვლაში თუ უკუსვლაში და თვით ცხოვრებაც როგორც ანათებს ან აბნელებს ადამიანის გონებას. ამის გამო პოეტი ცამდე მართალია, როცა ყოველი შეჭირვების ჟამს ილიას ნათელ სულს მოუხმობს და ჰკითხავს – „აწ საით? რა გზით!“

ილიას დამარხვა ისევე შეუძლებელია, როგორც „წყალში ჩავარდნილ მოელვარე მთვარისა... „მისთვის ჩვეული პათეტიკით აცხადებს მუხრან მაჭავარიანი. შეუძლებელია!, რადგან ეს ის კაცია, რომელმაც ჯვარი პატიოსანი – სიმბოლო უდიდესი ჰუმანიზმისა; სიწმინდისა და მამულიშვილობისა იტვირთა და ზიდა თავდაუზოგავად, მუხლჩაუხრელად, სასახელოდ და სამაგალითოდ, ზიდა გოლგოთაზე უფრო ციცაბო გზითა და ბილიკით. მართლაც, საქართველოს ბედის მტვირთაობა ეგებ უფრო ძნელიცაა, ვიდრე ქრისტეს ჯვრის გოლგოთაზე ატანა. ამის გამო არ შეიძლება არ დაეთანხმო პოეტს, როცა აცხადებს: „საქართველო, – გოლგოთაზე უფრო ციცაბოვ!“

აჭარისადმი ილიას დიდ ამაგდარობას იგონებს ფრიდონ ხალვაში. და მართლაც, როცა აჭარის შესახებ ჩამოვარდება საუბარი, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს დიდი ექსტაზით წარმოთქმული ილიას სიტყვები: „ეგრეთ მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი...“ აჭარის ყოველი ჭრილობა მთელ საქართველოს სტკიოდათ, – სამართლიანად აღნიშნავს ფრიდონ ხალვაში და მერე ილიას მისამართით ამბობს: „იგი ჭრილობაგტკიოდა შენაც, გეხვია ჩემი წინაპრის დარდი, შენი ნაღვლი და გულის ტკენა იცოდა მან და მიტომ უყვარდი“.

აქ არაფერია გაზვიადებული და პანეგირიკული. ილია იმთავითვე დიდად მზრუნველობდა ამ საუკუნეებით ნატანჯ ხალხს. ეს ხალხიც გრძნობდა ამ ზრუნვასაცა და ამ ზრუნვის ნაყოფსაც. ამიტომ უყვარდა და ახლაც უყვარს აჭარლებს ილიას სახელიცა და მისი უკვდავი შემოქმედებაც. ყოველივე ეს ნათლად და გულწრფელად ასახა ფრიდონ ხალვაშმა.

„ილიას კლავდა! – თუ იცოდა, ნეტა, ვის კლავდა?..“ – კითხულობს შალვა ფორჩხიძე. და მე შემიძლია, ვუპასუხო პოეტს: დიახ, იცოდა, კარგად იცოდა, რომ ილია იყო ყოველმხრიდან შეუვალი იმდაგვარი ინტელექტი, რომელთანაც შერკინება პიტალო კლდეზე უმიზნო თავის ხეთქება და თავის მტვრევა იყო, მრავალგზის სცადეს მისი გალუნვა და როცა იგრძნეს თავიანთი უსუსურობა, გადატეხეს. გადატეხეს ისე, რომ მისი ინტელექტის და აზროვნების ღრმა ფესვები ოდნავადაც ვერ შეარყიეს. მისი სიკვდილი მეძროვე წუთისოფლის სტუმრებს დაეჯერათ. ჭეშმარიტ მოაზროვნეთ კი იმთავითვე განაცხადეს: „უნდა უკვდავი აღმოცენდეს შენს სულში ფესვი!“ ეს ასეც მოხდა. მის სახელსა და ნააზრევს ჟამთა სრბოლამ ვერარა დააკლო, პირიქით, უილიოდ საქართველოს ერთ დღესაც არ უცხოვრია. სიკეთის გზაზე მავალთ მის დაუკითხავად, მისი დასტურის გარეშე ფეხი არავის გადაუდგამს. და აკი პოეტიც შენიშნავს: „...საქართველო უილიოდ ვერა ვერ გასძლებს“. მართლაც, რაც კი რამ ღირსება გაგვაჩნია პიროვნებას თუ მთლიანად ერს, ყველაფერს სცხია მისი მადლი და მირონი, ხოლო რაც ხელს გვიშლის, რაც ჩვენ ეროვნულ თუ ადამიანურ ღირსებას ბღალავს, მის აღსაკვეთად დღესაც ბობოქრობს, დღესაც ბრაზობს და ბუბუნებს ბრძენი. მართალია შ. ფორჩხიძე, როცა აცხადებს: „უილიოდ საქართველოს მზესა და ჩეროს

როგორ ვუყუროთ, რომც ვუყუროთ, რად ეჭირება?..“

ნოდარ შამანაძეს ილია აგონებს მითიურ ამირანს, მაგრამ იგი საბოლოოდ დაასკვნის, რომ „თუმც იყო ძნელი თავის დროზე ამირანობა, ილიაობა გაცილებით უფრო ძნელი“.

და მართლაც, ილიაობა ძნელია, რადგან, ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს, „იქნება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავის ერისათვის, რამდენადაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის...“

ჯანსუღ ჩარკვიანმა დაწერა ილიასადმი მიძღვნილი ლირიკული პოემა „მგლები“. იგი იწყება წიწამურის ტრაგედიის გახსენებით. ილიას მკვლელებს ჯ. ჩარკვიანი მგლებს ეძახის, რომლებიც უჩინარმა ხელმა ტყეში შერეკა და ჩაასაფრა ბრძენკაცზე თავდასასხმელად. ეს უჩინარი მგლის მწრთვნელნი მაინც ვერ გაუჩინარდნენ, ან როგორ გაუჩინარდებოდნენ, როცა პოეტი ირწმუნება: „ათასი წლის წინ ვგრძნობდი, ვტიროდი, ვიცოდი ვისაც უნდა მოეკლა“. დიახ, ათასი წლის წინ კი არა, მითიური აბელისა და კაენის დროიდან ცნობილია, რომ კეთილს ბოროტი სდევნის და კვალდაკვალ დასდევს.

მგლებმა მსხვერპლი გაწირეს, მაგრამ ვერც ისინი და ვერც მათი მწრთვნელები საწადელს ვერ ეწივნენ. ამის გამო მორთეს საზარელი ყმუილი: – „გაწრთვნილი მგლები ყმუოდნენ, უბრალო მგლები კი არა, ცას აჩნდებოდა ყმუილი, როგორც გახსნილი იარა“. ამის გამო პოეტი ნიშნის მოგებით მიმართავს: „არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, ცას შეხსნა რკინის კარით, ცრემლად დასდინდა სოფელსა, იმისი ცოდვა-ბრალით. ვაი, თქვენ უცხოთ შვილებო, ვის მტერს აუბით მხარით, ვისი ნაძლევი მიირთვით, ან ვისი ნასამხრალით“.

მართლაც, ყოველნაირად გამგელკაცებულს და გამათხოვრებულს შეეძლო შეხებოდა ილიას ნათელ შუბლსა და ქვეყნისათვის მარად მფეთქავე გულს.

პოეტი ბოლოს ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმას მიმართავს და ურჩევს: „უსინათლო წუთისოფელს მოევლინე, ვით ილია, თუ მოკვდები იმისათვის, – ბედნიერი სიკვდილია“. და მართლაც, სისხლხორცეულად გიყვარდეს შენი სამშობლო, ასევე სისხლხორცეულად უყვარდე შენს დამბადებელ ერს, ამის გამო მოუნელებლად სძულდე შენი სამშობლოსა და ერის მტრებს და ამ სიყვარულისათვის გკლავდნენ, გინდა თუ არა უნდა დაეთანხმო პოეტს, რომ ასეთი სიკვდილი ბედნიერების ტოლფასია. ეს იწვევს მოურჩე-

ნელ ტკივილს, მაგრამ ამ ტკივილში არის რაღაცა დიდი და დაუძლეველი ძალა, რომელიც უკვდავებასთან არის წილნაყარი. ამიტომ გასაგებია პოეტის აღსარებაც: „ცრემლს არ ვაჩვენებ მთაწმინდას, ისე დაგაშრობ ტირილო, რომ გიმკურნალო, არც მინდა, მოურჩენელო ტკივილო".

შალვა აფხაიძე ლოცავს „ვინც ღიმილით მთაწმინდაზე ასულა, „როგორც ღირსეული, რომელსაც „გულით განუცდია წიწამურის ნაღვერდი".

ხარიტონ ვარდოშვილი ილიას უწოდებს „ჩვენი ქვეყნის დიდებას. „ლოცავს იმ დედას, ვინც შობა და „უტკბილესი რძე აწოვა".

ანდრია სინაურისათვის ილია იყო და დარჩა „პოეზიის ქარტეხილად".

პოლიო აბრამიას აზრით: „ვიდრე ცაზე არ გამქრალა მზის ელვარება, ქართველს ყვარელი და ილია სულ ეყვარება".

ვიქტორ გაბესკირია კრძალვით და რიდით ესასოება თარაანთ ქეროვს და ბოლოს დასძენს: „მინდა დამეცეს ერთი წვეთი მე იმ სანთლიდან, ქვრივო, ქმარშვილის სადიდებლად რომ დაგინთია".

„ჩვენ რომ ნათელი ფიქრი გვფარავს, - შენი ჩრდილია", - მიმართავს ილიას აჩრდილს ალიო მირცხულავა.

„რაა? ტბის ძირას ჩვენი აკვანი, ცრემლმა რამდენჯერ უნდა დაფაროს?! - დანანებით ამბობს კარლო კალაძე, რომელსაც ილია ამ აკვანში გაზრდილ გმირად ესახება.

მარიკა ბარათაშვილის აზრით ილია არ მოკვდება, „ასი ტყვიაც რომ დაახალონ".

ირაკლი აბაშიძე ილიასა და აკაკის დიდ მეგობრობას იხსენებს, რადგან „დღეს მათი შუქი უფრო ანათებს, დღეს მათი სხივი უფრო თბილია, გვაძმობს, გვაერთებს, გვაწრთობს, გვამაღლებს ჩვენი აკაკი, ჩვენი ილია".

ვარლამ ქურულის აზრით ილია იყო „სინდისი ქართლის".

თეიმურაზ ჯანგულაშვილი ილიას მჩქეფარე შემოქმედებას ადარებს იმ წყაროს, რომელსაც მთელი საქართველო სვამს.

წიწამურის გზაზე მიმავალ ოთარ მამფორიას „პატარა კენჭიც ილიას შუბლში ნასროლი ტყვია" ჰგონია.

ნაზი კილასონიასათვის ილია „იყო მოგვი, რომელიც დღესაც ლოცვად დგება ჩვენთვის".

ზურაბ კუხიანიძის აზრით ილიამ მტრის ტყვიას შუბლი იმის გამო შეაგება, რომ „საქართველოს არ მოჰხვედროდა".

ანზორ აბულაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „წიწამუ-

რის გარდა მოგვირჩება ყველა წყლული". პოეტი იმასაც ნანობს, რომ ვილაც ბოროტის გასროლილმა ტყვიამ გვაქცია მამის მკვლელებად.

ამავე სინანულით არის შეპყრობილი მედეა კახიძე, როცა მასთან სტუმრად მოსულ პან მარიას წიწამურთან გავლისას ამცნობს: „აქ მოხდა მკვლელობა სამარცხვინო".

ილიასადმი ღრმა სიყვარულზე, მის სწორუპოვარ ამაგდარობაზე და მამულიშვილურ ღირსებაზე საუბარი ილიასადმი მიძღვნილ გრ. ცეცხლაძის, ა. ქუთათელის, გ. კაჭახიძის, რ. მარგიანის, შ.ამისულაშვილის, ვ. გორგანელის და სხვათა ლექსებში.

იშვიათია პოეტი, რომელსაც ილიასათვის ლექსი არ მიეძღვნას, მაგრამ ჩვენს წერილში ყველა ავტორის ხსენება და ლექსის მიმოხილვა არ დაგვისახავს მიზნად. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, – რაგინდ დამსახურებულიც უნდა იყოს პიროვნება, რომელსაც ეძღვნება სხვადასხვა დროის, სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და განსხვავებული ნიჭის პოეტთა ლექსები, ნებსით თუ უნებურად თავს იჩენს ხოლმე პანეგირიკული ინტონაციები და დითირამბული სტრიქონები. ჩვენ ვეცადეთ ამ ვრცელი მასალიდან გამოგვეკვეთა პრობლემური საკითხები, რომელიც იხე თავს არსად იჩენს ხოლმე, როგორც ილიასთან ურთიერთობის ჟამს. ჩვენ ჩვენდათავად სწორედ ეს საკითხები დავძებნეთ და მათი წინა პლანზე წამოწევა ვცადეთ.

ილიას დიდი ცხოვრება და შემოქმედება შთაგონების წყარო გახდა არა მარტო პოეზიისა, იგი აისახა დრამატურგიაშიც, პროზაშიც, მუსიკაშიც და სახვით ხელოვნებაშიც.

რაც დრო გავა, მით უფრო რომანტიკული და მიმზიდველი გახდება მისი სახება. ეს იმის დასტურია, რომ მართლაც, ორჯერ დაბადებულს ერთხელ სიკვდილი ვერას დააკლებს.

## ერის წყლული აჩნდა წყლულად

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა, თავისი დამბადებელი ერის სულიერი პირმშოა, მისი ზრახვათა მოზიარე, მისი სიხარულისა და მწუხარების შემგრძნობი და განმცდელი.

თვით მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკური ნაწარმოები, რაც გინდ საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს შეიცავდეს, უპირვე-

დეს ყოველისა, მისი ავტორის დამბადებელი და აღმზრდელი ერის სულიერი ძლიერების ანარეკლია. რადგან ყოველი შემოქმედი ერის შინაგანი პოტენციის ხორცშესხმა და გამოვლინებაა, ისევე, როგორც ნიადაგს გარეშე ვერსად და ვერავითარ პირობებში ვერ იხარებს და ვერ აყვავდება ნაყოფის მომცემი ხე, ან მცენარე, ასევე უეროვნოდ არ შეიძლება შემოქმედმა შექმნას არამც თუ კლასიკური რამ ქმნილება, თუნდაც ყურადსაღები ნაწარმოები. მიზანსწრაფვის გარეშე პაერში ხელების პრეტენზიული სავსავი და შორიდან ღრუბლების პოტინი შემოქმედს აუცილებლად კოსმოპოლიტიზმის ჭაობში ჩაახრჩობს.

ყოველი ქმნილება თუკი მას გენიის მირონი და მადლი სცხია, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ღრმად ეროვნულია, ამავე დროს სხვათათვისაც ყურადსაღები და შესაგრძნობი.

პოლიტიკური თუ იდეური კრიზისის დროს ხელოვნების დიდსა და წმინდა მდინარეს ხამუშ-ხამუშად შემოერევა ხოლმე სხვადასხვა სახის დეკადენტიზმის მღვრიე და პრეტენზიული ტალღა. მაშინ არის ხოლმე ცდები ხელოვნება მოსწყვიტონ ეროვნულ დედა ძარღვს და, ეგრეთწოდებულ, ზოგადკაცობრიული ღრუბლების ჩრდილს შეაფარონ თავი. აზრისგან წრეტენ ხელოვნებას და თავი ტკბილხმათათვის მოვლენილ სირინოზებად მოაქვთ. აზრადწრეტილი ხელოვნება კი აღარ ხმატკბილობს, ყურს აღარავინ უგდებს და მათი მოდერნიზმი თუ აჩემებული „ინტელექტუალიზმი" ქარისაგან დაფლეთილ ღრუბელივით ცასა და დედამიწის შუა რჩება გამოკიდებული.

ილია ჭავჭავაძემ იმთავითვე უარყო მარტო ტკბილხმათათვის ენააცრილი პოეზია. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას აუცილებელ კომპონენტად მიაჩნია მგრძნობელობა და ემოციურობა. მაგრამ ეს ტკბილი ხმა არ უნდა იყოს უაზრო, უშინაარსო და, რა თქმა უნდა, უმიზნო.

ილიას სწამს, რომ შემოქმედებითი უნარი ბუნების მიერ მომადლებული ღვთიური ძალაა, რომელსაც ერი ზრდის „მიწიერი ზეციერსა". ამის გამო ხელოვანი ვალდებულია თავისი ქნარით წინ უძღოდეს ხალხს. ერის წყლული უნდა აჩნდეს წყლულად. „მის ბედით და უბედობით ედაგებოდეს მტკიცე გული". მოსწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლები, „მარად და ყველგან" მასთან იყოს, როგორც მისი „თანამდევი უკვდავი სული". მამულზე ფიქრით ძილგამფრთხალი ფხიზლად უგდებდეს ყურს მის მაჯისცემას. ამ ფიქრმა უნდა აღძრას გრძნობათა ტალღა, რომელიც შეუჩერებლივ იძვრის პოეტის გულში. მიუხედავად ასეთი ტანჯვისა, ის მაინც კმაყოფილია იმით, რომ მისი დღენი ილევა მამულის ბედზე ფიქრსა და სიყვარულში. შემოქმედი მოუსყიდველი მსახური უნდა იყოს თავისი ერის. „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში" – მიმართავს ილია კალამს. ჩვენ

ჩვენს მიზანს მტკიცედ ემსახურონ, თუნდაც ამდენ ხალხში კაცი ვერ ვიპოვოთ ჩვენ წმინდა ფიქრთა თანაზიარი.

პოეტს ერის დირსება მუდამ უნდა ადაფრთოვანებდეს, აამაყებდეს, მაგრამ თვალი არც ნაკლს უნდა აარიდოს. მხილება ერის მცდარობისა მისი უპირველესი მოვალეობაა. მხოლოდ ბრიყვს ეწყინება მართალი სიტყვის მოსმენა. „კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

ილია არა ერთხელ ეხება, როგორც მხატვრულ თხზულებებში, ისე პუბლიცისტიკურ წერილებში მწერლის როლსა და დანიშნულებას ერისა და საერთოდ კაცობრიობის ცხოვრებაში.

„პოეტის სიტყვა ხელოვნური საგანძურია, - აღნიშნავს ილია - სადაც ერი პპოებს ხოლმე თავის უკეთეს ნააზრსა და ნაგრძნობს, თავის უკეთეს სულთა სწრაფვას, თავის იმედსა და სასოებას, თავის თავმოსაწონებელ გულისძგერას, თავის ჭირსა და ლხინსა, თავის ენისა და მეტყველების სიკეკლუცეს, მშვენიერებას და ერთობ თავის სულიერ საუნჯეს. იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს“.

შემოქმედმა ეს დიდი მისია რომ შეასრულოს, ღვთიურ ზეშთაგონებასთან და მადლთან ერთად მის გულს უნდა ამოძრავებდეს თავისი დედასამშობლოსი და საერთოდ ადამიანის დიდი სიყვარული. ის განბანილი და განათლული უნდა იყოს ჰუმანიზმის ემბაზში. კაცთმოყვარეობის გრძნობა იზიდავს მას იმ ოლიმპოზე საიდანაც მოჩანს თავისი ქვეყნის და მასთან ერთად კაცობრიობის წარსული, აწმყო და მომავალი. მისი ხილვა მწერლისათვის და გათვალისწინება ერის ჭეშმარიტი მოძღვრისათვის აუცილებელია.

ერსა და კაცობრიობას ერთად იმის გამო ვახსენებ, რომ თუმცა ყველა ხალხს აქვს და აუცილებლად უნდა ჰქონდეს კიდეც თავისი ეროვნული ეთიკის, ზნეობის, ენის, ტრადიციისა და ტერიტორიის ფარგალი, მაგრამ არც ერთ წინსვლის მოსურნე ხალხს არ ძალუძს ფეხი არ ააყოლოს კაცობრიობის ფეხის ხმას. ყველა ხალხს, დიდია თუ პატარა, აქვს უნარი შეიტანოს თავისი სულის წმინდა ნაწილი კაცობრიობის კულტურის საგანძურში, თუ ნიჭს მიეცემა გზა ფართო და წინ არ გადაეღობება რაიმე ტლანქი ძალა. აქვე უნდა ითქვას - არც ერთ ცივილიზირებულსა და რიცხობრივად მრავალ ხალხს არ აწყენს ეზიაროს თუნდაც მცირე ერების კულტურას. დიადობა, ყოყოჩობა, მე ვარ და ჩემი ნაბდის ძახილი, არც ცალკეულ პიროვნებას უქადის სიკეთეს და არც რომელიმე ერს.

ილია დიდ დანაშაულად თვლის, როგორც პიროვნების, ისე რომელიმე ხალხის შემოქმედებითი უნარის დახშვას და დაბრკოლებას. „დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდაც ცალვე პატარა ერს ნიჭი შეუკრა, შე-

ბოჭო, სიკეთის დონე შეუხუთო".

ხელოვნების ციური ცეცხლით ანთებული გული და გრძნობა მზესა ჰგავს - რასაც კი მიაწვდენს თავის ნათელ სხივს, ყველაფერს ათბობს და ანათებს. ცაზე გაჩენილმა ღრუბელმა შეიძლება სხივებს მცხუნვარება მოაკლოს, მაგრამ მზის დაბნელებას კი ვერასოდეს შესძლებს. ღრუბლებს, ადრე იქნება თუ გვიან, ქარი გადაჰყრის და მზე კვლავ მზედ დარჩება ცაზე. შემოქმედი ამ გამარჯვებას და აღიარებას ადვილად როდი აღწევს. ილიას თქმისა არ იყოს, „თითო სიტყვას თითო კოშტი სისხლი თან ამოსდევს". მიუხედავად ამისა ჭეშმარიტი შემოქმედი ამ ტანჯვის დროსაც თავისებურ შვებასა და თვითკმაყოფილებას გრძნობს. შემოქმედმა რომ ეს მისია განახორციელოს და იყოს ნამდვილი მოძღვარი ხალხისა, ამისათვის მან წინასწარ უნდა მიიღოს დიდი ცოდნა და წრთვნა, რადგანაც „ცარიელი, მოუმზადებელი, უწრთვნელი ნიჭი არ - გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერაფერს შესძლებს ლიტერატურის სარბიელზე".

ამის მერე მწერალი უნდა „ჩაეიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურვილებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა. არც ერთის გამოხატვა უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა". ყოველივე ეს ჯერ კიდევ საკმარისი არაა. მწერალს უნდა ჰქონდეს გარემო პირობები და ამავე დროს უფლება და საშუალება, რათა თავისი ნაზრახავ-ნაფიქრალი მიიტანოს ხალხის გულამდე. ხელოვანსა და ხალხს შორის არავინ უნდა ჰყოფდეს ბიუროკრატიზმის ტალახში დასვრილ დინგს და არც უნდა სთიშავდეს ხალხს და ხელოვანს, არავინ უნდა ზღუდავდეს მის ფრთაშესხმულ ოცნებას.

„ამისთანა ქვეყანაში, - ამბობს ილია, - სადაც ცხოვრება ხავსმოკიდებულ გუბესა ჰგავს, ე.ი., ჭიაღუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწერალმა რა უნდა ჰქნას?.. საგანი არ არის გარემო, რომ მწერალმა მასზე შეაჩეროს თავისი გრძნობის თვალი და მკითხველის ყურადღება, თუნდ რომ ათასში ერთი მოიპოვებოდეს კიდეც, თქმაც ძნელია, იმიტომ რომ წყლით ივსებენ პირს".

ილია მტერია ყოველგვარი უიდეო და უმიზანსწრაფო შემოქმედებისა, მაგრამ უფლების მპყრობელთა მიერ წინასწარ ტენდენციურად გამიზნული და დამტამბული „იდეის" ქამანდში თავის გაყოფა მწერლის მოხრჩობად მიაჩნია. ჭეშმარიტი შემოქმედის მუზა ვერ იტანს, ეგრეთ წოდებულ, მტარვალის ჩრდილსა და მით უმეტეს, მაგარ ხელს. გენია მხოლოდ ეჩვმიუტანელ თავისუფლების ვითარებაში შლის მარად დაუკეცელ ფრთებს.

ხელოვნებას ილია უცქერის, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების

სათავეს, მის შეუქრობელ ჩირაღდანს. ამ შემთხვევაში მას ხელოვნება მიაჩნია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცნიერების სისხლხორცეულ ნათესავად. აი, რას ამბობს ამის შესახებ: „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა; მსოფლიო – ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზე დაწერილი. მეცნიერება ამას თარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათებითა".

მეცნიერებაცა და ხელოვნებაც ერის სულიერი ძალღონეა. სწორედ ერის ინტერესები ბადებს საერთო და საკაცობრიო პრობლემებს, რომელსაც მეცნიერება და ხელოვნება აყენებს ხოლმე ცხოვრების წინაშე.

ერის ინტერესებიდან გათიშული მეცნიერება და ხელოვნებაც აგორებულ ქვას ჰგავს, რომელიც, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის ხოლმე, ხავსს ვერ მოიკიდებს.

ილია დიდად აფასებს არა მარტო ხელოვნების ჭეშმარიტ ქურუმთ, ნიჭის მცირედ გამოვლინებასაც არ ტოვებს უყურადღებოდ. ამავე დროს იგი იყო მტერი ყოველგვარი უნიჭობისა, ძალად ტმასნია ლიტერატურისა, რადგანაც მას სწამდა, რომ „უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გულსა და სულს მკითხველისას".

ილია იყო ერთი იმ ნათელსხივოსანი მოღვაწეთაგანი, რომელიც თავს დასტრიალებდა ახალბედა მწერლებს, არ აკლებდა მათ სტიმულისათვის საჭირო ალერსს, მაგრამ სიმართლეს არ უმალავდა. ყოველთვის აგრძნობინებდა, რომ სამწერლო მოღვაწეობა არაა ადვილი საქმე. ამისათვის დიდი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებაა საჭირო. მამობრივად მოძღვრავდა: „თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩემო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა, ნუ გეშინიათ, იგი არ დაგემალებათ არსად. იგი თავის დროზე გადმოხეთქავს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა.ოღონდ.. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვას შესძინოთ რამე".

ასე სათუთად ექცევა ილია იმ ახალგაზრდობას, რომელიც კრძალვითა და უტყუარი ნიჭისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით აპირებს შემოსვლას პოეზიის საბაღნაროში. მაგრამ, ეგრეთ წოდებული, ახალი თაობის წარმომადგენელნი კი, რომელთაც ყოველგვარ ძველს წიხლების კვრა დაუწყეს და ყვირილით ცა და მიწა შეძრეს: „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი, გამთენებელი ღამისაო" ილიამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა, სასტიკად გაკიცხა – „ყველა ჩხავანა ახალთაობა არ არის, ახალი თაობა გონიერებაა, ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი".

ხელოვნებაშიც და ცხოვრების სხვა სფეროშიც ახალი ნაკადის

მოსვლა ბუნებრივი და სასიხარულო მოვლენაა, მით უმეტეს, როგორც იტყვიან, თუ შვილი სჯობს მამასა, ამ შემთხვევის გამო ამბობს სწორედ ჩვენი ბრძენი რუსთაველი: „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა". რა თქმა უნდა, ასეთი ასაკობრივი ცვლის დროს არ შეიძლება ვილაპარაკოთ ახალ თაობაზე და ახალ მიმდინარეობაზე. ახალი თაობის პრეტენზია მას აქვს, ვისაც რამე ისეთი სიახლე მოაქვს ხელოვნებაში, რომელიც სჯობს მანამდე არსებულს, ანდა აუმჯობესებს მას. ხოლო წინასწარ აკვიატებული ორიგინალობა არაა ნამდვილი ორიგინალობა. ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს, რომ ასეთ თვითმარქვია „გენიოსებს" რაიმე წვლილი შეეტანოთ ხელოვნების სფეროში. ასეთი თაობები დრო და დრო თავს იჩენენ ხოლმე ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. ეს ხდება მაშინ, როცა ესა თუ ის თაობა ეშვდება თავის ეროვნულ თვითმყოფადობაში და განიცდის უცხოეთის გავლენას. ამ დროს მოდუნებულია ეროვნული თავდაჯერისა და ღირსების გრძნობა. როცა ბატონდება შეზღუდული პროვინციალიზმი. ამ დროს ყოველგვარი უცხოური ცივილიზაციის უკანასკნელ სიტყვად ეჩვენებათ და ყოველგვარი ეროვნული, თუნდაც დიდად ღირებული, კრიტიზმად. ასეთი გზით ამღვრეულ მდინარეში მშვენივრად ბანაობენ ყოვლად უნიჭონიც კი. ასეთი, ეგრეთ წოდებული, თაობები ყოველთვის მოწყვეტილნი არიან ეროვნულ ნიადაგს და ვერასდროს ფეხს ვერ იკიდებენ ხალხის სულსა და გულში, რომელთა აღიარების გარეშე ყოველგვარი ხელოვნება ქარისაგან გარიყული და დამსხვრეული იალქანია. ისინი ამ შემთხვევაში წყალმცენარეებსაც გვანან, რომლებიც წყლის ზედაპირზე ტივტივებენ, მცენარის სახელს კი იმკვიდრებენ, მაგრამ ვერც არა დროს ნაყოფს იძლევიან და ვერც არა დროს – მერქანს.

ეს თაობები, როგორც კი იგრძნობენ ხოლმე, რომ მათი ფხარფხარი უნაყოფოა, ბოლოს შუბლდაღრუბლული აცხადებენ ხოლმე, რომ ქვეყნად ყველაფერი არარაობაათ. ამ ამოკნავლებაში ხედავენ თავიანთ ღრმა ფილოსოფიას და მსოფლიო სევდას. ასეთ გზააცდენილ თაობათა შესახებ ილია ამბობს" „აბა კვალში ჩაუდექით ყველა მყვირალს, – ახალი თაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, ჰკითხეთ ამ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალი თაობის ბერიკაა და არა ახალი თაობის კაცი".

ასეთი, ეგრეთ წოდებული, თაობები ერთგვარ ამინდსაც კი ქმნიან მაღალი გემოვნების პრეტენზიებით. ირწმუნებიან, რომ თუ თანამედროვეობა ვერ გვიგებს, მოვა დრო, როცა გვაღიარებენო. ეს, რა თქმა უნდა, თვითდამშვიდებაა, პირიქით, მოვა დრო, როცა „დაუნდობელი სიმართლე კრიტიკისა გაგზავნის თავის დაუნდობელ ჯოჯოხეთში".

ხელოვნება, წინ სწევს ცხოვრებას. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს ადამიანის სულიერი ფორმირების საქმეში. მაგრამ საზრდოს შემოქმედს თვით ცხოვრება აძლევს, ისეთი ხელოვნება, რომელიც ფესვებით ცხოვრების მსუყე ნიადაგს არ უკავშირდება და მის ტკბილ-მწარე ნექტარს არა სწოვს, ვერა დროს ხერხემალს ვერ გაიმაგრებს. ის მუდამ უდღეური იქნება, თუნდაც მას დიდი სურვილები და პრივილეგიები ამოძრავებდეს. ილია ამბობს: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზე ამოსული შტოები არიან“.

მას სწამს, რომ ყოველგვარი ცნობიერების ლიბო ყოფიერებაა და ისინი მუდამ ურთიერთზე მოქმედებენ. ასეთი საურთიერთო ზემოქმედების გარეშე ცხოვრება და, მით უმეტეს, ხელოვნება, რა თქმა უნდა, წინ ვერ წავა.

ამა თუ იმ ერს ისტორიის მსვლელობის გზაზე ზოგჯერ ისეთი დღეები უდგება, როცა თავის გადარჩენა მხოლოდ ხმლის ქნევითა და ფარის ფარებით შეიძლება, მაშინ ამის ბედი მის მესვეურთა მხედართმთავრულ გენიაზე და მკლავღონიერი მხედრების პატრიოტულ აღტკინებაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ კი იქმნება ისეთი ვითარება, როცა ხმლის ქნევა და ძალისადმი ძალის დაპირისპირება დონკიხოტობაა... თავისშეკვლა... ეს კი მტრის წისქვილზე წყლის დასხმას უდრის... ასეთ დროს ერის ფარხმალი მისი ინტელექტია... ეს ინტელექტი კი მისი მოწინავე ინტელიგენციის მესვეურთა უნარში, მოქნილობაში და საქმიანობაში ვლინდება. მწერლობა ასეთ დროს ერის მოჭირნახულეთა ყველაზე მოწინავე ნაწილსა და მაორგანიზებელ როლს ასრულებს, რადგანაც, როგორც ილია ამბობს: „ლიტერატურა ყოვლად ძლიერი ფარ-ხმალია,უჟნგარი მოსარჩლე და მფარველია ადამიანის ღირსებისა, უფლებისა და მოვალეობისა“.

მართლაც, გასული საუკუნის სამოციან წლებიდან დაწყებული, როცა ჩვენს მრავალგზის ნაწამებ ერს, კვლავ თავს დასჩხაოდა ყოფნა-არყოფნის „ავბედითი შავი ყორანი“, განა ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა არა ზიდეს ქართლის ბედის ჭირ-ვარამით პირთამდე დატვირთული მძიმე ეტლი. განა მათმა გენიამ, სიბრძნემ, დიდმა გულმა და ნათელმა სულმა არ შეგვინარჩუნეს მამულიშვილობის გრძნობა, ეთიკა, ზნეობა და, რაც მთავარია, დედა-ენა, ეგ მრავალჯერ დაიარებული, მაგრამ მაინც აუღებელი და გაულეწარი ციხე-გალავანი ერთვნებისა!

## ბუნება და ბუნებრიობის პრობლემები ილიას შემოქმედებაში

როგორც კი დავიწყე ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ გამეხსნა ისეთი რთული საკითხი, როგორიცაა ბუნება ილიას შემოქმედებაში, უნებურად დამებადა კითხვა: რა არის ბოლოს და ბოლოს ბუნება?! რა მიმართებაშია იგი ადამიანთან? ანდა რატომ ვყოფთ ადამიანს ბუნებიდან, როცა იგი მისი ორგანული ნაწილია.

რა ვუყოთ, რომ იგი გამოეყო მას, როგორც მოაზროვნე არსი.

უხსოვარი დროიდან ადამიანს სწამდა, რომ არა მარტო ყოველი ცოცხალი არსის მშობელია ბუნება, ბუნებავე ბადებს სხვა მოვლენებსაც, რაც კი ხდება სამყაროში. იცოდა ეს, მაგრამ არ იცოდა მისი მეცნიერული ახსნა, არ შეეძლო მის არსში წვდომა და ამ შეუძლებლობამ მიიყვანა იგი ბუნების მოვლენების გაღმერთება - გაფეტიშებამდე. ამის გამო იყო, რომ იგი აღმერთებდა და ლოცულობდა მზეს, როგორც სიკეთის ძალას; ქარსა და ღვარცოფს - როგორც ბოროტების სათავეს; მიწას - როგორც მასაზრდოვებელს; მთვარეს - როგორც ბნელის გამფანტველ მნათობს და, საერთოდ, ყოველივეს, რასაც კი მის არსებობასთან კავშირი ჰქონდა. ეს იმის მაუწყებელია, რომ ადამიანი იმთავითვე მიხვდა ინტუიციით - ბუნებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე არ შეეძლო არსებობა. ადამიანის ეს შეუმცდარი ინტუიცია ასევე შეუმცდარად დაადასტურა მეცნიერებამ.

მეცნიერებამ ისიც დაადასტურა და დაასაბუთა, რომ ბუნება არა მარტო ფიზიკურად გვშობს და გვასაზრდოებს, ზნეობრივადაც გვაფაქიზებს, სულიერად გვასპეტაკებს და გვამაღლებს.

ამ მიმართებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მეტად მრავალმხრივი და მრავალჟანროვანი მემკვიდრეობა.

ვფიქრობთ, ილია ბუნების ყოველ მოვლენას, როგორც შემოქმედი, განიცდის არა როგორც აზრისაგან დაცლილი ესთეტი, ან როგორც თვითონ იტყოდა, არა როგორც ტკბილ ხმათათვის მოვლენილი ფრინველი, არამედ როგორც მოაზროვნე არსება.

ბუნების გაუხუნარი ფერები და სურათები მასში ერთდროულად იწვევდნენ ესთეტიკურ აღქმასაც და აზრობრივ დატვირთვასაც. იგი რაღაც ძალდაუტანებლად, ქვეცნობიერად ახამებდა ღრმა ინტელექტსა და უწრფელეს გრძნობებს. საერთოდ აზრისა და ემოციის ორგანული შერწყმა-შენივთება ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის. ამაში დიდად ეხმარება მას ბუნების მოვლენები და მისი ფერადოვნება.

რუსეთიდან სამშობლოში მომავალი ილია გადახედავს თუ არა

ბობოქარ თერგს, პოეტური აღმაფრენა აიტაცებს და არ იშურებს საღებავებს თერგის დასახატად და ამ ხატებაში გვირისტდება ილიას აზრი და მრწამსი, რაც ქმნის იმ მონოლოგს, რომლის წაკითხვა ყოველთვის იწვევს ჩვენში ესთეტიკურ ტკბობასაც და აზრობრივ დატვირთვასაც. აი, ამის მაგალითიც „მგზავრის წერილებიდან“ – „დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდან გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აზღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა“. აქ ხატოვნად არის აღწერილი თერგის დაუდგრომლობა და მქუხარება, ხელშესახებადაა დანახული მისი მოძრაობის ყოველი ნიუანსი, მაგრამ მწერალი არ კმაყოფილდება მარტო მისი ხატოვნად აღწერით და შიგ დებს ღრმა აზროვნების მარცვალს „ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისას“. ეს მომხიბლავი სურათი და ღრმა აზრი ერთდროულად აღიქმება მკითხველის მიერ.

სულ სხვა აზრს ბადებს მყინვარის ხილვა. ჯერ ხატავს მის განუმეორებელ, მონუმენტურ სურათს და მერე აქაც მყინვარის თვისებებს უსადაგებს, ანდა უპირისპირებს თავის მრწამსსა და შეხედულებებს: „მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი, დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, – ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზე უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა“.

აქ ერთი რამაა სათქმელი და საგულისხმოც. ისეთი დიდი შემოქმედის ხელში, როგორიცაა ილია, ბუნების ესა თუ ის სახება თუ სხვა მოვლენა მოაზროვნე არსად იქცევა ხოლმე, ილიასავე ნაფიქრ-ნააზრევის და მრწამსის სიმბოლიკად არიან ქცეულნი.

ბუნების მოვლენებთან მჭიდრო კავშირში ქმნიდა ილია თავისი ლირიკის შედევრებს. ყვარლის მთათა მწვერვალებისა და შემოგარენის გარეშე ილია ვერასოდეს ვერ მისცემდა იმ ემოციურ დატვირთვას, რასაც იწვევს ჩვენში პატრიოტული ლირიკის უპირველესი მშვენება „ყვარლის მთებს“.

ამ ლექსში ნათლად იგრძნობა, რომ დამბადებელ მიწას, გარე

სამყაროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ზრდაში, წვრთნაში, ფიზიკურ და სულიერ წრთობაში. მთები, ტყეები, მდინარეები, ქარი, ღვარი, კლდის მოწყვეტილი ზვავები ქმნიან რაღაც საოცარ სიმფონიას, რომელიც ორგანულად ერწყმის დედის იავნანას და იმათივე სისხლსა და ხორცში უჯდება ამ ბუნების მოვლენების ზნე-ხასიათი და სიძლიერე. ამის გამო მოსწონს მგოსანს თავი, როცა აცხადებს- „ბუნებისა თქვენის ვარ შვილი". პირველად გახელილი თვალებით დანახული ცისა და პირველად ფეხდანადგამ მიწის დავიწყება არარა სულდგმულს არ შეუძლია. ამის გამოა, რომ სრულებითაც არ გვეჩვენება პოეტურ ჰიპერბოლად, როცა ჭაბუკი პოეტი აცხადებს: „თქვენ ჩემთან იყვით განუყრელად, ვით ჩემი გული, თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებით შეუღლებული".

ილია ბუნების სურათების აღწერის დიდი ოსტატია, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს სურათები ყოველთვის აზრითაა გაჯერებული. მტკნარ სურათს თითქმის ვერ მოუძებნის კაცი ადვილად, თუ ასეთი აღწერა შეგვხვდება, იგი ფონადაა გამოყენებული, ანდა მკითხველის გასამზადებლად, რათა განაწყოს იგი დედააზრის სასმენლად და აღსაქმელად. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს „ელეგია". ლექსის პირველ სტროფში, მართლაც, მხოლოდ ბუნების სურათია აღწერილი: „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა და თეთრი ზოლი შორის მთებისა და ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა".

ეს იდილია ეხმარება მწერალს გამოხატოს თავისი გულისტკივილი, რომელიც ამ იდეალური ყოფის კონტრასტს წარმოადგენს. ისეა სამყარო დადუმებული, რომ უბრალო ჩურჩულსაც კი გაიგებს კაცი. პოეტს ენატრება სანუგეშო ხმის გაგონება, მაგრამ: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!.."

ამ ლექსში ბუნების იდილიური სურათი და პოეტის შინაგანი ტკივილები ორგანულად შეერწყა ერთურთს და აკი მივიღეთ კიდეც ლირიკის ჭეშმარიტი შედევრი.

ილია „აჩრდილში" ვიდრე თავის სულის ორეულს, აჩრდილის სახეს გამოაჩენს, შეუდარებელი ოსტატობით ხატავს კავკასიონის თავგვირგვინა მთებსა და „ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ" მყინვარის იერსახეს. მედიდური მყინვარი „თითქოს ელის განკითხვის დღესა, რომ იგრიალოს, წამოიქუხოს, ხმელეთს დაეცეს, მერმედ ქვესკნელსა, თვით დაიღუპოს, ისიც დაღუპოს".

ამ მრისხანე სურათს ცვლის ისეთი „...ლამაზი დილა, რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი იმ დილის მადლსა დაემორჩილა". პოეტი უნდოდ უყურებს ამ გამოდარებას, რადგან ბუნების დარიანობა არაა ყოველთვის ადამიანისა და ქვეყნის ბედკეთილობის შესატყვისი. მგოსანი იცნობს წარსულსაც, აწმყოსაც და გამოცდილებით იცის: „ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია..."

სკეფსისით სულდადაღულ პოეტს თითქოსდა აღარაფრის სჯერა და სწამს, მაგრამ შეხეთ ბუნების მაგიურ ძალას რა შეუძლია: „ბოლოს კი დილის სიტკბოებამა, მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი და ყოვლად მხსნელმა სასოებამა მომცა ნუგეში მაცხოვნებელი. ვსთქვი თუ: „სადაც ცა ეგრე მშვირვალებს, დამე ესეთის დილით თენდება, სად მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს, იქ ძალუძს კაცსა ბედნიერება. ამა ნუგეშით აღძრული სული აღმევსო ნელის სიხარულითა, ეჭვთაგან წინათ გვემული გული განცხოველდა წმინდა სიყვარულითა“.

პოეტი მოხდენილად იყენებს ბუნების კონტრასტებს თავისი მრწამსისა და შეხედულების ნათელსაყოფად. ამავე დროს ხაზს უსვამს ბუნების უძლეველობასა და მის ყოვლის შემძლეობასაც. ერთ შემთხვევაში თუ ბუნების გროზმა სურათმა უიმედობით დაამშმუნვარა, მეორე შემთხვევაში, როცა მზის ნათელით ბრწყინდება ქვეყანა, გაუფანტა პოეტს ყოველგვარი ეჭვი და მომავლის რწმენითა და იმედით აღივსო.

აჩრდილის სიდარბაისლით წარმოთქმულ მონოლოგებში უხვადაა ბუნების სურათები ჩაწნულ-ჩაგვირისტებული, რაც საოცრად აძლიერებს აზრის სიცხადეს და მატებს ემოციურ ძალას.

საყურადღებოა ისიც, რომ პოემის ეპილოგი ბუნების იმდაგვარი დასურათხატებით მთავრდება, რომ ნაწარმოების მთელ დედააზრსაც აკონკრეტებს და პოეტური შარავანდედითაც მოსავს. „მსწრაფლ გადმოეშვა ცისა ლაჟვარდსა შვიდფეროვანი სარტყელი ცისა და გადეფინა ჩემს ქვეყანასა მახარობელად ტკბილს იმედისა“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განუმეორებელი შთაგონებით აქვს დაწერილი ილიას „კაკო ყაჩაღის“ შესავალი. იგი სამართლიანად ითვლება ქართული პოეზიის შედევრად. სულმოუთქმელად იკითხება და თავისთავად ამახსოვრდება მკითხველს. პოემის გმირები ბუნების შვილნი არიან და ბუნების კალთას შეხიზნულნი. უსამართლობის მსხვერპლი – ზაქრო, რომელიც თორმეტი წლის ასაკშივე მოწყვიტეს მშობლიურ კერას და მწყემსად განამწესეს, სასოწარკვეთილებაში ყოფნის ჟამს ყველასგან მიტოვებული, ბუნების წიაღში იქარვებდა გულის ჯავრს. მიჯდებოდა ხოლმე რომელიმე ხის ძირას და იქ მარტოკა დიდხანს ტიროდა. უმწიკვლო ყრმა და უმწიკვლო ბუნება ერთურთს ერწყმოდნენ, ერთურთს ავსებდნენ და ბუნების უტყვი ნუგეში ყველა მეტყველზე უკეთესად ამშვიდებდა ცხოვრების ავბედობით სულჩასეტყვილ ყრმას. და არა მარტო პატარა ზაქროს მფარველობდა დედა-ბუნება. იგივე ბუნება მფარველობდა მის თანამეინახე მის ბედში მყოფ სხვა მწყემს ბიჭებსაც.

დავაჟკაცებული და უსამართლობასთან მოჯუფთავე ზაქროსა და კაკოს ერთ-ერთი თავშესაფარი, ნუგეშიც და იმედიც ისევ და ისევ

კუდიგორის ჭალა გახდა – „საშიში, ბნელი, გულდახურული, შეუვალი და წამობურული". მაგრამ ამ ბნელი ჭალის ღირსება ისაა, რომ ტყის სამეფოში არაა მტრობა და გმობა. აკი ამან მიიზიდა კაკუცა და ზაქროც. ბუნების წიაღში თავშეფარებულნი უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე სულ-ხორციანად მოშხამულ საზოგადოებაში. აქ უფრო გაშლილია მათი „სახლ-კარი". აქ ბევრი რამ აკლიათ ტყის მეგობრებს, მაგრამ იქ ჭირიც უადვილდებათ, სადაც თვითვე არიან თავის პატრონი. მე რომ მკითხონ, ნაწარმოების ყველაზე მთავარი პერსონაჟი, მოქმედი გმირი სწორედ კუდიგორის ტყეა. ამ ტყის გარეშე მეტად უსუსურნი და მიუსაფარნი დარჩებოდნენ პოემის გმირები... ამ შემთხვევაში ეს გულდახურული ტყე თავშესაფარებელი სანგარი კი არაა, რომელიც მტრის მიერ გამოსროლილ ტყვიას ააცდენს მის მდგმურთ. არა, ეს ტყე მათთვის სავანეცაა, იმედიც, ნავსაყუდარიც და ზნესრულობის მაგალითიც. საკმარისია ეს იშვიათი შთაგონებით და სიყვარულით აღწერილი პეიზაჟი მოხსნა, რომ ნაწარმოები უსახო ჩონჩხად იქცეს.

დიდ როლს თამაშობს ბუნების მოვლენები „განდეგილში" მიმდინარე კოლიზიების დროს. ისევე, როგორც „აჩრდილი" და „კაკო ყაჩაღი", პოემა იწყება ბუნების სურათების აღწერით და ეს სურათები მჭიდრო კავშირში არის ნაწარმოებში მიმდინარე მოვლენების განვითარებასთან. პოეტს ჩატქრებული აქვს გვიჩვენის გმირის სამყოფელი მიუსაფარ ადგილას – „სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან. სად უდაბურსა მას მყუდროებას, კაცთ ტრიამული ვერ შესწვდენია". ილია ამ მიუვალი კლდე-კარის აღწერისას აღწევს საოცარ ოსტატობას და ქმნის საუკეთესო ფონს, რათა წარმოსახოს და მერე ამოქმედოს პოემის მთავარი გმირნი – განდეგილი და მწყემსი ქალი, რათა გვიჩვენოს რწმენის ერთგულების მიზნით განდგომილის მძიმე და მოწამებრივი ცხოვრება. შესანიშნავად იყენებს მიუვალ კლდე-კარს, რომელნიც „ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია". ბუნების სურათების მოშველიების გარეშე ასეთ პოეტურ სიმაღლეს ვერ მისწვდებოდა შემოქმედი. დიდია ამ შემთხვევაში ბუნების სურათების მომხიბვლელობა და ემოციური დატვირთვა.

და, მართლაც, აკი მწყემს ქალს ბუნების მომხიბვლელობამ დაავიწყა სამწყემსოცა და საყვარელი მამის დარიგებაც, რადგან, როგორც თვით აღიარებს: „ლამაზი იყო იმ დღეს საღამო, რარიგ შვენოდა მზე დამავალი. შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა, გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი. სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი: – ნუ ენდობი, შვილო, ამ მყინვარს".

ნახეთ რა მაცდური, რა დამათრობელი ბუნების სილამაზე. თუ გაგაჩნია ნიჭი სიმშვენიერის შეგრძნებისა, თურმე ვეღარ ეტყვი გულს „კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი". მერედა რაში მდგომა-

რობს ამ სილამაზის ღვთაებრიობა და დაუძლევლობა? ეს კითხვა პრობლემურია და ღრმა სჯა-ბაასის საგანი. აქ კი მოკლედ ვიტყოდი: ესაა ბუნების მოვლენათა და პირმშოთა ბუნებრიობა, პირველყოფილობა და შეუბღალაობა.

ყოველი შემოქმედი, რაც უნდა განყენებულად ხატავდეს ბუნების მოვლენებსა თუ სურათებს, ნებსით თუ უნებურად ამჟღავნებს თავის როგორც მსოფლმხედველობას, ასევე მრწამსს, სწრაფვას და მიზანდასახულობას, ეს ხდება თავისთავად და ძალდაუტანებლად. ზოგ შემთხვევაში კი ქვეცნობიერადაც. ასეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაჟონვა ხდება თვით იმათ ქმნილებებშიაც კი, ვინც ქადაგებენ, რომ ხელოვნება ხელოვნების მსახურია და არა ტენდენციურ შეხედულებათა მოქადაგე. აქ ერთია საქმე: ტენდენცია თუ ძალდატანებითია და თავს მოხვეული, ყოველთვის ყურსაც სჭრის და თვალსაც ეუხეშება. მაგრამ ტენდენცია თუკი მსოფლმხედველობის ემბაზშია გამდნარი და შემოქმედის მრწამსადაა ქცეული, იგი ორგანულად ერწყმის შემოქმედის სულსა და გულს. ეს ტენდენცია შემოქმედების პროცესში ვლინდება ვითარცა ორგანული და თავისთავადი ნაწილი მხატვრული ტილოსი, მუსიკის თუ პოეტური ქმნილების.

ილიას შემოქმედებასა და მოღვაწეობაში თვალნათლივ და ხელშესახებად გამომჟღავნდა მისი მსოფლმხედველობა, მიზანდასახულობა და მრწამსი. ეს მისწრაფებანი და თვისებები მჟღავნდებოდა არა მარტო მისი ნაწარმოებების გმირთა ხასიათებსა და ქმედებაში, არამედ თვით ისეთი განყენებული მოვლენების აღწერის ჟამსაც, როგორიცაა ბუნების სურათები თუ ფერთა სიხასხასე.

ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც „გლახის ნაამბობის" პირველი თავი, სადაც საუბარია ნადირობის სიყვარულსა და მონადირის განწყობილებებზე. უყვარს მწერალს ნადირობა, რადგან „არის რაღაც მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართობაში". მაგრამ აქვე მჟღავნდება ილიას ალტრუისტული სული და დასძენს: „თუ გნებავთ ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა... ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში ცხოვრებისა". ამის მერე მითოლოგიიდან იგონებს იმას, რომ ამ ქვეყნად პირველად სისხლი კაცთაგანმა - კაენმა დაანთხია, კაცის - ძმის აბელის სისხლი. მერე აღწერს თუ ბუნების ულამაზეს ქმნილებას, რქაბორჯღალა ხარლადს, როგორ შეუბრალებლად ჰკლავს ადამიანი.

განა სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს კაცს ირმის სიკვდილი, რომელიც ცრემლიანი თვალებით უსიტყვო მონოლოგს კითხულობს და ამბობს: „ჩემო მკვლელო, რად შეგშურდა რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?" ირმის ეს გოდება ავტორს ალონებს, მაგრამ იქვე ახსენდე-

ბა, რომ ამ ერთი მტკაველი მიწის გამო რამდენი სისხლია დაღვრილი თვით კაცთაგან თავისივე მსგავსი კაცისა. და ბოლოს მომაკვდავე ხარლაღს თითქოს აწყნარებს და ანუგეშებს: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა კვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“.

მოთხრობის ამ ერთ გვერდზე, სადაც ირემზე ნადირობის პატარა ეპიზოდია აღწერილი, მკვეთრად გამოიკვეთა სტრიქონსა და სტრიქონს შორის და თვალსახილველად გაიცხნა ილიას მსოფლმხედველობისა და მრწამსის თითქმის ყოველი ნიუანსი.

ისიც სათქმელია და გასახსენებელი, თუ რა დიდებულად გამოიყენა ილიამ ბაზალეთის ტბის შემოგარენი და ის ლეგენდა, რომლის მიხედვითაც „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არის“. აქაც ნათლად მჟღავნდება შემოქმედის ქართლის ბედზე განუშორებელი ფიქრი, ოცნება და ნატვრა. ამ ლექსის მაგალითზედაც დასტურდება ის აზრი, რომ მარად და ყველგან საქართველოს ბედზე დაფიქრებული ილია ბუნების მომაჯადოებელი სურათების აღწერის ჟამსაც ვერ რჩებოდა ესთეტ მჭვრეტელად, პირიქით, ბუნების ფერები და სახეები ექარაგმებოდა და ეგვირისტებოდა მის ღრმა ინტელექტს.

ილიას მრწამსით ბუნება ის მოაზროვნე ბრძენია, რომელსაც არასოდეს ეღალატება. ბუნებრიობისა და თავისთავადობის ერთგულებაშია ხსნა მთელი კაცობრიობისა, რადგან კაცთა ძმობა-მეგობრობა, ერთურთზე ზრუნვა და სიყვარული ბუნებრივი გრძნობაა და ბუნებითვეა ნაკარნახევი. კაცობრიობის ტრაგედია ამ ბუნებრივი გრძნობის და თავისთავადობის უკუგებიდან და დამახინჯებიდან იწყება. დიახ, ვაჟას თქმისა არ იყოს: „ბუნება მბრძანებელია“ და ვაი მას, ვინც მას არ დაემორჩილება და უღალატებს.

## ხალხია თავი და ბოლო ისტორიისა

ილიას ყოველი აზრი და მისწრაფება, რაც კი ნაკარნახევი იყო საქართველოს ჭირ-ვარამით, მუდამ იღებდა საკაცობრიო ჟღერადობას. ეს ნათლად გამოჩნდა ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“, რომელიც თითქმის სამოქმედო პროგრამად იქცა არა მარტო ილიასათვის, არა მარტო „თერგდალეულთათვის“. აქ ბევრი ისეთი აზრი და შეხედულებაც გამჟღავნდა, რომლის გაზიარება ყოველი ერის ღირსეულ მამულიშვილს შეეძლო და დღესაც შეუძლია.

მარად და ყველგან საქართველოსთან მყოფი ილია სხვა ერების პატივისცემაში ხედავს უდიდეს ღირსებას კაცისას, რადგან სულელის მეტი არავინ იტყვის მხოლოდ ჩვენ ვართ ქვეყნად ღირსში თვით-

მყოფადობის, სხვა კი, თუნდაც, წყალს წაუღია.

ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის ის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ეხება ევროპისა და აზიის ხალხთა ცხოვრებას და იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს მეტად ვრცელი და დიდი თემაა. ჩვენ აქ შევეხებით ერთ პატარა წერილს, რომელიც გამოქვეყნდა 1889 წელს „ივერიაში" – „მილიტარობა ევროპაში". ილია საოცარი სიზუსტით ამხელს მილიტარიზმის ბუნებას, მის გამომწვევ მიზეზებს და მოსალოდნელ და გარდუვალ შედეგებსაც. ამ წერილის ღირსება ისიცაა, რომ ახლაც ისევე ეხმიანება ევროპისა თუ სხვა ქვეყნების, როგორც ილია იტყოდა, დიდსა და პატარა თნავარ მილიტარისტებს, როგორც მაშინ, როცა ეს წერილები იწერებოდა. „დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, – წერს ილია, – რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდან მოყვარესა. მართალადა მთელი ევროპა რომ მოიაროთ, ერთ სახელმწიფოს ვერა ჰნახავთ, რომ გული გულის ადგილასა ჰქონდეს. ყველას მუშტი მოღერებული უჭირავს მტრის თვალის დასაყენებლად, და ამავე დროს გულში რომ ჩახედოთ, ბევრ იმისთანას ჰნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება...

უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა ილუპება დღეყოველ... დიდძალს ქონებას ყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობას ეძახიან".

ეს შეთოფიარაღებული მშვიდობიანობა ილიას აზრით ომზეც უარესია, ომზე შემზარავია და დამთრგუნველი ხალხისა. იგი აღატაკებს ქვეყანას ეკონომიურად, სძაბავს ადამიანებს, უკარგავს სულიერ სიმშვიდეს და მიყავს ისეთ უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე, რომ ახეთ შეთოფიარაღებულ მშვიდობას ისევ ომს ამჯობინებს იმიტომ, რომ საითაც-კი მიიხედავთ, რაზმი რაზმად ეწყობა, ჯარებს, რაც ძალი და ღონე აქვთ, უმატებენ. თოფსა და ზარბაზანს და ტყვია-წამალს ამზადებენ და მაინც გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მეტი გულში არა გვაქვს-რაო. ვერ წარმოიდგენთ, რა აუარებელი ფული ამოდის ევროპის მკვიდრთა ჯიბისაგან და რა აუარებელი იხარჯება ამ შეთოფიარაღებული მშვიდობიანობისათვის. ვერაფერი მშვიდობაა, – განაგრძობს ილია, – თუ კი კაცი იძულებულია ხელი ხმალზედ ედოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავისთავსა".

უბედურებას ამძაფრებს ისიც, რომ ასეთი შეთოფიარაღებული მშვიდობის ჟამს ხალხის სულიერ ტკივილებსა და ეკონომიკური ტკივილებით გამოწვეულ დუხჭირს მისი განმგებელნი ვერ გრძნობენ, ან არ გრძნობენ. ამის გამოა, რომ „ევროპის მკვიდრთა მუხლი ეკეცება დღევანდელის დღის სიმძიმის ქვეშ".

ასეთი სიძნელეები ხელსაყრელ ამინდს ქმნის იმისას, რომ შე-

წუხებული ხალხი ადვილად წამოეგოს ავანტურისტთა ანკესს. ამის მაგალითად ილია ასახელებს იმდროინდელი საფრანგეთის მძიმე ვითარებას, რითაც სარგებლობს, როგორც ილია ამბობს, „პამპულა გენერალი ბულანჟე“, რომელიც, თურმე, აცხადებდა: „მე ვარ მხსნელი საფრანგეთისა ჭირისაგან და ვაი-ვაგლახისაგანო“.

ფრანგი ხალხი დუხჭირმა და გაჭირვებამ იძულებული გახადა დაუჯეროს ამ „ჩიტირეკია“ გენერალს და კალთაზე ხელი ჩაჰკიდოს, როგორც მხსნელს და „განა დასაჯერებელია ყოველივე ეს, თუ ერი იმ ყოფაში არა ჰგრძნობს თავსა, როცა კაცი, სხვა გზა რომ არა აქვს, ხავსს ეჭიდება დარჩობისაგან თავის დასაღწევად“.

მართლა. დიდი და მოუნელებელი სულიერი ტრავმა და ეკონომიკური გასაჭირი ხალხს მალმორწმუნეს ხდის და ადვილად ეგება მესიის მანტიაში გახვეულ კარიერისტებისა და ავანტიურისტების ანკესზე. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვებოდა წარსულშიაც და არც აწმყოა ამდაგვარი შემთხვევებისაგან დაზღვეული. ილია ამხელს ასეთ მესიათა ავანტიურისტულ ბუნებას. ამავე დროს აფრთხილებს ხალხს, გაჭირვებისა და სიდუხჭირის ჟამს არ დაკარგოს სწორი ალღო და ორიენტირება, რათა ვაისაგან გაყრილნი უის არ შეეყარნენ. ამაში იყო და არის ილიას აზრის ცხოველმყოფელობა და აქტუალობა.

ამავე წერილში ილია ეხება კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც კვლავაც საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. ეს გახლავთ საკითხი: ერია პოლიტიკისათვის გაჩენილი თუ პოლიტიკა ერისათვის. „განმგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ ხუთ; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარულნი კი პასუხად უბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო“.

ილია სასტიკად გმობს ვინც ერისა და ხალხის ინტერესებს ამსხვერპლებს პოლიტიკურ ავანტურას. ესა თუ ის პოლიტიკა მაშინაა მისაღები და მხარდასაჭერი, როცა იგი ერისა და ხალხის ინტერესებს ესადაგება და მის ბედსვიანობის სურვილითა და წყურვილითაა ნაკარნახევი. წინააღმდეგ შემთხვევაში „გაწირულია ერი, და რადა საკვირველია რომ იგი ზოგან ჰკოკავს, ზოგან ჰშფოთავს“.

როდესაც ილიას უცხოეთზე დაწერილ წერილებს კითხულობს კაცი, გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს არა მარტო ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ევროპის ხალხების ცხოვრებისა, არა მარტო პოლიტიკური სიფხიზლე, მიხვედრილობა და საოცარი შორსმჭვრეტელობა, არამედ, პირველ რიგში, ის გულმხურვალება, რასაც ის იჩენს სხვა ხალხთა მიმართ. შეუმჩნეველი არ რჩება არც დიდი და არც პატარა ერის ღირსებები. ამასთანავე არასოდეს ურევს ერთმანეთში ამა თუ იმ ერის

კეთილშობილურ მისწრაფებებსა და განმგებელთა და მესვეურთა ერის ინტერესებთან შეუსაბამო პოლიტიკას. პირიქით, იგი მკვეთრ ზღვარს ავლებს ხალხსა და ხალხის სახელით მოვაჭრე პოლიტიკანებს შორის. „საწყალი ხალხი! ვინც არა მგონია გამოტყვრება და მისი სახელით ვინ იცის რას არა ჰჩადის. რა არ მომხდარა ქვეყანაზედ ხალხის სახელითა ხალხისავე დასაღუპავად? ხალხს, ესე იგი, დაბად ხალხს, რომელიც ყოველ ქვეყანაში შეადგენს უმრავლესობას აქამდისინ თითქმის არავითარი ნამდვილი მონაწილეობა არ მიუღია საპოლიტიკო ცხოვრებაში. იგი ყოველ დღე სიმშილს ებრძვის და ლუკმა პურის მოპოვებაში ატარებს თხვის სიცოცხლეს. ხალხი - ეს თავი და ბოლო ისტორიისა - - ჩვეულებრივად ჩუმად არის და მხოლოდ მაშინ ამოიღებს ხოლმე ხმას, როდესაც მართლა და დიდი გაჭირვება მიადგება კარს, როდესაც სულის ამოხდაზე მივარდება საქმე".

ილიას ეს ლაღადისი ერთხელ კიდევ ადასტურებს მის თვალშეუდგამ ჰუმანიზმსა და მისი აზრის სიღრმე-განს. ეს იმასაც აჭეშმარიტებს, რომ ხალხთა სიყვარულზე აღმოცენებული მართალი სიტყვა, აზრი და გრძნობა, რაც დრო გადის, უფრო ცხოველმყოფელი ხდება.

## მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის

თითქმის ყველა ერს გაუვლია ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდზე. ბევრს აკი ჩაუწყდა კიდეც ეს ბეწვის ხიდი და აღიგავა ისტორიიდან. ეს კითხვა ოდითგანვე ბედისწერასავით აედევნა ჩვენს ერსაც. აკი ბევრჯერ მივიდა, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის ხოლმე, დანა ყელზე. აკი ბევრჯერ გადითარეშ-გადმოითარეშეს ურდოებმა. აკი ოთხივე მხრიდან შემოაკვეცეს კალთები... და მაინც გადარჩა.

XIX საუკუნის დასაწყისამდე მტერი ხმლით გვეძალებოდა. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მეფის რუსეთმა ჯერ ხმლით ჩააქრო კახეთისა და მთიულეთის აჯანყება, მერე ციმბირს გაამწესა 1832 წლის შეთქმულნი. შემდეგ კი ჩვენი გადაგვარება, ჩვენი მოსპობა უფრო საშიში და მაცდუნებელი გზით დაიწყო. ხმალი ხელიდან არ გაუგდია, მაგრამ მას ფარისევლურად ქრისტეს ჯვარი მიაშველა. ფარისევლობა, მოსყიდვა და მოტყუება მაცდუნებლად წაიმძღვარა წინ. ილია მიხვდა მეფის მოხელეთა ამ ვერაგულ ხერხს და ერი იმთავითვე გააფრთხილა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა, ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვესახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვა-

ქლო-რა. შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქვეყნისა ამოიკვეთება და ჩვენს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ".

ახალი საშიშროების მოციქულებმა უპირველესი იერიში მშობლიურ ენაზე მიიტანეს. მისი მოსპობა განიზრახეს. ქართველს საქართველოში, სომეხს – სომხეთში, უკრაინელს – უკრაინაში აღარ შეეძლო საკუთარი დედის ენით სამართლის გაგება, სწავლა და მეცნიერების დაუფლება. ერთი სიტყვით ეზოდან გარეთ გამოხედვა. გარდა რუსულისა, რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ერის ენა ძაღლის ენად იყო გამოცხადებული. ილიამ მთელი შესაძლებლობით აღიმაღლა ხმა მშობლიური ენის დასაცავად და გასასპეტაკებლად. ჯერ იყო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ხელოვნური ენის მკეთებელნი, რომელნიც ეყრდნობოდნენ ანტონ კათალიკოსის შეკოწიწებულ სამი სტილის თეორიას, რომელთაც აამღვრიეს ქართული სალიტერატურო ენის ის მდინარება, რომელიც უხსოვარი დროიდან მომდინარეობდა, რომლის სათავეები დღემდე ნაპოვნი არაა, მაგრამ რაზედაც ხელი მიგვიწვდება, ისიც ღაღადებს, რომ ქართული ენა ერთი უძველესი და უმდიდრესი ენათაგანია. ანტონ კათალიკოსის მიერ დამძიმებული ენა გაწმინდა, გაამარტივა და გაასადავა, საქვეყნოდ განუცხადა მოპაექრეებს, რომ „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ მკეთებელნი“.

ილიამ ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე განაცხადა, რომ ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს". აკი არც არავის პატიობდა, თუ ვინმე ან ცოდვილ ხელს შეახებდა, ანდა აუგად მოიხსენიებდა. ილია ერთი იმათგანი იყო, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რუსი შოვინისტები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ დედაბუდიანად აღმოეფხვრათ რუსთველისა და საბა-სულხანის ნაჭირნახულევი ენა. „ენა, რომელზედაც დააღიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები, ეს ის ენაა, რომელზედაც თავად. ნ. ბარათაშვილმა, მაგ. უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“.

ილია ამბობს, რომ მშობელსაც არ უნდა აპატიო დედაენის შეურაცხყოფა და ხელყოფა.

ილიას შეხედულებანი მშობლიური ენის შესახებ მრავალ წერილში ხაზგასმული, მაგრამ ყველაზე ნათლად ეს გამოვლინდა იანოვსკისთან კამათის დროს. ილია იცავს იმ იდეას, რომ ბავშვი უპირველეს ყოვლისა უნდა იზრდებოდეს თავის მშობლიურ ენაზე. ამ დებულების განსამტკიცებლად, ვიდრე თავის აზრს ჩამოაყალიბებდეს, იმოწმებს პედაგოგიკაში აღიარებულ მსოფლიო ავტორიტეტებს: დისტერვეგს, პესტალოცს, ვესსელს, კომენსკის. მოჰყავს აგრეთვე დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის შემდეგი დებულება მშობლიური ენის შესახებ: „ბავშვი რომ სწავლობს დედა-ენას, იგი სწოვს სულისათვის სიცოცხლეს და ღონეს ღვიძლის ენით ღვიძლის ძუძუდამო". და ბოლოს თვით ილია დასძენს: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან დაუხევლად ვთხოულობთ დედაენისათვის სკოლას და დაუბრკოლებელ გზას სასწავლებელში - ეს, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ენატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა - და განა ეს სასურველია ვისთვისმე?"

ილია მრავალგზის ეხება განათლების საკითხებს და ყოველთვის დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ყველა ბავშვი უპირველესად უნდა იზრდებოდეს ჯერ მშობლიურ ენაზე და მერე, როდესაც დედა-ენის წყალობით გაეხსნება გონება, საჭიროა სხვა ენების შესწავლაც.

მშობლიური ენის შესწავლის შემდეგ დიდ საჭიროებად მიაჩნია რუსული ენის ცოდნაც, რადგან, „იგი ღონეა არამც თუ როგორც მეტი ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის... ჩვენ თუ გვსურს რუსული ენის ცოდნა, ისე გვსურს, რომ სულიერი და ხორციელი სარგებლობა მოვიპოვოთ, სხვათა შორის, მისი შემწეობითაცა".

ილია ეხება რა სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას მრავალგზის დასძენს, რომ მოხელეს, თუ არ იცის იმ ხალხის ენა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, არ შეიძლება ებაროს ხალხის ბედი. ის ვერასოდეს გაიგებს ხალხის გულისთქმას და მისწრაფებას, რის გარეშეც ძნელია განაგო წესიერად ადამიანის ბედი. ასეთ დროს „მმართველობის საკითხს უპირველესი ღონე ჩამორთმეული აქვს. სახელდობრ ენა და ყური... ამის გარდა, ამ ყრუ-მუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრების არც პატივი და არც ზემოქმედება არაფერზედ".

ილია მოითხოვს, რომ მოხელეს, რომელსაც სახელმწიფო ამწესებს ხალხის სახელმძღვანელოდ, გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეს საკმაო განათლება, უპირველესად ადგილი უნდა ეჭიროს იმ ხალხის

ენის ცოდნას, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, მაგრამ სინამდვილეში ამ ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც არ აკმაყოფილებენ მეფის მოხელენი: არამც თუ უცხონი სწავლობდნენ ჩვენს ენას, თვით ქართველ მოხელეებსაც კი აიძულებდნენ დაევიწყათ თავიანთი მშობლიური ენა. ამ საკითხის გამო ილია გულამოსკვნით ჩივის: „იქ, სადაც ჩვენი ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენი ხალხის მასწავლებელნი, მაგალითები, სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდანაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა, ქართველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის“. ილია მოითხოვს, რომ ასეთ სახელმწიფოში, სადაც მრავალი ერი ცხოვრობს, უნდა გათვალისწინებული იყოს სახელმწიფო კანონის მიერ ერის ინტერესები. სახელმწიფომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შებღალოს რომელიმე ერის ღირსება, ისტორია, ეთიკა, ზნეობა, ტრადიცია და მით უმეტეს ენა“. „ამას მოითხოვს, - ამბობს ილია, - არა მარტო ისტორიული მდინარება სამართლიანი აზრისა, არამც თუ მარტო შორსმხედველობა დამჯდარი ჭკუისა, არამედ თვით სახელმწიფოს ინტერესიცა... რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზე, - თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“.

ისეთ სახელმწიფოში, სადაც მრავალი ერი ცხოვრობს, მმართველობის მიზანი უნდა იყოს ყველა ერის ენა დაუბრკოლებლად მოქმედებდეს და ვითარდებოდეს.

ერთა ძმობა და ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ამის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. თუ ეს პრინციპი არ ხორციელდება, ისეთ შემთხვევაში ერთ-ერთი ერი ბატონდება და უხეში დიქტატიზმისა და შიშველი ადმინისტრირების გზით ცდილობს დანარჩენი ერების ასიმილირებას. ასეთი დიდმპყრობელური შოვინიზმის განხორციელების დროს, უპირველეს ყოვლისა, დამორჩილებული ერების ენის მოსპობას ცდილობს; „რადგანაც, არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული - ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარი მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდება ხოლმე“.

ილია ხომ ერთი იმათგანი იყო, ვინც განაახლა ქართული თეატრი, ვინც შექმნა ქართული დრამატული საზოგადოება. მას სცენა მიაჩნია მშობლიური ენის ერთ-ერთ ნავსაყუდელად. თეატრის განახლებით გამოწვეულ სიხარულს ვერ ფარავს და აღფრთოვანებული ამბობს: „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, სადაც ჩვენი ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა. მთელს მის ჭკუასა და გულის მონაგარსა“.

ამის შემდეგ ილია მისთვის ჩვეული დაუნდობლობით ძრახავს ქა-

რთველი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მოწყვეტილია რა ეროვნულ ნიადაგს, მეშჩანიზმის ტლაპოში ჩაფლულა, დაუკარგავს პატივი თავისი მშობლიური ენისა, ვერ შეუგრძვნია ღირსება მისი, ცხვირი მაღლა აუწევია და საკუთარი ოჯახიდანაც გამოუდევნია დედის ენა, იავნანას ენა.

ასეთი ლექი ყველა ერს ახასიათებს და ყოველთვის მაშინ ამოტივტივდება ხოლმე ზედაპირზე, როცა ესა თუ ის ერი განიცდის უცხო ძალის ტლანქ დაწოლას. ერის სულმანკიერი ნაწილი აძვილად ეგუება ფარისევლობას, მლიქვნელობას, ადვილად იღებს ხელს თავის ეროვნულ ღირსებებზე, როგორც საკუთარს, ისე ეროვნულ სინდისს გროშ-კაპიკად ყიდის. მოძალადეც სწორედ ამ ნაწილს ეყრდნობა და იყენებს თავისი მზაკვრული მიზნების განხორციელებაში. ასეთ დროს ერის ღირსეული ნაწილი პირამოქოლილია და სადღაც კუთხეში მარტო უსიტყვოდ ბორგავს, ან დევნილია და სხვათა ქვეყნის ცასა და დრუბელს ეფარება. ან ფიზიკურად ისრისება ტლანქი ძალის მიერ. რა თქმა უნდა ასეთ ხვედრს ვერ ასცდებოდა ვერც ჩვენი მრავალტანჯული ერი. ასეთი ვითარება და ამინდი ბადებდა ჩვენში ვერაგ შადიმანებსა და ვულნამცეცა მოსე მწერლებს, მაგრამ იგივე სასტიკი ცხოვრება სჭედავდა ბობოქარ სააკაძეებსა და რკინისქალამნიან თარაანთ ქვრივებს. ასეთივე უკუღმართი ცხოვრებაა სათავე იმ, ეგრეთწოდებული, „მაღალი“ საზოგადოების წარმოშობისა, რომელიც ხელს იღებს მშობლიურ ენაზე და უგვაროტომო კოსმოპოლიტიზმის ჭაობში ეფლობა სულითაც, ხორცითაც, ზნეობითაც და, როგორც ილიას მოხევე იტყოდა, ტალავარითაც.

თუ ერს, თავისი თავი თვითონ არ ეყუდვნის, მის ღირსეულსა და სამოღვაწეოდ მოწოდებულ შვილთა უძნელთ და უჭირთ ერის მოვლა. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, ილიამ სძლია ყოველი დაბრკოლება. ის წმინდა ეროვნული დროშა, რომელიც ერმა გადასცა, როგორც ბელადს, შეუბღალავად ატარა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს. ერის სხვა ღირსებებთან ერთად დაიცვა და განავითარა „ენა მაღალი, მის სიღრმე, ძალი“. სამაგიეროდ დაგმო „ენა არმობის, ენა ყალბობის, ენა მზაკვრობის და თვალთმაქცობის“.

## ილია და ქართული პრესა.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა, მაგრამ მეტად განუზომელია მისი როლი ქართული პერიოდიკის განვითარების ისტორიაში.

სტუდენტი ილია ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე დაიბადა როგორც დიდი პოტენციის მქონე შემოქმედი და ღრმად მოაზროვნე პუბლიცისტი... შემდეგში კი პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია, რომელიც ეზიარა არა მარტო რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებს, არამედ გაინათლა და განიბანა მსოფლიო კულტურის ემბაზშიც, აარსებს ახალ ორგანოს „საქართველოს მოამბეს", რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელზე მეტს ვერ იარსება, დიდი როლი შეასრულა ავბედობით დაბუგრულსა და ნასეტყვ ქართული აზროვნების გამოფხიზლებაში, გამოღვიძებასა და განვითარებაში. მარტო ამ ჟურნალის პირველსავე ნომერში მოთავსებული საპროგრამო სტატია დაიწონის ზოგიერთ უდიმდამო და უხერხემლო ჟურნალის ან გაზეთის მთელ ისტორიას. ამ სტატიაში ნათლად გამოვლინდა ახალგაზრდა ჟურნალისტის ტიტანური ძალა და ერუდიცია. ილია ამ წერილში კაცობრიობის ისტორიასა და სამყაროს განიხილავს ფილოსოფიურ ასპექტში და თავიდანვე აცხადებს: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა". მაგრამ ილიამ იცის, რომ ცხოვრების ფერისცვალება და წინსვლა სწორხაზოვანი როდია. ძველის კვდომა და ახლის დაბადება თავისთავად და უმტკივნეულოდ არ ხდება. ახალი ძველისაგან გამოთიშული კი არ არის, პირიქით, ახლის სათავე ძველშია, ხოლო ამ ახალშივეა უჩინრად ჩასახული მომავლის უკვდავებისათვის საჭირო ფესვები. ილიამ იცის ცხოვრებისეული ტკივილები და წინააღმდეგობანი, მაგრამ მისი იდეალი, როგორც ჰუმანისტისა, მაინც ისაა, რომ ძველი ახალს კი არ ებრძოდეს, არამედ ხელს უწყობდეს და მის აღმოშობას ესალბუნებოდეს „როგორც ძუძუსმძლეველი დედა შეხარის ახლად გაღვიძებულ ბავშვსა". და თუ ეს ასე არ მოხდება, თუ ძველი ვერ შეიგნებს ახლის უპირატესობას და არ დაუთმობს სამოქმედო მოედანს, ახალი, თუ კი მას საღი ძირი და ფესვები აქვს, მაინც თავს გაიტანს. უხეშმა ძალამ შეიძლება დააბრკოლოს, შეაყენოს მისი აღმოცენება, მაგრამ მოსპობით კი ვერ მოსპობს, რადგან ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა... ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა".

სწორედ ამ ახალი, საღი იდეისა, აზრისა და მრწამსის ქადაგება, ღაღადისი, დამოძღვრა და დამკვიდრება ავალია ჟურნალსა და გაზეთს, რომელთაც ამ ძნელ საქმეში „უნდა წაიმძღვაროს წინ მეც-

ნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი", რადგან ცხოვრების ჯარის წაღმა ტრიალში დიდად უწყობს ხელს ჭეშმარიტი ხელოვნება და მეცნიერება. მეცნიერება და ხელოვნება ხომ თვით არიან ცხოვრების პირმშონი, მისგან იკვებებიან მარად, ცხოვრება აძლევთ მათ საზრდოს, ხოლო მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრების დიდ ამაგდარობას იმით ინაზღაურებს, რომ მის წიაღიდან შეწოვილ საზრდოს უფრო გაკეთილშობილებულსა და ამაღლებულს ცხოვრებასავე უბრუნებენ და ამით ხელს უწყობენ მის მარად შეუჩერებელ წინსვლას.

ცხოვრებას თავისი საკუთარი კანონები აქვს. ამ კანონს ვერ შეცვლის ვერც ჟურნალი და ვერც გაზეთი, ხოლო ამ კანონების ცოდნა და გავრცელება მისი უპირველესი მოვალეობაა, რათა ცხოვრების კანონიერი წინსვლა არაფერმა შეაყენოს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გაზეთი და ჟურნალი მხოლოდ ფოტოგრაფიულად ამსახველი იყოს. პირიქით, მის შუაგულში უნდა ტრიალებდეს და ცხოვრებისეულ ყოველ სასიცოცხლო წყაროს ცხოვრებისავე ასაყვავებლად უნაკადულებდეს. ცხოვრება მრავალფეროვანია და ჟურნალსაც და გაზეთსაც მრავალმხრივი მოვალეობა აკისრია.

უპირველეს ყოვლისა, გაზეთი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების, ამავე დროს იგია ხალხში ცოდნის დამნერგავი და გამავრცელებელი. „ჟურნალ-გაზეთობა, როგორც ილია ამბობს, - წარმოადგენს ერთ უდიდეს სასწავლებელს", რომელიც აღრმავებს ცოდნას, ზნეობას, ეთიკას, გემოვნებას, უფაქიზეს გრძნობას, ამოქმედებს ხალხის წიაღში დაბუდებულ თვითმოქმედ კეთილ ძალებს, უღვივებს მკითხველს კაცთმოყვარულსა და მამულიშვილურ მისწრაფებებს. გაზეთმა რომ ეს საპატიო როლი შეასრულოს, თავის მიზანსწრაფვა, სტილი, ენა უნდა შეახამოს გარემო პირობებს, მკითხველთა ცოდნის დონეს. თუ საზოგადოებრივი ძალები, ვისთვისაც გაზეთია განკუთვნილი, ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელია, „გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია", ამ შემთხვევაში გაზეთის მოვალეობაა ამ ნიჭის გამოღვიძება, ფეხის ადგმევინება და დამოძღვრა. ხოლო საზოგადოება, რომელიც გათვითცნობიერებულია, გაწვრთნილია და დუღს აზროვნება, ასეთ შემთხვევაში გაზეთი და ჟურნალი აზრთა, იდეათა, სხვადასხვა ზრახვათა და მისწრაფებათა გაცვლა-გამოცვლის საშუალებაა. ზოგჯერ კი საპირისპირო იდეათა და მრწამსის შეხლა-შემოხლისა და შეტაკებათა ამსახველია. ასეთ შემთხვევაში ერი უფრო სწრაფად მაღლდება სულიერად და ასევე მალე მწიფდება ინტელექტუალურად. ამას ხელს უწყობს ჟურნალ-გაზეთების სიმრავლე, ფერისცვალება. სწორედ აზრთა ფერისცვალებაში იბადება ჭეშმარიტებაც, რისკენაც მუდამ ილტვის და ახლაც მიისწრაფის კაცობრიობა. ასეა თუ ისე, ცხოვრება რა დონისაც უნდა იყოს, ხოლო ჟურნალ-გაზეთი რა მრწამსისა და მისწრა-

ფებებისაც, მას მაინც უფლება არა აქვს თვალი აარიდოს ცხოვრების მდინარებას; მან პასუხი უნდა გასცეს ყოველ საკითხს, განმარტოს და ამცნოს საზოგადოებრიობას.

გაზეთის თემატიკა, რა თქმა უნდა, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, მაგრამ ყოველი საკითხი უნდა გააშუქოს კაცთმოყვარეობის სარკმლიდან, „რადგან ხალხი, დაბალი თუ მაღალი, ყველა მოყვასია ჩვენი. შეძლებისამებრ ყველას უნდა ვუშველოთ". - ამბობს ილია.

გაზეთი საზოგადოების სულიერი მოძღვარიცაა, ადამიანთა ყოფისა და მისწრაფებათა მესაიდუმლეც. მისი უპირველესი მრწამსი და მიზანი ცხოვრების სვე-ბედზე ზრუნვაა. ამის გამო კრძალვითა და პატივით უნდა ექცეოდეს როგორც პიროვნებას, ასევე საზოგადოებას. „ეს პატივისცემა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს ჟურნალ-გაზეთსა". თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, ადამიანს ან საზოგადოებას პირმოთნედ მოექცეს, დაუმსახურებლად აქოს და თვალში ნაცარი შეაყაროს. უსაფუძვლო ქება ლანძღვაზე საწყენია პატიოსანი კაცისათვის...

ნაკლის მხილება უპირველესი მოვალეობაა გაზეთისა. ნაკლისა და საზოგადოებრივი ბოროტებისადმი გვერდის ავლა, თვალის არიდება იგივე თანამზრახველობაა. ეს არ უნდა ეპატიოს კერძო პიროვნებასაც, მით უმეტეს გაზეთს. „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე,

ისევე, როგორც მნათობნი ცის კაბადონის გარეშე ვერ იკაშკაშებენ, ისევე, როგორც მიწის გარეშე ვერცარა ხე კენარი აღმოცენდება, ვერცარა ჯეჯილი და სხვა რამ მცენარეული, - ასევე ძნელი და წარმოუდგენელია აზრის აყვავება, ამა თუ იმ მრწამსის ქადაგება და საერთოდ გაწვრთნილი ინტელექტუალური აზროვნების აღმოცენება და განვითარება ჟურნალ-გაზეთის გარეშე".

„საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ უჟურნალოდ და უგაზეთოდ დარჩენილი ილია ტოვებს თბილისს. გარკვეული წლების მანძილზე პროვინციაში ცხოვრობს, ხალხში ტრიალებს, ხალხს ემსახურება. მეგობრების დაჟინებული თხოვნით უბრუნდება დედაქალაქს და აი, როგორც კი დრო და საშუალება გამონახა, 1877 წელს აარსებს გაზეთ „ივერიას", რომლის პირველი ნომერი პირველ იანვარს გამოვიდა.

შემდეგში, როდესაც მის პარალელურად ილიასავე თანარედაქტორობით არსებობა დაიწყო გაზეთმა „დროებამ", 1879 წელს გაზეთი „ივერია" გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად. მაგრამ „დროება" 1885 წელს მოხვდა ცენზურის მძიმე და მკაცრი რეპრესიის ქვეშ და დაიხურა. საქართველო დარჩა უგაზეთოდ. მაშინ ილიამ ყოველთვიური

ჟურნალი „ივერია“ 1986 წელს პირველი იანვრიდან გადააკეთა ყოველდღიურ გაზეთად.

და აჰა, 90 წელი გავიდა მის მერე, რაც ამ გაზეთის გამოსვლა იზეიმეს ჩვენი ერის თავანკარა მამულიშვილებმა. აი, როგორ იგონებს ამ დღეს ამავე გაზეთის ერთ-ერთი გულითადი თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე: „ახალწლის წინა ღამეს მთლად თანამშრომელნი, ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი სულ ერთად იყვნენ თავმოყრილნი ილიასთან და შუაღამემდე ელოდნენ პირველი ნომრის დაბეჭდვას... კარგი ახალი წელიწადი გაუთენდა მეორე დღეს ჩვენს ქვეყანას...“

ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმი არა მარტო ჩვენი მწერლებისა, არამედ მთელი ერისა.

„ივერიის“ ირგვლივ ილიამ თავი მოუყარა ყველა ღირსეულ მამულიშვილს. ვისაც კი გული უძგერდა ქვეყნისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვისაც კი ამ სიყვარულმა ხელთ კალამი აიღებინა, ვისაც კი ეცხო მაღალი ნიჭიერებისა და აზროვნებისა.

საქართველოს ყველა კუთხეს აღწევდა ეს მცირეტირაჟიანი გაზეთი. საქართველოს ყველა კუთხიდან შესჩიოდნენ, შეტრფოდნენ და შეხაროდნენ.

„ივერიის“ ფურცლებიდან ეზულზულებოდა მთელ საქართველოს პირიმზე აკაკი, რომლის ფრთიანმა ლექსმაც პოეზიის სანთელი აანთო ქართული ქნარის დედაბოძზე. „ივერიის“ ფურცლებზე აბუბუნდა ვაჟა ფშაველა. თუ არა „ივერია“ და ილია, იქნებ ვაჟას ფრთები ისე ვერ გაეშალა, როგორც მას შეშვენოდა. „ივერიის“ ფურცლებზე დაღვარეს პირველად თავიანთი უმანკო ცრემლები ალ. ყაზბეგის უზაკველმა, მაგრამ ბედგამწარებულმა გმირებმა. მისი ფურცლებიდან მოძღვრავდა ერს მამა იაკობი, რომელმაც შეგვიქმნა რა „დედა ენა“ თან გვევედრებოდა, მოუარეთ ამ ერის ბურჯს, თორემ ცა თავზე დაგვემხობა და აღვიგვეებით მიწის პირიდანო.

„ივერიის“ ფურცლებზე აამეტყველა ივ. მაჩაბელმა გენიალური შექსპირი ივერიელთა ენითა. მის ფურცლებზევე იქარვებდა გულისთქმას თვით მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილიც, რომელიც თავის დღე და წუთისოფელი ღარიბების ბედისწყაროს დაეძებდა, რათა ეს ქვეყანა ერთნაირად გაეხარებინა.

„ივერიის“ აკვანში გამოიშუშნენ და აქვე ისხეს კალმოსნის მირონი თვით იმათაც კი, ვინც მერე ოპოზიციაში ედგნენ „ივერიასა“ და მის მესვეურს. „ივერიამ“ გააღვიძა მიძინებული და მითვლემელი სული ერისა. მან მისცა „ნიჭსა გზა ფართო“, მან გამოუხმო თვით წინაპართა ნათელი სულები და ისინიც ერის სამსახურში ჩააყენა. რად ღირს თუნდაც ის, რომ მან დავიწყების დაუნდობელ კლანჭებს გამოსტაცა გენიალური ნ. ბარათაშვილი.

„იევერიამ“ მოუხმო ყველა ერს სასიკეთო ძმობა-მეგობრობისაკენ. „ვინც გვეძმობა, ვეძმოთო“ ღაღადებდა აკაკი. „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილებაო“ – ბანს აძლევდა ვაჟა.

„იევერია“ აშიშვლებდა ერის წყლულსა, მანკსა და ნაკლსა, რათა უფრო ქმედითი ყოფილიყო ის სასიკეთო მალამო, რომლითაც ის მკურნალობდა, რათა ქართველი ერი დიდხანს აღარ ყოფილიყო „უწყინარი, უშფოთველი, ქვემძრომელი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი“.

იგი იყო მოქადაგე სწორუპოვარი ჰუმანიზმისა, რათა სიკეთით გვეძლია მტერი და არა სისხლის ღვრით. იგი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილობის სწორუპოვარი მოქადაგე, რომლის ალამზედაც ეწერა: „სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა“, რომ ყველა ერს თავისი თავი თვითონ უნდა ეყუდვნოდეს და სხვა.

იგი იყო მშობლიური ენის უბადლო ქომაგი და ახალი სალიტერატურო ენის კანონმდებელი. მორწმუნე იმისა, რომ „მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“.

ამ საკაცობრიო იდეალების მქადაგებლობისათვის „იევერიასა“ და მის რედაქტორს ხშირად უჭერდა მარწუხებს ცენზურა. ხშირად უჭირდათ სუნთქვა, მართალი აზრის ნათლად თქმა. იყო გამუდმებული ჭიდილი და შეხლა-შემოხლა. და მაინც დიდი ტკივილების შემდეგ ყოველდღიურად იბადებოდა „იევერია“. ცენზურის ქარი კი უფრო და უფრო მძვინვარებდა. მუხის ტოტები ქანაობდა, მაგრამ მუხა არ იძროდა, არ ილუნებოდა. არც იგლიჯებოდა და არცა ტყდებოდა. მაგრამ მზაკვართა ენის სისინმა გასჭრა. 1895 წელს მთავარმართებლის საბჭომ აკრძალა გაზეთ „იევერიის“ გამოცემა. იწყინეს მეფის აგენტებმა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ყურს უგდებდა და უჯერებდა მის რედაქტორს. ამის გამო იძიეს შური.

ილია არ ნებდება იბრძვის. 1897 წელს კვლავ განახლდა გაზეთი.

თუ რა როლს ასრულებდა და რას წარმოადგენდა გაზეთისათვის ილია, უმჯობესია მოვუსმინოთ მის თანამოკალმეებს. გრიგოლ ყიფშიძე იგონებს: „საინტერესო და საგულისხმო დრო იყო ილიას ცხოვრებაში ეს დრო ყოველდღიურ გაზეთის რედაქტორისა. აქ იჩინა კვლავ თავი მისმა მხნეობამ, სალიტერატურო შრომისათვის დიდმა გონებრივმა მოქმედებამ. დაღალვა არ ემჩნეოდა, თითქოს რკინის კაცია და არა ხორცშესხმული ადამიანიო“.

ცნობილია, რომ ილიას სახლში ყოველ ხუთშაბათობით თავს იყრიდნენ „იევერიის“ თანამშრომლები, მწერლები და სხვა საზოგადო მოღვაწეები. პირველ რიგში გაზეთის ავკარგიანობაზე და ბედსვიანობაზე ბაასობდნენ. მერე კი, რა თქმა უნდა, სხვა თემებზედაც იმართებოდა სჯა-ბაასი. აქ შეკრებილთა ფონზე აი როგორ წარმოგვიდგენს იაკობ მანსვეტაშვილი ილიას სახეს: „... ყველაზე დიადს, დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ილია. უნდა გენახათ მისი

აღფრთოვანებული სახე, ანთებული ცეცხლისმფრქვევი თვალები, რომ დარწმუნებულიყავით, თუ რა სულიერ და ჭკუის ძალას შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი“.

ილია მართლაც დიდ ენერგიას ახმარს გაზეთს. რედაქციაში აღამებს და ათენებს. მხატვრულ ქმნილებებს ვეღარ უბრუნდება. ძირითადად პუბლიცისტურ წერილებს ჩაუბჯირდა. ამ დროის მხატვრული ნაწარმოებებიდან ცნობილია „ოთარაანთ ქვრივი“, რომლის თხზვის ჟამსაც ორიოდე კვირით „განუდგა“ რედაქციას და აკი ჩამოაქანდაკა კიდეც ლიტერატურული ტიპის ისეთი შედევრი, ილიას სახელსა და გენიას რომ ეკადრება.

სამოც წელს გადაცილებულ ილიას გულში სენი შეეპარა. 1900 წელს გერმანიაში მიდის სამკურნალოდ. ჩამოსვლის შემდეგ კვლავ უბრუნდება გაზეთს, მაგრამ სენი თავისას არ იშლის.

რათა „ივერიის“ გამოსვლას ხელი არ შეშლოდა, ილიამ გაზეთი გადასცა 1902 წელს საზოგადო მოღვაწეს ალ. სარაჯიშვილს.

ილიას შემდეგ ალ. სარაჯიშვილის გარდა გაზეთს განაგებდნენ: ი. ჯაბადარი, პ. უმანიშვილი, თ. გოგიჩაიშვილი. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის გამძვინვარების ჟამს გაზეთმა არსებობა შეწყვიტა; მაგრამ „ივერიის“ ფურცლებზე ნაღაღადევი საერო და საკაცობრიო იდეალები, მისწრაფებანი და ზრახვანი არასოდეს შეწყვეტილა.

ილიას მიერ წამოყენებული და მისი ციური გონებითვე გაცისკროვნებული ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო დებულებანი, რომელნიც საუკუნის წინ ითქვა, დროთა სრბოლამ კი არ მოაძველა, პირიქით, დაადასტურა და დღემდე შეინარჩუნა გაუხუნარი აზრის ცხოველმყოფელობა.

## ილია და ჰერეთი

ჰერეთი, როგორც ერთ-ერთი ძლიერი საერისთაო საქართველოისა, იხსენიება „ქართლის ცხოვრების“ უძველეს წყაროებში.

ლეონტი მროველი თავისი შრომის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ კავკასიის ხალხთა პირველ მეფეს და მბრძანებელს – თარგამოსს, რომელიც იყო „კაცი გმირი“, მრავალი ძე და ასული ჰყავდა, მაგრამ „შვილთა შორის მისთა გამოირჩეოდნენ კაცნი რვანი გმირნი, ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთაც მამამ „განუყვენნა ქუეყანანნი ღირსებისაებრ მათისა“.

ერთ-ერთ ძმათაგანს „ჰაროსს მისცა ქვეყანა მტკვრის ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავიდგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ

ჰქვიან გულგული. და ამან ჰეროსს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი. და ამის გამო ჰქვია ჰერეთსა ჰერეთი". („ქართლის ცხოვრება" 1955, გვ.5).

ჰერეთს შემდეგში კუთხესაც უწოდებენ და ერთ-ერთი მოწინავე სამთავრო და საერისთავო იყო ოდიდგანვე.

ჰერეთის ტერიტორიალური ფარგალი იცვლებოდა ისტორიული ქარტეხილების ჟამს. აღმოსავლეთიდან მოსეული მონღოლთა ურდო, თუ სამხრეთიდან მოსეული ირანელთა მარბიელნი არაბნი თუ თურქნი, უპირველეს ყოვლისა, ჰერეთს აწყდებოდნენ და მის კარიბჭესთან წყდებოდა ბედი არა მარტო ჰერეთის სამთავროსი, არა მარტო კახეთის სამეფოსი, არამედ, ზოგჯერ მთელი საქართველოისაც.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ ეროვნულ ტრაგედიად იქცა ქართველთათვის ლომივით ძლიერი და გველივით ცბიერი შაჰ-აბასის შემოსევა მეჩვიდმეტე საუკუნეში. ჰერელთა და კახელთა ნაწილი მოსრა, ნაწილი გაასახლა, ნაწილს მუსლიმანობა მიაღებინა და რჯული გამოაცვლევინა, ქართველებს ინგილოები შეარქვეს... გაუკაცრიელდა მთელი კახეთი, განსაკუთრებით კი ჰერეთი.

შემდეგში ამ ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს დაღესტნიდან და აზერბაიჯანიდან მოსულმა მუსულმანებმა... მაწიმის ხევიდან დაწყებული, თითქმის ყვარლამდე ძველი ნასოფლარები და ნაქალაქარნი გაუდაბურდა. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები, როგორიცაა: ნადარბაზევი, ნაბაზრალი, ნაბალრები, ნაქალაქარი, ნასაყრდალი და სხვ. ამ ჭალა-ტყიდ ქცეულ ტერიტორიას, რომელიც იქცა ნადირთა და ფრინველთა თავშესაფარად, პატრონობდნენ და მეურვეობდნენ კახელი თავადები: ჯორჯაძეები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები, ჭავჭავაძეები, ქობულაძეები. ამის გამო იყო, რომ ამ ტერიტორიას სათავადოებს ეძახდნენ და ძირითადად გამოყენებული იყო პირუტყვის საძოვრად და სანადიროდ.

ისიც საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ბატონყმობის გადავარდნის მერე ქართველმა თავადაზნაურობამ ვერ გამოიჩინა წინდახედულობა და დაიწყო მამაპაპეული მიწა-წყლის გაყიდვა...

ცხოვრების მდინარე საკმარისად ამღვრეული იყო და აი, გამოჩნდნენ კიდეც მღვრიე წყალში თევზის ადვილად დამჭერნიც... ქვეყნის ოთხივ კუთხიდან მოგვევლინენ ფულიანი ბედის მაძიებელნი, რომლებიც სარგებლობდნენ ქართველ თავადთა უდარდელობით, წინდაუხედაობით და ჩალის ფასად ხელში იგდებდნენ მდიდარ ტყეებსა და ნოყიერ მინდვრებს.

ილიამ მყისვე აართვა ალღო და მიხვდა, რომ ეს უჩინარი, ფულით მოსული მტერი უფრო საშიშია, ვიდრე ხმალმოღერებული დამპყრო-

ბი... პაჭიას ნაპირი უკვე შემორღვეული ჰქონდა... საჭირო იყო რაიმე რადიკალური ზომების მიღება, რათა წისქვილის გაბზარული სათავე მთლად არ მოშლილიყო და წყალს ხელადებით არ დაეწყო დენა მტრის ბედის მამოძრავებელ ღარზე.

ილიამ გარჯით მოსულ მტერს გარჯავე დაუპირისპირა. პოეზიის მუზებს მოუბოდიშა. შთაგონებული პოეტი, ავტორი „ყვარლის მთებისა“ და „განდეგილისა“, უბადლო მხატვარი, შემქმნელი „კაცია-ადამიანისა!?“ და „ოთარაანთ ქვრივისა“. გახდა ბანკის მესვეური. მის მიერ დაარსებულმა ბანკმა ხელ-ფეხი შეუკრა უცხო მევახშეებს. ამიერიდან თავადი იქნებოდა, აზნაური, თუ გლეხი, საშუალება ეძლეოდათ ესესხა ფული ბანკიდან უფრო ხელსაყრელ პირობებში. ამ ფულით მათ შეეძლოთ დაემუშავებინათ მამულები და მერე შემოსავლით დაეფარათ ვალები. ჭკვათამყოფელნი ახეც იქცეოდნენ. ბედოვლათებს მამულები ხელიდან ეცლებოდათ, მაგრამ ამიერიდან ეს მიწები გადამთიელთ კი არ რჩებოდათ, ბანკის განკარგულებაში გადადიოდა. ბანკი კი გლეხებს ამუშავებინებდა იჯარით. ამით გლეხებიც ღონიერდებოდნენ, ბანკიც ძლიერდებოდა, მისი ნაჭარბი მოგება კი ერის კეთილდღეობას ხმარდებოდა...

ბედის მაძიებელთ როდი ეძინათ. ისინი მაინც დაჩალიჩობდნენ და ზოგჯერ მიზანსაც აღწევდნენ...

ჰერეთის მიწებსაც დაადგა ვიღაც გადამთიელმა მილიონერმა თვალი. გააბა მოლაპარაკება მის მფლობელ თავადებთან. ამ თავადებს ეს ადგილები დაგირავებული ჰქონდათ ბანკში. ფულიანმა კაცმა იმდენი თანხა შეაძლია მათ, რომ ვალებსაც ისტუმრებდნენ და სხვაც კიდევ რჩებოდათ სახარჯოდ... ფულს ვინ არ შეუცდენია. და აი, დადგა სახიფათო ჟამი, ჰერეთის მიწები მაწიმიდან დაწყებული თითქმის ყვარლამდე იყიდებოდა... ილიამ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მყის დაუკავშირდა კახელ თავადებს, ესაუბრა მათ და ყველანი დაიყოლია იმაზე, რომ ბანკი ვალებს ჩამოუხსნიდა, თუ მიწებს დასთმობდნენ. ასეც მოხდა. საკითხი დადგა, თუ ვინ დაეპატრონებოდა ამ მიწებს?

ილიამ შეიტყო, რომ იმერეთში და რაჭაში გლეხები უმიწობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. ამცნეს, რომ თუ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნით, გადმოსახლდებიანო...

ილიას სურდა მიწას მუდმივი პატრონი ჰყოლოდა, თორემ მაცდური დღესდღეობით თუ მოიგერიე, ხვალ შეიძლება ვეღარ მოიცილო.

უმიწობით შეწუხებულ იმერელ გლეხს მეტი რა უნდოდა – მდიდარი ტყე-ჭალა და ნოყიერი ადგილ-მამული, წყალი და ჰაერი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ძნელია შეჩვეული კერა-ფუძის მოცილება, ჩვეული ჰაერის და წყლის დათმობა... ფრთხილმა იმერლებმა ჯერ წარმომადგენელი გამოგზავნეს, ადგილის დედა დაყნოსეს, ცას ახედეს,

მთას გახედეს, მიწას დახედეს, წყალი დაიგემოვნეს და ბოლოს გადაწყვიტეს იდაეჯერებინათ ჭკვიანი კაცის რჩევისათვის".

პირველი მოსახლენი მოვიდნენ XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში და დამკვიდრდნენ ლელიანის ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნოდა ჭავჭავაძეებსა და ჯორჯაძეებს. აქვე იდგა წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია (XI ს. ძეგლი). თავის დროზე ეკლესია ისეთივე აუცილებელი ნაგებობა იყო სოფლისათვის, როგორც დღეს თეატრი ანდა სოფლისათვის სხვა სარგო დაწესებულება. სოფლის სახელი - ლელიანი - ადგილობრივი ტოპონიმიდანაა ნაწარმოები.

ახალი მოსახლენი ძირითადად ქიათურისა და საჩხერის მცირე მიწიანი სოფლებიდან ჩამოსახლდნენ. ეხლაც ახსოვთ ამ რაიონის მკვიდრთ თავიანთ მამაპაპათა სახელები, რომელთაც პირველად დაარტყეს ბარი ამ მადლიან მიწაზე. ვარდისუბნელმა ჩხეიძეებმა იციან, რომ მათი ბაბუა პავლე ლომიძე (დედის მხრიდან) სოფელ ლიჩოდან ჩამოსახლდა. პავლეს 7 ვაჟიშვილი ჰყოლია და როცა შეიტყო, რომ ილია ჭავჭავაძე კახეთის ნოყიერ მიწაზე დასახლებას გვპირდებაო, ვაჟიშვილებისათვის უთქვამს: ილია ჭკვიანი კაცია და მისი რჩევა ცუდად არ დოგვიჯდება, წავიდეთ კახეთში, ამბობენ მიწა ღალიანიაო...

ასევე მოქცეულა სოფელ გუნდითელი სოლომონ ჩხეიძე, რომლის შთამომავალნიც ვარდისუბანში ცხოვრობენ. სოფლისთვის სახელი ვარდისუბანი სოლომონის შვილს, ვანო ჩხეიძეს უწოდებია.

ქიათურელ და საჩხერელ იმერლებს ჩამოჰყვნენ ონელი და ამბროლაურელი რაჭველები, რომლებიც ძირითადად სოფელ გიორგეთში დამკვიდრდნენ.

ვარდისუბნის სკოლის დირექტორი ავთანდილ ჩხეიძე იგონებს: „ჩვენი ბაბუები და მამები არასოდეს გასტეხდნენ სუფრაზე პურს, რომ ილია ჭავჭავაძე არ ეხსენებინათ გაუმარჯოს ილიას, რომელმაც უმიწაწყლო იმერლებს საშუალება მოგვცა დავფუძნებულიყავით ამ ნოყიერ ალაზნის ველზე. მართლაც და საქართველოს მამა იყო ის ცხონებულიო".

ლელიანისა და ვარდისუბნის მერე გაშენდა ბაისუბანი, ყარსუბანი, გიორგეთი, ბოლოკიანი, ბალღოჯიანი და სხვა.

იმერეთიდან უმიწაწყლო გლეხთა ჩამოსახლება ჰერეთის ტერიტორიაზე გაგრძელდა შემდეგშიც, მაგრამ ეს იყო იმ წამოწყების გაგრძელება, რომელიც ილიას ინიციატივით დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს.»

## ილია და „ვეფხისტყაოსანი"

ამა თუ იმ ერის მიერ წარმოშობილი გენია, ან ტალანტი, ხალხის სულიერი ძალის გაქანებისა, ანდა, როგორც იტყვიან, მისი შინაგანი პოტენციალის გამოვლინებაა. ჩვენ რომ აქ შევჩერდეთ გენიოსისა და დამბადებელი ერის ურთიერთის განპირობებაზე, საკითხი ბოლომდე არ იქნება გახსნილი. თავის მხრივ, გენიოსნი რის გენიოსნი არიან, თუკი დამბადებელი ერის სულიერ ფორმირებაში მაორგანიზებელ როლს არ ითამაშებენ. გენიოსნი შემქმნელი ხალხის სულიერ მადანს საკუთარ გონებისა და გრძნობის ქურაში ადნობენ, აკრისტალებენ, არკვევენ და მერე ხალხსვე უბრუნებენ. ესენი არიან ერის სულიერი მოძღვარნი, ორი მარტო სიცოცხლის ჟამს, თვით სიკვდილის მერეც. ჭეშმარიტ ხელოვნებას ხომ ვერას აკლებს ვერცარა დროთა ბრუნვა, ვერცარა ჟამთა სვლა, იგი მზესავით მარადიულია და სიცოცხლედაულეველი.

ქართველი ერი მრავალჭირგადანაყარი ერია. მაგრამ მტერჭარბობის ვითარებაში მაინც ბადებდა გენიოს შვილებს. ასეთნი მრავალნი ჰყავს, მაგრამ უპირველესი მაინც შოთა რუსთაველი იყო და არის.

დიდ მოამაგეთ და მოღვაწეთ, თუ ღირსეული მოდგმა და შთამომავალიც არ დაბადეს, მათი ნაღვაწი აუთვისებელი და დაუფასებელი დარჩება. შ. რუსთაველს საუკუნეების მანძილზე მრავალი მკითხველი, მიმბაძველი და დამფასებელი გამოუჩნდა. რა თქმა უნდა, თუ უპირველესი არა, ერთი უდიდესი გამგები და მის მრწამსში ღრმად ჩამწვდომი მაინც ილია ჭავჭავაძე იყო.

ილია „ვეფხისტყაოსნის" მადლსა და მირონს დედის კალთაშივე ეზიარა. ალექსანდრე ყიფშიძე ილიაზე წერს: „ქართული წერა-კითხვა პირველად ოჯახშივე შეიძინა. იქვე, ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი „ვეფხისტყაოსანი" და ეგების ეს გარემოება იყო მიზეზი,რომ განსვენებულმა საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა... თვითონ ბევრჯერ სიამოვნებით მოუგონებია, ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშობისა ოჯახში, რომ ქალები ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს".

ილიას რომ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი შოთას სიბრძნე და მისი მაღალი ჰუმანიზმი, ნათლად ეტყობა მის შემოქმედებას. ილია მტერთან ბრძოლასა თუ მოყვასის დამოძღვრის დროს შოთას იმოწმებს ისე, ვითარცა მორწმუნე - ქრისტეს. იმოწმებს ისე მარჯვედ და ისე მოსწრებულად, რომ მკითხველი აშკარად გრძნობს ილიას ორგანულ კავშირს და შესისხლხორცებას რუსთაველთან.

ილია ჭაბუკობის დროს დაწერილ ცნობილ წერილში რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმანის გამო „ვეფხისტყაოსნის

აფორიზმებს იმარჯვებ და კოზლოვს ადარებს იმ პოეტების რანგს, რომელთა შესახებაც შოთა ამბობს: „დიდსა ვერ მოჰკვდენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა".

საყოველთაოდ ცნობილია ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობა და ისიც, რომ თითქმის ყოველ ჟანრს მოუხადა ვალი სიტყვაკაზმულ მწერლობაში. რუსთაველის სიბრძნის კილოკავი ყველგან იგრძნობა ილიას შემოქმედებაში. აი თუნდაც ავიღოთ „გლახის ნაამბობი". რუსთაველის აფორიზმები და თქმანი მრავალგზის აქვს ამ მოთხრობაში გამოყენებული. თვით მოძღვრის პირით დიდებულად აქვს დახასიათებული ეს უკვდავი ქმნილება. გლახა მონადირეს უამბობს თავის გაჭირვებას და ბოლოს რუსთაველის სიტყვებით ინუგეშებს გულს: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა".

თავისი გმირის პირით ილია ამბობს: „ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარიდანა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსასა უკვდავო რუსთაველო!"

როცა ახალგაზრდა გაბრიელს მოძღვარმა „ვეფხისტყაოსანი" აჩუქა, ასე დაუხასიათა: „...აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია რა... ბევრგან იმის სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულსა და გონებას გაგიწრთვნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ". და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ გაბრიელს ჭირშიც და ლხინშიც, ყოველთვის თავისი მოძღვრის სული და მჲს მიერ ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსანი" უნათებენ გზასა და კვალს. აკი სულის ამოსვლის წინაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შოთასივე სიტყვებით შეეკამათა მისთვის სჯეგამწარებულ წუთისოფელს.

აქ საგულისხმო ისიცაა, რომ ილიას მოძღვარი მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირია, სახარებას კი არ იმარჯვებს ყრმათა წრთვნისას, ანდა მრევლის დამოძღვრისას, არამედ „ვეფხისტყაოსანს".

ილია ხშირად ხმარობს და იშველიებს შოთას აფორიზმებს პუბლიცისტურ წერილებშიც. თვით შოთას სახელსა და „ვეფხისტყაოსანს" იყენებს ჩვენი ვინაობის ფარ-ხმლად. ჯერ კიდევ ენის საკითხებზე კამათის დროს უკიჟინებდა თავის მოწინააღმდეგეებს, რომ არავის შევაბღალვინებთ იმ ენას, რომელზედაც ჩვენმა დიდმა შოთა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" დაიგალობა.

პატკანოვთან შეპაექრების დროს ქართველი ერის თვითმყოფადო-

ბისა და მისი სულიერი სიძლიერის საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსანს" ასახელებს და დასძენს: „ვინც განგებ გონებადახშული არ არის, ან განგებ თვალებზე ხელდაფარებული... განა იკადრებს თქმას, რომ „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელი ერი იმდენად ბრიყვი იყო, რომ ისტორიის საჭიროების გრძნობაც არა ჰქონიაო".

ილია „ვეფხისტყაოსანს" თვლის არა მარტო შოთა რუსთაველის შემოქმედებით გამარჯვებად, არამედ მთელი ერისას, რადგან მან კარგად იცის და მოკამათეთა საყურადღებოდაც აცხადებს: „ვეფხისტყაოსანი" გაჩნდეს ერის ლიტერატურაში, ეს ლიტერატურა ცოტად თუ ბევრად განვითარებული უნდა იყოს, ენა შემუშავებული, საზოგადოებრივი ცხოვრება რიგსა და წესზე დამყარებული". ამ დებულების თანახმად გენიოსნი ციდან კი არ ეშვებიან მიწაზე, მიწიდან მაღლდებიან ცამდე. რესთაველის გენიასაც თავისი მშობელი ერის სულსა და გულში აქვს გადგმული ფესვები და მისი ამაღლებული გრძნობისა და გონების პირმშო არის.

როცა ესა თუ ის ერი პყრობილ მდგომარეობაშია, დამპყრობელი ყოველთვის ცდილობს თავის დაპყრობილი ერის წიაღშივე იპოვოს თავისი საყრდენი თანამზრახველი ელემენტები. მათ იციან, რომ ადგილის კურდღელს ადგილისავე მწევარი იჭერს მარჯვედ. ამ მიზნით ათასგვარ ღონისძიებებს ხმარობენ. ერთი კი ისაა, რომ ერს წაართვან და არარად უქციონ ის, რითაც ამაყობს, რაც ეროვნულ დროშად აქვს აღმართული, ვისი სახელითაც ქვეყანაზე გამოდის და თავის სიტყვას ამბობს. დამპყრობნი ერის ასეთი საყრდენი ბურჯების ლიბოს სათხრელად ყოველთვის იყენებენ კოსმოპოლიტურ, ანდა გადაგვარებულ, კარიერისტული სენით დაავადებულ ელემენტებს.

ჩვენი ყველაზე დიდი სიამაყე რუსთაველი არის. ამის გამო იყო, რომ მტრები უპირველეს ყოვლისა, რუსთაველის გაბიაბურებას ცდილობდნენ, რათა დაემტკიცებინათ, რომ ჩვენ არარანი ვიყავით. თვით რუსთაველი, რომლითაც ვამაყობდით, მხოლოდ მეზღაპრეა, ანდა სპარსულიდან სხვის მიერ ამბის გადმომღერებელია და მეტი არაფერი. ამგვარ ცდებს ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებშიც კი.

1889 წელს რუსულ პრესაში გამოქვეყნდა ივანე ჯაბადარის წერილი, სადაც საქართველოს ისტორია და თვით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" მიმოხილული და აღქმული იყო ნიადაგგამოცლილი ნიჰილიზმის სულისკვეთებით.

ილიამ არ დააყოვნა, არ შეუნდო მშობელი ერის გაბიაბურება ი. ჯაბადარს და „ივერიაში" გამოაქვეყნა წერილების მთელი სერია, რომელიც დასათაურებული იყო „აი ისტორიის" სახელით.

ილიამ ქვა ქვაზე არ დაუტოვა ი. ჯაბადარს ვაი ისტორიიდან.

ამ ვრცელ ნაშრომში ილია არა მარტო იცავს რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებს, მრავალჯერ იმოწმებს მის აფორიზმებს თავისი დებულებ-. ის დასამტკიცებლად, აგრეთვე ქართული ენის სიმდიდრისა და სილამაზის საილუსტრაციოდ. ბოლოს კი მთელ მის ნაცოდვილარს უწოდა: „თავიდან ბოლომდე, ერთი გაბრტყელებული უშვერი ტყუილი, მარტო ძაგებისათვის შეთითხნილი, ჭირვეულობისა და ყოვლად უაზრობის და უციცობისაგან და თავგასულ მამლაყინწობისაგან ურცხვად გატრაბახებული".

მეცნიერების წინაშე საყოველთაოდ ცნობილია ნ. მარის დიდი დამსახურება. ცოტა წვლილი როდი მიუძღვის თვით რუსთაველის საკითხების დამუშავებაში, მაგრამ ისიც სათქმელი და საგულისხმოა მრავალ ცდუნებასთან ერთად მისი ერთი დიდი ცდუნება ის იყო, რომ ერთ დროს რუსთაველსა და მისი პოემის მიმართ განიმსჭვალა ნიჰილიზმით და საქვეყნოდ ამტკიცებდა, რომ იგი სპარსულიდან არის გადმოთარგმნილი და თითქოს მას ლონდონში ეგულება მისი უცხოური წყაროები. ილიამ არც ეს (იმ დროს ახალბედა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი) დაინდო და თავისი მძლავრი გონების მაჯაგანით მოქნა და მოთელა.

ილია ნ.მარის საპასუხოდ წერს, რომ არავის აქვს უფლება შეურაცხყოს ერს უმიზეზოდ, უსაბაბოდ, უსაფუძვლოდ ის წმინდათა წმინდა, რომელსაც „შვიდასი-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის".

ილია მოითხოვს მეცნიერისაგან ან საბუთის წარმოდგენას, ანდა პატიოსან, მეცნიერისათვის დამახასიათებელ გულწრფელ აღიარებას, რომ შევცდით. მაგრამ ილია მარის პატიოსნებას ეჭვით უცქერის და ასკვნის: „ბ-მა მარმა კარგად იცის, - რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი", კარგად იცის, - რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამაღლებისათვის. მაშასადამე თუ თავში დასაცხობი ვისმე რამე უნდა უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს, აქედამ შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე, ჩვენი სახელისა და თავმოწონებისა".

ილია, როგორც დამბადებელი ერის ჭეშმარიტი შვილი, ნათლად გრძნობდა, რომ რუსთაველი ქართველი ხალხისათვის იყო არა უბრალო ამბის მთხრობელი მწერალი, ან მოლექსე, არამედ მისი სულის ყოვლგვარი საგანძურის მფლობელი, მისი აზრისა, გრძნობისა და ენის მეუფე. ეს იცოდა და სწორედ ამის გამო იცავდა თავგამოდებით ყოველის მხრიდან მოსეულ მტერთაგან, გამყალბებელთაგან და ცრუ მეცნიერთაგან. სხვანაირად არც შეეძლო მოქცევა ერის შვილს, ამავე დროს მის მოძღვარსა და მამას. „ვეფხისტყაოსანი" ილიასთვის იყო „ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი, რომელსაც მთელმა

ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩააქსოვა თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი".

რუსთაველის სახელი ილიასათვის სინონიმად იყო თავისი სამშობლო საქართველოისა, მისი მძლავრი სულისა. ეს უკვდავი ქმნილება ერთგვარ გაუხუნარ ენციკლოპედიას წარმოადგენს, როგორც საქართველოს ცხოვრებისა, ასევე ზოგად ადამიანურ ძლიერ ხასიათებისას. სწორედ ამ თავისებურებების გამო არის „ვეფხისტყაოსანი" ღრმად ეროვნულიც, საკაცობრიოც და მარად გაუხუნარი ღირებულების ნაწარმოები, სადაც ფორმაც, შინაარსიც, გმირთა მკვეთრად გამოკვეთილი სახეებიც ერთურთს ისე არიან შერწყმულნი, შენივთული, რომ მათი გათიშვა, განაწევრება ყოვლად შეუძლებელია და სწორედ მხატვრული ნაწარმოებისათვის საჭირო ყველა ელემენტის ჰარმონიული შენივთება ანიჭებს ამ ნაწარმოებს მსოფლიო პოეზიის შედევრების გვერდით უცვლემონიოდ დგომის უფლებას. აკი ამის გამო ამბობდა ილიაც: „რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევნ რომ მის სახელსა და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ".

რუსთაველის გენიის ქამანდს დღემდე თავი ვერ დააღწია ვერცერთმა ქართველმა დიდმა თუ პატარა შემოქმედმა. ზოგი ეპიგონობდა, ზოგი ეპაექრებოდა, ზოგიც ეთაყვანებოდა და ასე შემდეგ.

ილიასა და აკაკის მთელი შემოქმედებაც - თვით სული და მრწამსი რუსთაველის გენიის ემბაზშია ამოვლებული. არც ერთი მათგანი ერთურთს ტოლს არ დაუდებდა რუსთაველის სიყვარულში, მისი შემოქმედებითი არსის ღრმად გაგებაში და მაინც შეპაექრდნენ...

1887 წელს აკაკი წერეთელმა წაიკითხა საჯარო ლექციები „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ, აკაკიმ თავის ლექციებში სცადა „ვეფხისტყაოსნის" გმირთათვის პროტოტიპები ქართულ სინამდვილეში მოეძებნა. ეს ტენდენცია დაბადა იმ გარემოებამ, რომ პოემის ირგვლივ მრავალსაუკუნოვან პაექრობისას ზოგნი იმ აზრს დაადგნენ, რომ თითქოს იგი უცხო წარმოშობისაა. იგი გადმოღებულია სპარსულიდან და სხვა ამგვარები. ამის საბაბს იძლეოდა, ერთის მხრივ, ის, რომ „ვეფხისტყაოსნის" გმირთა სამშობლოდ და სამოქმედო ასპარეზად ნაწარმოებში სხვა ქვეყნებია დასახელებული - არაბეთი, ინდოეთი და სხვა, მეორეს მხრივ, თვით შოთა რუსთაველის გამონათქვამი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავქმენ, საქმე ვქმენ საჭოჭმანები"-ო. „ვეფხისტყაოსნის" უცხო

წარმოშობის მქადაგებელნი ვერ სწვდებოდნენ ნაწარმოების ქვეტექსტს, მის ალეგორიულ არსს, მის გმირთა მოქმედების, ზნისა, ფსიქოლოგიისა და იერსახის ქართულ საწყისს. თუნდაც თინათინისა და თამარ მეფის გამეფების თანმთხვევას, ვერ მიუხვდნენ, ან არ სურდათ მიხვედრა, რომ რუსთაველმა შედარებით თქვა და ასახა თავისი თანამედროვე – თამარის დროინდელი, როგორც საქართველოს რეალური ყოფა და ცხოვრება, ასევე მისი მარად დაუცხრომელი სული. ეს ყოველივე ისეთნაირ პოეტურ ფორმაში გამოძერწა და გამოაქანდაკა, რომ მასში თავი მოიყარა ჰუმანიზმის საკაცობრიო მაღალმა იდეალებმა, რომელი იდეალებიც გაცისკროვნებული იყო დღემდე სწორუპოვარი პოეტური ცეცხლითა და ელვარებით.

აკაკი წერეთელი შეეცადა პირველ რიგში გაექარწყლებინა ეს მითი. ამ მიზნით მან რუსთაველის გმირები ქართულ სხვადასხვა ტომის შვილებად გამოაცხადა. მოუსმინოთ თვითონ აკაკის: „იმას, (გულისხმობდა შოთა რუსთაველს,) სურდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი, როგორც მამაკაცისა, ისე დედაკაცისაც... ამ მიზნით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვისპირეთიდან ფრიდონი და მთელი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოისა...“ ამ დებულების დამტკიცების მიზნით აკაკი საგანგებოდ ახასიათებს ქართლელებს და მათ ჩვევას უსადაგებს ტარიელის პირდაპირ, მაგრამ გულისთქმააყოლილ ხასიათს. ახასიათებს იმერლებს და მათ წინდახედულ ფრთხილ და ზოგჯერ გარემო ვითარებით ათვისებულ ცბიერებას აიგივებს ავთანდილის საზრიანსა და მოფიქრებულ საქციელთან და ა.შ.

აკაკის განზრახვა დიდად კეთილშობილურია და მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოშობილია ქართულ ნიადაგზე, იგი გაჟღენთილია ქართული სულითა და ხასიათით, რომ მისი გარეგანი სამოსელი – ამბავი ნასესხები კი არ არის, განგებ არის გადატანილი სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, რადგან თვით ავტორს სურდა შედარებით ეთქო ის, ვინც, როგორც თვითონ ამბობს, მრავალჯერ უქია და ხოტბა შეუსხამს – ეს სახოტბო ხატი აკაკის აზრით თამარი კი არაა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ მთელი საქართველოა.

ილია მიესალმა აკაკის გადადგმულ ნაბიჯს. იგი იშვიათ ამბად თვლის იმ ფაქტს, რომ აკაკი წერეთელმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ლექციების კითხვა დაიწყო. ილია მიმოიხილავს ლექციების დედააზრს და დასძენს: „მთელი სამი ლექცია ბატონ აკაკისა წარმოადგენდა ერთს იმ დედა-აზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ქართველი. მისი

სიტყვით ტარიელი, რადგანაც ზარმაცია – ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი – იმერელია, ხოლო ფრიდონი – არ გვახსოვს რა მიზნით და რის გამო – ზღვისპირის ქართველია".

ილია ამბობს, რომ როგორც აკაკის მეცნიერი ნიჭის მადლი ვიცით, ამ აკიდოზე ბევრი მადლი აასხა, მაგრამ აკიდოს დერი სუსტია და კრიტიკას ვერ უძლებსო.

ილია სავსებით ემიჯნება იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსნის" გმირნი მოექცნენ ეთნოგრაფიულ ჩარჩოში. – პირიქით, ტარიელშიც, ავთანდილშიც, ფრიდონშიც და ქალთა ტიპებშიც ილია ხედავს ზოგადსაკაცობრიო სახეებს. ილია რუსთაველს მსოფლიო გენიის მწერალთა რიგში იხსენიებს. ასეთ მწერლად კი შეიძლება აღიარებული იქნეს ის, ვის მიერაც დახატულ გმირთა სახეებში „რომელი ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთუწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება".

თუმცა ილია იმასაც აღნიშნავს, რომ ლიტერატურულ ტიპებს, თუნდაც ისინი ზოგადსაკაცობრიონი იყვნენ, მუდამ აცხიათ მწერლის დამბადებელი ერის ნიშანი და იერსახე.

„ – თქმა არ უნდა, – ამბობს ილია, – რომ ერი რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერინებს პოეტს ყოველ ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას".

აქედან ნათლად ჩანს: ილია არ უარყოფს იმას, რომ ზოგადსაკაცობრიო ლიტერატურულ ტიპებს ეროვნულ ნიადაგში უდგათ ფესვები. აკაკი კი ილიასადმი დაწერილ წერილში იმ აზრს ანვითარებს, რომ ილია თითქოს უარყოფდეს მსოფლიო მნიშვნელობის ტიპების ეროვნულ ხასიათს. თითქოს ილიას აზრით „ვეფხისტყაოსნის" გმირნი „ქვეყნიდან მოსხლეტილნი" არიან, ხოლო აკაკიმ მათ მიწაზე დაადგმევინა ფეხი.

როცა აზრისა და გრძნობის მეუფეთა ამ ნაპაექრალ აზრს თითქმის საუკუნის მერე უკვირდება კაცი, იგრძნობა ორივე გოლიათის, ილიასა და აკაკის სამართლიანობა. უფრო მეტიც: აფასებენ ერთმანეთს. თუ აკაკიმ რუსთაველის გმირებს ეროვნული ფესვი და ნიადაგი უპოვნა, ილიამ ამ ქართულ სინამდვილეში წარმოშობილ რუსთაველის გმირებს მსოფლიო რეზონი მიუსადაგა.

აკაკი ცამდე მართალია, როცა ამბობს: „თუმცა თვით ავტორი კი გვარწმუნებს, მაგრამ ეს ამბავი სპარსულით კი არ არის გადმოღებული, აქ უცხო არა არის რა და მოთხრობაში დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია. ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენ-

ლებია. ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წეს-
წყობილება გვიმტკიცებს“.

განა ილიაც ასევე ცამდე არ არის მართალი, როცა მისთვის
ჩვეული სიდარბაისლითა და შეუვალი ლოგიკით გვმოძღვრავს: „რუს-
თაველის ტიპებს იმ პატარა ჭუჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა,
საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი და იმერელი, და სხვა ცალკე
სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელი სარკმლი-
თამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაევლებოდეს, მის სრულს
სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ... კიდევ ვიტყვი, რომ
ტარიელი, ავთანდილი ფრიდონი და სხვანი კაცადკაცნი არიან, ზო-
გად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“.

აკაკი უეჭველად უნდა დათანხმდეს ილიას, როცა საყვედურობს,
რომ ტარიელის გაქართლელება, ავთანდილის გაიმერლება და ფრიდონის
გაზღვისპირელება ნამდვილად რუსთაველის გმირთა დაწვრილმანე-
ბაა.

ილიას სიტყვები რომ გავიმეოროთ: „ძნელია იმისთანა მართლა
სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველი, კაცმა უბრალო ეთნოგრაფი-
ულ საჩხრეკელაო საქმეზედ ჩამოახდინოს“ ... ამ უკიდურესობამდე
რომ არ მისულიყო აკაკი და რუსთაველის გმირებისათვის ტომობრივი
საზღვრები არ დაედგინა და პირდაპირ ედიარებინა, რომ რუსთაველის
„ვეფხისტყაოსანი“ ქართულ სინამდვილეზეა წარმოშობილი, როგორც
ეს ვაჟამ გააკეთა, აკაკისთან სადაო არავის ექნებოდა.

ილია ისე გაიტაცა რუსთაველის გმირთა ზოგადკაცობრიობამ,
რომ მათ ეროვნულ იერსახეზე ყურადღება შეანელა. თუმცა, როგორც
ზემოთ აღვნიშნეთ, გაკვრით მიგვანიშნა მწერლის ეროვნულობის ფე-
რსა და სურნელებაზე საკაცობრიო ტიპთა დახასიათების შექმნის
დროს. მაგრამ ეს მხარე და საკითხი ილიასთვის ჩვეული სიღრმით
ვერ იყო დაყენებული და გადაჭრილი. ეს აუცილებელი კი იყო, რა-
დგან თვით ილიამ კარგად იცოდა, რომ ამ ხანებში ათასი შინაური
და გარეული მტერი ათასნაირ ძირის ხლართებს გრეხდა, როგორც ჩვე-
ნი სახელოვანი ისტორიის, ასევე პირველ რიგში რუსთაველის ირგვ-
ლივ. თვით ილიას მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრი ფარი და ხმალი
ჰქონდა გაცვეთილი.

როცა ილიასა და აკაკიზე ვფიქრობ, ასე მესახება, თითქოს
აუცილებელი იყო ამ ორი ადამიანის ერთად თანამშრომლობა. უილიოდ
ჩვენს აზრს სიღრმე დააკლდებოდა, ხოლო აკაკის გარეშე ქართულ სი-
ტყვას-ელვარება. ყველგან და ყოველთვის ეს ორი სიტყვის და აზრის
რაინდი ერთურთს ავსებდა. „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ გამართულ პა-
ექრობის დროსაც ასე მოხდა. აკაკიმ რუსთაველის გმირებს ქართულ
ნიადაგში მოუძებნა ფესვი და საძირე, ილიამ საკაცობრიო სარკმლი-

დან გადახედა მსოფლიოს დასანახად და საცნობრად. ერთიც საჭირო იყო და მეორეც. ეს ორი უებრო მამულიშვილი კოველთვის ერთ საქმეს აკეთებდა - თავიანთ გრძნობისა და გონების ქურაში ქართლის ბედისკვერს აცხობდნენ შთამომავლობის დასაპურებლად და მტერთან ბრძოლაში შესუსტებულ მუხლ-მკლავის გასამაგრებლად.

# ი ლ ი ა   დ ა   ვ ა ზ ი

ვაზი და საქართველო, ვაზი და გუთანი, ვაზი და ჯვარი ერთარსებად იყო აღქმული თდიდგანვე ქართველი კაცის ცნობიერებაში. ვაზი როდი იყო მარტო ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი საყრდენი და გამაძლიერებელი. მას ჩვენი ხალხი უყურებდა როგორც სიწმინდეს, როგორც უბიწობას.

ლეგენდარულმა წმინდა ნინომ ჯვარი ვაზისაგან ეგებ განგებაც გააკეთა, რათა ადვილად ეწამებინა წარმართ ქართველთათვის ქრისტეს რჯული? ეგებ ამავე მიზნით მოიგონეს საზიარებლად ღვინო? და მართლაც ვაზი ხომ გაცილებით ადრე შეიტკბო, შეიცნო და იწამა ქართველმა, ვიდრე ქრისტეს სჯული. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი უძველესი ნივთები, სადაც ნათლად ჩანს ვაზის კულტი. ზოგიერთი ასეთი ნივთი თარიღდება სამიათასი წლის წინა პერიოდით. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 500-მდე ვაზის ჯიშია ცნობილი. მეცნიერები ადასტურებენ იმასაც, რომ თვით სახელწოდება - ღვინო - ქართულიდან არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში.

და როცა ამ ვენახისა და ღვინის კლასიკურ ქვეყანაში შეიქმნა საფრთხე ვაზის გადაშენებისა, როცა ევროპიდან შემოიჭრა სხვა მრავალ მანკიერებასთან ერთად ვაზის დაავადებანი - ფილოქსერა, ჭრაქი და სხვა მრავალი, შეწუხდნენ ერის ჭეშმარიტი გულშემატკივარნი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მეცხრამეტე საუკუნის აზროვნების მეუფე - ილია ჭავჭავაძე. მან მრავალი წერილი გამოაქვეყნა ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი მოითხოვდა გამოეყენებინათ ყველა ღონისძიება და მეცნიერების მიღწევა, რათა არ გადაშენებულიყო ეს უძველესი საგანძური ერისა,, „...რომელიც ნაყოფია დიდი ხნის ჯაფისა და შრომისა, განაგრძობს ილია, - ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრისა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელი ოჯახის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ ნადვაწისა.. აქაური გლეხკაცი შეხარის ვენახს ჯერ, როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნა-

შრომ-ნაღვაწის ხახსოვარსა და ნაშთსა". აქედან ჩანს, რომ ვენახი ქართველი კაცისთვის ოდითგანვე მარტო ქონებრივს კი არა, ზნეობრივ საყრდენსაც წარმოადგენდა. ცნობილია, რომ გადაშენებული ვენახის ადგილას გლეხი სხვა კულტურის გაშენებას ვერ ეგუება, თუნდაც გაცილებით მომგებიანი იყოს მისთვის. ნავენახარში კვლავ ვენახს აშენებდა, ისევე, როგორც ნამოსახლარში-სახლს.

ილიამ წერილების მთელი სერია მიუძღვნა სოფლის მეურნეობის საკითხებს. მათ შორის დიდი პატრიოტული სიამაყით არის დაწერილი ის წერილები, რომლებიც ეხება მევენახეობასა და ღვინის ქართულად დაყენების წესებს. დიდ პოეტს ამ საკითხებზე ხელთ კალამი ააღებინა იმ გარემოებამ, რომ იმხანად რუსეთის ბაზრებს მოეძალა ევროპიდან შემოტანილი ხელოვნური ღვინოები, ამავე დროს გაჩნდნენ ისეთი „სწავლული" მეღვინეები, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ ხელოვნური ღვინოები გაცილებით უკეთესია ბუნებრივად დაყენებულ ღვინოებზეო. უფრო მეტიც: ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბუნებრივი ღვინო არც არსებობსო. ბუნებრივია თვით ყურძენი, ხოლო ღვინო, თუნდაც ის სუფთა ყურძნის წვენი იყოს, მაინც ხელოვნურია, რადგან ადამიანის ჩარევის შედეგად მზადდებაო. ამ უცხო „სწავლულებს" ბანს აძლევდნენ ქართველი „სწავლულნიც" და ნიჰილისტურად უყურებდნენ ღვინის ქართულად დაყენების წესებს, რომელიც ჩვენმა მამა-პაპამ ათადან-ბაბადან დააწესეს და არც თუ ცუდად.

ილია აღიარებს ევროპის წინსვლას, აყვავებას. იმასაც აღნიშნავს, რომ „ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ სწავლის გზა გაგვეკაფა", მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს საკუთარ ღირსებაზე ხელი ავიღოთ, ყოველგვარი უცხო ბრმად ვიწამოთ. პირიქით, ბევრი რამ არის ღვინის ქართულად დაყენების წესში ისეთი, რაც მეცნიერებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ და თუ შეისწავლიან, დიდადაც გამოადგებათ. ილია დაწვრილებით იხილავს ვენახის ქართულად გაშენებისა და ღვინის დაყენების წეს-ჩვევებს და ყველგან დაბეჯითებით ამტკიცებს ჩვენი ტრადიციის უპირატესობას ამ საკითხში. იგი ჩვეული სიდინჯითა და უკანდაუხეველი პრინციპულობით შეებრძოლა, ამხილა და ღირსეულად დაიცვა ქართველი გლეხის ხელით საუკუნეების მანძილზე ნასათუთევი ვაზი და მისი მოვლა გაშენების ქართული წესები. ასევე დაიცვა ქართული ქვევრ-მარნის უპირატესობა ევროპულ მარნებთან და აგრეთვე ქართული ღვინის სიკეთე, გემოვნება, სურნელება და შეუბღალაობა. ილიამ ამხილა ევროპული, ხელოვნური ღვინოების უვარგისობა და მავნეობა. ვენახის მოვლისა და ვენახის ადგილის შერჩევაში ილია დიდად აფასებს ქართველი გლეხის გამოცდილებას და ცოდნას. აი რას ამბობს ამის შესახებ: „ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და

კარგის არჩევისათვის რამოდენიმე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტა ოდნავ მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზე ჭკვადმისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპელ მეცნიერსაც კი აჯობებს". ილია წინააღმდეგი არ არის ევროპელებისაგანაც ვისწავლოთ ბევრი რამ, მაგრამ ეს ცოდნა ბრმად როდი უნდა დავნერგოთ, უნდა დავამყნოთ ჩვენს დიდ ტრადიციას, ჩვენს დიდ გამოცდილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელაღებით უკრიტიკოდ გადმონერგილმა მეცნიერებამ შეიძლება სიკეთის მაგიერ დაგვაზარალოს კიდეც. „რომელს ევროპელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავისი ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია", - ამბობს ილია.

ვიდრე ქართული ღვინის ღირსებას დაიცავდეს, ილია, უპირველეს ყოვლისა, აყენებს კითხვას, თუ რა უნდა იყოს საზომი ღვინის ღირსების შეფასებისას და საერთოდ რა ადგილს ასრულებს ღვინო ადამიანის ცხოვრებაში. „რა თქმა უნდა, ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც ადამიანი ხმარობს უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ, რაგვარს უხდება, რაგვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ უკეთ ვთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა".

ილია მრავალ სიკეთეს და ღირსებას ჩამოსთვლის ღვინისას, იმოწმებს ავტორიტეტებს და დასძენს: „ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა: ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის... ყოველ ამით აძლიერებს ძალასა სიცოცხლისას".

ილია მთლად არ ეთანხმება, მაგრამ იხსენებს ერთი ფრანგი მწერლის აზრს, რომელიც თურმე ატკიცებს, რომ „იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილგონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა ჰხმარობენ".

- რა ხდის ღვინოს ესოდენ მარგებლად? - კითხულობს ილია და თვითონვე დასძენს: - მარტო ერთი ყოვლის შემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან, მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი".

ამის შემდეგ ილია აკრიტიკებს ევროპის მეცნიერებს, რომლებმაც ბუნებრივ ღვინოს წაართვეს ბუნებისაგან მომადლებული მადლი და ფულის მოგების გულისთვის ეს სასარგებლო სასმელი საწამლავად გადააქციეს.

ილია სასაცილოდ იგდებს ვინმე მეაფთიაქეს, რომელმაც ღვინოს გლიცერინის შეზავება დაუწყო, რათა გამძლეობა მომატებოდა. „ამ ვაჟბატონს შელი ერქვა და ამიტომაც მის სისტემას შელიზაცია დაარქვეს, რათა კაცობრიობას არ დავიწყებოდა ძვირფასი სახელი მისი,

ვინც ღვინის გამძლეობის სიყვარულით ადამიანის მოწამვლასაც არ მოერიდა".

ილია დასცინის აგრეთვე ფრანგ პეტიოს მიერ გამოგონილ ღვინოს, რომელიც ჭაჭაზე წყლის დასხმით და შაქრის შომატებით კეთდება და რომელსაც პეტიონიზაციას ეძახიან, ასევე აკრიტიკებს ბერშს, რომელიც საერთოდ უარჰყოფს ბუნებრივი ღვინოების არსებობას; ფეიგ გალის, რომელიც ღვინოს გაბევრების მიზნით წყალსა და შაქარს უმატებს ბუნებრივ ღვინოს და, რომელიც გალიზაციის სახელითაა ცნობილი; შანტალს, რომელიც თაბაშირს ურევს ღვინოში სიმჟავის გამოდევნის მიზნით და სხვებს.

ილია დიდად ამაყობს იმით, რომ ქართველი გლეხი არამც და არამც ყურძნის წვენში სხვა რამ ნივთიერებას არ ურევს და ღვინოს უნარჩუნებს თავის ბუნებრივ თვისებებს, რადგან მას სჯერა, რომ ღვინო მხოლოდ ისაა, რაც ყურძნის წვენისაგან მზადდება. სხვა ყოველი შენარევი კი საწამლავია, აი რას ამბობს ამის თაობაზე: „ჩვენებური ხალხი ძალიან' ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს, და ვისაც ეგ კანტიკუნტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემული ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითი̃ე თავისაგან ჩამატებულით და ჩარევითა". და ბოლოს დასძენს, რომ „ჭეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო, ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი ყურძნის წვენის დაღვინებაა იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს ღვინოდ ამოქმედებს".

ილია მაღალი აზრისაა ქართულ მარანზე, კერძოდ – ქვევრში დაყენებულ ღვინოზე. დაწვრილებით იხილავს კასრში და ქვევრში დაყენებული ღვინის ღირსება-ნაკლოვანებებსა და, ბოლოს დასძენს, რომ „ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვად ქცეული თიხისაა და მიწაში ზის, სწორედ იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი ანუ მარანი ევროპიელს. „ილიამ იცის ქვევრის ნაკლიც. განსაკუთრებით ისეთი ქვევრისა, რომელიც არაა კარგად დამწვარი, ანდა უხარისხო თიხისაა. ასეთი ქვევრი გარედან იზიდავს ნესტს, რის გამოც გინდაც მოაკლო ღვინო, ქვევრი მაინც ივსება. ეს მატება ზოგს ქვევრის სიკეთედ მიაჩნია. მადლიანი, დალოცვილი ქვევრია და თვითონ მატულობსო. და იმას კი აღარ ფიქრობენ, ქვევრის უვარგისობისას ან ცუდი თიხისაა, ან ცუდად გამომწვარი, ან ცუდად ჩაკირული. ევროპულისა და ჩვენებური მარნების შეპირისპირებისას ილია ამბობს: „იქ მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის მურჭელი განსაცდელს მოარიდონ, ჩვენ კი თვითონ მურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარნოდაც

არა განსაცდელი არ ელოდეს“.

ილია სიამაყით ლაპარაკობს ქართველი გლეხკაცის გამოცდილებაზე. მის მიერ დაყენებულ შეუბილწავ, ბუნებრივ ღვინოზე და მის ქვევრებზე. ამავე დროს ერთი წუთითაც არ მალავს იმ ნაკლს, რაც ქართველებს გააჩნდათ ღვინის კეთების საქმეში, მაგრამ ილია ჩვენი ხალხის ნაღვაწისა და ნაამაგარის აბუჩად ამგდებთა გასაგონად ამბობს: „ჩვენში დრტვინვა და ჩივილი მარტო ის არის, რომ მიზეზთა და საბუთთა გარჩრეკასა და გამორკვევაზე არ არის დამყარებული ჩვენთა წუნმდებელთა წუნი. ეს მეტისმეტი კადნიერებაა მთელის ერის წინაშე. ნამეტნავად, როცა ერისგან შეთვისებულ და წარმოებულ საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და მაშასადამე, მთელი საუკუნეების გამოცდილება წინ უდევს“.

ილიას ღრმად სწამდა და სხვასაც არწმუნებდა, რომ „ღვინო მარტო იმასა ჰქვია, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება“.

ილიას ეს ნათელი და მართალი დებულება ყველა ქართველს, ყველა მეღვინეს, ყველა მეზვრესა და მემარნეს მთავარ მცნებად უნდა ჰქონდეს მიღებული. ისიც სათქმელი და საგულისხმოა, რომ ხელოვნური ღვინოების მავნეობის მხილება ილიას ეპოქაში ისე საჭირო არ იყო, როგორც დღეს. ილიას დროს ეს კეთრი ევროპაში მძვინვარებდა. ახლა ჩვენდა საუბედუროდ ჩვენს წმინდა მარნებშიც შემოიჭრა და წაბილწა. ღვინის გამყალბებელნი უნდა მივიჩნიოთ ადამიანისა და სამშობლოს მტრებად.

რა ხაამაყოა, რომ ჩვენი დიდი წინაპარი მთელი შესაძლებლობით იბრძოდა ღვინის – ამ კეთილშობილი სასმელის გაყალბების წინააღმდეგ. იცავდა ქართველი კაცის ჭკუასა და გამოცდილებას, მაგრამ რა საწყენია, რომ ზოგმა ჩვენგანმა შებღალა ჩვენი დიდი წინაპრის ნაანდერძევი ცნება. მართალია, ჩვენი სახელმწიფო კანონმდებლობა სასტიკად ებრძვის ყალბის მქნელებს, მაგრამ გარდა კანონისა, უნდა გვიკრძალავდეს საკუთარი სინდისიც. სირცხვილია, დიახ, დიდი სირცხვილი, რომ ქართული ყანწი გვეჭიროს ხელში, მოძმეს ძმობასა და სიყვარულს ვეფიცებოდეთ, ჯანმრთელობას ვულოცავდეთ და მოწამლული სითხით კი მის ჯანსაც ვსპობდეთ და საკუთარსაც.

## თვით ტოლსტოიც გაოცდა

ქართველი ხალხი, მისი მოწინავე ინტელიგენცია, იმთავითვე კრძალვითა და დიდი პატივით იყო გამსჭვალული რუსი ხალხის დიდი შვილის, მისი სინდის-ნამუსის განსახიერების, ლევ ტოლსტოის შემოქმედებისადმი, მისი სწორუპოვარი ჰუმანიზმისადმი. ილიას „ივერია“ ხშირად აქვეყნებდა დიდი მწერლის მოთხრობებს, წერილებსაც მის შესახებ. ეს ბუნებრივი იყო, რადგან ლევ ტოლსტოის მრწამსი, რომ არა კლა კაცი, საოცრად ესადაგებოდა ილიას მრწამსს, რომელიც ღაღადებდა: „გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ, კაცს შენზედ შურით ნდომსაო, მადლისა წყაროს ასმევდე, ცოდვის გუბეში მდგომსაო“.

მრწამსთა და აზრთა ერთობა ეს უკვე დიდ სულიერ ნათესაობას ნიშნავს. ასეთ ნათესავს გინდაც პირადად არ იცნობდე, ყოველთვის აფასებ და მიილტვი მისკენ. ამ ქვეყნიდან გარდასულიც რომ იყოს, ზოგიერთ „თანამზრახველზე“ უკეთ ამოგიდგება გვერდში. ლხინშიც მოგილხენს და ჭირშიც გაგიჭირისუფლდება, თუ კაცს მრწამსი გააჩნია და მის გამოხატვას შეძლებს, ის უკვე უკვდავებასთან წილნაყარია. მრწამსთა ნათესაობა კი მარადიული თანამზრახველობის მაუწყებელია.

ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი ფაქტი თუ როგორ შეერწყა ერთურთს ილიასი და ლევ ტოლსტოის ჰუმანიზმი და მისწრაფებანი.

როგორც ცნობილია I907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან მოკლეს ილია. მკვლელები – საგურამოელი თედო ლაბაური, წიწამურელები გიორგა მოძღვრიშვილი და გიორგი ხიზანიშვილი დააპატიმრეს. მეოთხე მკვლელთაგანი – გიგლა ბერბიჭაშვილი გაიქცა... მხილებულთ სასამართლომ მიუსაჯა „ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა“.

როდესაც სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ამცნეს ილიას ქვრივს – ოლღა გურამიშვილს, – ქმრის მრწამსის ღრმად მცოდნე მანდილოსანი დიდად შეწუხდა: მან აქტს მყის ილიას სათვალით შეხედა. გაახსენდა ილიას სიტყვები წარმოთქმული სახელმწიფო საბჭოს წინაშე – „ჩვენ ადამიანისათვის სიცოცხლე არ მიგვიცია და არც იმის უფლება გვაქვს წავართვათ ის, რისი მიცემაც აღარ შეგვიძლიათ“. გაახსენდა მისი ლექსი „ლოცვა“, სადაც ილია ყოვლისშემძლე მაცხოვარს ევედრება: არა მინდა – რა შენი, გარდა ისეთი სულგრძელობისა, რომ თვით მტერსაც კი, რომელსაც სურს გულს ლახვარი მკრას, შევუნდო და ვაპატიო, რადგან „სულგრძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა“. ილიას ეს სიტყვები და აზრები ნათლად წარ-
...ისახა ღირსეული მეუღლის ღირსეულ თანამეცხედრეს და ბოლოს გა-

დაწყვიტა თხოვნით მიემართა გენერალ გუბერნატორისათვის, რათა სიკვდილით არ დაესაჯათ ილიას მკვლელნი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ოლღა წერდა:

„... სამხედრო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მთელი ქართველი ხალხის საყვარელი მწერლის, ჩემი მეუღლის – ი. ჭავჭავაძის სამ მკვლელს.

ჩემმა მეუღლემ მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი სულიერი სიძლიერე, ღვთისგან ნაბოძები მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანთა სულში ჰუმანური გრძნობების გაღვივებას, ადამიანთა შორის ძმური სიყვარულის განმტკიცებას. ღრმად ვარ დარწმუნებული, ის რომ ცოცხალი დარჩენილიყო, აპატიებდათ, შეუნდობდათ მათ, რომელთაც ხელი აღმართეს მისი სიცოცხლის შესამუსრად. იგი მათში დაინახავდა მხოლოდ და მხოლოდ უბედურსა და გზააცდენილ ძმებს...

მათი სიკვდილით დასჯა შებილწავს იმ სამუდამო ანდერძს, რომელიც დაუტოვა შთამომავლობას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული მეუღლე. დაჟინებით და გულმხურვალე თხოვნით მოგმართავთ თქვენ, არ დაამტკიცოთ განაჩენი ამ უბედური ადამიანების დასჯისა...

ახლა თქვენზეა დამოკიდებული, გააკეთოთ ისე, რომ ჩემი სიცოცხლის მიწურულს შევიგრძნო ყველაზე დიდი სიხარული, რომელიც ხელმისაწვდომია ადამიანის სულისათვის, მიწიერ ცხოვრებაში განვიცადო ისეთი შეერთება ღმერთთან, როგორიც განიცადა ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ღვთაებრივი სიყვარულით გაბრწყინებული ეხვეწებოდა შემოქმედს ეპატიებინა მის მტრებისათვის, რომელთაც არ იციან რას იქმნან".

ოლღა გურამიშვილის ეს მიმართვა გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში, რომელსაც გამოეხმაურა იმ დროს ცნობილი ჟურნალისტი და საბავშვო მწერალი, ლევ ტოლსტოის მეგობარი და მისი იდეების მიმდევარი ივანე გორბუნოვ-პოსადოვი, რის გამოც ი. გოგებაშვილი წერდა:

„ერთმა გამოჩენილმა და უმწიკლო რუსმა ლიტერატორმა საუკეთესო რუსულ გაზეთში „რუსკიე ვედომოსტი" აღფრთოვანებული სტატია უძღვნა ამ შუამდგომლობას და სხვათა შორის სთქვა: როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე და ღამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯი მკვლელებსო. „აქამდე ვიცოდი, – ამბობს ბოლოს ავტორი, – რომ ფიზიკურად მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან – საქართველოდან ამოაშუქაო".

როდესაც კაცობრიობის სინდის-ნამუსად ქცეული ლევ ტოლსტოი გასცნობია ამ მასალებს, ეს თვალშეუდგამი ჰუმანისტიც კი გაოცებულა ი. ჭავჭავაძის ქვრივის სულგრძელობით და იგი აღტაცებული სწერს თავის მეგობარს ივანე გორბუნოვ-პოსადოვს: „მივიღე თქვენი მშვენიერი წერილი და თქვენი სტატია ჭავჭავაძის შესახებ. რა ამაღელვებელია!“

ამავე თემაზე დიდხანს ჰქონია საუბარი ლევ ტოლსტოის ექიმ მაკოვსკისთან. მაკოვსკი დღიურში წერს, რომ ლევ ტოლსტოი განცვიფრებული იყო ი. ჭავჭავაძის ქვრივის საქციელით. ლევ ტოლსტოისთან ერთად რუსი მოწინავე ინტელიგენცია ხმამაღლა აცხადებდა:

„... კურთხეულ იყოს სახელი იმ ქალისა, რომელმაც ეს სტრიქონები დაწერა. კურთხეულ იყოს სახელი კნეინა ჭავჭავაძისა! ის ჩვენ ადამიანისადმი რწმენას გვინერგავს“.

ასე შეეზიარა, შეერწყა და შენივთდა სხვადასხვა ერის შვილთა აზრი და მრწამსი.

ყოველი ერის ჭეშმარიტად დიდბუნებოვან შვილთა შემოქმედების დედააზრი ადრეც ის იყო და ახლაც ის არის, რომ სისხლი სისხლით არ მოიბანება.

ეს მრწამსი ლევ ტოლსტოის სარწმუნოებად ექცა და აკი ღრმა მორწმუნის ექსტაზით აცხადებდა კიდეც: „ჩვენი გამარჯვება ისევე ეჭვს გარეშეა, როგორც ეჭვს გარეშეა ამომავალი მზის შუქის გამარჯვება ღამის სიბნელეზე“.

## დიდი წინაპრის ღირსეული მემკვიდრე

ყველა ღირსეული მოღვაწე და შემოქმედი უპირველესად თავის დროის პრობლემებით არის დაინტერესებული. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ რაგინდ ზეშთაგონებული გენიაც უნდა იყოს, ვერაფერს სასიკეთოს ვერ შექმნის, თუ ის საქმისა, ან შემოქმედების სათავესა და საწყისს წინაპართა და წინამორბედთა მემკვიდრეობის წიაღში არ მოუძებნის საყრდენს და საფუძველს. უნდა იცოდეს საიდან მოდის, სად არის და საით შეიძლება წავიდეს, თუმც საგულისხმოა ისიც, რომ მემკვიდრეობით შეფასებაში თავი უნდა დავიზღვიოთ როგორც შხამიანი ნიჰილიზმისაგან, ასევე ბრმა თაყვანისცემისაგან.

ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ მნიშვნელოვან მამულიშვილთა წარმომადგენელი იყო, რომელმაც მიუდგომლად და ღირსეულად იცოდა დაფასება, როგორც წინაპართა, ასევე თანამედროვეთა ღვაწლისა და შემოქმე-

დებისა. ამის მაგალითია მთელი მისი მოღვაწეობა, მაგრამ ჩვენ აქ შევეხებით მარტო იმას, თუ როგორ ეზიარა ბარათაშვილის ზეშთაგონებულ პოეზიას და რა კვალი დააჩნია მის დიდბუნოვან სულს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილი, როგორც დიდი საკაცობრიო ღირებულების პოეტი ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა. რა თქმა უნდა თანამედროვენი იცნობდნენ და აფასებდნენ კიდეც მას როგორც პოეტს, მაგრამ მაინც ვერ ხვდებოდნენ მგოსნის გენიის სიღრმეს. უდროოდ გარდაცვლილი პოეტი, რომელსაც განუცხადდა წინათ გრძნობა და ვერ დაიმარხა თვის მამულში „წინაპართ საფლავებს შორის", თითქმის დავიწყებას მიეცა.

დიდ ქართველ მამულიშვილსა და ნ. ბარათაშვილის პირად მეგობარს დ. ყიფიანს I865 წელს პეტერბურგიდან შვილი წერს: „ნეტავ ვინ იყო ნ. ბარათაშვილი? შენ მგონი იცნობდი. სწავლა სად მიიღო?.. რა ხასიათის იყო... საზოგადოება როგორ უყურებდა?"

სავალალოც არის და საგულისხმოც, რომ თვითონ დიმიტრი ყიფიანის ოჯახშიაც კი არ იცნობდნენ ნ. ბარათაშვილს როგორც პოეტს და მოქალაქეს. აბა სხვას ვის რაღა მოეთხოვებოდა.

ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ ნასათუთევ ბარათაშვილის ლექსებს, რომლის ხელნაწერებიც მასთან ინახებოდა, ოცი წლის ილია პირველად პეტერბურგში გაეცნო და ეზიარა. ამის შესახებ კოხტა აფხაზი იგონებს: „... ქალბატონ დადიანისამ გამოიტანა და მოგვეცა წასაკითხავად ნ. ბარათაშვილის ლექსები... ეს ლექსები იყო ქართლის ბედი" და „მერანი". ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით".

ამ აზვირთებული პოეზიით მოხიბლული და მგოსნის ნაადრევი სიკვდილით გულმოკლული ილია წერს: „არა დედმამა, – მაგ სიკვდილით დაობლდა ერი. ვინღა მოგვითხროს ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?"

ახალგაზრდობაში განცდილი ბარათაშვილის პოეზიის მცხუნვარება ილიას სიკვდილამდე არ გამონელებია. მას მოსვენებას უკარგავდა ისიც, რომ სამშობლოდან შორს დამარხული მგოსნის „ძვალთაშთენილ" ნეშთს ზათქით, ღრიალით ქარიშხალი მიწას აყრიდა. მთაწმინდისა და დიდუბის მიწა კი ორმოცდაშვიდი წელი უყიოდა თავის შვილს, რათა სამარადჟამოდ ჩაეკრა გულში. მშობლის მიწის ეს ყივილიც ილიამ დააცხრო, როცა I893 წელს მისი ინციატივით ნ. ბარათაშვილის ნეშტი გადმოსვენებული იქნა თბილისში. ილია ქუდმოხდილი და თავდახრილი წარსდგა ღირსეული წინაპრისა და წინამორბედის ცხედრის წინ მშობელი ერის სახელით სასოებით წარმოსთქვა სიტყვა, სადაც განსვენებული დაახასიათა, როგორც განუმეორებელი და უკვდავი შემოქმედი, რომლის ძვალთა მტვერს აბარებენ დედამიწას განსასვე-

ნებლად და შთამომავლობის სალოცავად. მართლაც და ასეთ სახელოვანთა საფლავებთან ლოცვით უნდა გასპეტაკდეს შთამომავლობის სული და გონება.

ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი, ილიამ მოიხსენია ჯერ კიდევ 1860 წელს, როდესაც მან გააკრიტიკა რ. ერისთავი „შეშლილის" თარგმანის გამო. ამ წერილში ილია ჩივის, რომ რ. ერისთავმა სასტიკად დაამახინჯა ის ენა, რომელზედაც გალობდა რუსთველი, „ის ენა, – განაგრძობს ილია, რომელზედაც ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი" და მისი მართლაც და ზეგარდმომთაგონებული წვრილი ლექსები".

1892 წელს ილია აქვეყნებს წერილებს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. ამ წერილებში ნ. ბარათაშვილის პოეზიის განხილვას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ილიას ნ. ბარათაშვილი მიაჩნია სრულიად ახალი სიტყვის მთქმელ პოეტად, რომლის გულისთქმანი, მისწრაფებანი და მრწამსი სცილდება ეროვნულ ფარგლებს და ესადაგება ისეთ მსოფლიო გენიოსთა მრწამსსა და მისწრაფებებს, როგორნიც იყვნენ ბაირონი, შექსპირი, ლერმონტოვი და სხვანი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათი ტკივილები საკაცობრიო ტკივილებია. მათი მაძიებელი სული ვერსად ოკდება, ვერსად ვანდება, ისევე როგორც მერანზე ამხედრებული ბარათაშვილის სულისთქმა.

ილია ნ. ბარათაშვილის პოეზიას ყოველგვარი რიდიხა და კრძალვის გარეშე აყენებს მსოფლიო პოეზიის ამ ტიტანთა გვერდით და ასაბუთებს კიდეც რომ: „... მისი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი. ... ჩვენს ჭკვა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველი თანამოაზრედ გაუხადა".

ნ. ბარათაშვილის „მერნის" დამოუკიდებელი ლტოლვა და ობოლი სულის კვნესა საკაცობრიო ღირებულებისანი იყვნენ და არიან, მაგრამ მისი პოეზია როდია ეროვნულ ფესვსა და ნიადაგს მოწყვეტილი. იგი იყო წინამორბედი და სულიერი მოძღვარი მთელი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელებისა, რომლებიც ნ. ბარათაშვილის მიერ დაყენებულ პრობლემებს – ქართლის ბედის საკითხსა და, მის ყოფნა-არყოფნას დასტრიალებდნენ. მთელ ქართულ პატრიოტულ ლირიკას თუ ლიტერატურას შეიძლება ნ. ბარათაშვილის სიტყვები წაემძღვაროს ეპიგრაფად. „რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული".

მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიზანსწრაფვა ის იყო, რომ ამ „ოქროს გალიიდან გამოე-

ხსნათ ნაზი ბულბული, რათა თავის თავი ჩვენვე გვეყუდნებოდა.

ილია ჭავჭავაძე მგონი არ იყო მართალი, როცა ამბობდა ბარათაშვილზე: „იგი ობოლი მარგალიტია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში, არც წინაპარი ჰყავს და არც უკან მიმდევი“. სხვას რომ თავი გავანებოთ წინამორბედად რუსთაველიც ეყოფოდა: მისი მერანი ეგებ ნაწილიც არის იმ შავი ცხენის, რომელიც წყლის პირას მტირალ უცხო მოყმეს... „ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“. ან იქნებ ბედი ქართლისა ექოა დ. გურამიშვილის – „ქართლის ჭირისა“, რომელსაც „ივერვინ მოსთქვლის თუ არ ბრძენი ენამჭევრი“. ხოლო ნ. ბარათაშვილის ღირსეული მემკვიდრე თვით ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც მისი მერნის ფლოქვებით გაკვალული გზით, ქართლის ჭირ-ვარამით პირთამდე დატვირთული ურემი გოლგოთაზე საკუთარი მხრით აიტანა და ქართლის ბედს შეუნივთა სულიც, ფიქრიც, დიდებული აზრიც და ბოლოს კი სისხლიც.

ძნელად თუ ინატრებს ვინმე ისეთ ღირსეულ წინაპარსა და წინამორბედს, როგორიც ნ. ბარათაშვილი იყო ილიასათვის. ასევე ძნელად შეხვდება კაცი ისეთ ბედსვიან შემოქმედს, რომელიც დასტოვებს იმგვარ ჭეშმარიტ მემკვიდრესა და ზრახვათა გამგრძელებელს, როგორიც ბედმა ნ. ბარათაშვილს არგუნა ილია ჭავჭავაძის სახით.

ილია და გრიგოლ ორბელიანი

1857 წელს, პეტერბურგისაკენ მიმავალი ცხრამეტი წლის ილია ფიქრმორეული ემშვიდობებოდა მშობელ ქვეყანას, თავის კარ-ფუძეს, ყვარლის ამაყ მთებს, რომლისგანაც ქვეცნობიერად შეითვისა შეუპოვრობა და სიამაყე, ქედუხრელობა და ცისკენ სწრაფვა. მიდიოდა ილია და ამ გრძელ გზას ტყრუშულ ფობესავით მისდევდა მისი დაჟინებული ფიქრი, ფიქრი ბედკვეთილ სამშობლოზე, ფიქრი მის მომავალ ბედსვიანობაზე. ასე დაისენა ჭაბუკი მას აქეთ, რაც იგრძნო მისადმი სიყვარული, მის აქეთ გაუქრათ ძილი და შვება, რადგან სულგანაბული დღე და ღამე ყურს უგდებს მისი ძარღვის ცემას და მიუხედავად იმისა, რომ გრძნობის ზვირთები შეუპოვრად იბრძვიან მის გულში, რაც იწვევს ჰამლეტურ ტკივილებს, კი არ ნაღვლობს, უხარია, რომ ასე ხდება. თავისი შინაგანი წვისა და ღელვის გამო იგი ამაყობს კიდეც. მაგრამ საწუხრად ის დარჩენია ჭაბუკ მამულიშვილს, რომ კაცს ვერ ხედავს ამდენ ხალხში, რომ ფიქრი ანდოს, გრძნობა თვისი გაუზიაროს.

ეტლი, რომელშიც ასეთი ფიქრებით დაყურსული ჭაბუკი იჯდა, მღე-

თის აღმართს შეუყვა და ცხენებმაც სვლა შეანელეს. აღმასვლა ყველას უჭირს, მაგრამ მისი დაძლევა მამაცობაა და საამაყოცაა. ამ დიდ აღმართს ასევე დიდი დაღმართი ჰქონდა, რომელსაც თავქვე მოუყვებოდა რუსეთიდან სამშობლოსაკენ მომავალი, რუსეთის არმიის აღზევებული გენერალი და სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტი - გრიგოლ ორბელიანი. გრიგოლი ფეხით მოსეირნობდა. მისი ეტლის ცხენები დაღმართს მოუყვებოდნენ შვებითა და ფეხაკრეფით. ილიას ეტლის ცხენები კი ჭაპანწყვეტით ადიოდნენ იმავე აღმართზე.

გრიგოლ ორბელიანის დანახვაზე ილია გამოერკვა ფიქრისაგან, სახე გაუნათდა. ეტლი შეაჩერებინა. დარიალის სანახებით მოხიბლულ პოეტს კრძალული სალამი ჰკადრა. გრიგოლმა მშობლიური ლოცვა-კურთხევა გაატანა ახალბედა პოეტს, ჭაბუკმა კრძალვით დაუკრა თავი და მადლობა მოახსენა. დასცილდნენ ერთურთს გრიგოლი და ილია. ერთის დაღმართი, მეორის აღმართად იქცა. დაღმართზე მიმავალი გრიგოლისა და აღმართზე მიმავალი ილიას ფიქრი ერთნაირად ანისლდა და მყინვარწვერზე საავდრო ღრუბლის ქულად შეიკრა, თუმცა ჯერხნობით ცას წვიმის ცვარიც არ ცარდებოდა.

ილიამ ზეპირად იცოდა გრიგოლ ორბელიანის ლექსები, იცოდა რომ რუსეთის დიდი გენერალი ქართველების სახელოვანი პოეტი იყო, მაგრამ პირადად სხვა დროს არ შეხვედროდა. ამ გაცნობამ მასზე დიდი გავლენა მოახდინა, შერცხვა თავის განაფიქრისა, თითქოს ამხელა დუნიაზე „კაცი არ არის, რომ ფიქრი ანდოს, გრძნობა თვისი გაუზიაროს". გრიგოლ ორბელიანისთანა პოეტით შეიძლება იამაყოს ყოველმა ერმა. გრიგოლ ორბელიანისთანა შვილები ყავდეს ერს და მაინც უკაცობას უჩიოდეს? ვგრძნობ, სწორე არ იქნებოდა - ეკამათებოდა თავის თავს ფიქრდაქცეული ილია, მაგრამ მაინც თვალს სჭრის რუსი გენერლის მუნდირი და ის ჯვარმედლები, რომელიც მან მიიღო კავკასიის გარიბალდად აღიარებული შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში... იგი მართალია და პირნათელი რუსეთის მეფის წინაშე. იგი, მართლაც, მამაცია, ვითარცა გენერალი, მაგრამ მე მგონი „სადღეგრძელოს" ავტორს ასეთი ქცევისათვის ისტორია ვერ გაამართლებს. უეჭველად ეწყინება შთამომავლობას, რომ თავისი ქვეყნის თვითმყოფადობისათვის მებრძოლი, 1832 წლის შეთქმულთა თანაზიარი, მეზობელ პატარა ერს, რომელიც მთიულ აულებში ქვებით იგერიებს მომხდურთ, სოფლებს უწვავდა... ჰქონდა კი სხვა გზა რუსთა გენერალს?! რადგან ააგდო ვაშლი, ხომ უნდა დაეჭირა კიდეც. განა იმაში ტყუის, რომ ნიჭი და სიმამაცე გამოიჩინა? განა უნიჭო რომ ყოფილიყო, ნაკლები ჩინი და მედალი რომ მიეღო, უფრო დასაფასებელი იქნებოდა?! „სადღეგრძელოს" დაწერა მხოლოდ ჭეშმარიტად პატრიოტული გრძნობით ანთებულ გულს შეეძლო. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება ჰქონდეს, ვისაც პოე-

ზიის ძალა ესმის და მისი ნექტრის გემო იცის. მაგრამ თუ ხარ პატრიოტი, უნდა შეგეძლოს სხვა ტომთა და ერთა დაფასება, პატივისცემა, მისი ღირსების აღიარება. თქმა და ქმნა მამულიშვილობისა ერთი უნდა იყოს. სჯერა ეს ილიას, მაგრამ ვიღაც მეორე ხმა სხვა რამეს ჩასძახის. მერედა არის მუდამ იმის საშუალება, რომ მამულისშვილმა თქვას კიდეც და ნათქვამი საქმედ აქციოს?!. ეს მაშინ ძალუძს, როცა საამისო მოედანი არსებობს. როცა ძალა აღმართს ხნავს, მაშინ რა ქმნას, თუნდაც „სადღეგრძელოს“ ავტორმა? აკი ახალგაზრდობაში სცადეს კიდეც კეთილი ზრახვა საქმედ ექციათ. აკი გაიწირნენ კიდეც!.. აკი დიდი საერო კაცი სოლომონ დოდაშვილი შეეზვარაკა მამულის დახსნის დიდებულ იდეას... მერედა რა გამოვიდა აქედან? მხოლოდ ის, რომ სამშობლოს დააკლდა დიდი მომავლის მქონე შვილი, რომელიც ერს ჭეშმარიტ მენტორად მოევლინებოდა, მოძალადეს ნაადრევად დღე რომ არ დაემოკლებინა.

საკითხავია – დოდაშვილობა სჯობს, თუ ორბელიანობა? ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას თუ თავისუფლებისათვის თავის გაწირვა? არც ერთი არაა იდეალი. ორივე მსხვერპლია ძალმომრეობისა. მოძალებულ ძალმომრეობას შეუძლია არარაობად აქციოს დოდაშვილის მსგავსი გენიოსები, ხოლო გრ. ორბელიანისთანა პატრიოტები მორჩილ გენერლებად.

ს. დოდაშვილი უკვე ისტორიაა. ასევე წარსულს ეკუთვნის ჩინებული პოეტიც. აღბათ ჩვენი მისია სხვაა: „უნდა „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ამ ოცნებების დატყვევებულმა ახალგაზრდა ილიამ გაკვალა რუსეთისაკენ მიმავალი ვრცელი გზა და აქედანვე, ჯერ კიდევ უწვერულმა ჭაბუკმა გაუმართა ფარული დავა გრიგოლ ორბელიანსა და მთელ მის თაობას. ეგებ მლეთის აღმართზე შეხვედრისას შეეკვესა მათი ფიქრები ერთურთს და მაშინ ჩაისახა ის ნაპერწკალი, რომელიც მერე აბრიალდა და დიდ კრიტიკულ დავად იქცა, რომელსაც ლიტერატურის ისტორიკოსნი მამათა და შვილთა ბრძოლას ეძახიან.

ეს ბრძოლა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გამორიცხულმა და სამშობლოში დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ცნობილი წერილით, რომელიც ეხებოდა რ. ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანს. ილიამ ეს უნიათო თარგმანი გაისაბაბა, რათა თავისი აზრი გამოეთქვა, ემხილებინა იმ დროის ლიტერატურაში მოქმედი ძალების სისუსტე, უსუ-

სურობა და დაესახა ახალი გზები. ამ წერილმა დიდი როლი შეასრულა ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში. ილიას მიერ წამოყენებულმა დებულებამ: ლიტერატურის, ენის, მეცნიერების როლისა და დანიშნულების შესახებ, შესძრა ქართველი მოაზროვნე საზოგადოება და ყველას ხელთ კალამი ააღებინა. ეს ბრძოლა მრავალმხრივი და მრავალფეროვნად არის დამუშავებული ქართული ლიტერატურის მკვლევართა და კრიტიკოსთა მიერ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ მას, რომ ქართველი საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. პირველ ბანაკში არც ისე მცირე ამალა იყო გაერთიანებული, ხელჩართულ ბრძოლაშიც მრავალმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გამოკვეთილი ბელადი ჯერ არ ჩანდა, ჯერ მოედანზე არ გამოსულიყო. მეორე ბანაკს კი იმთავითვე ილია ჩაუდგა სათავეში და ბოლომდე მის აღიარებულ ბელადად დარჩა. პირველი ბანაკის „უჩინარი“ მოძღვრის არენაზე გამოჩენა ისევ ილიას ბრალი იყო. მან 1871 წელს დაწერა ძველი თაობის მამხილებელი პამფლეტი, რომელსაც „გამოცანები“ უწოდა. აქ სხვებთან ერთად ერთ-ერთი გამოცანა შეეხო გრ. ორბელიანსაც, სადაც ეს ვალმოხდილი გენერალი, აღიარებული პოეტი შემდეგნაირად იყო კბილგაკრული:

„მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი.
ძველთაგანვე ეგდა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თავის ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია“.

ილიამ ყველა სასტიკად გაკიცხა, მაგრამ გრ. ორბელიანი მათ არ მიაბადლა. მან პირველ რიგში მის ღირსებებს გაუსვა ხაზი, იგი, როგორც მოქალაქე, გულწმინდა, ჭკვამახვილ და გრძნობით სავსე პიროვნებად წარმოსახა, რომელიც „ძველისა და ახლის შუა შემაერთავი ხიდია, მაგრამ „ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია“.

ეს ბოლოთქმა იქცა იმ წვეთად, რომელმაც გრიგოლ ორბელიანის მოთმინების ფიალა ნაპირზე გადმოადინა და გამძვინვარებული მამათა ბელადი უკვე გამოვიდა კარვიდან ბრძოლის ველზე და მეტად მძაფრი პასუხიც გასცა ლექსით „პასუხი შვილთა“. ამ პასუხში

უკვე ძალიან ნათლად გამოიკვეთა არა მარტო თვით გრიგოლ ორბელიანის, მთელი ძველი თაობის მრწამსი, მსოფლმხედველობა და ის რეაქცია, რაც გამოიწვია მათში ახალი თაობის გამოსვლამ და მისწრაფებებმა. ასევე ხელშესახებად გამოაქანდაკა „მამათა“ თაობის მესვეურის – გრიგოლ ორბელიანის სახეც.

მამათა თაობა „უმადლო“ „შვილთა მიმართ“ მეტად მკაცრი და ბრაზმორეულია, რადგან მათ არ გაუმართლეს იმედი, არ დააფასეს სახელოვან წინაპართა ამაგი, რომელთა შესახებაც „ოსმალ-სპარსები, დაღესტნის მთები ქებით გიტყვიან დიდთა მათ საქმეთ“, რომელთაც „დაიფარეს და სისხლით დაიცვეს სისხლშემოსილი მამული თვისი“. მამათა აღშფოთებას იწვევს ისიც, რომ „მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი მის ძალი, მადლი, უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში...“ ძნელია ყველა იმ ბრალდებების ჩამოთვლა, რაც მამათ გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით წაუყენეს ილიას და მის თანამოსაგრეებს.

ილიამ ეს გამოწვევა ჩვეული სიდარბაისლით მიიღო და ყოველგვარი უკანდახევისა და მანევრირების გარეშე გასცა მეტად აკადემიური და დიდი რწმენით განმტკიცებული პასუხი. ილია თავმდაბლობს, აღიარებს, რომ, დიახაც, ჩვენ უჩინონი ვართ და არც რამ ჩინი გაგვაჩნია. ამიხ გამო თქვენ „ჩინიანთა ბუზად გგონივართ“, მაგრამ ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ „ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა, თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლიაო“, და დღესაც სწორედ „თქვენის მადლით ვართ ხაფანგებქვეშე დამწყვდეულნი“. თქვენ არა მარტო წარსულში გაქვთ გამოუსწორებელი ცოდვა ჩადენილი, დღესაც „ძირს უთხრით ღარიბ ერთობას“. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ ულმერთოებას გვწამებთ, – განაგრძობს ილია, – არ არის სწორი, ჩვენ „გვწამს ღმერთი, უქმთა წამწყმედელი, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ მხსნელი, მაგრამ ნამდვილად არ გვწამს ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის“.

ენის ეროვნულ ღირებულებაში ზოგადად გრიგოლი და ილია აზრთა თანაზიარნი არიან. მაგალითად, გრიგოლი ამბობს: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით! რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!..“

ილია ენის გრიგოლისეულ განსაზღვრას მყის ეთანხმება და თავის მხრივ ამატებს, რომ: „მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის – მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა“, მაგრამ მისი განვითარებისა და გახალხურების საკითხში სხვადასხვა პრინციპებზე დგანან. ილია არც იმას თაკილობს, რომ ეგებ, მართლაც, ვცოდავთ ენას რამეს, მაგრამ შეცდომა ცოდობა არაა, რადგან „დღესა თუ ხვალე, რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება“, მაგრამ აქ ილია გრიგოლის თაობას ბრალს

სდებს იმაში, რომ შეგნებულად დაგმეს მშობლიური ენა და მეტად მძაფრად ამხელს: „... ის არ ხართ თქვენა, რომ ძვირძლი ენა ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?.. შიშით არც კარში და არც სახლში მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენლად" და ერთ დროს, მართლაც, მდიდარი ქართული ენა ახლა თქვენგან მკვდარი და სუდარა გადაგდებული „ჩვენ შევიფარეთ ჩვენს ღარიბულ ქოხებში". და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

გრიგოლიცა და ილიაც მშობლიური ენის დაფასებაშიც თანაზიარნი იყვნენ და პრაქტიკულად ერთიცა და მეორეც ქართული ენის მეუფენი იყვნენ და დარჩნენ, ილია მუდამ აღიარებდა გრ. ორბელიანს, როგორც ქართული ენის დიდოსტატს და გრიგოლსაც არ გამოუთქვამს ილიას ენის საწუნარი მოსაზრება. მაგრამ, როგორც მამათა, ისე შვილთა ბანაკში არც თუ მცირენი იყვნენ ისეთი კალმოსნები, რომელთაც აბრალებდა გრიგოლი ენის გაღარიბებას ასევე ილიასაც ჰქონდა საბაბი დაეძებნა იმის მაგალითები, თუ როგორ ამძიმებდნენ და გაუგებარს ხდიდნენ მამათა ბანაკის კალმოსნები ქართულ ენას.

ამ დავიდან დღესაც შეიძლება ერთი ნათელი აზრის დადგენა, რომ ენა არ უნდა გაუბრალოვდეს გასადავების მომიზეზებით, ხოლო არც უნდა გაბუნდოვანდეს მაღალი კულტურის პრეტენზიებით.

ამდაგვარი დავა მუდამ იყო ლიტერატურაში. განა თვით რუსთაველი არ ეპაექრება ისეთ მოლექსეებს, ვინც ნათლად ვერ ამბობს სათქმელს და უცილობლობს, რომ ჩემი სჯობსო. ამდაგვარი დავის საბაბს დღევანდელ მწერალთა პრაქტიკაც საკმაოდ ბევრს იძლევა.

გრიგოლი და ილია საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დროისა და ხანის წარმომადგენლები იყვნენ და საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებოდა მათი მსოფლმხედველობა. ერთი რამ ჰქონდათ საერთო, ეს იყო მამულის უზაკვო სიყვარული. თუ მსოფლმხედველობისა და მრწამსის სხვადასხვაობამ მკვეთრად დააცილათ და შეაპირისპირათ, რაც ნათლად გამოიხატა ზემოთ დასახელებულ ერთურთისადმი მიმართულ ლექს-პამფლეტებში, სამაგიეროდ, დააახლოვა მამულისადმი უანგარო სიყვარულმა.

და განა გრიგოლ ორბელიანი არ იყო ის მეფისნაცვალი, რომელმაც დართო ნება, რომ ჭაბუკ ილიას დაეარსებინა ახალი ჟურნალი „საქართველოს მოამბე"? გრიგოლი იყო ის კაცი, რომელიც იბრძოდა იმ სათავადაზნაურო ბანკის დაარსებისათვის, რომელსაც მერე ოცდაათი წელი ედგა ილია სათავეში და, რომლის შემოსავალსაც ახმარდა ერის სასიკეთო საქმეებს. გრიგოლი ილიასთან ერთად ადგენს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტს და ამზადებს გამოსაცემად. გრიგოლი იყო შემწე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების. მეფის რუსეთის თავდადებული და მამაცი გენერალი ბოლოს გვერდში ამოუდგა

იმავე ილიას, რომელსაც ერთ დროს ცრუ რუსთაველსა და უმადლო შვილს ეძახდა. არა მარტო საზოგადო და საერთო საქმის გაძღოლაში შეეშველა შვილთა თაობის ღირსეულ წარმომადგენლებს, განიცდიდა მათ იდეურ გავლენასაც. ცნობილია, რომ ახალგაზრდა ილიამ 1860 წელს გამოაქვეყნა ლექსი „მუშა“. ამ ლექსის ექო იყო გრიგოლ ორბელიანის ასევე გახმაურებული ლექსი „მუშა ბოქულაძე“, რომელიც მხცოვანმა პოეტმა 1877 წ. გამოაქვეყნა. ეს ლექსები მკითხველისათვის ცნობილია და მათ შეპირისპირებასა და გარჩევას არ შევუდგები, მაგრამ მივანიშნებ კი იმაზე, რომ ილიამ ამ მიმართებით საკმაო გავლენა მოახდინა იმ კაცზე, რომელიც ილიას სიტყვით ძველსა და ახლის შუა შემაერთებელ ხიდად იქცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია იმთავითვე აფასებდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიას და ჯერ კიდევ მაშინ, როცა იმდროინდელ ერთადერთ ჟურნალ „ცისკარს“ ჯოჯოხეთის კარს უწოდებდნენ, ილია მადლად უთვლიდა ჟურნალს, რომ მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა გრიგოლ ორბელიანის მშვენიერი ლექსები. შემდეგში, როცა ილიამ გამოაქვეყნა წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, გრიგოლ ორბელიანის პოეზიას მეტად მაღალი შეფასება მისცა და აღიარა, როგორც ახალი სიტყვის მთქმელი, რომელმაც „წინ წასწია ჩვენი პოეზია, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც“. ილია გულმოჯერებული არ ჩანს ამ შეფასებით და კრძალვით დასძენს, რომ „ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ უფრო მეტად არ დავასურათეთ მთელი სიმდიდრე გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა. მაგრამ ყოველი იქიდამ, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ, ცხადად დასანახია, რამდენად ჩააღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლე პოეზიისა“.

ასე შეაფასა ილიამ ის კაცი, რომელიც ერთ დროს მასა და მის თანამოინახეებს ეძახდა: „კოლო-ბუზებო... ჭკუით გლახებო, გზადაკარგულნო, წყალწაღებულნო, კატის კნუტებო...“ და სხვა.

მაშინ არც არა გრიგოლს დააკლეს და მასაც ხან „ხარაბუზა გენერალი“ უწოდეს და ხანაც რა... მაგრამ ეს შეპაექრება არც ილიას და არც გრიგოლს გულს ღვარძლად არ ჩაუდიათ, მათ ურთიერთ ფასი მაშინაც იცოდნენ, როცა პაექრობდნენ და მაშინაც, როცა დაზავებულნი ერთად იღწვოდნენ მშობლიური ქვეყნის სასიკეთოდ.

მემუარული ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ ილიას, როცა კი სთხოვდნენ სადმე ლექსის წაკითხვას, საკუთარი ლექსის ნაცვლად გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზს“ კითხულობდა ყოველთვის. ეს ფაქტიც თავისთავად დიდად მეტყველი და საგულისხმოა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც დატირებაა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ სიტყვას, რომელიც ილიამ წარმოსთქვა გრიგოლ ორბელიანის ნეშტთან მისი დაკრძალვის ჟამს. ძნელია ამ სიტყვის შემოკლება და რაიმე

ნაწყვეტის მოტანა. ეს რაღაც ცოდობაც კია, მაგრამ ჩვენ ამჟამად სხვა გზა არა გვაქვს. ილია გრიგოლს უწოდებს „სიტყვამაღალ მოძღვარს", რომელიც იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა... მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი მაღალი ნიჭით ცხებული... იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა: „მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!.." იგი იყო კაცი, რომელიც:

„დანატრდა დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად".

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

„რომ ჩვენ განვახლდეთ,
სულით ავმაღლდეთ
და განქრეს ბნელი უმეცრებისა".

ილიამ დაიტირა გრიგოლ ორბელიანი ერის სახელით არა როგორც დამსახურებული რუსეთის გენერალი, არამედ, როგორც დიდებული პოეტი მამულიშვილი.

ამ ორი მამულიშვილის პაექრობისას ვინ იყო ჭეშმარიტებასთან ახლოს, ეს დღეს სადავო აღარაა. მიუდგომელმა ჟამმა კეისარს კეისრისა არგუნა, ანგელოზს – ანგელოზისა. აქ საკამათო აღარაფერია. სათქმელი და გასამაგალითებელი ისაა, რომ კაცს უნდა გააჩნდეს მრწამსი და იყოს მისი ერთგული. პრინციპული პაექრობა არ უნდა აბრმავებდეს ადამიანის გონებას და მოწინააღმდეგის ღირსება შეუმჩნეველი და დაუფასებელი არ უნდა დარჩეს.

## ზევსკაცი – ილია და ღმერთკაცი – იაკობი

დასაბამიდან ასეა – გაჩნდება თუ არა ყოვლისმომცველი, ახალი აზრისა და მოძღვრების ძლიერი მესიტყვე, იმ წამს იბადებიან მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. თვით მითოლოგიაშიც ყოვლისშემძლე ღმერთსაც კი ქაჯი-დემონი უპირისპირდება. თანამგრძნობელთა გარეშე, მარტოდმარტოს არავის მიუღწევია გენიოსობისათვის, მარტოობა მეუფე ღმერთმაც ვერ შესძლო და ანგელოზები მოისხა. ვერცარა ბნელეთის მოციქულმა ქაჯმა-დემონმა იარსება ეშმათა გარეშე. არის ასეთ დაპირისპირებაში რაღაც კანონზომიერი. ალბათ ეს თეთრი და შავი ფერი, ნათელისა და ბნელის, ღვთიურისა და ჯოჯოხეთურის ცვალებადობა და ჯგუფთაობაა, სამყაროსა და კაცობრიობის მამოძრავებელი ძალა და ბერკეტია. კეთილი ბოროტს, ბოროტი კეთილს ნიადაგ

ებრძვის და უნდა ებრძოდეს კიდეც, მაგრამ არცარა ბოროტს აქვს უფლება მოსთხოვოს კეთილს, რადა ხარ ხვთისნიერი ბუნებისა და არცარა კეთილს არ შეუძლია უსაყვედუროს ბოროტს, რატომ ხარ ბნელი სულისა და ღვარძლით აღსავსეო. ეგებ გველს არ სურდა, რომ გველია და ბულბულად დაბადება ერჩია, მაგრამ ბუნებამ უნასის სახით მოავლინა ქვეყანად, რა ქნას რომ არ იგველოს“. მისი მოწოდება შხამის ნთხევაა, ბულბულისა კი მომაჯადოებელი გალობა.

ამ დაპირისპირებული ბუნების განუწყვეტელ ჭიდილში იბადებიან შარავანდედით მოსილი გენიოსნიც და უკიდურესად თავზე ხელაღებული ავანტიურისტნიც. გენიოსნი ყოვლის მხედველნი არიან, ავანტიურისტნი კი ყოვლის მკადრებელნი.

გენიოსის არსში ორგანულად ენივთება ერთურთის ძლიერი ბუნება, ღრმა გრძნობა, შეურყეველი ნებისყოფა, ნათელი მრწამსი, მოუღლელი შრომის უნარი, ადამიანის უკიდეგანო სიყვარული და სამშობლოსადმი შეზვარაკების რაინდული უნარი.

ასეთნი წარსულზე ამყნობენ სააწმყო შტოს და მის კვირტშივე ჩასდებენ ხოლმე სამომავლო ნასკვს. ისინი არიან თავიანთი დროის სულიერი მოძღვარნი და მომავალთათვის კი წინასწარმეტყველნი. თუ ამა თუ იმ ქვეყანასა და სახელმწიფოს იურიდიული ღერბი და ბეჭედი მის განმგებელთ და მბრძანებელთ აქვთ ხელთ, მორალის, ზნეობის, ეთიკის და აზროვნების ბეჭედი გენიოსთა წილხვედრი და წილ-კერძია. შემთხვევითი არაა, რომ ყველაზე ხმაძლიერი მეფენი და დიქტატორნიც კი ყოველთვის განიცდიდნენ ფარულ თრთოლას, რიდსა და შურს ასეთ ბრძენთა მიმართ. ამის გამო არც არა ფულსა და ჯილდოს ზოგავდნენ ხოლმე ასეთთა მოსასყიდად და არც არა შხამიან ისარს მათ მოსასპობად. ამის ერთ-ერთ მაგალითად მარტო წიწამურის ტრაგედია რომ დავასახელოთ, ეგეც საკმარისია.

თუ ოდესმე ქართველ ერს ძლიერი სულისა და ნათელი მრწამსის კაცნი ჰყოლია, ერთი მათგანი იყო ილია ჭავჭავაძე. მისმა გამოჩენამ სამოღვაწეო ასპარეზზე მყისვე ორ ნაწილად გაჰყო ქართული აზრის მეუფენი. აქამდე ჭაობად ქცეული ქართველთა ცხოვრება, იმწუთსვე ამქუხარდა და გარკვეული მიმართულების მდინარედ იქცა. აქამდე ყაჭივით აღინთული საზოგადოება ამ ახლად ატალღებული მდინარის გაღმა-გამოღმა სანაპიროზე დაჯგუფდა და როგორც გაღმელებმა, ისე გამოღმელებმა შურდული და პოროლები მიმართეს. ასე დაიწყო, ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლა“. ეს საკითხი და თემა მრავალგზის არის დამუშავებული ჩვენს ლიტერატურაში. დღეს ამ საკითხზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ ვიტყვით კი, რომ როგორც კი სამოქმედო ასპარეზზე გამოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნების ზევსი – ილია, მას ირგვლივ შემოერტყნენ და მხარი აუბეს სხვა. წმინ-

დანებმაც. ერთი ასეთი ღმერთთაგანი, რომელმაც ილიას მრწამსს თავისი მრწამსი შეუნაკადულა და არც არასდროს უღალატია, იყო იაკობ გოგებაშვილი.

მეფუტკრემ თუ დედაფუტკარი იშოვა, მუშა ფუტკარი თავისთავად ჩნდება, ხოლო დედაფუტკრის გარეშე, რაც უნდა ძლიერი ფუტკრის ოჯახი იყოს, ფუტკრები იფანტებიან და სკა ცარიელდება. თუ შედარება ნამეტანი კოშლი არ გამომივიდა, ვიტყოდი, რომ მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში ასეთი დედაფუტკრის როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძემ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილიას გარეშე არა მარტო უდიდესი, მე ვიტყოდი, მარად აუვსებელი სიცარიელე დარჩებოდა ქართული ლიტერატურის და აზროვნების ისტორიაში. ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ სხვა მრავალი ტალანტიც დაეკარგებოდა მშობელ ქვეყანას.

დიაღაც, მართალი იყო ტიციან ტაბიძე, როცა ამბობდა: „გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევაც მოიგონა, კიდევაც შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდევაც დაჰკირა“.

ილიასავით ლონიერად თუ არავის უბრძოლია ქართველი ერის თვითმყოფადობისათვის, ი. გოგებაშვილივით გულწრფელად არავის ულოცია და უღვაწია ერის ბედსვიანობისათვის. ასე მთლიანი, გაუბზარავი, შეუვალი, უანგარო, სულხორციანად შეწირული მსხვერპლი იშვიათად თუ ახსოვს ამათუ იმ ერის სამამულისშვილო სამსხვერპლოს. ამის გამო იყო, რომ ილია ყოველთვის ესასოებოდა „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ შემქმნელს. იგი მიაჩნდა ერთ უპირველეს მამულიშვილად, ერთ უპირველეს მოღვაწედ, მშობლიური ენის უპირველეს ბურჯად. ილია მუდამ ეკრძალებოდა იაკობ გოგებაშვილს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1894 წლის დეკემბერში ილიამ გამოაქვეყნა „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“, სადაც გაუკენწლავი არ დარჩა საკუთარი თავიც კი. ი. გოგებაშვილი სულ ბოლოს მოიხსენია, მაგრამ ისე დაახასიათა, რომ იოტისოდენა ქილიკიც კი არ წასცდა ასეთ შემთხვევაში საკმაოდ დაუნდობელ ილიას.

ისიც საყურადღებოა, რომ ილია თვითონ სწერდა ყოველთვიურ შინაურ მიმოხილვებს და თუ არ ეცალა, ამ საქმეს ი. გოგებაშვილს ანდობდა ხშირ შემთხვევაში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ი. გოგებაშვილის მიერ დაწერილი ერთერთი ასეთი მიმოხილვის დასაწყისი: „ივერიის“ შინაურ მასპინძელს არ სცალიან (იგულისხმება ილია. ი.ბ.), იგი სხვაგვარ მასპინძლობას გიწევთ. მე როგორც შორიახლო მეზობელს, წილად მხვდა ამჟამად გავუმასპინძლდე მის ყოველთვიურ სტუმრებს“.

ამ ორი დიდი მამულიშვილის თანამეგობრობის მაგალითად გამო-

დგება ისიც, რომ როცა რეაქციონერ იანოვსკის წინააღმდეგ საჭირო გახდა საპასუხო წერილის გამოქვეყნება, რედაქციამ ი. გოგებაშვილს სთხოვა პასუხის გაცემა. დიდმა იაკობმა უფრო დიდი ავტორიტეტი სცნო საჭიროდ პასუხის გასაცემად. წერილის დაწერა... „რედაქციამ მე დამავალა, – წერს ი. გოგებაშვილი, მაგრამ მე მივუგე, საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მივუტან... ასეთი განაწილება ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო"... და მართლაც ურთიერთმხარაბმულნი მთელი ნახევარი საუკუნე ერთად სჭედნენ ქართლის ბედს. საკუთარი ბედსვიანობა ვერ წარმოედგინათ მშობელი ერის უკვდავებისა და თვითმყოფადობის გარეშე. მშობლიური ენა მიაჩნდათ ერის ბურჯად, მამულიშვილობა – უპირველეს მცნებად და ხატად.

როცა სულხორციანად მამულს შეწირულ ილიას წიწამურთან სისხლი ანთხევინეს, რა თქმა უნდა, აზორგდა მთელი ერი. აკვნესდა ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი და მათ შორის ი. გოგებაშვილიც. იგი გაზეთ „ისარში" აქვეყნებს წერილს „მურისძიება ისტორიისა", სადაც ილიას ადარებს ჯვარცმულ ქრისტეს. სამარცხვინო ბოძზე აკრავს გულჩალამებულ მკვლელებს და დასძენს: ილია მოჰკლეს „იმ განზრახვით და იმ იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე". ეს ასე იყო, მაგრამ ი. გოგებაშვილს ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ რაც დრო გავიდოდა, ილიას სახელს უფრო მეტი შარავანდედი დაადგებოდა, მის სიტყვას უფრო მეტი ძალა მიეცემოდა. „იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოისი". ყოვლის მსაჯული და მიუდგომელი დრო ილიას სადიდებელ წისქვილზე დაასხამს წყალს. დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილ ილიას და სწორედ ეს მიაჩნია ილიას მკვლელთა წინააღმდეგ საუკეთესო შურისძიებად.

იმავე წელს ი. გოგებაშვილი აქვეყნებს წერილს „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი". აქ ბრძენი მამულიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ილიას სიკვდილმა გამოააშკარავა ქართველთა ერთობა", რომ იგი იგლოვეს „როგორც უგლოვია და დაუმარხია თავისი დამოუკიდებლობისა და ძლიერების დროს სახელოვანი და დიდნი მეფენი: დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე". როცა ილიას ცხედართან დაინახა „სრული ერთობა საქართველოისი", დიდ მამულიშვილს მყის მოეზმანა დამოუკიდებელი საქართველო, ხოლო ილიას ნატყვიარმა შუბლმა გაახსენა ქართველთათვის ყველაზე სანატრელი და საამაყო სახელები დავითისა და თამარის, ამით ილიას თავისთავად მათ ტოლფარდად მიიჩნევს დიაღაც სამართლიანად.

ამავე წერილში ი. გოგებაშვილი მოითხოვს: დაარსდეს ილიას ფონდი, ამ ფონდის შემწეობით გამოიცეს ილიას თხზულებები, ილიას სახელზე საქართველოს ყველა კუთხეში დაარსდეს თითო სკოლა მაინც. ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს დაენიშნოს ილიას სახელობის სტიპენდიები. და ბოლოს მოითხოვს დაარსდეს „ილიას საზეიმო", რომელიც შეიკრიბება ყოველ აგვისტოს. ამ საზეიმოზე „ზეიმობა უნდა იქონიონ საქართველოს ჭირ-ვარამზე".

აქვე აღნიშნავს იაკობი, რომ „ძეგლი აუგონ ილიას შუაგულ თბილისშიო".

ილიას მხილებას ვერ უძლებდა ვერარა მცდარი „იზმი" და მრუდე მიმდინარეობა. ილიას ნათელი და ცხოველი გონებისა თანაბრად ეშინოდა ყოველი ჯურისა და რანგის ბოროტის მზრახველ მოშურნეს ქართველი ერისას სწორედ უძლეველობის გამო მიუჩინეს მას მკვლელები წინამძღვრად. მოკლეს, მაგრამ მკვდარ ფენიქსივით აღდგა ილია, როგორც ერის სულიერი მოძღვარი, მისი სახელის ირგვლივ დაირაზმა მთელი ერი. ახლა უფრო ნათლად გამოჩნდა მისი სიდიადე. ამ მოვლენამ მტრები კიდევ უფრო მეტად გაახელა. დაიწყო შურის ბადის ქსოვა ილიას სახელის შებილწვის მიზნით. რა არ თქვეს, რა არ დასწამეს ამ უდიდეს მოღვაწეს. ამ მკრეხელთა წინააღმდეგ სხვა მამულიშვილთა გვერდით ხმას იმაღლებს ი. გოგებაშვილიც და 1908 წელს აქვეყნებს წერილს ჟურნალ „საქართველოში" სათაურით – „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა", სადაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა ფარისეველნი და ცილისმწამებელნი: „დაიცადეთ, ჭორიკანა ლილიპუტელებო! – მიმართავს ი. გოგებაშვილი ილიას სიძულვილით გალეშებულ მყეფართ, – მოვა დრო, როცა თქვენი ავის მთქმელობისათვის სირცხვილის ალში დაიწვებით, თუ ნიჟი სირცხვილისა სრულიად არა გაქვთ დახშული".

შემდეგ ილიას ახასიათებს როგორც სწორუპოვარ მოღვაწეს და დიდ შემოქმედს, მამულიშვილს და ბოლოს დასძენს: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავის ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის".

ასე უჭირისუფლა დმერთკაცმა – ი. გოგებაშვილმა – ზევსკაცს – ილია ჭავჭავაძეს.

თანამოაზრენი – ილია და ბელინსკი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს სადებიუტო წერილის გამოქვეყნებისთანავე თავს დაესხნენ, ეგრეთ წოდებული, კონსერვატორები და პირველ რიგში ბრალად ის დასდეს, რომ იგი „შემ-

ზადდა პეტერბურგში, როგორც დონკიხოტი: მარცხენა ხელში ეპყრა ფარის მაგიერ ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა. და ეს „ბრალდება" არც უსაბაბო იყო და არც უმიზეზო. მართლაც და, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უხვად გამოვლინდა სწრაფვა დონკიხოტური კეთილშობილებისა და შემართებისა. არც ის იყო სინამდვილეს მოკლებული, რომ ილიას მრწამსი და შემართება, აზრის ინტელექტის სიღრმე და მისი გამოხატვის ემოციურობა მკითხველს სადღაც ბობოქარი ბელინსკის საოცრად ცხოველი, უაღრესად დამუხტული აზრისა და ემოციური აზროვნების კლასიკურ ნიმუშებს ახსენებდა.

ილიას მკილავნი ბელინსკობას აბრალებდნენ ერთი მხრივ იმის გამო, რომ მისი დისკრეტიზირება მოეხდინათ როგორც სხვათა მიმბაძველისა, მეორე მხრივ ახსენებდნენ ბელინსკის, როგორც უარყოფით მოვლენას. და ეს აზრი ნასესხები იყო რუსი რეაქციონერებიდან, ვინც ბელინსკის დევნიდა და სიცოცხლეს უმწარებდა. რა თქმა უნდა, თუ ბელინსკისა და ილიას' რაიმე საერთო აზრი და მისწრაფება აკავშირებდა, ასევე საერთო აზრი და მისწრაფება აერთებდა როგორც ილიას, ასევე ბელინსკის მრწამსისა და მისწრაფებათა უარმყოფელთ.

როგორც უდედმამოდ არარა შობილა, ისე ურთიერთ გავლენის გარეშე არც რა ახალი იდეა იბადება, მაგრამ ერთია სხვათა, თუნდაც გენიოსთა მონათმსახურება და მეორე – ამ იდეების შეხამება და მორგება დროსა და გარემოსთან. სხვა ერის ცხოვრებით გაპირობებული თუნდაც უდიდესი გენიოსის აზრი თუ თავს მოახვიე შენს ხალხს, ნათხოვარ სამოსივით მოურგებელი აღმოჩნდება და ვერასოდეს შეერწყმის მის სულიერ ზრახვასა და მისწრაფებას.

დიახ, ილია არასოდეს უარყოფდა რუსული კულტურისა და ლიტერატურის დიდ გავლენას. დიახ, „რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა", ამბობს ილია, მაგრამ იქვე ხაზს უსვამს იმ აზრსაც, რომ ბრმა მიმბაძველობა ყინულს ვერ გაადნობს. ყოველ მოვლენას სჭირდება საკუთარ ბრძმედში გადადუღება და გადადნობა. აკი იქვე დასძენს „რუსულმა ლიტერატურამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩნია და ამრიგად, არ დაიხვია ხელზე ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის".

ილიას საგანგებო წერილი არ დაუწერია ბელინსკზე, მაგრამ როცა რუსულ ლიტერატურაზე, მის ცხოველმყოფელობაზე, მისი იდეების ჰუმანურობაზე საუბრობს, მას პირველ რიგში მხედველობაში

ჰყავდა მეცხრამეტე საუკუნის თვალშეუდგამი ტიტანები რუსული ლიტერატურისა, რომელთა მიერ დაპყრობილი მწვერვალები დღემდე დაუძლეველი ჩანს. რა თქმა უნდა ამ გოლიათთა შორის უპირველესი ლიტერატურული ამინდის შემქმნელი იყო ბესარიონ ბელინსკი, რომლის „ლიტერატურული ოცნებანი“ დღემდე რჩება იმ სახის ქმნილებად, სადაც ფილოსოფოსთა მიერ ორსახეობად ქცეული ყოფიერებაც და ცნობიერებაც ერთდროულად იპყრობს მეცნიერებისა და ხელოვნების მწვერვალებს და ამ მწვერვალზე შექორწინებულნი ქმნიან ჭეშმარიტი შემოქმედების გაუხუნარ ნიმუშს, რომელიც დღემდე იკითხება, როგორც მონოლოგი ჭეშმარიტი ხელოვნების არსსა და მიზანზე... ამ მონოლოგს ემოციური ძალხმიერება არასოდეს დააკლდება იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც რაიმე მიუღებელი აზრისა და იდეის ნიშატს შეიცავდეს.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამონაწერების მოყვანას, სადაც ბელინსკისა და ილიას აზრთა მდინარების თანმთხვევა და მსგავსება მეტად ხელშესახები იქნება. ეს ცალკე საგანგებო კვლევის საგანია. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ბელინსკის იდეებს გაცნობილი ილია ისე ღრმად მიესადაგა მის მრწამსს, რომ მოღვაწეობის დასაწყისშივე მოწინააღმდეგეებმა ბელინსკის ბადალყადარი კაცი დაინახეს მასში და არც უსაბაბოდ და არც შემთხვევით...

არამცთუ გენიოსნი, თვით უბრალო მოკვდავნიც მაშინ იმუხტებიან მსგავსი იდეებითა და მისწრაფებებით, როცა მსგავს სოციალურ გარემოში უხდებათ ცხოვრება და სულიერი ფორმირება.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა დღემდე დაუძლეველია და ეჭვმიუტანელი საკაცობრიო ღირებულება აქვს. რუსული გენიის ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უცაბედი აფეთქება ეგებ იმ დაწყლულებული და უკვე ისტორიისაგან განწირული საზოგადოებრივი ფორმაციის შედეგიც იყო, რომელიც მეფის რუსეთს ახასიათებდა. და თუ თვითმყობადი რუსეთის სოციალური პირობები ისე მტკივნეულად განიცადა რუსულმა გენმა, რომ დაბადა ბელინსკები და დოსტოევსკები, ამავე სახელმწიფოში შემავალმა ქართველი ერის გენმაც, რომელსაც ზემოაღნიშნულ სოციალურ ტკივილებს ეროვნული ტკივილიც ახლდა, წარმოშვა ილია და მისი მოდასენი, რომელთაც ბევრი რამ აერთებდა და ანათესავებდა პროგრესულად მოაზროვნე რუს მოღვაწეებთან და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ბელინსკისთან, რადგან ისე ნათლად და ხელშესახებად საუკუნის ტკივილი არავის გამოუთქვამს, როგორც „ლიტერატურული ოცნებების“ ავტორმა გამოხატა. მხილება საკუთარი ერის მანკიერი მხარისა, როცა ის ნაკარნახევია გულშემატკივრობითა და მისი ამაღლების სურვილით, არის უდიდესი ღირსება მოღვაწისა, რომლის საუკეთესო ნიმუში მოგვცა რუსეთში ბესარიონ ბელინსკიმ და საქართველოში ილია ჭავჭავაძემ. სხვათა

და სხვათ რომ თავი გავანებოთ, რუსული ლიტერატურის მზე ა. პუშკინი ზენიტში იყო და მაინც ბელინსკის იმხელა უკმარობის გრძნობა ჰქონდა, რომ ხმამაღლა და დაუფარავად აცხადებდა: „დიახ, ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა". ნამდვილი ეროვნული მწერლობა იქმნება მაშინ, როცა მწერალი „თავის ნატიფ ქმნილებებში სრულად გამოხატავს და გადმოსცემს იმ ხალხის სულს, რომელშიაც ის დაბადებულა და აღზრდილა... მასში არ არის რაიმე უცხო გავლენით მომხდარი არავითარი ძალდატანებითი ან იძულებითი გადახრა". ასე ასაბუთებს ბელინსკი თავის ზემოაღნიშნულ თეზას. ასევე მშობელი ხალხისა და ერისადმი გულშემატკივრობის შთაგონებით შეიქმნა ილიას „ბედნიერი ერიცა" და ამავე ტკივილმა ათქმევინა: „ჩემზედ ამბობენ:

„ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს -
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია".

დიახაც, ილია ენათესავებოდა ბელინსკის ბევრ საკვანძო საკითხში, მაგრამ მის წინაშე იდგა სხვა საკითხებიც. თუ რუს მოაზროვნეთა გამსჭვალავი პრობლემა იყო სოციალური უკუღმართობით გამოწვეული საზოგადოებრივი მანკიერებების მოშუშება, ილიასა და მისი მოდასეებისათვის ეს მეორადი პრობლემა გახლდათ, რადგან აქ წინა პლანზე იდგა ეროვნული თვითმყოფადობის საკითხი. მათ თამამად შეეძლოთ გაემეორებინათ ერთ-ერთი მამულიშვილის ნათქვამი: „ჯერ მაცოცხლე, მერე მაფიქრებინე როგორ გავმდიდრდეთ". მართლაც, ყოველგვარ სოციალურ გარდაქმნას წინ უსწრებს ერის თვითმყოფადობის საკითხი. ისეთი სოციალური ცვლილება, რომელიც ეროვნულ თვითმყოფადობას ნირს შეუცვლის და მით უმეტეს, მის ყოფნა არ ყოფნას კითხვის ქვეშ დააყენებს, იგი საბოლოო შედეგით იგივე გენოციდია, ოღონდ ქრონიკული, რაც პერსპექტივაში ერის თვითმყოფადობის მოსპობას ნიშნავს.

რუს განმანათლებელთა და მათ შორის ბელინსკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არასოდეს უთანაგრძნიათ მეფის რუსეთის იმ პოლიტიკისათვის, რომელიც რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა ასიმილაციას ისახავდა მიზნად. პირიქით, ისინი ყოველთვის ჩაგრულ ერთა უგულწრფელესი დამცველნი იყვნენ. ამ ჰუმანურ ლეიტმოტივს, რაც მათ მდიდარ და კლასიკურ შემოქმედებას ნათელ ხაზად გასდევს, დიდად აფასებდა მარტო ილია და არა მარტო ქართველი ინტელიგენცია, ამავე აზრისანი იყვნენ სხვა ერთა მოწინავე შვილნიც. და ეს აზრთა და მისწრაფებათა ერთიანობა ედო საფუძვლად იმთავითვე ხალხთა ჭეშმარიტ მეგობრობას, რომლის გარეშე ყოველგვარი თვითმყოფადობა და თავისთავადობა აფსურდია. მათ კარგად იცოდნენ, რომ არ არსებობს

ისეთი პატარა ერი, თუნდაც ცივილიზაციას უზიარები, რომელსაც რაღაც თავისებური დვრიტა და იერსახე არ ჰქონდეს, რაც უეჭველად თავის ფერსა და იერსახეს მატებს ადამიანთა მთლიან მოდგმას. და მართლაც, უდიდესი ბოროტებაა, როგორც ამა თუ იმ ერის გენოციდი და გადაშენება, ასევე სხვადასხვა ერთა გენის აღრევა და კაცობრიობის ყოველმხრივი ნიველირება, რაც ხელს უწყობს დიდმპყრობელური შოვინიზმის აფეთქებას, რომლის დაწოლა ბადებს ვიწროსა და კარჩაკეტილ ნაციონალიზმს, რომელიც ისევე ძნელად მოსარჩენი სენია, როგორც შოვინიზმით დასუდრული სული.

ბესარიონ ბელინსკი იმის გამო გახდა ყველა ერისათვის სათაყვანო და საამაყო, რომ მან აღმართა ჰუმანიზმის ის დროშა, რომლის ქვეშაც ვერც ერთი ეს მანკიერი გრძნობა ვერ ბოგინობდა... ამის გამო დიდი ილია მისი ღვაწლის და შემოქმედების ტრფიალი და დამფასებელი იყო.

სხვადასხვა ერის დიდ შვილთა ზრახვათა თანაზიარობა არის უწმინდესი და აუმღვრეველი სათავე მეგობრობისა. სხვანაირად არც შეიძლება, რომ არ გიყვარდეს ტოლსტოი, ბალზაკი, ლერმონტოვი, შექსპირი და მათგვარი დიდბუნებოვანი გენიოსები, რა უფლება გაქვს ან მამულიშვილობაზე, ან კაცურკაცობაზე დადო თავი. და თუ გიყვარან – რა უფლება გაქვს, არ გიყვარდეს მათი დამბადებელი ერი. ერთა ძმობა ერთა უკვდავ აზრთა, ფიქრთა და მისწრაფებათა თანაზიარობა და თანაალმობაა. ამის საუკეთესო ნიმუშია ბობოქარი ბელინსკისა და ქართული აზროვნების მოგვის – ილიას კაცთმოყვარული იდიალების თანმთხვევა და თანაზიარობა.

## ილიაობა – ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული

კაცობრიობის ისტორიას შეიძლება კაცმა პირობითად კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ისტორიაც უწოდოს. მართალია, ჩვენი დიდი რუსთველი გვმოძღვრავს – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო“, მაგრამ ბოროტებასაც ბევრჯერ უზეიმია, ბოროტსა და უხეშ ძალასაც ბევრჯელ დაუჩოქებია თავის წინ ადამიანი; განა იგივე რუსთველი არ გვასწავლის – შიში შეიქმს სიყვარულსაო“ და მართლაც ჩვენი შორეული წინაპრები ხშირად აღმერთებდნენ როგორც კეთილ, ასევე ბოროტ ძალებს. კეთილს სიკეთეს სთხოვდნენ, ბოროტს კი ბოროტისაგან თავდაცვას. ასე გაჩნდა წარმართული ხანის მრავალღმერთობა: ნაყოფიერების, დარის, მიწის, მზისა და სხვა მრავალი. ერთ ერთი ღმერთთაგანი იყო ელია. ეს იყო ჭექა-ქუხილისა

და ქარ-წვიმის ღმერთი. ამას ადასტურებს უძველესი ქართული ხალხური ლექსიც, სადაც ნათქვამია:

„ცა რომ სჭექავდეს, ელავდეს,
ალბათ ელია იქნებათ".

მთათუშეთში, სოფ. ხისოში, ახლაც არის ქარ-წვიმის ღმერთი, ე.წ. შიხალეს ხატის ნიში.

ქრისტიანობის გავრცელების მერე მექა-ქუხილის ღმერთი ელია შეერწყა ახალ სარწმუნოებას და დაუკავშირდა წმინდა ილიას, რომელიც ქრისტიანულ მითოლოგიაში ილია წინასწარმეტყველის, ანუ ილია თესბიტელის სახელითაა ცნობილი. ამ წმინდანის სახელის რელიგიური რიტუალი იმართებოდა 20 ივლისს. საგულისხმო ისიც არის, რომ ქრისტიანობის გავრცელებამ ადამიანთა სახელები, რომლებიც აღმოცენებული იყო წარმართულ ღვთაებათა მიხედვით და ძირითადად ქართული წარმოშობისა იყო, მისპო. მაგალითად, ირმა, ყორანა, მთვარია, ვეფხია და სხვა. სამაგიეროდ დამკვიდრდა ქრისტიანულ წმინდანთა სახელები, რომლებიც ძირითადად ბერძნული წარმოშობისანი არიან. მაგალითად, თვით ილია, ბერძნულად ნიშნავს ღვთის ძალას, ანუ ციხეს. აკაკი - კეთილს, უწყინარს, მიხეილი - ღვთისნიერს და სხვ.

ისიც უნდა ითქვას, რომ არა მარტო შეუცნობელი ბუნების ძალებს აღმერთებდნენ, არამედ ხალხისა და ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანებსაც, ოღონდ ერთი განსხვავებით: თუ ბუნების ავისმაუწყებელ ღმერთებს ეკრძალვოდნენ და შემწყნარებლობის დითირამბებს უთხზავდნენ, ადამიანთა გაღმერთება ყოველთვის კეთილი საწყისებით იყო განპირობებული. ხალხი ყოველთვის ადიდებდა,ეკრძალვოდა და ეთაყვანებოდა თავისივე წიაღში დაბადებულ გმირებს, რომელთა ღვაწლსა და ამაგდარობაში ვლინდებოდა დამბადებელი ერისა და ხალხის ფიზიკური ძალა და სიმშვენიერე, სულიერი სათნოება, შემართება და კეთილშობილება.

ასეთ ადამიანებს ოდითგანვე ხალხური მესიტყვენი - აზღაპრებდნენ, მოლექსენი - ალექსებდნენ, მოქანდაკეები - აქანდაკებდნენ. მათი გალეგენდებული ცხოვრება და თავგადასავალი მისაბაძი მაგალითი იყო თაობის სულიერი წრთობისათვის, სამაგალითო ნიმუშები იყვნენ იმისა, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ, ებრძოლათ, ემეგობრად ქვეყნის საკეთილდღეოდ. ასეთ პიროვნებებს ბოლოს აღმერთებდნენ კიდეც, წმინდანებად რაცხდნენ, ტაძრებსა და ნიშებს უგებდნენ, ამ გაღმერთებულ გმირთა დღეებს დღესასწაულობდნენ. ეს დღესასწაული კი თავისებური ცისქვეშა თეატრიც იყო, სადაც ნიღბიანი ბერიკები სანახაობებს ქმნიდნენ. ჩაუქი ვაჟები მუშაითობდნენ, მოშაირენი შაირობდნენ, მოცეკვავენი ცეკვავდნენ, ფალავნები ფალავნობდნენ, მოვაჭრენი ვაჭრობდნენ, მოაშიკენი აშიკობდნენ, ყველა თავის საწა-

დღეს ეწეოდა. ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულები, რომლებიც დრო-ჟამის მიხედვით იცვლიან სახელწოდებას, ფორმას, შინაარსს.

ელიაობა, ანუ ილიაობა სახელწოდების დღედაც იყო მიჩნეული, რომლის დღესასწაული, როგორც აღვნიშნეთ, ოც ივლისს იმართებოდა. მას შემდეგ, რაც ეს დღესასწაული დიდი ქართველი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის სახელს დაუკავშირდა და რომელიც თვით ილიას დროსვე იქცა საერო ზეიმად, მთლიანად გამოეცალა ძველი რელიგიური სარჩული და მიიღო ახალი შინაარსი, ახალი სახალხო დღეობის იერსახე.

ყველასათვის ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე გასული საუკუნის ცხოვრების შუაგულში იდგა და ერის ჭეშმარიტი მოჭირნახულე იყო. ისიც ცნობილია, რომ ილიას ირგვლივ სამსახურშიც და ბინაშიც თავს იყრიდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ილიასთან მისვლის და პატივისცემის სურვილი ვის არ ჰქონდა, მაგრამ მასთან მისვლასაც თავისი მოსაბაბება სჭირდებოდა და აი ხალხმა ასეთ სასაბაბო დღედ 20 ივლისი გაიხადა.

პატივისმცემლები პირველ ხანებში თბილისში ეწვეოდნენ ხოლმე ამ დღეს. ცნობილია, რომ ილიამ იცოდა არა მარტო საქმის დიდებული გაძღოლა, ასევე დიდებული სერობაცა და სტუმართმოყვარეობაც. შემდეგში, როცა მან საგურამოში საზაფხულო სასახლე აიშენა, ამ დღეს სტუმრებს საგურამოში ხვდებოდა. აქედან დაედო სათავე საგურამოს ილიაობას. რომელიც ილიას კი არ დაუწესებია, ილიას კი არ დაუდგენია - ხალხმა თვით აღიარა, თვით დაადგინა სახალხო ზეიმად და დღესასწაულად.

ამ დღეს საგურამოს ილიას აწალკოტებულ ბაღში იმართებოდა ფალავნობა, ისმოდა ძველი ქართული სიმღერები, რომლებიც უკვე მივიწყებას ეძლეოდა. სუფრაზე იმართებოდა სჯა-ბაასი ჩვენი ერის საჭირბოროტო საკითხებზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, მრავალი ოქროპირი მჭევრმეტყველებდა ექსტაზში შესული ასწლოვანი კაკლის ჩრდილქვეშ გაშლილ სუფრასთან. ისე, რომ, ილიასთან გამართული სერობაც საერო და სახალხო სერობა იყო, სადაც იქმნებოდა და იჭედებოდა საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ საკითხზე.

ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული ეროვნული მრწამსითა, ზრახვებითა და მამულის სიყვარულით გაცისკროვნებული.

საგურამოში ილიაობის დღეები ჭეშმარიტად ეროვნული ზეიმის იერსახეს ატარებდა. სხვანაირად არ შეიძლება, რადგან ილია სიცოცხლეშივე ერის სულიერ მოძღვრად და აზრთა მეუფედ იყო აღიარებული და ეს აღიარება სწორედ საგურამოში გამართულ ილიაობის დღეს დაადასტურა ხალხმა, როცა მას ხაგანგებოდ გამზადებული ქართული დროშა გადასცეს ერის სახელით. ამ დროშაზე თვით ილიასავე სიტყვები იყო აბრეშუმის ძაფით ამოქარგული.

„კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათვიდეს“.

ეს მოხდა 1896 წელს. ეს წელი იმითაც არის საგულისხმო, რომ ილიაობას ესწრებოდა ქართული კულტურის დიდი მეგობარი, ილიას „განდეგილისა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი მარჯორი უორდროპი. ამ დიდი ზეიმის მომსწრე და მხილველი ეკატერინე გაბაშვილი იგონებს: „... ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, წყვილ-წყვილად ნელ-ნელა მოდიოდნენ და „მგზავრულს“ მწყობრად მღეროდნენ. მალე მოუახლოვდნენ იმ გორას, რომელზედაც ილიას სახლი იყო აშენებული. წინ მოუძღოდათ პოეტი გრიგოლ აბაშიძე თეთრ ტანისამოსში, თეთრ ცხენზე მჯდომი და ხელში ეჭირა უშველებელი ბაირაღი ალისფერი ატლასის ოქრომკერდის ბაფთა მოვლებული და ზედ ამოკერილის ილიას ლექსით. აბაშიძემ თავისი ოქროპირულის,ორატორულის ნიჭით, სიტყვა მოახსენა და მიულოცა ილიას ახალი სახლის აშენება და დღეობა... სიხარულით, თუ სიტყვის შინაარსით, ავტორდით, თითქო ილიასაც თვალები აევსო ცრემლებით, გადაეხვია აბაშიძეს, ჩამოართვა ბაირაღი და დიდის მადლობით რამოდენიმე სიტყვა უთხრა მოსულებს“.

„ილიას ვერაგული მკვლელობის მერე, რა თქმა უნდა, საგურამოში „ილიაობა“ აღარ გამართულა, მაგრამ, სამაგიეროდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ფილიალის ინიციატივით „ილიაობის“ დღესასწაული შემოიღეს თელავში. მხცოვანი საზოგადო მოღვაწე და ამ საქმის ინიციატორი ვანო პაატაშვილი იგონებს: „... პირველი საღამო გაიმართა 1909 წელს, რომელმაც იმოდენა საზოგადოება მიიზიდა, რომ ნახევარიც ვერ დაეტია მაშინდელ საკრებულო დარბაზში „კლუბში“. ამიტომ 1910 წლიდან ასეთი საღამო იმართებოდა ცის ქვეშ ვეებერთელას ბაღში, სადაც ყოველთვის ვაშენებდით სცენას“.

„ილიაობამ“ მალე ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ იგი გადაიქცა ეროვნულ დღესასწაულად. 20 ივლისს მთელი თელავის და ნაწილი სიღნაღ-თიანეთის მაზრების საზოგადოებისა თელავში იკრიბებოდა, განურჩევლად წოდებისა. „ილიაობამ“ ისეთი სერიოზული ხასიათი მიილო, რომ წერა-კითხვის თელავის განყოფილების წინაშე დაისვა საკითხი შესაფერისი შინაარსიანი საღამოს მოწყობაზე და საზოგადოების პატივით შეხვედრაზე“.

თელავის „ილიაობაში“ ცხოველი მონაწილეობა მიუღიათ ნიკო სულხანიშვილს, ზაქარია ჩხიკვაძეს და სხვა მრავალთ. 1911 წელს „ილიაობის“ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ ჩამოვიდა თელავში მხცოვანი აკაკი. აქვე უნდა აღინიშნოს, თელავიდან აკაკი ეწვია ყვარელს მოინახულა დიდი მეგობრის დამბადებელი

სოფელი და ეამბორა მის ნააკვნარ ეზო-კარს. თელავში „ილიაობის“ დღესასწაული მტკიცედ დამკვიდრდა. თუმცა ზოგი ძველი ინტელიგენტი ირწმუნება, რომ „ილიაობა“ ყვარელშიც მოუწყვიათ რამდენჯერმე, მაგრამ ერთი ცხადია, ტრადიციად ვერ ქცეულა, როგორც ეს თელავში შეძლეს.

ამ დიდი მამულიშვილის სახელობის დღესასწაულს ყვარელში სათავე დაედო 1957 წლიდან. როგორც ცნობილია, ამ წელს ქართველმა ხალხმა იზეიმა ამ დიდი მოძღვრის დაბადების 120 წლისთავი. საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივმა საიუბილეო კომისიამ დააწესა, რომ ყოველ წელს, ოქტომბრის ბოლო კვირას მოეწყოს სახალხო დღესასწაული - „ილიაობა“, ამ შემთხვევაში ყვარლელებმა ილიას სახელობის დღე 20 ივლისი კი არ აირჩიეს, რომლის წესები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წარმართულსა და შემდეგ ქრისტიანული რელიგიების რიტუალებშია ჩაკარგული, არამედ ილიას დაბადების თვის - ოქტომბრის ბოლო კვირა.

1957 წლიდან ყვარელში სისტემატურად იმართება ილიაობა. ამ დღეს არა მარტო საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდის ხალხი, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებსაც შევხვდებით ხშირად. ჩვენს სახელოვან მსახიობებს ცის ქვეშ გამართულ სცენაზე განუსახიერებიათ ილიას უკვდავი გმირები: ოთარაანთ ქვრივი (თამარ ჭავჭავაძე), ლუარსაბ თათქარიძე (ვასო გოძიაშვილი), პეპია (აკაკი ვასაძე) და სხვა.

ამ დღეს უწყვეტად მოედინება დამთვალიერებელთა ტალღა ილიას მუზეუმში. რაც დრო გადის, მით უფრო პოპულარული ხდება ეს დღესასწაული.

სიტყვა დღესასწაული დიდებულად ესადაგება ილიას წმიდასა და უკვდავ სახელს: ილია და მისი მსგავსი ერის შვილნი მართლაცდა თავიანთი შემოქმედებით, ღწვით და ცხოვრებით სასწაულებს ახდენენ ხალხის ცხოვრებაში.

ეს დღე მარტო დიდი წინაპრის პატივდების დღე როდია, იგი მისი სულის გამოხმობაცაა, რომლის ქარგაზედაც მოწმდება თანამედროვე ყოფა და ცხოვრება, ჩვენ გვაქვს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული კანონები, რომელნიც ამართლებენ და ამტკიცებენ არსებულ ფორმაციას... ამის გარდა ყოველ ერს აქვს ტრადიციებისა და რწმენის, გარემო პირობების შესატყვისი მორალური და ეთიკური გამარადიულებული ჩვეულები, რომელთა ხელყოფა არავის არ ეპატიება, „რადგან ჩვეულება ერისათვის იგივე რჯულია, იგივე კანონია მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას ის უპირატესობა აქვს დაწერილის კანონის წინაშე, რომ ყოველდღის ცხოვრების ჭეშმარიტების საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა“.

ერთ-ერთი ასეთი ტრადიციათაგანია ღირსეული წინაპრის ამაგის დაფასება და აღიარება, მისი ცხოვრების გამაგალითება. მისი სულისა და აჩრდილის წინაშე მოკრძალება. ასეთი წინაპარნი მართლაც სასწაულმოქმედნი იყვნენ და მათი სახელობის დღეს სამართლიანად ეწოდება სასწაულის დღე.

ეგეც არ იყოს, თვით ილია ბრძანებს: „ხსენება დიდბუნებოვანის მამულის-შვილისა შთამომავლობის მოვალეობაა. ეს დღე იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გინდა თუ არა უნდა იფიქრო მის ღვაწლზე, მის ამაგზე. ახეთი ფიქრი კი აკეთილშობილებს, ამაღლებს და ზნესრულს ხდის ადამიანს!". იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს იფიქრო ამ ქვეყნად შრომის სუფევაზე: მის ამაღლებაზე, მის უძლეველობაზე და ყოვლისშემძლეობაზე, რადგან: „გამრჯელი და მშრომელი არის შემქმნელი და მომქმედი ამა ცხოვრებისა და თავის კერძოს ცხოვრების სუფრაზე მარტო იგი პოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ, სხვა ყველანი გამრჯელსაც ამძიმებენ და თვითონაც არ იციან, ხად და როდის გაუტყდებათ წნელი, რომელზეც ხელი უკიდიათ".

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს იფიქრო ადამიანის ჰარმონიულ აღზრდაზე, მის სულიერ და ფიზიკურ, გონივრულ წვრთნაზე, მის განკაცებაზე, განსწავლაზე, რადგან: „ღონიერი და ჭირთა-მძლე ის არის, ვისაც ჰკვა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია".

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს, იფიქრო ნათელ მრწამსზე, ნათელ აზრზე და ნათელ მიზანსა და სურვილზე, რადგან: „აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა", საქმისა და ქმედების გარეშე ვერავითარი მრწამსის ერთგულება ნაყოფს ვერ გამოიღებს. ხოლო ვერც მრწამსის გარეშე დარჩენილი მომქმედი ადამიანი გადახტება სამ ნაბადზე. ყველამ უნდა იცოდეს, რომ: „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორი დიდი ტოტისა, ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული".

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს, იფიქრო ერის უკვდავებაზე, მის წარსულზე, რადგან – „აღდგენა ისტორიისა, ერის გამოცოცხლებაა... აწმყოს გაგებაა და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან". გარდა ამისა „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა", ხოლო წარსულმა რა მძიმე მემკვიდრეობაც არ უნდა დაგვიტოვოს, ეს გაკვეთილად უნდა მივიღოთ და აქედან გამომდინარე: „ჩვენ უნდაჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!"

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს, იფიქრო ადამიანის ზნესრულობაზე, იმ ერთადერთ ღმერთზე, რომელსაც სინდისი ჰქვია. ასეთ ადა-

მიანს სხვისი არა უნდა რა. თუნდაც უქონელი და გაჭირვებული იყოს, მან იცის, რომ „სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. მწიკვლი და ცოდვა სხვისგან გამომცხვარი პურის ჭამაა, სხვისი ოფლის სმაა“.

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს, იფიქრო ხელოვნებისა და მეცნიერების ღირებულებაზე, რომელიც „სალაროა, საცა აწყვია უკეთესი განძი ადამიანის უკეთესი ჭკუითა და გრძნობით მოპოვებული. იგი უდიდესი ტაძარია, სადაც დაკიდებულია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ქცევითა და გულით ძვირფასის თვალებით შემკული, საცა განუქრობლად ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულის ჭეშმარიტებისა“.

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს იფიქრო ძმობაზე, მეგობრობაზე, ერთურთის გატანაზე და ატანაზე, ილია ხომ იმას ღაღადებდა, რომ „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიათ“. მან იცოდა და ჩვენც გვამცნობს, რომ „ხალხთა ცხოვრება მაშინ არის სრულად შემკული, როცა მათში სუფევს ერთობა, ერთმანეთთან ძმური დამოკიდებულება, და როცა, პირადი თავისუფლება მონობაში არ არის“.

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს, იფიქრო პიროვნების თავისუფლებაზე ერის თვითმყოფადობაზე, აქედან გამომდინარე, საყოველთაო მშვიდობაზე, რამეთუ თავისუფლება და მშვიდობა ერთმანეთს აპირობებს. აკი თვით ილია ბრძანებს: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“. ერთა თავისთავადობისა და თავისთავზე ზრუნების გარეშე, მშვიდობაზე ლაპარაკი ან უნიადაგო პაციფიზმია, ან პოლიტიკური დემაგოგია, რადგან „მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა“.

იფიქრო ილიაზე – ეს ნიშნავს, იფიქრო თვალშეუდგამ ჰუმანიზმზე, ისეთ ჰუმანიზმზე, როცა შეგიძლიან თვით მტერსაც კი „რომელსაც სურს გულს ლახვარი გკრას, აპატიოს და შესთხოვის მეუფეს, შეუნდოს, რამეთუ „არა იცის რასა იქმსო“. ისეთ ჰუმანიზმზე, როცა შეგიძლია "კეთილი ფარად უფარო შენთვის ბოროტის მდომს ავკაცსა“...

დიახ, უნდა ყველამ ვიფიქროთ და თუ ყოველდღე ვერ ვკითხეთ თავს, როგორც ამას ილია მოითხოვს „აბა დღეს მე ვის რა ვარგეო“, – წელიწადში ერთხელ მაინც ამ წმინდა და საერთო დღესასწაულის ჟამს გადავხედოთ ხოლმე ჩვენს განვლილ ცხოვრებას, ჩვენს მრწამსს, ჩვენს შეხედულებებს და იგი მივუსადაგოთ დიდი ილიას ფიქრებს და ზრახვებს, თვით ჩვენვე შევამოწმოთ ჩვენი თავი, როგორ ვამართლებთ მის ანდერძს, მის დანაბარებს.